# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 4 თებერვალი 2011 №3(133)

1516
2011

თეონა ქუმსიაშვილის პოეტური სილუეტი
ნინო ჩხიკვიშვილი მარიამ წიკლაურზე
ხრესილიდან დანახული რევოლუცია
ცირა ყურაშვილი რეზო ჭეიშვილზე
ხუან ლატორეს პოეტური ფიქრები
ალბერტო მორავიას ნოველა
ნუკრი ბერეთელის ლექსები
მღვდელმთავართა ტვირთი
მანუელ კასტელის ესეი
ილია ჩემი სამშობლოა
დაკარგული ქვეყანა



# ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი
























მისამართი: ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ: 823 123499, 899 149515

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | როსტომ ჩხეიძე **დაკარგული ქვეყანა** (ზვიად რატიანის პოეტური ხილვები) |
| ილიას გზით | 5 | მაკა ჯოხაძე **ილია ჩემი სამშობლოა** |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 6 | ნინელი ჭანკვეტაძე **„ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს“** (მოამზადა ნატა ვარადამ) |
| ეპისტოლე | 7 | ნინო ფანჩულიძე **მინდაც იქ ვყოფილიყავი...** |
| პროზა | 8 | ქარდა ქარდუხი **ძაფზე მოფარფატე სული** |
| პოეზია | 24 | ნუკრი ბერეთელი **თბილი ზამთრის ლექსი** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 27 | მანუელ კასტელი **ძსელი და მე** |
| ისტორიის თეთრი ლაქები | 29 | დოდო ჭუმბურიძე **ტვირთი, ქართველ მღვდელმთავართაგან ნატვირთი** (ვაჟა კიკნაძის მონოგრაფია) |
| საქართველოს გზებზე | 33 | ლია კუხიანიძე **ხრესილიდან დანახული რევოლუცია** |
| სოხუმის თეატრი — 125 | 35 | მერაბ ბრეკაშვილი **„ჩვენს ქერქვეშ — სოხუმში“** (ესაუბრა თამუნა დულაშვილი) |
| ახალი რომანი | 36 | მერაბ მალალაშვილი **„ჩვენ მოვიგებთ ომს“** (გურამ მეგრელიშვილი, თამაზ დემეტრაშვილი "iratta.ru") |
| რეპორტაჟი | 38 | ელენე ამაღლობელი **ჩვენც ვნახეთ რამალა** (განხილვა მურიდ ალ-ბარღუთის წიგნისა „მე ვნახე რამალა“) |
| დღიურის ფურცლებიდან | 42 | ცირა ყურაშვილი **მხოლოდ ემოციები** (რეზო ჭეიშვილის თხზულებათა პირველი ტომი) |
| თვალსაზრისი | 43 | სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე **გადამკვეთი ხაზები** |
| დიალოგი | 44 | ეკა ბუჯიაშვილი **როცა ეპოქის თანაზიარი ხარ** (დეა სოსელია) |
| იზარდე. მწვანე ჯეჯილო | 46 | ნინო ჩხიკვიშვილი **ჩინებული მემკვიდრე** (ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“) |
| პოეტის ერთი ლექსი | 49 | ტარიელ ხარხელაური ***(თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნას) |
| ახალგაზრდებო. ან კი თქვენ | 50 | ნანა აბლოთია **ვალპურგის ღამის დედოფლები** |
| ფიქრები | 52 | თემურ ნადარეიშვილი **სულის ფოტოგრაფიები** |
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 56 | ვლადიმერ ნიბლიაშვილი **ცოცხლად დამარხული ზოოპარკი** |
| პოეზიის მერიდიანები | 57 | ხუან ლატორე **ნაწერი ფიქრები** |
| უცხოური ნოველა | 59 | ალბერტო მორავია **როდესაც აზრები ჰაერში იყინებოდა** |
| ნაკვესები | 61 | **მახვილსიტყვაობის ნიმუშები** |
| მოზაიკა | 63 | **ზაჰესი და მცხეთის ჯვარი** |



ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე


გარეკანზე: დეა სოსელია გრანდ პალასში, პარიზი
ირაკლი სოსელიას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 18 თებერვალს


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# დაკარგული ქვეყანა

✸

## ზვიად რატიანის პოეტური ხილვები

პოეზიისა უამრავი განმარტება წაგვიკითხავს, ცნებებითაც განსაზღვრული და მეტაფორებითაც. და განა რაღას შეიძლება გავეკვირვებინეთ თავისი მოულოდნელობითა და შთამბეჭდაობით.

მაგრამ ერთ უსათაურო ლექსში ზვიად რატიანი უჩვეულო განსაზღვრების მოწმეს გაგვხდის.

თურმე პოეზია შეიძლება იყოს:

— ორი სიჩუმე ერთ ოთახში.

ულრმესი განცდა, იმ ტკივილით დასერილი, ყოფიერობიდან რომ ლამობ რომანტიკული სულის გამოგლეჯასა და შენარჩუნებას, თუმც იმავდროულად გრძნობ ამ ყოფიერობის განუმეორებელ ხიბლსაც და მასში ჩამალულ პოეტურ მუხტსაც, რომელსაც არანაკლებ სჭირდება გადარჩენა.

ამისათვის კი ორი სიჩუმე აუცილებლად ხელშესახები უნდა იყოს, როგორც ჰარმონიის საწყისი.

ყავის წრუპვა, ჩაის, არყის ანდა წყლის, ამ ორი სიჩუმის შეუვალობის აღიარებაა, ისევე, როგორც თეთრი ფურცლის ყურება, არც ისე ღრმისა, „ვიცი, უშენოდაც ვიცი ყველაფერიო“, რომ განიშნებს, და შენ მხოლოდ ეს გევალება, რომ დაუჯერო.

და კიდევ:

— არ შეეხო, არ შეაწუხო, როგორც ხავსი და კენჭები გამჭვირვალე წყაროს ფსკერიდან — არ აამღვრიო.

და კიდეც მორჩილად მისდევ ამ რჩევას.

ხომ უკვე აგიხსნეს, რომ: ორი სიჩუმე ერთ ოთახში ისეც პოეზიაა.

მოულოდნელი და შთამბეჭდავი მხატვრული მიგნებანი ნიშანდობლივია ზვიად რატიანის პოეტური სტილისტიკისათვის. და როდესაც სხვა უსათაურო ლექსი ამ შეკითხვით დაიწყება: სად დნება თოვლი ყველაზე გვიან? — გრძნობ, რომ ასეთ ზუსტსა და ემოციურ პასუხს შენით ვერ მიაგნებდი:

— სასაფლაოებზე, ჩემო მეგობარო. თვითონ საფლავებზე, საფლავის მიწაზე.

სილამაზე მაინც რა არის? თურმე სულ ეს: რამდენიმე თბილი ფერის ილბლიანი შეხამება, სხვა არაფერი („სხვა ნაპირი. ფრაგმენტი“).




ან როდესაც ნიღაბს მოიხსნის ადამიანი, აქამდე იცოდი, რომ მის ქვეშ შესაძლოა იხილო მისი ნამდვილი სახე ანდა კიდევ სხვა ნიღაბი, რომლის ქვეშაც ეგებ ნიღაბთა მთელი კოლექციაც იყოს დაფარული... მაგრამ ზვიად რატიანის ლირიკულ გმირს თუ გონივრული ცხოვრებისაკენ მოუწოდეს, ან, პირიქით, ახალი ლექსები მოჰკითხეს:

მოიხსნის სახეს... დიახ, სახეს მოიხსნის და ყველას უჩვენებს თავის ნამდვილ ნიღაბს.

სხვა ლექსში („პარსვა“) საკუთარი სახის თვალიერება სარკეში თვითგვემის გუნებაზე დააყენებს და, ერთი შეხედვით, სარკისეულ ანარეკლს რომ მიმართავს, გუმანი გკარნახობს, რომ ამ სტრიქონებში რაღაც უფრო მეტი უნდა იყოს ნაგულისხმევი, უფრო მტანჯველი, და ორაზროვანი ლირიკული გათამაშება არა ანარეკლის, არამედ უშუალოდ სახის მიერაა შთაგონებული.

„ნუ გეშინია“ — ეს სწორედაც სახეა და არა სარკისეული ანარეკლი.

და თუ რისა არ უნდა ეშინოდეს, აგერ სანუგეშო (სანუგეშო თუ?..) პასუხიც:

— მე და შენ ერთად არ დავბერდებით.

ხოლო სულის გაიგივება სანთელთან ჩვეულებრივ მეტაფორათა რიგში რომ გადანაცვლებულა, პოეტური კონტექსტის წყალობით ამა თუ იმ შემოქმედის ხელში მაინც ინარჩუნებს მომხიბვლელობას. ზვიად რატიანი კი ამჯერადაც გასცილდება მეტაფორის ჩარჩოს და საკუთარ სულს არა სანთელთან, არამედ მბჟუტავ სანთელთან აიგივებს, რითაც გატკეპნილ ბილიკს თავისებურ სხივს მოაფენს.

„მბჟუტავის“ ხსენება იწვევს სინათლის მოფენის შეგრძნებას?

სწორედაც.

მითუმეტეს, რომ ეს უსათაურო ლექსი პარადოქსულ ძარღვზეა ამოზრდილი და იმ დღეების აპოლოგიაა, რომელიც ლირიკულ გმირს არ ახსოვს, უკვალოდ ჩავლილების, არც არაფერი რომ შეუმატებიათ მისთვის და არც არაფერი წაურთმევიათ — ვერაფრით დაამახსოვრეს თავი:

**მადლობა დღეებს,**
**რომლებიც თითქოს არც ყოფილა,**
**რადგან მათშია ჩემი ძალა,**
**ესაა ჩემი დაფლული განძი.**

დაფლული განძი მაინც რატომ?

ისინი ხომ „არსად დაკარგულან. მათ მხოლოდ თავი შეინახეს...“

ეს განცდა სულაც რწმენად უნდა გარდაისახოს და სულიერ სიმხნევედ საბედისწერო ჟამის მოახლოებისა გმირის ცხოვრებაში, როდესაც ყველაზე ძალიან დაჭირდება ისინი, რაკილა დათვლილი იქნება მისი დღეები. და სწორედ ამ დროს წინ ის დაკარგული დღეები დახვდებიან სათითაოდ, რათა ფრთხილად აიტაცონ მბჟუტავ სანთელს დამგვანებული მისი სული და ფრთხილადვე გადასცენ ერთმანეთს.

უკვალოდ ჩავლილ დღეთა იდუმალი მადლი და ძალმოსილება ასე უეცრად გადახსნილა მარჯვედ მიგნებული

რაკურსის წყალობით და აპოლოგიაც ექსპრესიის ზღვარზე გვირგვინდება, როგორც სულთმობრძავის თვალთა წინაშე კინოკადრივით ჩაქროლილი მისივე ბიოგრაფია, შვების მოსაგვრელად ხან რას რომ წაეტანები და ხან რას, და ასეთ დროს განსაკუთრებული სიმხნევე უნდა შთაგბეროს დაფლული განძის არსებობამ.

**მადლობა დღეებს, რომლებიც თითქოს არც მიცხოვრია.**
**უფორმო და უთვისებო, ამ ლექსივით ულიმღამო**
**დღეებს მადლობა.**

ექსპრესიის ზღვარი ეგებ ამ შეგრძნების წყალობითაც არის შენარჩუნებული, უკვალოდ (ვითომდა უკვალოდ!) ჩავლილ დღეებს რომ შეფარებიხარ, თორემ ამ განცდას ისევე ვერ უძლებს ადამიანი, როგორც დენზე ხელის შეხებას — თან გსიამოვნებს, აღარ გინდა გამოშორება, თან უკანვე მიგაგდებს რაღაც ტალღა. ეგაა, ცოტაოდენი წუთები უნდა მოიგო, ვიდრე უკან გადახტომა მოგიწევდეს, და ვისთვის რა და ვისთვის რა და, ზვიად რატიანისათვის უფორმო და უთვისებო დღეებში შემონახული ძალაა ყველაზე ერთგული მეკავშირეც და მეგზურიც.

ვთქვათ, „რეკვიემი ცოცხლებისათვის“, ან „გზები და დღეები“ ანდა „მამები“ ამ შეგრძნების გარეშე იქნებ ასეთი ექსტაზური ვერც ყოფილიყო, ასეთი გულგადახსნილი, ყოველი ნერვის თრთოლვას თვალდათვალ რომ შეჰყურებ.

აი, „ნეგატივი. ოცი წლის შემდეგ“ კი ნამდვილად ვერ მიაღწევდა ამ ზღვარს, „დაფლული განძის“ წიაღიდან მომდინარე დვრიტა რომ არა, ლექსი, რომლის ირგვლივაც შეიკვრის ამიერიდან არა მხოლოდ ერთი კრებული, ავტორს საერთო სახელწოდებად სწორედ ამ პოეტური ნიმუშის სათაური რომ შეურჩევია („ნეგატივი“, დიოგენე, 2009), არამედ ზვიად რატიანის მთელი მხატვრული სამყარო, როგორც ტრაგიკული ჟამის ერთი ჩინებული, გულმართალი მესიტყვისა.

ამ სამყაროს შუაგულშიც ამ ლირიკული ნიმუშის მთავარი გმირი დგას — თითქოს დაშინებულიც, სასოწარკვეთილიც, დარღვეული სულითა და შეგნებით, ვინც არა მხოლოდ წაკითხულსა და სხვისგან განაგონს, საკუთარი თვალით ნანახსაც კი ველარ იჯერებს; ლირიკული გმირი, ვინც იცინის, როცა მღერიან, და მაშინ მღერის, როცა ირგვლივ ყველა სლუკუნებს; და ვინც საკუთარ წვენში იხარშება, და ხანდახან თუკი ხმამაღლა რაიმე დაცდება, მარტოდენ ვიწრო, შინაურ წრეში, და ისიც მაშინ, თუ სასმელი გააამაყებს.

აბობოქრებული ეროვნული ენერგია დაკარგულ სახელმწიფოს კი ამოიგებდა, მაგრამ დიდი, საერთაშორისო პოლიტიკური დაპირისპირებების შუაგულში მოჰყვებოდა და სატანჯველის ყველა ქურას გამოცდიდა... და ახლადწამომართული სახელმწიფოც კინაღამ ხელში ჩაგვაკვდებოდა, რომ არა მაინც სასიკეთოდ შეცვლილი საკაცობრიო რეალობა... რაც იყო თუ როგორც იყო, სულიერ დათრგუნვასაც ავი ბედისწერის ულმობელი განაჩენი გამოიწვევდა, სასოწარკვეთასაც და სულისა და შეგნების რღვევასაც... და „ნეგატივი. ოცი წლის შემდეგ“ ამ განწირული თაობის ღაღადისად წარმოგვიდგება, ჭაბუკური ჟინით ანთებულისა და... ჩაფერფლილის, ჰეროიკას მოწყურებულისა და... ასპარეზს უიმედოდ გაცლილის...

**— შვილო, ჩვენ განა გაჩენიდან ასე ვიყავით!**
**დედის მუცლიდან, აკვნიდანვე კი არ შეგვახმა**
**მუშის თვალებით გაწყობილი ცვილის ნიღაბი;**
**შენ ეს თვალები ოცი წლის წინ უნდა გენახა —**
**ანთებულები სიამაყით, შავ-მეწამული**
**დროშების ქარში, ბნელ ქუჩებში, როდესაც ქშენით**
**ხმის ჩახლეჩამდე გავყვიროდით: ენა, მამული,**
**სარწმუნოება...**
**შავლეგ შენი...**

და ერთბაში შემობრუნება ალმტაც სტრიქონთა დენაში, როგორც მოულოდნელად გაცრუვდა იმედები, და ახლა ეს დამსხვრეული ილუზიები ზედ უნდა წაებას ლამის ეროვნულ ჰიმნად გადაქცეული სიმღერის დასაწყისს, შალვა ახალციხელის ლანდს რომ გამოიხმობდა ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჩრდილებთან ერთად და ამ სახელებში ასიმბოლოებდა რაინდული სულის აღზევება-შემართებას.

„შავლეგ შენიო“ და:

**სულ შენი, შენი,**
**შენი ბრალია ყველაფერი! ჩვენს ცას მხიარულს,**
**შენ წააფარე შენი შავი ჩოხის კალთები**
**და გაგვახედე უფსკრულისკენ — სამოთხეაო;**
**ჩვენ ვიწამეთ და გვიხაროდა, როგორ ვმრავლდებით...**

მერეა სველ ასფალტზე დაჩოქილთა ლოცვები, რომელიც უპასუხოდ არ დარჩენილა და... კიდეც უნდა მოიცელოს ტყვიით ჭაბუკი, ვინც იცინის იმ ამაყი შეგნებით, რომ დაღვრილი სისხლი უქმად არ ჩაივლის; მას მეორე მიჰყვეს, მესამე, მეასე და სხვებმა კი ჯერ მათი ბედი უნდა ინატრონ, ხოლო მერე, ალტკინებისაგან გამოფხიზლებულები, შეცვივდნენ ბუჩქებში, სადარბაზოებში, ვინც სად შეასწრებს, და რადგანაც უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლიათ, გულისრევას კიდეც უნდა ამოაყოლონ ყველა იმედი და ყველა ოცნება.

და ისლა დარჩენიათ, მრავლისმეტყველ დუმილში განვლიონ სიცოცხლე და არსად დატოვონ კვალი, გარდა... სიზმრებისა.

**ხოლო სიზმრებში — იქ ვერასდროს**
**თავს ვერ დავაღწევთ**
**იმ წლებს, იმ გვამებს, იმ სამშობლოს, სადაც უწყვეტად**
**ახალი სისხლი, თბილი სისხლი, წვეთავს ტალახზე,**
**სადაც შვილები მოკლულ მამებს გვერდით უსხედან**
**და აღვიძებენ.**

ლექსი მკაცრი მუნათია სამშობლოსი, რომელმაც თვითონვე გაწირა თავი და ახალგაზრდობაც ულვთოდ გაიმეტა, მუნათი და მუქარა — უსათუოდ მკაცრად აზღვევინო ამ დაცინვისათვის, ახალთაობის სიბეცით რომ ისარგებლა და მათი ხელით მოინდომა გამოსაშვები, მოჭარბებული სისხლისაგან დაცლა-განტვირთვა... ამისთვის კი ნდობით განაწყო რამდენიმე წამებული შეშლილის მიმართ, იმათი, უცებ რომ იფეთქებდნენ და უცებვეც აალდებოდნენ:

27889
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენ კი ვმღეროდით;**
**ბოლოს გავხვეტეთ მათი ფერფლი, და დავიშალეთ.**

რაღაც დასრულდა, ჩამოქცეული გვირაბივით გამოიკეტა.

ამიერიდან აღარასოდეს გამოვლენ გარეთ.

აღარც ხმას შეუერთებენ ოდესმე შეშლილ ფანტომებს.

დასრულდა, დასრულდა, დიახაც დასრულდა.

მაგრამ... მაგრამ იმ სიზმრებში თუ ისევ განგაშის მჭახე და სისხლისგამყინავი რეკენ ზარები?

და უკნიდან ვიღაც გამუდმებით რომ ყვირის: გაუმაარ...?

და არ ეპუება სიჩუმეს, არც პალტოს საყელოში, როგორც სანგარში, თავჩარგულებს, ბნელ ჩიხებში რომ მიიპარებიან, იქნებ დროზე გავერიდოთ ნაომარ ქალაქსო, და ფრთხილად აბიჯებენ იქ მიმოყრილ შავ-თეთრ ბიჭუნებს; არ ეპუება და კვლავაც იმეორებს ყვირილს: გაუმაარ... — თუნდაც შუაზე განყვეტილს?

პასუხად — ისევ სიჩუმე... ისევ და ისევ სიჩუმე...

ესეც ის ბოლო აკორდი, რამაც უნდა დააგვირგვინოს ტრაგიზმის უკიდურესი შეგრძნება და ამაოების განცდა და თითქოს ყოველივე ჩაძიროს ეროვნული ნიჰილიზმის მორევში.

ნეგატივზე ანკი სხვაგვარად როგორ აღიბეჭდებოდა სინამდვილე.

არადა, აუცილებელია ნეგატივის მოშველიება, რადგანაც ახალი დროება წარსულთან გამომშვიდობებას მოითხოვს შენგან, როგორც გარდუვალობას თავის გადასარჩენად — შეგუებას, შეთვისებას, დაზავებას იმ ძალებთან, ვაჟა-ფშაველა მათგან თავდაღწევას რომ მიიჩნევდა სიცოცხლის მიზნად და გამართლებად და ამ რწმენას ასეთ პოეტურ ფორმულაში ჩაწურავდა: ბილწ არ შავეკვრი ზავითაო...

„გზები და დღეები" სწორედ ამ განწყობილებას აგრძელებს, ოცი წლის წინანდელი უმწვავესი რეალობის ასეთი უცნაური გარდასახვისაგან გამოწვეულს, როდესაც ჩაგაგონებენ, რომ უნდა დაივიწყო ყველა, ვინც გიყვარდა, შვილები, ცოლი და ყველა, ყველა დაივიწყო და შეეგუო, რომ შენში ისხმება ახალი სისხლი.

სისხლგამოცვლილის ცხოვრება ცხოვრება კი იმწამსვე დაიწყება, როგორც კი ამ შეგონებას თუნდაც გულსუწადინოდ მიენდობი... მაგრამ მიენდობი კი:

**შენ ერთადერთი გევალება: ხელის დაქნევა წარსულისათვის. ისე სწრაფად, როგორც იძრობენ ცეცხლში გახვეულ ტანისამოსს. მშვიდად იზრუნე — უთხარი შენს სისხლს, გულს უთხარი, აღარ ინატროს. თვალებს უთხარი, არ გახედონ ილუმინატორს. სხეულს არ უთხრა არაფერი, ისეც მიბმული იქნება მაღალ სავარძელზე...**

რას ესწრაფოდი, რაზე ოცნებობდი, რისთვის წირავდი თავს და... რა მოგიპოვებია ოცი წლის გადასახედიდან.

ნეგატივია მისი ზედაპირიც და მისი სულთქმაც, ნეგატივი... ნეგატივი...

და არც არარა, ნეგატივის გარდა.

არსაიდამ ხმა!..

არსით ძახილი!..

ლექსი მკაცრი მუნათია სამშობლოსიო...

თითქოს საკუთარი ქვეყანა სამსჯავროზე გამოუწვევია და, „ბედნიერი ერის" მხატვრული მრწამსისა არ იყოს, მკაცრ ბრძმედში ატარებს მისი ბედისწერის ამრეკლავ ოცწლეულსა და ამ ოცწლეულის სათავეს, რათა უმძაფრეს ტკივილთა მიღმა იხილოს ფერნაცვალი სამშობლო, ტრაგიზმის ფერფლიდან ამომართული და კვლავაც მიმსწრაფი საკაცობრიო ცხოვრების სრულუფლებიან მონაწილედ გადაქცევისაკენ.

იობი უფალს გამოიწვევდა სამსჯავროზე და მძაფრ პაექრობასაც გაუმართავდა.

ამის გამო შეიქნებოდა საცილო ასერიგად ამ თხზულების შეტანაც ბიბლიურ წიგნთა შორის. მომხრენი თუ ბევრი გამოუჩნდებოდა, მოწინააღმდეგენიც არანაკლები, რომელთაც ვერაფრისდიდებით ვერ წარმოედგინათ, ეს ღვთისმგმობელი თხზულება რატომ უნდა აღმოჩენილიყო სალვთო წიგნთა გვერდით, ამგვარი გადაწყვეტილება ხომ შებღალავდა ძველი აღთქმის სრულქმნილებას და ზადად და ხარვეზად დააჩნდებოდა მის მთლიანობას.

ვითომ მართლა ასე იყო?

ეგ არის, სწავლულთა ეს წრე გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „იობის წიგნის" გარეგნულ მხარეს, იმ მოჩვენებითი ღვთისმგმობლობას, რაც სინამდვილეში, თავისი არსით, უღრმესი ღვთისმოსაობის ნიმუში გახლდათ, ეგაა, განსხვავებული სტილისტიკით აგებული და მიმსგავსებული უფრო ეკლესიასტეს შეგონებებს, ვიდრე ძველი აღთქმის დანარჩენ ნაწილებს, სადაც უფლისადმი აღვლენილი ლოცვა და ხოტბა თვალნათლივ გადაშლილიყო და ზედმეტი ჩაძიება-ჩაკირკიტება არა სჭირდებოდა.

და განა რა — რაც ჩასაძიებელი და გულმოდგინედ საჩხრეკ-ამოსაცნობია, ასე იოლად უნდა გამოცილებულიყო მისთვის სისხლხორცეულ ერთიან კორპუსს, ბიბლიის სახელწოდების ქვეშ მოქცეულს?

გონიერებამ გადაძალა, რომ იობის დრამატული თავგადასავალი არ ამოაკლდა ბიბლიურ სამყაროს და არ გადანაცვლა აპოკრიფებში.

ილია ჭავჭავაძე ამჯერადაც გვიადვილებს ისტორიულ მოვლენებში გარკვევასაც და ჩვენი დროის პოეტური ნიმუშის სწორად წაკითხვასაც, რათა არ დაგვებნიოს მისმა გარეგნულმა მხარემ და მხატვრული მრწამსი აუცილებლად ზედაპირული განსჯის მიღმა ვეძიოთ, იმ საუფლოში, კვლავაც ოცნების სამშობლოდ რომ დარჩენილა და შორეულად მოისმის შუაზე განყვეტილი „გაუმაარ..." თავისი ტრაგიზმითა და იმედოვნებით, რომ მწარე სიმართლეთა წყება ადრე თუ გვიან სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს და დაკარგული ქვეყანა კვლავ გამოგვეცხადება ჰეროიკის, რომანტიზმის, ზნეობრიობის ტალღებზე ამოცურებული, რათა ცუდად არც ამჯერად ჩაიაროს განწირულმა სულისკვეთებამ.

* * *

ორი სიჩუმე ერთ ოთახში — ესეც პოეზიაა.

მაკა ჯოხაძე

# ილია ჩემი სამშობლოა

მახსოვს, ერთხელ დამახინჯებულად დაბეჭდილი ჩემი წერილის გამო (მოზრდილი აბზაცი იყო ამოღებული, ილიას რომ შეეხებოდა), თავი როგორ ვერ შევიკავე და კითხვისას ლიფტის კაბინაშივე მოვრთე ტირილი. ჩემზე არანაკლებ სასოწარკვეთილი შვილი ამომცქეროდა ქვემოდან. სახლში რომ შევედით, ტახტზე ამოძვრა, ლოყა ლოყაზე მომადო და დამარიგა: „დედიკო, დაწერე სამშობლოზე და ყველას შეუყვარდები". ანუკი მაშინ ოთხი წლისა იყო. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა-მეთქი — ყველას ვუყვებოდი ამ ამბავს. ჩემთვის კი დიდხანს ვფიქრობდი — ვინ იცის, რომელი ინსტინქტით შეარჩია მან ეს ნუგეში, რომელმა გენმა უკარნახა ეს უცნაური სიტყვები. მისმა რჩევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ დედაშვილობისა არ იყოს, სამშობლოს განცდაც თანდაყოლილი გრძნობაა.



*მაკა ჯოხაძე და აკაკი მინდიაშვილი*

დღეს მიმაჩნია, რომ ზედმეტად დავტვირთე მაშინ გენიც და ინსტინქტიც. უბრალოდ, ბავშვის სუფთა, პაწია გულში სულიწმიდის მადლით ერთმანეთს დაუწყვილდა ორი სიტყვა — სამშობლო და სიყვარული.

მას შემდეგ 25 წელი მაინცაა გასული და როცა დღევანდელი გადასახედიდან ჩემს ნაწერებს ვამოწმებ, ვფიქრობ, რომ ამ სიყვარულისათვის არ მიღალატია.

ამიტომ მინდა მჯეროდეს — სწორედ ამის გამო ვდგავარ ახლა მე თქვენს წინაშე და მთელი არსებით პასუხს ვაგებ არა მხოლოდ დიდი ქართველისა და წმინდა კაცის, არამედ იმ უხუცესი ხეების წინაშეც, ყველაზე ერთგულ მცველებად რომ შემორჩნენ მის სიცოცხლეს საგურამოს კარმიდამოში; მინდა მჯეროდეს, რომ თქვენი არჩევანი ჩემზე, უფრო სწორად, ჩემს წიგნზე, რომელსაც, როგორც ამბობენ, ასეთი პარადოქსული სახელი — „სამოთხე უსიყვარულოდ" ჰქვია, სამართლიანია და ე.წ. რიგითობის პრინციპით სულაც არაა განპირობებული.

გამოგიტყდებით — ასე არასოდეს გამჭირვებია სიტყვის თქმა, წერის დროს არასოდეს გამჩენია ეს უცნაური, დიდი სურვილი — ჩემი ფიქრების, ემოციების გამოხატვაში ისეთივე მართალი და უცოდველი ვიყო, როგორიც ოცდახუთი წლის წინანდელი ჩემი შვილი. ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მაინც ვცდილობ. ამიტომ ყოველგვარი ინტელექტუალური მანევრების გარეშე, ფილოსოფოსობის, ჟონგლიორობისა და ფორმაზე ზრუნვის გარეშე ძალიან სადად მინდა გითხრათ: ილია ჩემი სამშობლოა.

ამას ვერც ფარისევლები გაიგებენ („ერთი კაცი როგორ შეიძლება იყოს სამშობლო?!") და ვერც პოლიტიკურ ვნებებში ჩარჩენილი ის ისტორიკოსები თუ მწერლები, რომელთაც გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ მათი წვრილმანი ვნებების შესატყვისი პირადი სიმპათია-ანტისიმპათიების ლავირებით ბრუნავს და ჩერდება ისტორიის ჩარხი.

მათ არ იციან, რომ „ისტორიის მთავარი არსი ადამიანების ღმერთთან დამოკიდებულების განსაზღვრაა. ყველა დანარჩენი მხოლოდ მთავარის ეპიზოდი და ფრაგმენტია" (წმ. მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი).

ნებისმიერი ეპოქის აგენტურა, ილიასდროინდელი „ოხრანკისა" არ იყოს, სწორედ ამ ეპიზოდებსა და ფრაგმენტებზე ნადირობს შიშის ულრან ტყეებში, რადგან გაცილებით იოლია, ფრაგმენტი და ეპიზოდი შეცვალო, ცილი დასწამო, დაამახინჯო, გაკაფო და ნაფოტებად აქციო, ვიდრე არსს შეეხო და გაიმარჯვო.

არსი გულისგულია, მერქანია და ნებისმიერი პიროვნული თუ პოლიტიკური შურისგება განწირულია თუნდაც მხატვრული სიმართლის შესაქმნელად, რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიულ სიმართლეზე.

ადამიანს, ისევე როგორც ერს, თავისი მისია აქვს შესასრულებელი. ოღონდ ესაა — ზოგი ძალიან ადრე, ყრმობიდანვე აცნობიერებს ამას.

**მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,**
**მიწიერი ზეციერსა,**
**ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,**
**რომ წარვუძღვე წინა ერსა.**

დღეს ხომ აღარავის, მაგრამ დარწმუნებული ვარ არც მაშინდელ საქართველოში 24 წლის ჭაბუკის წინასწარმეტყველებაში არავის შეპარვია ეჭვი.

**ერის წყლული მაჩნდეს წყლულად**
**მეწვოდეს მის ტანჯვით სული,**
**მის ბედით თუ უბედობით**
**დამედაგოს მტკიცე გული.**

*** სიტყვა, წარმოთქმული საგურამოში ილიას ფონდის პრემიის გადაცემისას, 2010 წლის 8 ნოემბერს**

ეს უფრო ზვარაკად გამზადებული კაცის მიერ აღთქმის დადებაა უფლის წინაშე.

ილიამ, ერის ამ მარადიულმა სიფხიზლემ, თავის ცხოვრებაში ერთადერთხელ, სულ ერთი წამით მოუხუჭა რეალობას თვალი და ისიც — საკუთარ სიცოცხლეს.

სანამ მოკვდებოდა, მისმა ქუთუთომ მანამ მოასწრო ჩამოშვება, მანამ მოასწრო შესიებულ წიაღში თვალის კაკლის შემალვა. თითქოს თანამემამულეების მაგივრად ახლაც მას შერცხვა, თითქოს არაფერიც არ დაუნახავს. ეს თვალისმოხუჭვა ერთგვარი თანაგრძნობაც იყო გაუბედურებული ხალხისადმი.

რაც შეეხება „ჩემო კარგო ქვეყანას" — სიყრმის მეგობარივით რომ მოხვია ხელი საკუთარ სამშობლოს თვით წინწამურის ტყვიამაც კი ვერაფერი დააკლო, — დღემდე ხელიხელგადახვეულები მოდიან ეკლიან გზაზე ორივე.

ჩემს სიტყვას, რა თქმა უნდა, მადლობის გადახდის ტრადიციული ეტიკეტით გავასრულებ:

„ყოველივეს, რასაც ღვთის გულისათვის დაკარგავ, მოპოვებულია;

ყოველივეს, რასაც საკუთარი თავისათვის შეინახავ, დაკარგულია;

ყველაფერი, რასაც ღვთის სახელით გასცემ, ასმაგად აგინაზღაურდება;

ყოველივე, რასაც შენი სახელისა და პატივმოყვარეობისათვის გაიღებ, დაკარგულია;

ყოველივე, რასაც ადამიანთაგან ჯილდოს სახით მიიღებ, მხოლოდ საზრუნავს გაგიმრავლებს;

ყოველივე, რასაც მიიღებ ადამიანთაგან უფლის სახელით, სიხარულს მოგანიჭებს".

პრემიებს ჩემი პერსონისადმი თავიანთი დამოკიდებულებები გააჩნიათ...

მწამს, რომ ამ დიდი ჯილდოს ჩემთვის გადმოცემის სურვილი თითოეულ თქვენთაგანში უფლის კარნახით მოხდა. ამიტომ ვერ დავმალავ — ძალიან გახარებულიც ვარ და მადლიერიც.

დაბოლოს, ასე ღრმად არასოდეს შემიგრძვნია ბიბლიური სიბრძნე, რომ „დუმილი ოქროა". ჩემი დღევანდელი გამოსვლა ხომ აჩრდილიც არაა იმისა, რასაც ვფიქრობ და განვიცდი. მაინც ვიტყვი ძალიან მოკლედ:

ვფიქრობ, რომ ილია და სამშობლო ყველა გონიერი ქართველისათვის ერთი და იგივე ცნებაა. ამიტომ ერთის მკვლელობით საუკუნის დასაწყისში, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მთელი ქვეყნის დასამარებას აპირებდნენ.

რაც შეეხება განცდას — საშინლად განვიცდი, რომ ილიას მსგავს პიროვნებათა რიცხვი ჩვენს დროში ძალიან ცოტა აღმოჩნდა. მით უფრო საგანგაშოა ფაქტი, რომ XX საუკუნის დასასრული ილიას საქმის გამგრძელებელ კაცთა სერიული მკვლელობებით „დაგვირგვინდა".

ღვთაებრივი რიტმიდან აბსოლუტურად ამოვარდნილ სამყაროში ველარაფერს გათვლი და ველარაფერს დაგეგმავ, — მით უფრო ჩვენისთანა პატარა, ტრადიციული ქვეყანა, რომლის უძველეს კულტურას, ეროვნულ-რელიგიურ მენტალობას სტიქიური უბედურებებივით უტევს და ემუქრება ზნეობრივი, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვადასხვა სახის კატასტროფები.

მხოლოდ სიყვარული და რწმენა აძლებინებს ადამიანს სამყაროში. გლობალიზაციის ამ საყოველთაო აგონიურ ტემპშიც მხოლოდ სიყვარულსა და რწმენას შესწევს უნარი, გადაარჩინოს უსიყვარულოდ დარჩენილი ჩვენი სამოთხე — საქართველო.

ნინელი ჭანკვეტაძე

# „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს"

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?**

— იმედის დაკარგვა.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— ზღვის ან ოკეანის ნაპირზე.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— სამყაროს შეცნობა.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?**

— ეგზიუპერის „პატარა უფლისწული".

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?**

— ცოტნე დადიანი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— იმპრესიონისტები.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— მოცარტი, ვერდი.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— რაინდულ თვისებებს.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— სიმშვიდეს, კდემამოსილებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლველი?**

— სიკეთე.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ჩავლილი პრემიერებისა და რეპეტიციების შემდეგ საწოლში ნებივრობა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?**

— მარია კალასი, შემოქმედების გამო.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ერთგულება და „რასაც ვაკეთებ ლაზათიანად ვაკეთებ!"

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გულისხმიერება.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— სიფიცხე.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— სრული ჰარმონია სამყაროსთან და საკუთარ თავთან.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი ადამიანის დაკარგვა.

## ექსპრეს-ინტერვიუ

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— მშვიდი.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— იასამნისფერი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ია.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ფენიქსი — მითიური ფრინველი, ფერფლიდან აღდგენის გამო.

თოლია — მას შემდეგ, რაც წავიკითხე ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“. ბელურა — ერთგულებისათვის! ზამთარ-ზაფხულ ჩვენთანაა, არსად მიფრინავს!

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ოთარ ჭილაძე.

**— თქვენი საყვარელი პოეტი?**

— ვაჟა, გალაკტიონი, ცვეტაევა, ანა.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?**

— ქეთო (გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“).

**— საყვარელი გმირი რეალურ ცხოვრებაში?**

— ვახტანგ გორგასალი, მღვდელი თევდორე.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქეთევან წამებული.

**— საყვარელი სახელი?**

— მარიამი, ანასტასია.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ფარისევლობას, მლიქვნელობას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ბერბიჭაშვილი — ილიას მკვლელი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?**

— ფაშიზმზე გამარჯვება.

**— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ჯარიმა ქალაქის დანაგვიანებისთვის. ვიდრე ჩვენს ეზოს, ქუჩას, ქალაქს საკუთარი სახლივით არ მოვუვლით, მანამდე ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— საოპერო მომღერლის, მხატვრის.

**— როგორი გინდოდათ მომკვდარიყავით?**

— ნაზიარები.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“



*ნინელი ჭანკვეტაძე*

**— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?**

— ქმედება, როდესაც „არ უწყიან, რასა იქმან“.

**— თქვენი დევიზი?**

— ჩემი ეკრანული გმირის (მერაბ კოკოჩაშვილის „ცხელი ზაფხულის სამი დღე“) თამარის სიტყვები: „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს!“

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— მხოლოდ ის ვიცი, მე რას შევთხოვდი: უფალო, შემიწყალე!

## ეპისტოლე

# გინდაც იქ ვყოფილიყავი...

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ ჩემთვის სასიგნალო შუქის გამომცემი კოშკია, შუქურაა, რომელიც არ დამკარგავს, არ გამაუჩინარებს ყოველდღიური ამაოების ორომტრიალში. ყოველთვის იმედად იციმციმებს მისკენ მზერამიმართული მკითხველისთვის, რომელსაც, მარტო ბოლო ნომრის პუბლიკაციები რომ ჩამოვთვალო, ძალზე საინტერესო და სავსე ლიტერატურული ცხოვრება ეშლება თვალწინ (პროზა: **ქარდა ქარდუხის რომანი „ძაფზე მოფარფატე სული“**, პოეზია: **მანანა ჩიტიშვილის „შენი გული მიპოვნია...“**, ექსპრეს-ინტერვიუ საყვარელ მხატვარ **კარლო ფაჩულიასთან: „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე...“** სათაურივე რომ ხატავს ინტერვიუერის სულიერ პორტრეტს). რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?!

ყოველ ნომერში ისეთ საინტერესოსა და საგულისხმოს წავაწყდები ხოლმე, გულგრილად „გვერდს რომ ვერ ჩაუვლი“. ამჯერად ბოლო, 21 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილს მინდა გამოვეხმაურო. **ნინო დეკანოიძემ** ერთი დიდებული ოჯახი „გამაცნო“. გინდაც იქ ვყოფილიყავი, ისე დაიხატა ჩემ თვალწინ **დავით შუღლიაშვილის** 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. თითქოს ძალიან ახლობელი ადამიანი ჩვეული გულითადობით მიყვებოდა დიდი ხნის ნაცნობი პიროვნებისა და მისი ახლობლების შესახებ საინტერესო ამბავს, რომლის მთავარი გმირი დაუვიწყარ სახელთა შორის მეგულება.

ამ წერილს დართულმა დავით შუღლიაშვილის (უფროსის) ფოტომაც კი პოეტური ფრაზა გამახსენა: „სავსე ქართული პატიოსნებით“.

აი, ასეთ საღამოებსაც „ვესწრები“ ხოლმე „ჩვენი მწერლობის“ პუბლიკაციების კითხვისას და თითქოს ივსება ჩემ ზურგსუკან, რევაზ ინანიშვილის თქმისა არ იყოს, სახატეებივით მყუდრო ადგილები, საიდანაც იყურებიან ასეთი კეთილშობილი ადამიანები, და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს დიდ ტალღებთან შეხლით დაღლილს მშვიდი და უსაფრთხო ნავსაყუდელი მეპოვოს...

**ნინო ფანჩულიძე**

ქარდა ქარდუხი

# ძაფზე მოფარფატე სული

* * *

არა, არც ესაა; ორიოდე მკლავის სიგრძე ძაფის ნაგლეჯი მრჩება ხელში. დაუნაწევრებია, დაუფლეთია და გაუფანტავს გზაზე, კაციშვილი ველარ შეაერთებს და აღადგენს! საოცარია, მაინც როგორ მოიფიქრეს ძაფი?! სწორედ ძაფი რად შეარჩიეს, განა შემთხვევით? ესეც წარსულივით იფლითება! ისე ნაკუწდება, რომ უცებ ვერც კი გაარჩევ მთლიანისაგან ნაწილს, მუდამ ტყუვდები; აჰა, გაუმწყდარი ვიპოვეო, და ერთი ციდა ნაფხრეწილა შეგრჩება ხელში, ნაცვლად ნალდისა — ყალბი, საოცრად რიოში შეგაჩეჩდება! წარსულში ... მაგრამ ოდესღაც სად ჰქონდათ ასეთი წვრილი ძაფი? ეტყობა, არცთუ ისე ძველი ჩვეულებაა? პირველად ალბათ აბრეშუმისა გააბეს, ანდა სულაც მატყლისა. ალბათ მატყლის იქნებოდა; ცხვარი ხომ საზვარაკოა?! მშვენივრად შეუხამეს ერთმანეთს ყველაფერი: გრძელ გზაზე ისიც ადვილად დაიფლითებოდა, არ დაიფლითებოდა და გადაბმა მაინც ხომ დაჭირდებოდა, თანაც განუწყვეტლივ. უეჭველად უძველესი გამოდის, პირველყოფილობის დროინდელი, მაშინ ხომ ისწავლეს ქსოვა?! ისწავლეს თუ ცეცხლივით ესეც მზამზარეული მოართვეს ზეციდან?! ჩვევის ფესვებიც ზეძირკველში ჩაყრილა? მაგრამ, ვაი, თუ ოდენ სასოწარკვეთილებისაგან ხსნა იყო მიზანი, საფუძველი და თუნდაც მრწამსი ამ ჩვევისა, შიში — განწირულობის საკრალურ მისტიკაში გახვეული? ხამისად თეთრად მოქათქათე ძაფი ირეკლება გზიდან. საჩქაროდ ვილებ და მივყვები. უკან უხვევს. ნეტავ გამოვცდი? ისევ ძაფს მივყვები უკან. მგონი, მივაგენი. ხუთიოდე ნაბიჯზე ქვას შემოხვევია და კვლავ ბრუნდება. დასწყევლოს ეშმაკმა ... ფუჰ, ღმერთო შემინდე. ისევ მეკარგება ძაფი. ღრმად ვუშვებ ფილტვებში ჰაერს, შემდეგ ლოყებს ვბერავ და ერთბაშად ვათავისუფლებ. ირგვლივ ვიყურები დოინჯშემოყრილი. უცებ სამიოდე ბიჯის მოშორებით დამუხრუჭების ხმა ისმის: ბორანა მანქანის სარკმლიდან იყურებდა. ასე უჩუმრად როგორ მომიახლოვდა? მიკვირს.

— ვერ ნახე?

— ეტყობა მანქანამ გაიყოლია იქით! — ბორანა არაფერს ამბობს, უხმოდ მიდის. ოცდაათიოდე ბიჯზე ისევ ამუხრუჭებს და მეძახის:

— მოდი აგერაა! — გავრბივარ. ბორანა ძაფს მაწვდის.

— გავყვები და თავს მოვუნახავ, — ვეუბნები.

— რად უნდა, აქვე გადააბი და გავაგრძელოთ! — მე მასთან კამათის თავი არა მაქვს და კოჭიდან გამოხსნილი ძაფის ბოლოს უხმოდ ვაბამ ბორანას მოწოდებულზე. შემდეგ მანქანაში ვჯდები.

— წავედით? — მეკითხება ბორანა. თავს ვუქნევ ხმისამოუღებლად.

დიდხან არ ტრიალებს კოჭი. ეტყობა, გზაზე ჩაშლილი ძაფი იჭიმება. შემდეგ იწყებს ბრუნვას და ცოტა ხანში თვალი კვლავ ველარ ასწრებს აღიქვას ციბრუტივით მოტრიალე სხეული ძაფის კოჭად. იქნებ სული იქითა ნაწილში იყო დარჩენილი? მე კი ძაფი აგერ აქვე გადავაბი. თუ ეს ყველაფერი ნამდვილია, მაშინ ხომ უეჭველად გზაზევე დარჩება სული, დაბნეული, მარტოდმარტო მობორიალე? ნეტავ ისევ უკან ხომ არ გაუყვებოდა გზას, საავადმყოფოსაკენ? თუმცა არა, თუკი ძაფზე უწერია სიარული, რაღა უკან წაყვება, მოძებნის ამ ახალ გზასავალს და ჩვენ გამოგვყვება ისევ. მიუხედავად მანქანის თუხთუხისა, მაინც მესმის ზღვის ღრიალი ნაპირთან ტალღის მიხეთქებისას. არა, უთუოდ ღამე მაყენებს ასეთ მისტიკურსა და რელიგიურ გუნებაზე. თეთრაფრებაშვებული გემი... უთუოდ ბედისწერაა ყოველივე, ან კიდევ — ბედის ირონია.

* * *

რაღაც საოცრებად, საშიშ რამედ წარმომედგინა საავადმყოფო, ბავშვები ძაან გაბრაზებისას რომ ვუსურვებდით ერთმანეთს იქ წაყვანას, რაღაც უსიამოვნო ვაშინერს იყო მის სახელზე დადებული, თითქოსდა ყველას აჟრჟოლებდა ხსენებისას. ახლა რომ ვფიქრობ: ეტყობა, ქვეცნობიერი შიში იყო ჩვენს წინაპართაგან ინსტინქტურად, გენებით თუ, გნებავთ, უბრალოდ, ცნობიერი მემკვიდრეობით გადმოცემული; აკი მათი რწმენით, ყველა ფსიქოლოგიურად დაავადებული ბოროტ სულად მიიჩნეოდა, ყველაფერს უკულმართულსა და ამაზრზენს ხედავდნენ მასში, აკი სულით ავადმყოფის მთავარ წამლად ხეზე მიბმასა და ცემატყეპას ალიარებდნენ... სულის ამოხდომამდე!

მე და მართა ვიყავით. ხელიხელჩაკიდებული მივყვებოდი მართას, თან ეზოს ვაკვირდებოდი, რომელიც ავადმყოფებით იყო სავსე. რაღაც უცნაური ტანსაცმელი ეცვათ, ფართო ზოლებიანი, დედა რომ მაცმევდა, უფრო პატარაობისას, ძილის წინ, იმას ჩამოჰგავდა. ზოგან ჯგუფებად იდგნენ, ვიეთნი მარტოდმარტონი დადიოდნენ. "რომ არაფერი ეტყობათ? ესენი ალბათ მორჩენილები არიან ..."

— წამო ჩქარა! — მითხრა მართამ და ნაბიჯი ააჩქარა. ოთხსართულიან სასახლეში შევედით და კიბეს ავუყევით.

— ვაიმე, ოდი!!! — მომესმა უცებ. ზემოდან ნათია ჩამოდიოდა, რაღაც ლამაზი, ყვავილებიანი ხალათი ეცვა, რომელიც უცებ მომხვდა თვალში. ჩქარა ჩამოვიდა და გადამკოცნა. "უკვე კარგადაა, არც გალიზიანებულად იცინის და არც გაფითრებულია".

— დედა, შენ დაბრუნდი, ჩვენ ჩავალთ ეზოში.

ჩვენ გამოვბრუნდით და ისევ ქვემოთ ჩავუყევით კიბის საფეხურებს.

— ოდი, ოთხიანი ხომ არ გამოგყვა? — მკითხა ნათიამ, მე თავი დავუქნიე.

— გამოყვა კი არა, ოთხი ოთხიანი ჰყავს! — გამკენწლა მართამ. მე გაგულისებით ავხედე. ნათია მოიღუშა და დაფიქრდა, შემდეგ ისევ შემეკითხა.

— დამრიგებელი რომელი შეგხვდა?

— მზევინარ მასწავლებელი.

— მოიცა, მზევინარი რატომ? — გაუკვირდა ნათიას, — წლევანდელი გამოშვება მზევინარის იყო?!

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №1,2

— არა, მაგრამ მერვე მიატოვა და თავიდან აიყვანა ჯგუფი.

— ააა... — ჩაფიქრდა ნათია. კიბის დასაწყისში სიმღერის ხმა მოისმა; ასე, ოცდახუთი წლის გალეღილპერანგიანი ბიჭი მოდიოდა, მარცხენა მხარზე რადიომიმღები შემოედო და უსმენდა.

— ახლა ნახეთ, როგორ გაცინოთ! — გვითხრა ნათიამ. მართა მიხვდა რაღაცას და გასაცინებლად მოემზადა. მე გაკვირვებული ვიყავი, რატომღაც უსიამოვნო მოლოდინში. მალე ბიჭი სამიოდე ნაბიჯზე მოგვიახლოვდა. ნათია გაჩერდა, რაღაც საშიში სახე მიიღო და ხმამაღლა უთხრა:

— ახლავე მომეცი რადიო, თორემ გიჟი ვარ და თავს გაგიხეთქავ! — მე გავოგნდი.

— მეც გიჟი ვარ, მეც გაგიხეთქავ თავს! — წარმოთქვა ბიჭმა და გაეცინა. ნათია და მართაც აკისკისდნენ. სახტად დარჩენილი ვუმზერდი მათ; გამახსენდა, ერთი თვის წინათ როგორ შევუსწარი ზალაში მოზლუქუნე მართას, მამიდა რომ ანყნარებდა, ვერაფრით ვერ გააჩერა: ჩქარა, ჩქარა წამოიყვანეთ იქიდან, ჩქარა წამოიყვანეთო! — ამოიტირებდა ხამისად მამაჩემის მისამართით, ჩუმად რომ იჯდა ბუხართან. არ ვიცი მაშინ როგორ აღიქვა მართამ აქაურობა, მთელი გზის მანძილზე საავადმყოფოდან სახლამდე რომ არ გაჩერებულა, მამიდას თქმისა არ იყოს, და ვერც სახლში რომ ვერ მშვიდდებოდა, მე კი ამდენი ხნის შემდეგ, როცა უკვე ნათია მორჩენილად მიაჩნდათ და დღედღეზე უნდა გამოეწერათ, რაღაცნაირად ვერ დავიჯერე ეს სიცილი. რაღაცა მძიმედ ჩამწყდა გულში და სასორწარკვეთით მივაჩერდი ნათიას.

* * *

წარმომიდგენია; ჩემი სული მოჰყავდეს ვინმეს, ჩემი გარდაცვალების ადგილიდან და მოვუყვებოდი ამ ციცქნა ძაფს?! ღმერთო ჩემო, იმქვეყნიურობიდან ამქვეყნიური ტყვეობისაკენ, ზედროული ბუნდოვანებიდან? არა! იქნებ ვერ ვიაზრებ, იქნებ საოცრად მოუაზრებელია, იქნებ იმდენად მოუაზრებელია ეს ყოველივე, რომ ჩემი ფიქრები სასაცილო იყოს?!

— ხომ არ მთავრდება ძაფი?

— ჯერ არა, ნაზია მამიდა.

მთავარი მაინც ისაა, არ მინდა ჩემს თავს გამოვუტყდე, ყოველგვარი ჩვენი სინდისის ქენჯნის ფესვები იმაშია ჩაზრდილი — ველარ ამიტანია, მ ი ს სულს რომ ვეთამაშები ასე; თუნდაც მჯეროდეს ყოველივე ამის გულწრფელობა, აზრმყოფობა, მაინც თამაშად რომ მიმაჩნია და მიუხედავად ამისა, მაინც ვასრულებ!

* * *

3.X.1984. წ. ადამიანებო, თქვენ მოხვალთ და მომეფერებით მაშინ, როდესაც აღარაფერში დამჭირდება თქვენი ნუგეშინი, თქვენი ალერსი. მოხვალთ და დამიყვავებთ ყველგან განწირულს, არა, არაფერი არ მჭირდება თქვენი, სჯობს ნუღა მიმიყვანთ იქამდე, თქვენგან დაწყნარება დამჭირდეს! თქვენ მე ტალახს მესვრით, ყოველგვარ სიბინძურეს ჩემსკენ უკუყრით და შემდეგ გინდათ გაკვირვებულნი მიმზერდეთ, თუ რად ვარ ასე ლაფში ამოსვრილი, თუ რად ვარ ასე ჭუჭყიანი, მაგრამ ცოფდებით, ველარ მოგითმენიათ, რომ თქვენგან ნასროლი ლაფი ახლოსაც არ მეკარება და სულ სხვა, ვინემ თქვენ ელოდით, სულ სხვა სანახაობა გეშლებათ თვალწინ. თქვენ გსურთ ჩემი სული თქვენს სიბინძურეთა საწმენდ ჩვრად გამოიყენოთ და მერე მიაგდოთ მავანთათვის თვალთახედვის გასაძლომად, ბინძური მრწამსის დასაკმაყოფილებლად. ჰო, მაშინ მძულხართ, ადამიანებო! მაშინ ჩემი გიჟური ხარხარი მშვენიერი შურისძიებაა თქვენზე, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა სასიამოვნო შურისძიებაა! ო, მაშინ მე ვერავითარ საშუალებას ვერ ვპოულობ თქვენთან ანგარიშის გასწორების ღირსს, დედამიწაზე გადმონთხეული გავარვარებული კუპრიც უსუსურ შურისძიებად მეჩვენება! უფრო სხვას ვნატრობ — აჩეხილ სხეულებს, სისხლში მოცურავე გვამებს, ადამიანთა ტკივილისა და მწუხარებისაგან დაღმეჭილ სახეებს! მაგრამ არა, უცებვე შემეცვლება გუნება (იქნებ ესაა სიგიჟე?!) და წამსვე მიჩნდება სურვილი: მთელი კაცობრიობა უსუსური ჩვილივით ავიტაცო ხელში, მტკიცედ, სიყვარულით მივიკრა მკერდზე და ვანანაო. და ეს საკუთარი თავია, ხან დაჩეხილ-განაწამები, ხანაც სათნო, საყვარელ ჩვილად რომ წარმომიდგება თვალწინ.

გუშინ შევნიშნე: ავტობუსში შესვლისთანავე შემომაფეთეს თვალები. საოცარია, ამას, ეტყობა, შევეჩვიე უკვე, სხვა რამემ გამაოცა; თითქმის ყველასი, თითქმის ყველას ფიქრები, აზრები, განზრახვებიც კი აშკარად, ცხადად დავინახე და შევიგრძენი, თითქოს ანკარა წყაროსთვის ჩამეხედოს, და შემეცოდნენ. მაშინ იყო, რაღაც მწივანა ხმები ჩამესმა, მკაფიოდ ჩამესმა, გამახსენდა, რა ჩაჟინებით მეკითხებოდა ექიმი, ხმები თუ გესმის ხოლმეო. საცოდავი, რა მონადინებული იყო, როგორმე დავთანხმებოდი.

ეტყობა, რაღაცნაირად ამეკვიატა; ძაან რომ ჩავფიქრდები, თვალსაწიერზე შავი ფერი ისადგურებს უცებ, თითქმის ყველაფერი ბნელში უჩინარდება, ბნელით იბურება და ცნობიერებაში ამოტივტივდება ღრუბლებში წამომართული ვებერთელა ჯვარი, მაცხოვარი მილურსმული კი არა, დაკიდული იყოს თითქოს; თავი ლამისაა მუხლებამდე დაუხრია. ცხადად ვხედავ კეფიდან გადმოშლილ თმას, გაპრიალებულ მხრებსა და ზურგს. წარმოსახვას მელნისფერი ფონი აფერადებს, ალაგ-ალაგ ფარული მზისაგან აწითლებული ღრუბლებით ... ამას წინათ გულთამზეს ჭადრაკს ... რომ ვეთამაშებოდი, მაშინაც დამემართა, ძლივს გამომაფხიზლა გულთამზემ, "შენი სვლააო". საოცარია, ჭადრაკს როგორ ვთამაშობ?! რაღაც შინაგანი ხმა და გუმანი მიტაცებს. გულთამზეს უკვე ადვილად ვუგებ. არ მეგონა, თუ ასე კარგად ვისწავლიდი, როგორც ცვაიგის ნოველაშია. უცნაური იყო: გულთამზეს ვუყურებდი და უცებ თითქოს თავის ქალა გადაეხსნა, ნათლად დავინახე ტვინი, თითქოს შიგ, უჯრედებში, საჭადრაკო სვლები იყო, თითქოს ყველა სვლას მის ტვინში ვკითხულობდი, არა, ვკითხულობდი კი არა, ვხედავდი. უცნაურია.

ღმერთო ჩემო, ჩემი ნაწერები რომ დაინახოს ვინმემ, შეეშინდება ალბათ.

ნეტავ ამ დღიურებს რისთვის ვწერ? სხვა საქმე არაფერი რომ არა მაქვს, მხოლოდ იმიტომ?! არა, მამშვიდებს ცოტათი; როდესაც ფურცლებს ვავსებ, ვგრძნობ, დაძაბულობისაგან ვიმუხტები, თითქოსდა ვიცლები უსიამოვნო ზრახვათა თუ გრძნობათაგან.

დღეს ნუნუსთან რომ ვიყავი ... ვიღაც სტუმარი ჰყავდა. მართლაცდა პირუტყვი. ნეტავ საცოდავებს იმის უნარი მაინც არა აქვთ, ცოტათი დაფარონ ცხოველური სურვილები?! ისე უტიფრად შემომაჩერდებოდა ხანდახან, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. საერთო ზიზლი გამიჩნდა მამაკაცე-

ბისადმი. რომ ვიცოდე, ოდიც ისე მიაჩერდება ვინმეს, ჩემი ხელით მოვკლავდი, მერე რაღაც მოვიმიზეზე და წამოვედი. ახლა რომ ვფიქრობ, ეტყობა, ცოტა ადრე ვიყავი გალიზიანებული და იმისი საუბარიც ამიტომ მეხამუშა. თვალებით მოჰგავდა ვარაზს, თუმცა არა, ეს პირველად მომეჩვენა, თორემ საერთოდ არ ჰგავდა.

დღეს ორი აბი გადავყლაპე ერთად. მაინც არ მეძინება. უკვე სამი საათია. ახლა რომ ვიწვე, უცნაური აზრები მომეძალება, განსაკუთრებით თვალებმილულულს. უწინ მიყვარდა თვალებმინაბული წოლა, ახლა ესეც ტანჯვად მექცა. თავი მიბრუის. ნეტავ დამეძინება?

* * *

ცოტათი გაიარა დაძაბულმა დახუთულობამ მანქანის სალონში, უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს და, უკვე მიხარია კიდევაც, ასე შეუშლელად რომ ტრიალებს ძაფის კოჭი.

— შეისვენე, ნანა, ცოტა, — ეუბნება ნაზია გუდუნას, ის სიმღერას წყვეტს და ჩონგურს სავარძელზე აყრდნობს. კინაღამ მივარდება ძაფის კოჭი ხელიდან უკან მიხედვისას. რაოდენი სითბო აქვს ამ ქალს, როგორ შეინარჩუნა? სოფელში ზოგიერთი ღვარძლიანად ამბობდა, არაფრის დარდი მაგას არა აქვსო, მარტო ცხოვრობს და რა უჭირსო. აკი წამოცდა ერთხელ: კიდევ კარგი, შვილები არ მანუხებს, თორემ მათზე დარდი გადამიყოლებდაო. კაცმა რომ თქვას, არც სხვების შვილებზე განიცდის ნაკლებს. იქ — სოფელში — თითქმის ყველას უყვარდა, აქაც ხომ უყვართ და უყვართ. მაშინაც კი, როცა თითქმის ყველა ერთმანეთს ემდურის, მხოლოდ ნაზიაა გამონაკლისი, რომელთანაც არავინაა მწყრალად, თითქოს ერთგვარი ტაბუა დადებული — მასთან წაჩხუბება არ შეიძლება, რაღაც საკრალური ვაშინერსაა; მარტოხელაა, ერთადერთი ძმა ჰყავდა ი ქ, ჩვენს მახლობლად ცხოვრობდნენ, ძველებური გრძელი სახლი ედგათ, კირით შეთეთრებული, რომელიც ფილმებში ნანას ჰოსპიტალს მაგონებდა რატომღაც. ძმა უფროსი იყო. მზირი ერქვა; მაღალი, ჩასუქებული, შინ ნაკლებად რჩებოდა...

— ხომ არ მთავრდება? — მეკითხება ბორანა. მე ძაფს ვუყურებ.

— არა, ჯერ ბლომადაა მგონი, — ვეუბნები.

მაინც რატომ მეგონა რომ ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ? თუმცა მე რა, ბევრმა თქვა, მეც ასე მეგონაო. როცა ერთმა შორეულმა მეზობელმა დედაჩემს ჰკითხა, ესენი და-ძმა ხომ არიანო, დედაჩემს ძალიან გაუკვირდა: როგორ, აქამდე არ იცოდი, და-ძმა რომ იყოო? მე ხმა ამ ამომიღია, მაგრამ რა თქმა უნდა შემრცხვა, მეც რომ სხვანაირად მეგონა. ნაზია ყოველთვის ძმას იფიცებდა, "ჩემს მზირს ვფიცავარო" და მორჩა; უკვე ყველამ იცოდა — არ გადავიდოდა სიტყვას, ისედაც ხომ არასოდეს იტყოდა ტყუილს. მზირი ცოლს განაშორები იყო, შვილი არ ჰყოლია, ხოლო ნაზია თუ რატომ არ გათხოვდა, არავინ უწყოდა. როცა კარგ გუნებაზე იყო, იტყოდა ხოლმე: სად მეცალა გათხოვებაზე საფიქრალად, დედაჩემი ადრევე იყო ცუდად და მთელი საოჯახო ტვირთი მე მაწვა მხრებზეო, ნორმალურად სამი კლასიც არ დამიმთავრებია ისე გამომიყვანეს სასწავლებლიდანო. ისე, ხანდახან უყვარს თქმა: ერთი-ორჯერ კი მოვწონდი ვიღაცასაო, მაგრამ არ ყოფილა ჩემი ბედი და რას იზამო. მზირი ნაკლებად მოიძიებოდა შინ, საზღვარგარეთ დადიოდა — საქმოსნობდა. ნიჭი ჰქონდა საქმოსნობის და მეზობლებიც ყოველ გამგზავრებაზე ატანდნენ ფულს, ვის მაცივარი უნდოდა, ვის ტელევიზორი, ვისაც კიდევ საქორწინო სარეცელი... ბოლოს მაინც არ გაუმართლა სიბერეში; მგონი 86 წელი იყო, ვილნიუსში მანქანა დაეჯახა და სული არ ჩამოჰყოლია სოფელში. ქვეყანა შეძრა ნაზიას კივილმა, ყველას უკვირდა, ეს რა გამძლეობა ჰქონია ამ მოხუც ქალსო. მთელი კვირა არ გაჩერებულა: მოთქვამდა და კიოდა, ტიროდა განუწყვეტლივ, დასაფლავების შემდეგაც, თავიდან ყოველ დილით, შემდეგ კი ყოველ შაბათს, ლოგინზე დაგებულ ნიშანთან დადგებოდა და მოთქვამდა საწყალობლად. ეტყობა, და უფრო სასოწარკვეთით განიცდის ძმის სიკვდილს, აკი ამბობდნენ სოფელში: სადაც ძმის სიკვდილის ამბავს შეიტყობს და, იმ ადგილზე ბალახიც კი არ გაიხარებსო. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ძაძები არ გაუხდია ნაზიას. სატირალში სოფლის წესისამებრ ფულს როცა წერდნენ, ნაზია სიაში ძმის სახელს ჩაანერინებდა ხოლმე. რამდენჯერ მომხდარა, შემდეგ ველარ გაუგიათ მზირი პაპასკუას ვინაობა, ერთი მზირი პაპასკუა ხომ დიდი ხნის გარდაცვლილი იყო უკვე.

— სად იყურები, ველარ ხედავ, რომ დამთავრდა?! — მეუბნება ბორანა.

— ვააჰ! — აღმომხდა ძალაუნებრად. ცარიელი კოჭი ჯერაც ტრიალებს სასწრაფოდ ჩამოვდივარ მანქანიდან და უკან გავრბივარ. მთვარის შუქზე კრიალებს განწყვეტილი ძაფი. ვნასკვავ და მანქანაში ვბრუნდები.

— შორს იყო, ნანა? — მეკითხება ნაზია.

— არა, ნაზია მამიდა, აქვე იყო.

ძაფს, რომელიც ელვის უსწრაფესად იხსნება, კოჭიდან თითით ვეხები: უცნაური ჟრჟოლა მიპყრობს, თითქოს ცოცხალ, სულიერ არსებას შევხებოდე. არა, ნათიას სული კი არა, მე მოვუყვები ამ მოქათქათე ძაფს ბნელი, პალატებშემოძარცული საავადმყოფოდან — უფერულ, წკვარამი დაუსაბამობიდან — შინისაკენ, ადამიანთა ღამის მისტიკურობა შეპარულ, მოსარკული ცის მიუწვდომლობა ჩანთქმულ და მობობოქრე ზღვის დაუცხრომლობა შეზიარებულ სხეულით, საკუთარივე ფიქრებისა და ზრახვების მიხვეულ-მოხვეულ, გაუკვალავ და დაბურულ ლაბირინთებში. რაღაისათვის შევეზიარე უაზრობისთვის გამომეტებულ წესს, თუკი არ ვირწმუნებდი მას, თუკი უაზრობად მივიჩნევდი, რაღად გავუწოდე მშველელი ხელი შუქმოციმციმეს ბნელი ტალანების გამოსაშუქებლად?! მაინც ხომ იგივე მაქვს შეგრძნება, შეგრძნება საკუთარი სიცრუის შეცნობისა? და მაინც, ეს მე თვითონ მოვუყვები ამ ვითომცდა ჯადოსნურ ძაფს ამაღამ, ეს მე მოვდევ მობზრიალე კოჭიდან გადმოხსნილ ძაფს კვალდაკვალ და მხოლოდ საკუთარ გადარჩენაზე ვზრუნავ მისი სულის გამოხსნაზე ხელჩაქნეული და ეჭვშეპყრობილი. ვერც გუდუნას მოკრიალე ხმა დააძინებს ამ მობობოქრე წუთისოფლის ხახადაღებულ ურჩხულს, ჩვენსავე სხეულისა თუ სულისსკნელის უთვალავ ხვიარებში მტკიცედ დავანებულს.

— ხომ არ მთავრდება? — მაფხიზლებს ბორანა.

— არა! — ჯერ ბლომადაა ძაფი კოჭზე, თვალისმომჭრელად რომ ბრუნავს. სატვირთო მანქანის სანათები თვალებს გვჭრის. მზერას ვაშორებ და სარკმლიდან უკან ვიხედები, ვატყობ: კოჭი უცებ უმატებს ტრიალს შემდეგ კი ასევე წამისად უკლებს და ბოლოს საერთოდ ჩერდება. რა სჭირს? გაწყდა ვითომ? ვიხედები ფანჯრიდან. ძაფი შორ

მანძილზე ირეკლება მთვარის შუქზე. რომ არ ჩანს? მანქანამ ხომ არ გაწყვიტა? განა დაინდობდა? ხელით ვშლი კოჭიდან, იქნებ ამოძრავდეს ისევ. კარგა ხანს არ ვამხელ, მაგრამ უკვე აზრი არა აქვს დამალვას.

— ბორანა, მგონი, გაწყდა სადღაც, — ბორანა დაღონებული მიყურებს.

— გავაჩერო?

— ვნახავ, რა მოუვიდა. — გადმოვდივარ მანქანიდან.

— მოიცა, ოდი, მეც წამოგყვები, — მეუბნება მთვარისა.

— არ მინდა. მე თვითონ მოვძებნი. აქვე იქნება.

ძაფს ვექაჩები: მომყვება. არა, ეტყობა კარგა შორს გაწყდა, ალბათ თან გაიყოლია მანქანამ. ვწყევლი ილეკროს იძურისს, თანაც ძაფს მივყვები, ვექაჩები და ხელზე ვიხვევ. ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი თუკი მართლაცდა წრფელია, მეტი ტანჯვა რაღა იქნებოდა გათავისუფლებული სულისათვის; იმ წყეული ბნელეთიდან ვითომ ნათელი გზის განფენა სასიარულოდ, გზადაგზა კი აბურდვა, გაწყვეტა, უკან გამობრუნება, შუაგზაზე მიტოვება! იმ ბნელ ტალანებში ყოფნა სჯობდა უთუოდ შავად ხახადაღებული ურჩხულის ყბაში ჩავარდნას. იქნებ სულაც არ ეშინიათ სულებს ღამის?! აკი ასე ამბობდა ბებია, ღამე სულებისააო; სულების, ტყაშმაფებისა და ოჩოკოჩების, ზღვიდან ამოსული ბებრებისა და ტაბაკონაში მობორიალე როკაპების. არა, ტყაშმაფას არ ეშინია ღამის, აკი ღამის ქალწულად მონათლეს. ნეტა ვინ იყო ის პირველკაცი, რომელმაც საკუთარ ზრახვათა, გონდაბურდულ წარმოსახვათა თუ შიშის წყალობით, მთვარის ჩრდილი თუ ბორიოს ქროლვა ჯადოსნურ მოჩვენებად წარმოიდგინა, ზღაპრულ ასულად და მისგან ტვინნაღრძობმა შექმნა ტყაშმაფას არაკი, შემდეგ მთელი ხალხის წარმოდგენასა და წარმოსახვაში უეჭველობისა და სინამდვილის ადგილი რომ მოიპოვა? იქნებ მართლაც ვინმე ხორციელი ასული შეეჩეხა პირველკაცს, ვინ იცის, რისა გამო ან ვისა გამო გულამღვრეული მობორიალე ღამის ღრანტეებში, შველს გამოკიდებულს ან უბრალოდ მთას შერჩენილს და იშვა მითი ტყაშმაფასი?

უცებ ძაფის ბოლო მრჩება ხელში. ვინ იცის, მეორე ბოლო სადაა. ვაითუ საერთოდ გამოედო მანქანას და ახლაც მიჰყვება?! ვაგრძელებ გზას, რკინიგზის ხიდს ქვეშ გავდივარ და ზღვის სანაპიროს გასწვრივ მივუყვები ციურთაგან ჯადოსნურად აციმციმებულ გზას, თანაც გაფაციცებით ვეძებ ძაფს. მაინც რა მოუვიდა, ჯანდაბაში წაიღო? არა, მას ერთხელაც არ გასწყვეტია ძაფი, ეტყობა მტკიცედ ჰქონდა ჩაბღუჯული, თანაც, არც აინტერესებდა მაინცდამაინც, მთავარი ხომ შიგნით ელოდა. გადამწყვეტი ხომ ძაფი არ იყო. ნაკვალევიც არ ჩანს. ეტყობა, საბოლოოდ მივლის სიმთვრალე. მისკენ გაწვდილი სავსე ფიალა... რომ დაელია? არა, მაშინ ხომ ყველაფერი დამთავრდებოდა. სად ჯანდაბაში გადაიკარგა, თავიდან ხომ არ დავიწყებ ძაფის გაბმას? უკვე კილომეტრზე მეტი გავიარე ფეხით, ეტყობა, მოსწყინდა ბორანას და აღარ მომყვება მანქანით. თუმცა ...არა, ნაღდად განამდა, თავბედს იწყევლის ალბათ, რას გავყევიო. მაინც სად წავიდა, ყოროლის წყლამდე ხომ არ ჩავიდე ისევ ნეტა?! ვგრძნობ: აღარ მინდა შევიმჩნიო, თორემ საშინლადა ვარ გაბრაზებული და გულამღვრეული. გაბრაზება არ შეგამჩნიოთო! კარგია, არ შეგამჩნიოთ! ახლა მივატოვებ ყველაფერს და უკან გავბრუნდები! ეტყობა, თავი მინდა დავიმშვიდო ამით, ხომ ვიცი — ახლა არაფრის გულისთვის აღარ მივატოვებ, უცებ ძაფს ვხედავ. ასე გულით კარგახანია რამე არ გამხარებია. ვექაჩები. მსუბუქად მომყვება. რაღაც არ მომწონს. ვექაჩები ისევ; მომყვება. ვიხვევ ხელზე და მალე მისი ბოლო იქნევს კუდს ნაპირზე ამოგდებული კალმახივით. ასე როგორ დაანაკუწა... წყეული ატროპოს! უკვე გავრბივარ. ორასიოდე ბიჯზე ჩნდება თეთრად მოკიაფე ძაფი. ესეც ნაგლეჯი ხომ არაა?! ვეწევი ჩემსკენ და ვაკვირდები: არა, აღარ მომყვება. ვანასკვავ კოჭიდან გადმოხსნილ ძაფის თავს და უკან ვბრუნდები. კოჭი ნელ-ნელა ბრუნავს და ძაფიც ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქმნის სულის გასავლელ ბილიკს. ჰოი, თუკი ბლომად იხედებით ციდან უკვე დიდი ხნის წინათ ჟამთა ცვალებადობით ზესკნელს აჭრილნო სულნო, როგორ გაგაოცებთ ადამიანთა გონთუმწეობა ალბათ! თუმცა არა, რამ უნდა გაგაოცოთ, განა თქვენც აქედანვე არა ხართ ზეცად ასულნი, სწორედაც ჩვენი უმწეობიდან გამოხსნილნი?! მაგრამ იქნება სულაც არა ხართ დედამიწისეულნი? იქნება სხვათაებრ მოაზროვნე სულთა სახებანია უთვალავად მოციმციმე ვარსკვლავნი?! მაშ თქვენ ხომ შეშფოთდებით ჩვენს უმწეობაზე? არა, თქვენი სულაც არ მერიდება, ერთადერთი ჩემი საკუთარი არსებისა მრცხვენია, აგრერიგად რომ ვემორჩილები ადამიანთა უკვე ოდესლაც დაკანონებულ სისუსტეებს და, უფრო ნაკლებ სასაცილო რომ ვიყო, მისტიკურობის მოფუთფუთე ბურანში ვხვევ მას და მასთან ერთად ჩემს დანაკუწებულ გონმეტყველებას მთლიანად. თუმცა იქნებ იმიტომ მეჩვენება სასაცილოდ, რომ უძველესია, წარმართობისდროინდელი თუ პრეისტორიული. აი, ვთქვათ, მირონცხებისა, ნათლილებისას ხომ არ შემრცხვებოდა, არავის ხომ არ რცხვენია?! აი, თუნდაც ჯვრისწერის რიტუალი ხომ არ არის სასაცილო, ბოლოსდაბოლოს ხომ არავის მოუვა აზრად, სასაცილოდ მიიჩნიოს საახალწლო ზეიმები?! არადა, სწორედ წელიწადის დროების ცვლილების აღსანიშნავი ზეიმები არაა რელიგიის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი? პირველყოფილისა მაინც? რელიგიური რიტუალები ... ნეტავ ძაფით სულის გამოყვანასაც ასეთივე მატერიალური საწყისი ხომ არ აქვს? მიუწვდომელია. ჩაუწვდომელია. სირცხვილით კი სულაც არა მრცხვენია თქვენი, მიუწვდომელ ზეძირკველში, ცის უსასრულობას შეხიზნულო დედამიწისეულნო თუ უცხოსახისეულნო მოციმციმე სულნო, ყველანი ჩემსავით იყავით იქ აღსვლამდე! და თუკი საერთოდ არავინაც არ მიყურებს იქიდან და მხოლოდ უმცირეს ნაწილაკთა თუ განუყოფელთა მტკიცე და ლოგიკური კავშირია ყოველივე?!

მანქანას ვუახლოვდები. ბორანა განამებული სახით იყურება, თუმცა ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს.

— რა იყო?

— შორს ჰქონდა ნაღებული, თითქმის ყოროლის წყლამდე გამაბრუნა.

— როგორ განამდი ნანა, მოდი ახლა მე წამოვიყვან ცოტა ხანს, — მეუბნება ნაზია და გამოსვლას ლამობს, მე ვაჩერებ.

— არა, ნაზია მამიდა, მე თვითონ. ბორანა, ამ მოსახვევზე ხელით გადმოვშლი ძაფს, გზის მარჯვნივ, თორემ შეიძლება ისევ გამოედოს რომელიმე მანქანას.

— კარგი, — თავს მიქნევს ბორანა და მანქანა ერგასიოდე ბიჯზე გაჰყავს.

ძაფს ვხსნი კოჭიდან და გზის მარჯვნივ ვაფენ, ვცდილობ გამზირი არ გადაკვეთოს, მაგრამ მოსახვევში მაინც

სიგრძივ იჭიმება და განივად ეფინება სავალს. როგორც კი წამოვა ავტომანქანა, მაშინვე უკან გაიყოლიებს. ვბრუნდები ისევ და ელექტრობოძის გვერდით ვატარებ ძაფს, მარცხნივ რომ არ გადმოიწიოს ისევ. შემდეგ საგზაო ნიშნის ძელებშუა გამყავს. უცებ ფეხის ხმა მესმის გზიდან. ვხედავ, ორნი მოდიან. მალე ვცნობ: ჩემი და, მართა, და სანატორიუმელი მეზობელი თამარა — გულრიფშიდან, რა თქმა უნდა მიკვირს, მაგრამ გაკვირვებას ხომ არ დავიმჩნევ, თითქოსდა ველოდებოდი კიდეც.

— ოდი, გყოფნით ძაფი?

— მგონი, ეყოფა.

— აი, კიდევ მოგიტანეთ ძაფის კოჭი, — მეუბნება მართა და შავი ფერის პარკს მაწვდის, სადაც სამიოდე მსხვილი კოჭი დევს,

— ამდენი არ მინდა, ერთი მომე. — მსხვილ კოჭს ვართმევ. ხის ცარიელ გორგოლაჭს ვაგდებ და ახალი ძაფის თავს ვაბამ დამთავრებულის ბოლოზე.

რაღაც შინაგან კმაყოფილებას ვგრძნობ, ამდენი წვალების შემდეგ ნაპოვნი გაწყვეტილი ადგილიდან რომ ვანახლებ ძაფის გაბმას. მაინც რაღაცნაირად გაოგნებული მივდივარ მანქანისაკენ. მართა და პირიმზე უკან მომყვებიან. რა წამოიყვანთ ახლა ფეხით. ჯერ ბარე სამი კილომეტრია. მივდივარ მანქანასთან, კარს ვაღებ და შიგნით ვიხედები.

— მორჩი? — მეკითხება ბორანა.

— დიახ! — ვეუბნები და მართას ვუყურებ.

— შემოდით, გოგო! — უძახის მართასა და პირიმზეს ბორანა, — ყველანი დავეტევით!

— არა, ჩვენ ფეხით წავალთ! — იუარა მართამ და პირიმზეს გაკრა მხარი, თითქოსდა ანიშნა რაღაცა.

— დასხედით! ფეხით რა წამიგიყვანთ ამ შუაღამე?! — ვეუბნები მეც, ცოტა არ იყოს გაღიზიანებული.

— არა უშავს, — მეუბნება მართა მშვიდად.

თუ გავიჭირვებთ, დაეტევიან, მაგრამ ერიდებათ, ეტყობა, და არც მე ვაძალებ.

მანქანა ნელ-ნელა უმატებს სიჩქარეს, რატომღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ძაფი აღარ გაწყდება აწი, თავდაჯერებული დავჩერებივარ მავთულის ირგვლივ თავაწყვეტით მროკავ კოჭს. თვალები მიჭრელდება. თეთრი, მოქათქათე ერთობალა იქცევს თვალთა მზერას. თეთრი აფრები... დავიწყებული თეთრი იალქნები და სამარადისო ცოდვა, ნებითი თუ უნებლიე ... ველარ ვხედავ ზღვას, მაგრამ საოცარი სიცხადით ვგრძნობ ჩემს მარცხნივ გასუსულ უსასრულობას, იდუმალად რომ შერთვია ღამეს. ალბათ ასეთ დროს ამოდიან როკაპები ზღვიდან, ნეტა წელს რომლები ამოვიდნენ, მდედრნი თუ მამრნი? მაინც როგორები არიან? შენიშნეს ალბათ ვილაც გადაყრუებული ბებრები, ზღვაზე მობანავენი ოდესღაც, ველურ ბუნებას ჯერაც ვერგამოლწეულმა, ნახევრად ტყიურებმა, და სამარადჟამო მითოსსაც ჩაეყარა თესლი, ჩაეყარა და მზის მაცოცხლებელი სხივებიც ნოყიერად მოხვდა, გაგიხარიან! ახლაც იზრდება ვიეთთათვის, და ახლაც ზრდიან ვიეთნი ამ ზღაპრებით შვილებს, თუმცა ვერ წარმოუდგენიათ, ამ შვილებისთვის სწორედ ეს ზღაპრები რომაა უგულწრფელესი ღირსსახსოვარი წარმოდგენები ბავშვობისა, ველარასოდეს რომ ვერ ამოუძირკვავთ ვერარა ლოგიკა თანამედროვე განათლებისა და ვერც მეოცე საუკუნის რკინის იძურისი. იქნებ სულის მოყვანის წესიც ასევე დაიწყო? ნეტა რომელიმე ერს თუ ჰქონდა მსგავსი ჩვევა? ბერძნებს? ხეთებს? შეიძლება ურარტუელებს? იქნებ უფრო ახლოს? რომ არ ვიცი? მზერას ვაშორებ ციბრუტივით მობზრიალე კოჭს. მილმიდან სიშავე, ღამის მრუდე შემოსჯარვია სარკმელს. მზერა მაღლა გამირბის. გადასარკულია ზესკნელი, ეს ერთადერთი მარადიული იდუმალება, ადამიანის სულისშემძვრელი.

* * *

7. XI. 1991 წელი. ბავშვობაში მეგონა ყველა სოფელს საკუთარი ცა ჰქონდა. ველარ წარმომედგინა, ბიძასთან როცა ვისვენებდი, რომ შეიძლებოდა გუდაუთასაც იგივე ცა ჰქონოდა, რაც გუმს. პირველად მხოლოდ ღამე ვიმეცნებდი სხვაგან ყოფნას: როგორც კი ვარსკვლავებით ანთებულ ცას მოვკრავდი თვალს, მხოლოდ მაშინ ვიგრძნობდი, რომ ჩემს სოფელში კი არა, მისგან ძალიან შორს ვიყავი. ასეთსავე სიშორეს ვგრძნობ ახლა ყოველი ადამიანისაგან. თითქოს ყველანი მალაზიანებენ. ვერ წარმომიდგენია, ვინმესთან ყოფნა მსიამოვნებდეს, რამდენიმე წუთი და მოვშორდე მინდა. უკვე აუტანელნი ხდებიან. განსაკუთრებით ვგრძნობ, ი ს მაღიზიანებს... ეტყობა, დედასაც ვერ ვიტან. არა, განა არ მიყვარს, მაგრამ საკმარისია დამელაპარაკონ, უკვე ვღიზიანდები. ზოგჯერ ი ს რომ მელაპარაკება, ვცოფდები. ვხედავ: არაფერი დაუშავებია, არაფერს არ ამბობს ცუდს, მაგრამ უკვე ეს მაცოფებს, ყველაფერს გაზეპირებულივით სწორად რომ ამბობს, ეს მაცოფებს. იქნებ ესაა... საკუთარ თავს რომ ვერ ვიკავებ, იქნებ ესაა... ნუთუ მარტო იმიტომ ვბრაზდები, მამაჩემი რომაა? კი მაგრამ, რა დამიშავა? დედაზეც მეშლება ნერვები, არადა, გოგო ვარ, დედასთან ხომ უნდა მქონდეს რამე საერთო? არა, საშინლად მაღიზიანებს! ღმერთო, როგორ მოვთოკო თავი? ოდიმ, არ უნდოდა, წამოცდა, მერე კი ინანა: როგორ თქვა? ციტატა, რომელიღაც ფილოსოფოსის იყო, მგონი პლატონი: მართე შენი ბუნება თორემ ის გმართავს შენო, თუ არა, ბუნება კი არა, მართე შენი გუნებაო, თორემ ის გმართავსო... რაღაც ასეთი იყო, ერთი სიტყვით, ჩემზე თქვა. უფრო სწორად, კი არ წამოცდა: განზრახ მითხრა და მერე ინანა, ნეტა არ მეთქვაო. კი მაგრამ, როგორ ვმართო, განა შემიძლია? რომ არ შემიძლია?! ამას წინათ ი მ ა ნ უბრალოდ მკითხა რაღაც და მე კი ისეთი ვუყვირე... საცოდავს როგორ შეეშინდა.

რატომღაც მგონია რომ ისინი არ არიან დამნაშავენი, პირიქით — მე ვარ. ეტყობა, სწორედ ამან მომიმწყვდია ჩიხში — ჩემმა უმწეობამ, ჩემმა უსუსურობამ და უნიათობამ. რას ვერჩი მათ, ვერ გამიგია. ესეც მშლის ნერვებზე. იქნებ სწორედ ესაა...

ღმერთო, როგორ შევეჯახე და შევეჩეხე გაურღვეველ კედელს. როგორ მომიმწყვდიეს შეუძლებლობის მარწუხებმა. ყოველივე უაზროა, რასაც უნდა ვაკეთებდე, უიმედოა, იმიტომ, რომ უმომავლოა. მე ხომ ვიცი, რომ მომავალი არ გამაჩნია... როგორ შეიძლება რამე მიხაროდეს?! გამიხარდა, რომ ოდი ჩაირიცხა, მაგრამ მე უკვე ძალი არ შემწევს ვიცხოვრო სხვისი სიხარულით. სიყალბე იქნება ვთქვა, იმედით აღსავსე-მეთქი, თუნდაც იმიტომ, რომ მე არავის არაფერში ვჭირდები, ოდისაც კი, ოდისთვისაც ერთი დიდი ტკივილიღა დავრჩები.

ვისთვისაც ერთადერთს წარმოვადგენთ, ის უკვე ალარაა, სამუდამოდ წავიდა, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, საუკუნეების წინათ. ღმერთო, როგორ გავიდნენ ეს წლები, ხომ არ მატყუებენ, შეუძლებელია ამდენი ხანი გასულიყო! როდის, როდის გავიდა?!

* * *

ეტყობა მთავრდება, ძაან დაწვრილდა. ძაფი არი, სჯობს გამოვცვალო ბარემ, ბოლომდე გვეყოფა. გავყურებ ბორანას, ვიდრე რამეს ვეტყოდე. მგონი, ჩვეულების ექსტაზმა ჩაითრია ისევ მისტიკურ ხილვებში. მისი გაფართოებული, საცერივით დიდი თვალები ისევ მახსენებს ოდინდელ, ოდისლანდელ სახეს შავთავიანებისას.

— ბორანა, — ვეძახი ჩუმად.

— ჰა?! — წამისად მიცქერის, თითქოს რცხვენია წელანდელი ჩაჩუმებისა და ისევ გზას გაჰყურებს.

— ბორანა, ერთხელაც გამოვცვალოთ და მეტი არც იქნება გასაჩერები, — ბორანა ნელ-ნელა აჩერებს მანქანას. კოჭზე ჯერაცაა ძაფის ხვიარები. ორასიოდე ბიჯზე გვეყოფოდა ალბათ. ახალ კოჭს ვილებ და იქიდან გადმოხსნილ ძაფს ვანასკვავ, უკვე გალეულ კოჭიდან მოწყვეტილს.

— გვეყოფა, ნანა?! — მეკითხება ნაზია.

— კი, ნაზია მამიდა! — ვამბობ. მთვარისა ნაზიას ეუბნება რალაცას, მაგრამ მე არ მესმის.

— წავიდე?! — მიყურებს ბორანა.

— ეხლავე, — კოჭს მავთულს ვუყრი და სარკმლიდან ვიშვერ.

— ცოტა ჩქარა, — ამბობს ბორანა.

— წავედით, — ვპასუხობ მე აჩქარებული.



*მხატვარი აივენგო ჭელიძე*

* * *

ნათიას სანახავად მივდიოდი, დედაჩემიც კარგა ხანი იყო, არ მენახა, რაც ნათია წაიყვანეს, მას შემდეგ არ ჩამოსულა სახლში, გვერდიდან არ მოშორებია. სოხუმში საოცარი სიცხე იდგა. მამაჩემი გრძელი ნაბიჯებით მიაბიჯებდა. მე ცოტა არ იყოს მიჭირდა დავწეოდი და აჩქარებულად, ლამის სირბილით მივყვებოდი. თან უგულოდ მოვაპორწიალებდი თერმოსს, რომლითაც ნაყინი მიგვქონდა ნათიასათვის. სადგურზე დაველოდეთ ავტობუსს. ოფლი წურწურით ჩამოსდევდა კისერს, შემდეგ კი ზურგთან უჩინარდებოდა პერანგში და წებოსავით მაკრავდა გაზიზინებულ ნაჭერს. როგორც იქნა ჩამოდგა სოფელ "განახლების" ავტობუსი. მანქანაში თონესავით ცხელოდა, თუმცა უკვე სულ ერთი იყო ჩემთვის. "როგორები იქნებიან ისინი? გარეთ იქნებიან? ალბათ სულ ყვირიან და ჩხუბობენ. არა, ნათია მაგათთან არ იქნება, აკი თქვა მართამ: სულიერად დაავადებულნი ორი სახისა არიანო — ერთნი, რომელნიც სხვას აყენებენ ზიანსო, ხოლო მეორენი, რომელნიც — საკუთარ თავსო. ნათია მხოლოდ საკუთარ თავს უშავებს, აბა, სხვასთან რა ხელი აქვს?!

— ჩამოდი, — მითხრა მამამ და ხელი მომაშველა. ასე მეგონა, უდაბნოში მოვხვდი. მხოლოდ საავადმყოფო იკვეთებოდა სანახებიდან მკვეთრად. მოსახლეობის ბინები და საცხოვრისები მყუდროდ შეფუთნულიყო სოფლის შორეულ კონტურებში. საავადმყოფოს მაღალი ბეტონის ღობე შემოვლებოდა. რკინის უშველებელ ჭიშკარში შევაბიჯეთ. დიდი ეზო გადამეშალა თვალწინ. გრძელ სკამებზე ჯგუფებად ისხდნენ ადამიანები. მამამ სწრაფი ნაბიჯით შემიყვანა დიდ შენობაში.

დედა საწოლზე იჯდა, როდესაც პალატაში შევედით. ნათია საოცრად ფერმიხდილი, რალაცნაირად ძალაგამოლეული იწვა ვარდისფერ ყვავილებიან თეთრეულით გაწყობილ სარეცელზე, ჩემი შესვლისას თვალები ნაძალადევად გაახილა, სამი დღის უძინარივით.

— ვუიმე, ოდი, მოხვედი, შვილო?! — გაეხარდა დედაჩემს და ჩამიხუტა, — როგორ ხარ ბიჭო?!

ნათიამ გაილიმა რალაც მთვარეულივით.

— მოდი გაკოცო, ოდი, — მე დავიხარე.

"მარმარილოსავითაა, ოდნავ ყვითელი გადაჰკრავს ოლონდ. რატომ უჭირს ასე თვალების გახელა?!"

— როგორა ხარ, ნათია? — ვკითხე წინასწარ აკვიატებული ფრაზა. მთელი დღე მარიგებდნენ, მხიარული უნდა ვყოფილიყავი ნათიასთან, სულ გალიმებული.

— შენ როგორ ხარ, ოდი? — ძლივს შესამჩნევად გაილიმა ნათიამ, — როგორ ძლებ, დედა რომ სულ აქაა, ლამე არ გეშინია?!

— არა, — გავილიმე ნაძალადევად. რატომლაც მომეჩვენა რომ ნათია გულსგარეთ მეკითხებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ რალაც ეთქვა, ეტყობა, ამიტომაც მეშინოდა აქ მოსვლა.

— ნათია, ნახე — ნაყინი მოგიტანეთ.

— მე არ მინდა, ოდი — თავი გააქნია ნათიამ, — შენ ჭამე.

— მე ვჭამე უკვე...

— არ გვინდა, შვილო, შინ წაილე და ბავშვებსაც აჭამე, — მითხრა დედამ.

მე ისევ ნათიას მივაჩერდი. თვალები მილულოდა. "მოჩვენებასავითაა ...ეტყობა ბევრი ნემსი გაუკეთეს და გაბრუებულია, აკი თქვა მართამ, დამამშვიდებელ წამლებს აძლევენო... ნეტა როგორ გრძნობებზე აყენებს წამლები? როგორ შეუძლია წამლებს, ის არ აფიქრებინოს, რასაც ფიქრობს? ეტყობა, ისე დაასუსტეს, რომ საერთოდ აღარა აქვს ფიქრის თავი."

ისევ ნათიას ვუყურებდი. თანაბრად სუნთქავდა. "მგონი, ჩაეძინა. ისე ალბათ შეიძლება წამლებმა ფიქრებიც კი შეაცვლევინოს კაცს; მამაჩემი და მისი მეგობრები რომ დათვრნენ, აკი ლაპარაკობდნენ და გაიძახოდნენ სისულელეებს?"

* * *

სისულელეა თითქოს, ვსხედვართ ამ დროჟამისაგან განძარცულ, გატიალებულ მანქანაში და მითაჟამინდელ წეს-ჩვეულებას ვასრულებთ. იქნებ დრომ მასაც შემოაძარცვა ყოველივე, რასაც მაშინ, — ჩემი წინაპრები ჩალით დახურულ წნულებსა თუ ტაფა ქვებისაგან ახორხლილ სახლებში რომ ცხოვრობდნენ და შუაცეცხლის კვამლისაგან ცრემლგამომშრალნი ბუნების იდუმალებას მიშტერებოდნენ, — მართლაც ჰქონდა მნიშვნელობა? მაგრამ ნუთუ სულ არაფერი არ შეცვლილა ადამიანის სულში ამ ხნის მანძილზე? ახლაც რომ სჯერათ? და ბოლოს და ბოლოს, რომ გვაორჭოფებს, ეს უკვე თითქმის დაჯერება არაა? იქნებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დროს? იქნებ ოცი საუკუნის შემდეგაც ისევე შეაკრთობს ჩვენს ნაგრამს წინაპართა ჩვევის ყოველი გამოძახილი? მაშ დროს ჩამოცილებულია? ზედროულია? მაშინ ხომ ...

— გუდუნა, ახლა ისევ იმღერე, ვუახლოვდებით უკვე, — ეუბნება მთვარისა. გუდუნა ჩონგურს იღებს ხელში და უკრავს. ჯერ არ მღერის და მეც გულში ვუწყობ: ნა-ნი-ნონო ნა, ნა-ნო-ნო-ნო ნა-ააა ... ესეც, ესეც მითაჟამინდელია, იქნება სულაც ერთად წარმოიშვნენ. სული ხომ მუდამ სიყვარულთანაა გადახლართული, თითქმის ხომ ერთნი არიან. ნეტა რომელია უფრო იდუმალი? რა კითხვა უნდა, თუმცა, სიყვარული რა, ნაკლებ იდუმალია?! სიყვარულის ხორცშესხმა იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, ამადაცაა ის თვალშესახები ზოგჯერ, ამადაცაა სული უფრო იდუმალი. თუმცა სხეული განა სულის ხორცშესხმა არაა?! არა, რა თქმა უნდა არა, წარმოუდგენლად სხვანაირადაა, ეტყობა! იქნება არც სიყვარულის თვალით ხილვა იყოს შესაძლებელი? იქნებ ხორცშესხმული სიყვარული — ხორცშესხმული სულივით — არც კი იყოს სიყვარული?

* * *

24. III. 1981 წელი. ღმერთო ჩემო, რა საყვარლად უმწეო იყო, ობოლი ბავშვივით იდგა გარინდული, დამწუხრებული. საოცარმა სურვილმა შემიპყრო, გულში ჩამეხუტებინა, ჩამეკრა და მოვფერებოდი, საოცრად მომინდა ტირილისაგან დანითლებული თვალები მომებანა, შემდეგ შემემშრალებინა და თმაც დამევარცხნა, მომეწესრიგებინა. საოცრად სევდიანად გამომაყოლა მზერა, როდესაც მივუსამძიმრე და გამოვბრუნდი, შემდეგაც გამომხედა მალულად, ქვემოდან. მე მარცხენა მხარეს ვიჯექი, კედელთან ჩამწკრივებულ სკამებზე ჩამომსხდარ ქალებთან ერთად. მეც ვუყურებდი დროდადრო. ერთხელ ძალიან მწარედ ატირდა, მამამისი, ვამეხიც ტიროდა, როდესაც ჟუჟუნა დეიდამ დაიწყო მოთქმა, გულიდან ალმოსკდა საწყალს: "შენს საყვარელ ძმისშვილს ვისთან ტოვებ დაო, შენს ძმას ვისთან ტოვებ, მერი!" გული ყელთან მომებჯინა, ცრემლი ველარ შევიკავე. ცხვირსახოცს ზემოდან გავაპარე მზერა ვარაზისაკენ; სახე ხელებში ჩაერგო და გულამოსკვნით ტიროდა, მხრები უცახცახებდა. ო, როგორ მომინდა მკერდზე მიმეკრა ... მხრების ცახცახი დამეცხრო, დამეწყნარებინა! ჩემი უმწეო მკლავები შემომეხვია მისთვის მფარველად, ყოველგვარი მწუხარებისაგან დამეცვა, განმეშორებინა მისთვის სულისშემძვრელი ტანჯვა, ო, როგორ მომინდა, იმ წუთას, იმ წამს, სიცოცხლე შემეწირა მისთვის.

* * *

მანქანა საბოლოოდ უქცევს მხარს ზღვის უსასრულობას და მარჯვნივ უხვევს, მწვანე ტევრში ეხვევა, რასაც რა თქმა უნდა ველარ ვხედავ ღამის სიბნელეში. მანქანის სანათები კი რაღაც იდუმალ, ჯერაც აღმოუჩენელ ფერს ანიჭებს გარემოს მუქ, ჩაბნელებულ სიმწვანეს. არა, სიმწვანეს, ეტყობა, ჩემი წარმოსახვა უმატებს, მახსოვრობის წყალობით. ისევ ძაფს გავყურებ: შეუფერხებლად იშლება. მანქანა საბოლოოდ სძლევს უკანასკნელ აღმართს და სანატორიუმის შვიდსართულიან სახლის წინ ჩერდება, ეზოში. ახლა უფრო ვგრძნობ ღამის სუსხს. გამჭვირვალე, გამთოშავი ეთერი მეკვრის გარს მანქანიდან ჩამოსვლისას. თავს ზემოთ, ათასობით ციურთა კრიალით გაბრწყინებულ ცის თაღს გავყურებ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მარტოდმარტო ვიდგე დედამიწის გადაშლილ დისკოზე, სასწაულად გადმომხობილ ცარგვალის ამარა, სული კი — უჩინარი სიმბოლო ქვეყანაზე ადამიანის ეულობისა, — თითქოს უხილავი სიოა, მდუმარედ რომ მელამუნება სახეზე, უფრო კი იდუმალად — სულისსკნელში.

— ახლა ფრთხილად აგვყევი, ნანა, ზემოთ: კართან შეჩერდი, ჯერ მამალი უნდა შევუშვათ, — მიხსნის ნაზია.

მთვარისას მოკრძალებით ამოჰყავს მამალი ჩანთიდან. ის არც კი ცდილობს შეფართხალებას, გაყუჩებული აბრიალებს თვალებს და გაკვირვებული იყურება, ეტყობა, ღამის სიბნელე მოქმედებს მასზე.

* * *

— დაწყევლილები ვართო! — სახე არეული ჰქონდა ნათიას. მთელი ხმით გაჰყვიროდა და დაფეთებული თვალებით ათვალიერებდა ხან ნაზიას ხან ბებიას, დედაჩემისაკენ ნაკლებად იყურებოდა. მე სენაკის კუთხეში ვიყავი მიყუჟული და ტანში მცრიდა, — გამოლოცვა გვინდაო! გა-მოლოც-ვა! — დამარცვლა ნათიამ.

— ვინ გითხრა, ნანა? — თავზე ხელის გადასმა მოუნდომა ნაზიამ, ნათიამ საჩქაროდ გასწია თავი.

— ღამე ვნახე! მოვიდა და კარებთან გაჩერდა; ბავშვობაში რომ მეძახდა, ისე მიხმო — "ნანაშურიო", ნუ შეგეშინდებაო, სულები განვალებენო, დაწყევლილები ვართო და უნდა გამოილოცოთო.

— ვინ იყო, შვილო?! — აცრემლდა დედაჩემი და მისკენ დაიძრა.

— შენ არ მომეკარო! — იკივლა ნათიამ, — შენი ბრალია ყველაფერი, შენი და შენი ქმრის! თქვენა ხართ დაწყევლილები! თქვენ ხართ შეჩვენებულები!

— ბაბუა იყო, ნათია? — ფრთხილად იკითხა ბებიამ.

— ბებია, ბებო, მე რატომ უნდა ვიტანჯო, ბებო?! — ჩაეხუტა მკერდში ნათია, — ამათი ცოდვისთვის მე რატომ უნდა ვიტანჯო, ბებო! კარებთან იდგა და ისე მელაპარაკებოდა, არ მოგასვენებენო, გაგანამებენო, ნანაშური!

— დაწყნარდი, ბებია, — ისევ ჩაიხუტა ბებიამ და მოეფერა, დედაჩემი ატირდა.

— არა, არა! არ მომასვენებენ!

— დაწყნარდი, ნათია, დაწყნარდი, თორემ სასწრაფო დახმარებას დავურეკავთ, გესმის, ნათია, ექიმს დავურეკავთ! — შეეცადა დედაჩემი ტირილი შეეკავებინა და მკაცრად ეთქვა.

ექიმის ხსენებაზე ნათია გაირინდა. უკანასკნელად ერთი წლის წინათ იყო საავადმყოფოში, ეს უკვე მესამედ. რაღაც სეზონურად უახლდებოდა ტკივილები, ყოველ გაზაფხულზე, თითქოსდა იფიტებოდა, ძალა ეცლებოდა, საკუთარ თავს ველარ მართავდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვამჩნევდი — ზოგჯერ უაზროდ გაიღიმებდა ჩემთან საუბრისას, თითქოს არაფერი იყო სასაცილო, მაინც ეღიმებოდა. ასეთ დროს ხანდახან სინდისი მქენჯნიდა; ეტყობა, გრძნობს ხელოვნური კილოთი რომ ველაპარაკები და ამიტომაც ეღიმება-მეთქი. შემდეგ უკვე ნერვიულდებოდა, ყოველგვარ წვრილმანზე აეშლებოდა ძარღვები, რაღაცნაირად აგრესიული ხდებოდა; სიტყვას არ შეგარჩენდა, თითქოს განზრახ ეძებდა გასაღიზიანებელსა თუ გასაბრაზებელ საბაბს. მაგრამ მაინც „საავადმყოფოს" ხსენება მასთან, რბილად რომ ვთქვათ, უგუნურება იყო. ძალიან გამიკვირდა დედაჩემმა რომ უთხრა თუ დაემუქრა, ეტყობა, იფიქრა, იქნებ შეეშინდეს და დაწყნარდესო.

— ნათია, თუ არ დამშვიდდები, სჯობს დავურეკოთ ექიმს და ისევ წავიდეთ საავადმყოფოში! — უკვე მტკიცედ წარმოთქვა დედამ.

— არა, არა! — ისტერიულა იკივლა ნათიამ. მე ოთახიდან გამოვედი.

რატომ მეჩვენება ხანდახან თითქოს საბოლოოდ იყოს მორჩენილი? არავითარი უაზრო საუბარი, ან გამოხდომა. ღმერთო, რა მოსიყვარულე გუნებაზე დადგება ხოლმე?! და მერე ისევ თავიდან! უკვე აღარ მეგონა, თუ ისევ გახდებოდა ცუდად. იქნებ მართლაც ცუდი სიზმარი ნახა?! თუმცა რა, წინა დღეებშიც უაზროდ მესაუბრებოდა. აკი კინაღამ თვითონაც გავბრაზდი გუშინწინ! დედაჩემი ატირდა, შემიმსუბუქეთ, შვილო, სიცოცხლეო, ხომ იცით, რომ ავადააო? მაგრამ... თითქოსდა დამცინოდა, ჩემს მოთმინებას განზრახ აღიაზიანებდა. დედა უფრო მართას გაუბრაზდა, ეტყობა.

— ოდი, წამომყევი, ბებია! — მითხრა მზიამ.

— კიდევ წაიყვანე ვინმე, — თქვა მამამ და მეზობლებს გადახედა.

— მე წავალ, — წამოდგა თეონა. ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, ახალგაზრდა ქვრივი იყო, ორი ბავშვი ჰყავდა, ქმარი ავღანეთში მოუკლეს.

სამივე ქუჩაში გავედით.

— სად მივალთ, მზია ბებია?

— ბორანა ბებიასთან უნდა წავიდეთ, ბებია! — მითხრა მზიამ და გაჩუმდა. გასაგები იყო უკვე სხვა დანარჩენი. ბორანა შორს ცხოვრობდა, მეორე სოფელში, ხუთი კილომეტრი იქნებოდა იქამდე. ბორანას სახელი მთელ დასავლეთ საქართველოში იყო ცნობილი, როგორც რელიგიურ საქმეთა ბრწყინვალე მცოდნის; თუკი ვინმეს ბატონები ესტუმრებოდნენ, თუკი ვინმე გათვალული იყო, თუკი ვინმეს ჟამი შეეყრებოდა, ანდა ოდესმე დაწყევლილი იყო ვინმეს მიერ — ყველა ბორანას მიმართავდა. ბორანაც არ იზარებდა: ვის ეკლესიაში ნაყვებოდა, ვის რჩევას აძლევდა, ვისთან შინ მიდიოდა, ულოცავდა და ანუგეშებდა. "წმინდა გიორგის მადლითაო" იტყოდა ხშირად ამ მისთვის მაგიურ, ხოლო სხვებისთვის ასაბიად მოვლენილ სიტყვებს და ყველას სწამდა, რომ ეშველებოდა, ყველას სწამდა, დახსნილნი იქნებოდნენ ჯადოსნური წყევლისა და ავი თვალისაგან.

— მოიცა, ბებია! — გაგვაჩერა უცებ მზიამ და ქუჩის მიძირებაში მომავალ მანქანას მიაპყრო მზერა. ჯერ ასიოდე ბიჯიც არ გაგვევლო.

— ოდი, მაგ მანქანას სარკესთან მწვანე შუქი ხომ არა აქვს? — მკითხა მზიამ, — ნაღდად ველოდია, ბიძაშენი.

— მგონი, მართლაც, — ვთქვი მე. მალე მოგვიახლოვდა თეთრი "ვოლგა", ბიძაჩემი იყო, დეიდას მეუღლე. გააჩერა და სარკე ჩამოსწია.

— რა მოხდა, საით ამ შუაღამით?!

— შენ კი გაიხარე, ველოდი! სწორედ რომ დაბარებულივით გამოგვეცხადე! ცხრამუხაში უნდა წაგვიყვანო ახლა: ნათიაა ცუდად: ბორანა უნდა მოვიყვანოთ.

ყველანი დავსხედით. ველოდიმ მანქანა მოაბრუნა.

— რა დაემართა? — იკითხა, თუმცა რა თქმა უნდა ყველაფერი იცოდა, მომეჩვენა, რომ უფრო ზრდილობისათვის თქვა.

— ძალიან ანერვიულებულია, მე მგონი სიზმრის ბრალია. ბაბუა ვნახეო, აუჩემებია, დაწყევლილები ვართო. ამიტომ გვინდა ბორანა — იქნებ დაამშვიდოს.

სოფლის ოღროჩოღრო გზაზე ნახევარი საათი მოვანდომეთ ბორანას სახლამდე მისვლას.

— თქვენ აქ დაიცადეთ, — თქვა მზიამ და ორღობეში გაუჩინარდა.

ველოდიმ მანქანა მოაბრუნა.

— შენ რავა ხარ, ბიჭო? — მკითხა სასხვათაშორისოდ, მე გავიღიმე, ვითომ — არა მიშავს-მეთქი, — ეს გოგო ცოდვაა ასე, — მიუბრუნდა ბიძაჩემი თეონას, — შინ ჩაიკეტა და უფრო ეშლება ნერვები. გარემოს გამოცვლა იქნებოდა კარგი, — თეონამ თავი დაუქნია, — ჩემი მეზობელიც იყო ასე, ვიდრე გათხოვდებოდა, ახლა სამი შვილი ჰყავს და მშვენივრად უვლის. ნათიას ახლა გათხოვება უნდა და ყველაფერი რიგზე იქნება. — ჩაფიქრდა. მანქანის სალონში შუქი ენთო და კარგად გამოჩნდა, ერთი თვალი როგორ მოწკურა, მეორის წარბი კი ზემოთ აქაჩა, — ჩემთან მუშაობს ერთი, მძღოლია. კარგი ბიჭია. ოჯახიც მშვენიერი ჰყავს; დედ-მამა მოხუცები, ძმა ცალკე ცხოვრობს. ნათია ზედგამოჭრილი იქნება, ქალაქში ცხოვრობენ. ის ბიჭი მე დამიჯერებს, თუმცა ცოტა კი გამიჭირდება. თეონა, აი, ნახე თუ როგორ დაწყნარდება ნათია, — თეონას შეხედა, სურდა, რომ მას დაემოწმებინა. მე გავღიზიანდი, გულში საოცარი წყენა ჩამისახლდა. "რა ტუტუცია, რეებს როშავს, თეონასი მაინც როგორ არ რცხვენია?" უცებ შემძულდა ველოდი, მომინდა მანქანა დამეტოვებინა და ფეხით დავბრუნებულიყავი უკან. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ მზია და ბორანა. ბორანა წინ დაჯდა და ყველას მოგვესალმა.

— შენ მაინც ხომ გჯერა, მზია? — მოტრიალდა, მზიას მიაჩერდა და, ეტყობა, ადრე დაწყებული, საუბარი გააგრძელა — რა არ ვილონე, რა არ ვურჩიე; არა! გაგიგონია?! არაო! ერთადერთი ჭეშმარიტება იოჰოვაშიაო, თქვენ ყველას დაღუპვა გიწერიათო, სჯობს ეხლავე უარყოთ ეს თეატრი და ნამდვილი ღმერთი ირწმუნოთო, გამომიყვანა მოთმინებიდან, აქეთ დამიწყო ჭკუის სწავლება; ყველა ეგ თქვენი ეკლესია დასანგრევიაო, მისჩერებიხართ ნახატებს და ანთებთ ათასი უბედურებისაგან გამოჩორკნილ სანთლებსო. მეც ავდექი და წამოვედი; ოჯახის მამა რომ ასე ისაუბრებს, იქ რა საქმე მქონდა მეტი. აი ახლა ნახე: ოცდაშვიდი წლის ბიჭი უსვენია ეგერ სახლში! მისდიოს ახლა იოჰოვას! შემხვდა გუშინ მისი ცოლი...

— ნათელა?! — გაუკვირდა მზიას.

— ჰო, ნათელა, მიშველე, ბორანა, ვილუპებიო, რამდენი ვინმე გადაგირჩენია და ჩვენს ოჯახსაც გადმოხედეო. წამოიძღოლიე შენი შვილები, წინ გამოიყოლე შენი ლენჩი ქმარი და სამჯერ შემოუარეთ-მეთქი წმინდა ნინოს ეკლესიას, — თითი ზემოთ აიშვირა და თვალები საოცრად გაუფართოვდა, აუელვარდა თითქოს. თვალწინ ბიბლიური წინასწარმეტყველები დამიდგა, — ილოცეთ და მოინანიეთ-მეთქი. არ წამომყვებიანო. არ წამოგყვებიან და, ეს ერთი ხომ გისვენიათ ცხედარი, გეშინოდეს, სხვაც არ მოჰყვეს-მეთქი.

— გაიძახის მისი ქმარი, ჩემი შვილი რომ მოკვდა, მალე აღსდგება კიდევაცო, ეს თქვენ იკითხეთ ურწმუნოებმა და ულმერთოებმა, თორემო.

— აბა, რას გეუბნება?! ეშმაკი ჰყავთ შემჯდარი! მაინც ვინ დასწყევლა ასე; გგონია მაგათ ვუცადე?! არა! რამდენჯერ თვითონ გამოვულოცე, ერთხელ მამალი შევწირე ... ვინ დაწყევლა ეს უბედურები მაინც ასე, არაფერი რომ არ შველით?!

ბორანა უკვე მაშინებდა. საოცრად გამხდარი იყო. თავშალმობურულს მარტო ცხვირი და საოცრად დიდი, სველი, კრიალა თვალები ენაკვთებოდა სახეზე. ხანდახან რისხვა ჩაუდგებოდა თვალებში, ახლა იჭექებს-მეთქი, გავივლებდი გუნებაში ხოლმე. "არა, ძველი დრო რომ იყოს, უთუოდ კოცონზე დაწვავდნენ ჯადოქრობის ბრალდებით, ანდა თვითონ იქნებოდა ათასობით სხეულის კოცონზე აბრიალების მოთავე".

შუაღამემდე ესაუბრებოდა ბორანა ნათიას. ჩვენ ყველა ზალაში ვისხედით, მხოლოდ დროდადრო თუ უხმობდა ხან ბებიას, ხანაც დედაჩემს და ისიც ცოტა ხნით. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა ჩვენთან. რატომღაც მეგონა, დაღლილი, გატანჯული სახე ექნებოდა, ამიტომაც გამიკვირდა, ენერგიული რომ მეჩვენა, თვალებიც უელვარებდა როგორღაც, გამარჯვებულის იერი გადაჰკრავდა თითქოს.

— ჩაეძინა! — წარმოთქვა მტკიცედ და შემდეგ დედაჩემს მიუბრუნდა, — არ სჭირდება "ციკლადოლი" და "დიმიდროლი", გესმის?!

— ვიცი ბორანა მაგრამ რა ვუყო? არ ძინავს, მთელი ღამე არ ეძინება, მერე ნერვიულობს და ტირის.

— მაგას გადაეჩვევა. ეს წამლები კი დაასუსტებენ, ნერვებს დაუზიანებენ. ახლა მთავარი: უახლოეს კვირას უნდა შესწიროთ შესაწირავი. აუცილებლად ცხვარი უზვარაკეთ. ვინმემ, თქვენი გვარიდან უხუცესმა, უნდა გამოგილოცოთ. ერთი თვის შემდეგ კი ნათიას სახელზე ისევ უნდა შესწიროთ. იმას მე ვერ ვიზამ. აუცილებლად გაიხსენეთ: ხომ არ დაპირებიხართ ვინმე შესაწირავს, რომელიმე ხატს? — ბორანას ჩაჟინებული მზერით გადაჰქონდა ყურადღება სათითაოდ ყველაზე.

დედაჩემმა თავი გააქნია.

— არა მგონია! თუ ვინმე დაპირდებოდა, შევწირავდით კიდეც! — წარმოთქვა მამაჩემმა.

— გამოდის, ძველებიდან მოგყვებათ წყევლა მაშინ! — წარმოთქვა ბორანამ და ბებიას შეხედა. ბებია დაფიქრდა, შემდეგ კი თქვა:

— გამიგონია, მამამთილი ამბობდა; ბაბუადან მახსოვს, ხატზე ვყოფილვართ გადაცემულიო, მაგრამ იმასაც ამბობდა, ხარი შევწირეთ ილორის წმინდა გიორგის და გამოვილოცეთო.

— შეიძლება, მაგრამ ეტყობა არ იქნა საკმარი, ეტყობა, შემოსწყრა ღმერთი: თქვენც უნდა შესწიროთ, ყოველნაირად უნდა შევთხოვოთ! მაღალია მისი ნება! — ორივე ხელი ზეცისკენ აღაპყრო ბორანამ, და მე ცხადად წარმომიდგა თვალწინ, ძველი დროის ქადაგად დავარდნილი ქურუმი, — დიდება მის წმინდა სახელს! შენ დაგვიფარე ყოვლისშემძლეო წმინდაო გიორგი!

რატომღაც მომეჩვენა რომ ამ წუთას რაც უნდა მოეთხოვა ბორანას, ჩვენ ყველა უყოყმანოდ შევასრულებდით.

* * *

ეტყობა, სცოდნია აყოლიება, რომ არ მოელი ისე, სრულიად მოულოდნელად, ჯერაც დამოუკიდებელი რომ გგონია თავი — უკვე გახვეული ხარ სულეთის მისტიკაში. ნარკოზივითაა — გგონია, ჯერ არ მომერევა, ჯერ არ ჩამეძინებაო, და გძინავს უკვე, გათიშული ხარ, უცნაურად დაჰიპნოზებული. ვგრძნობ, თითქოს არც კი მემორჩილებიან თითები, ძლივს ვატრიალებ ძაფის კოჭს და არეულად, ბორძიკ-ბორძიკით მივუყვები კიბის საფეხურებს. არა, შეუძლებელია ყველაფერი უაზრობა იყოს! ჯანდაბას ყველაფერი, ეს ღამე ხომ რეალობაა?! მაშ მთვარიდან ჩამოფრენილმა ხომ არ გააბა ძაფი საავადმყოფოდან აქნობამდე?! ეს ხომ მე ვიყავი? მაშინ რას ვჯიჯგნი ჩემს სულისსკნელს იმის გამოსაკვლევად, მწამს თუ არა მწამს, მჯერა თუ არ მჯერა, უაზრობაა თუ ჭეშმარიტება?! რატომ არ მინდა შევეგუო, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რაც არის, მორჩა და დამთავრდა! ეტყობა, მალე ოჯახურ წრეში რომ ვიქნები, ის მალიზიანებს. საოცარია! საკმარისია, მ ა თ თ ა ნ სიახლოვე ვიგრძნო და ყოველგვარ გულწრფელობას ისე გავურბივარ, როგორც მოკვეთილი — სოფელს! იქნებ ნათიამ იქონია გავლენა? ისიც ხომ ასევე გაურბოდა მათ, როგორც კი თავისი მეობა დაუბრუნდებოდა — გაურბოდა, ვიდრე წამლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ასე თუ ისე ახერხებდა მ ა თ თ ა ნ ურთიერთობას. მერე კი, მერე... ღმერთო, როგორ მარტო იყო!

— ცოტა ნელა, ოდი! — მეძახის მთვარისა.

ნაბიჯს ვანელებ, ნუთუ შესაძლებელია სრული მარტოობა? რატომ მაქვს შეგრძნება, რომ ყველამ დავაგდეთ და გამოვესწრაფეთ?! ხომ არ დაგვღალა? ან იქნებ ჩვენც მარტონი აღმოვჩნდით? მაშ რატომ, რატომ, რატომ ვიგრძენი შვება, რატომ შემშურდა მ ი ს ი ბოლოს?!

27899

* * *

9.VII.1982 წელი. გუშინ სანაპიროზე შემეჩეხა მოულოდნელად; ბალიდან მოვდიოდი. ყოველთვის რომ მხიბლავს მასში, სიცოცხლის სიხარული ეტყობოდა, თითქოს ყველაფერი მისდა სასიკეთოდ ყოფილიყოს მოწყობილი დედამიწაზე, მხოლოდ ხანდისხან ვამჩნევდი სევდას, მის შავ, წყლიან თვალებში ჩაბუდებულს. ისეთი სიხარულითა და ისე ხმამაღლა მომესალმა, მთელი სანაპიროზე მოსეირნენი ჩვენ მოგვაჩერდნენ. მე გავწითლდი. ამიჩემა, გინდა თუ არა "ნართაში" დავსხდეთო. ოღონდაც ამ ხალხს მოვშორებოდი და არაფერს დაგიდევდი. გაეხარდა, რომ დავეთანხმე. ნაბახუსევი იყო და თავისი ჩვეული უდარდელობით ცდილობდა გულწრფელობა დაემალა. არადა, ვგრძნობდი ეს მხოლოდ აღელვების დასაფარად სჭირდებოდა. რაღაც უცნაურად საუბრობდა. შემდეგ ნაწყვეტების კითხვა დაიწყო "მესაფლავიდან". ვუთხარი "ვარაზ, ეს ლექსი არ მიყვარს-მეთქი". რატომო?

— თუნდაც იმიტომ, რომ სარკასტულია.

— ეს იმიტომ, რომ ცხოვრებაა სარკასტული, — გაეღიმა, — შენ შეიძლება ეს ლექსი, უფრო სწორად, ლექსის შინაარსი, ბანალურადაც მოგეჩვენოს, მე კი მგონია, რომ იგი ძალიან უბრალოა და ამიტომაც კარგი.

— მაინც რა მოგწონს მასში? — ვკითხე და ზღვას გავხედე: მბრწყინავმა სილურჯემ თვალი მომჭრა. რატომღაც შიშს ვყავდი ატანილი; ვიგრძენი, ვარაზი სხვა რამის თქმას აპირებდა, ან უნდოდა ეთქვა. ამასობაში "ნართას" მივუახლოვდით. ვარაზმა არაფერი მიპასუხა და კარში პირველი შემიშვა. შემდეგ პატარა ფაცხა მოძებნა და დავსხედით. თეთრწინსაფრიანი მიმტანი მოვიდა, რაღაცნაირად სასაცილო იყო: შავი გრუზა ულვაშები და თეთრი წინსაფარი. მოგვესალმა და ფურცელი მოიმარჯვა. ვარაზმა მე შემომხედა. მხრები ავიჩეჩე. მაშინ თვითონ შეუკვეთა, არც მომისმენია, მხოლოდ შუშხუნა დამამახსოვრდა, რადგან მიმტანმა ვერ გაიგონა და ხელახლა გაამეორებინა.

— მაინც რა მოგწონს ამ ლექსში? — შევახსენე ვარაზს შეკითხვა.

— ერთადერთი, რაც ყველაზე უფრო მხიბლავს და მომწონს, ისაა, რომ მგლოვიარენი ყოველგვარ პოზას იშორებენ, ნიღაბს იხსნიან და საზოგადოებას სახეში მიახლიან, — რაღაც ბრაზიანად გაიღიმა, — აჰა, დაგვინახეთ ჩვენეული სახითო, აჰა, აღარ გვეშინია სიშიშვლისაო ...

— კი მაგრამ, ვარაზ, შენ მთლიანად ივიწყებ დასაწყისს!!

— რომელ დასაწყისს?

— მათ პირველ სიყვარულს...

— კი მაგრამ, სიყვარული ვინ დანომრა, ნათია? — ისე მკითხა, გულში რაღაც ჩამელვარა, გამოუთქმელი.

— ვარაზ, მგონია, განზრახ ლაპარაკობ ასე: მათ ხომ ეს-ესაა დამარხეს უსაყვარლესი არსებანი, ლექსში ხომ სწორედ ესაა მთავარი?! ორივეს საკუთარ თავზე მეტად უყვარდა ისინი, ვინც დაკარგეს!

— ხო, მაგრამ სიყვარული ის კი არაა, რასაც დაკარგავ...

— ვარაზ, ასეთი მსჯელობით გამოდის — სიყვარული საერთოდ არ არსებულა, სიყვარული მხოლოდ... მხოლოდ ეგოისტური ყოფილა, გამოდის, მიყვარს, სანამ მჭირდება, მიყვარს, სანამ ცოცხალია...

— მოიცა, რა გინდოდა — სიკვდილამდე შავები ეტარებინათ?!

— შენ განზრახ ამძაფრებ, ვარაზ. მე მაგას არ ვამბობ! ეს ლექსი პოზაა, აქ ყველაფერი დაშვებაზეა აგებული, ეს ხელოვნური ამბავია, არ შეიძლება დღეს შეყვარებული დამარხო, ხვალ კი მეორე შეიყვარო მთელი არსებით! ამიტომაა ცოტათი ტრივიალური!

— ნათია, შენ არ გინდა გაიგო! — ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა ვარაზმა, შემეშინდა და სულმოუთქმელად მივაჩერდი, — ეგოისტური სწორედ მაშინაა სიყვარული, როცა მკვდარსაც კი გსურს, ის შენ გეკუთვნოდეს! ვერ იტან მას თავისუფალს! გაიხსენე ნოვალისი...

— ნოვალისს სულაც არ ყვარებია ის მეორე! — გავბრაზდი მე.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა; მას ცოლი მოჰყავდა. შენ არ გესმის: ჩვენ, ქართველებს, სიყვარულში თავისუფლება გვაკლია. მე გეუბნები, "მესაფლავეში" მხიბლავს არა ის, რომ ისინი დაქორწინდნენ. არა, ყველა ასევე მოიქცეოდა, ოღონდ ფარსულად! გლოვის წესებს დაიცავდნენ, საზოგადოების წინაშე ტანჯულის როლებს გაითამაშებდნენ და მერე, მერე დაქორწინდებოდნენ. ამათ კი დააკვირდი: შეიძლება თვითმკვლელობამდეც მისულიყვნენ, მათი ცხოვრება უაზროდ იყო ქცეული, გესმის? ისინი განწირულობამდე მარტოსულნი აღმოჩნდნენ, მხოლოდ ერთმანეთს თუ გაუგებდნენ ამ მზისქვეშეთში, მათ სხვა ვერავინ ვერ გაუგებდა, ვერავინ! ამიტომაც ხალხს, საზოგადოებას დაუპირისპირდნენ, იმათი კანონები არად ჩააგდეს, ნიღბები — ისევ მათგანვე აფარებული ნიღბები — მოიგლიჯეს და უკანვე გადაუგდეს, შიშვლები, სრულიად შიშვლები წარდგნენ მათ წინაშე. ამიტომაც აშინებს ხალხს გალაკტიონის ეს ლექსი. ადამსა და ევასაც კი შეეშინდათ, ღმერთის წინაშე შიშვლები დამდგარიყვნენ, ნათია, დაუფიქრდი: ღმერთის წინაშეც კი შეეშინდათ! ესენი კი ნახე — ბრბოსიც კი არ შეეშინდათ, — გარინდული ვუსმენდი. რაღაცნაირად გადმომდო განწყობა, მაგრამ მაინც არ გამიარა იმ უსიამოვნო გრძნობამ, რომ სხვა რაღაცის თქმას აპირებდა.

— მე ამ ლექსს ასე არ ვუყურებ, ვარაზ. შენ მას საოცრად ოპტიმისტურ ჭრილში ათავსებ, ამ ლექსში გალაკტიონის იმედსა და რწმენას ხედავ, რაც შეუძლებელია. მე მგონი, გალაკტიონი "მესაფლავეში" უიმედოა, ცხოვრების, სიყვარულის უაზრობას გრძნობს, სიყვარულზე რაღაც მწარედ, გესლით საუბრობს. ალბათ ეს მისი იმდროინდელი უნუგეშო მდგომარეობის ნაყოფია. მე სულაც არ ვუყურებ ასე ცხოვრებას და სიყვარულს, მითუმეტეს. რაც შენ წინ წამოსწიე, მაგაზე გალაკტიონი საერთოდ არ საუბრობს, ეს შენ მოიგონე, მაინც ვერ მივხვდი, რატომ, მხოლოდ ვიგრძენი, რომ მე მამტყუნებ რაღაცაში და რაღაცას მსაყვედურობ! — ვარაზს გაეცინა და მიმტანს შეხედა, რომელმაც ორი ბოთლი შუშხუნა, ხილი, შოკოლადი და ყავა მოიტანა. მადლობა გადავუხადეთ. ის წავიდა. ვარაზმა სიგარეტს მოუკიდა და მომიბრუნდა.

— არაფერსაც არ გამტყუნებ და გსაყვედურობ, ნათია. — შუშხუნა ჭიქებში ჩამოასხა. — მოდი, სიყვარულს გაუმარჯოს, — მომიჭახუნა ჭიქა და შესვა ღვინო, ლაწვები აუელვერდა. — ნათია, არაფერსაც არ გსაყვედურობ, — გააგრძელა დაწყებული საუბარი, — უბრალოდ, მგონია, შენ ცოტა მეტ ანგარიშს უწევ საზოგადოებას.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მეგონა, თუ ამას იტყოდი! — წყენა ვერ დავფარე და ჭიქა მაგიდაზე დავდგი. შეიძლება მართლაც იყო ასე, მაგრამ მაინც მეწყინა, არ მეგონა, თუ ასე გამიმეტებდა.

— რას ითხოვ, ვარაზ, ჩემგან? — გადამეწურა გული, ცოტაც და ვიტირებდი.

— მე არაფერს არ ვითხოვ, ნათია! უბრალოდ, ვიცი — როგორ გვინდა ვიცხოვროთ შენ და მე! — ისევ საოცრად აღელვებული იყო. — ნათია, იცი რა გვაკლია ყველაზე მეტად ქართველებს? — შემომხედა უცებ და თვითონვე უპასუხა საკუთარ შეკითხვას, — არ ძალგვიძს ისე ცხოვრება, თუ ტვინი არ ვიჭყლიტეთ ათასგვარი სიბრძნეებით, ანალიზებით, ჭოჭმანით, ფიქრით... ამასობაში კი ცხოვრება მიდის, მიდის შიშით, შიშით საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ... ვერ გაგვიცნობიერებია, რომ ბაგეუკრძალავნი მაინც წამოაყრანტალებენ უამრავ სიბინძურეს... შენ მე უდარდელს მეძახი იმიტომ, რომ ხალხის ენაგესლაობებს არად ვაგდებ, მათი ჭორები სასაცილოდ მიმაჩნია; შენ რა გგონია, ჩემზე არ მოქმედებს? მაგრამ ვცდილობ, როგორმე მაგათზე მაღლა დავდგე, და ხანაც საოცრად მაცოფებს ის, რომ მათ ამდენ ყურადღებას ვუთმობ... ზოგჯერ კიდევ, როცა ცხოვრებისეული საზრუნავნი არ მომასვენებენ, ვსვამ და, დიონისესი არ იყოს, ამით ვიამებ წუთისოფლის გიჟურ ვნებებს!!! — დაამთავრა ღიმილით. შემდეგ წამით ჩაფიქრდა და გაჩუმდა. მერე კი უცებ მომიბრუნდა:

— ნათია, ხომ გახსოვს; ღმერთმა ჯერ კიდევ სამოთხეში ყოფნისას აგვიკრძალა იმაზე მეტის ცოდნა, ვინემ შეგვეძლო, სამაგიეროდ, გვიბოძა სიცოცხლე, რათა გვეცოცხლა! მაგრამ არა! ცხოვრებას ჩვენ ფიქრი და განსჯა, ცოდნა და ჩხრეკა ვარჩიეთ და ჯოჯოხეთად ვიქციეთ არსებობა!

მწარე ღიმილით დაასრულა. მე ღიმილის თავიც არ მქონდა.

— ვარაზ, რატომ გინდა დაივიწყო, რომ შვილი გყავს, შვილი და ცოლი, გესმის?! შენ გინდა, მე შუაში ჩავდგე და...

— და სოფლის ყბაში ჩაგაგდო, არა?!

— ეს გესლია, ვარაზ! — ცოტაც და ისე ავტირდებოდი, ვერავინ და ვერაფერი დამაწყნარებდა.

— ნათია, მომისმინე: შენ ხომ იცი — მალე გავეყრები, რახანია შეტანილი მაქვს განცხადება სასამართლოში. ვაიძულებ, დათანხმდეს განქორწინებას... შეუძლებელია ვინმემ საკუთარი ნება მომახვიოს თავზე. მე თავისუფალი ვარ, გესმის, თავისუფალი, შეუძლებელია ჩემი დაბორკვა! შენ მაინც ხომ იცი: როგორც კი ოდნავ დამბორკავი და დამთრგუნველი სიოს ქროლვა ვიგრძენი, უმალ დავშორდი და ამის შემდგომ ახლოსაც აღარ გავკარებივარ!

— კი მაგრამ, ვარაზ, შენ ხომ იცი: ის არასოდეს არ დაგთმობს, ისიც ხომ იცი — ჟუჟუნა დეიდას როგორ უნდა თქვენი შერიგება? მერე მე როგორ შევხედო ჟუჟუნა დეიდას თვალებში? შენც ყველანი უნდა დაჰკარგო!

— ნათია, როგორ არ გესმის! მე არ შემიძლია თავდადრეკილი ცხოვრება! წარმოუდგენელია, რამესთვის ჩემი "მე" დავთმო, მთელი სანათესაოს მომდურვებაც რომ დამჭირდეს, ყველამ რომ დამკარგოს, მაინც ჩემსას ვიზამ! გესმის, მე თავისუფალი ვარ, თავისუფალი ვარ თუნდაც იმიტომ, რომ სიყვარული შემიძლია!

იმ წუთას მზად ვიყავი, თუნდაც ჯოჯოხეთში წავყოლოდი, ამის ნაცვლად კი წარმოვთქვი:

— მე არ შემიძლია, ვარაზ, იმ ძერას ვგავდე, რომელიც დაჭრილი ნადირის სიკვდილს ელოდება!

— ნათია! — ფეხზე წამოიჭრა, — ნათია, გესმის, რას ამბობ?! — ლამის იყო იყვირა. ტირილი ამივარდა, შემდეგ მახსოვს რომ მამშვიდებდა და პატიებას მთხოვდა ...ღმერთო, კიდევ აქეთ მთხოვდა პატიებას!

* * *

ვგრძნობ, როგორი თვითკმაყოფილება მეუფლება, თითქოს სფინქსის გამოცანა ამომეცნოს — გრძნობა საკუთარი ღირსებისა, ფრთხილად ვშლი ძაფს და ნელა მივუყვები საფეხურებს ზემოთა სართულებისაკენ: კოჭი ტაატით ტრიალებს. უკან მთვარისა მომყვება ანთებული სანთელით ხელში, შემდეგ კი გუდუნა მოდის სიმღერით. მესამე სართულის ბაქანზე ვისვენებ, კიბის საფეხურებზე უშნოდ გაბლანდულ ძაფს ვასწორებ და ისევ ვაგრძელებ გზას. ასეთი მაღალი არასოდეს მომჩვენებია, რაღა ახლა გახდა უსასრულო? ნეტა მასაც უჭირს? არა, სული მსუბუქია, დაუღალავი. უკვე ისე ვმსჯელობ, თითქოს მართლა სული მომყავდეს. იქნებ უბრალოდ შევეჩვიე აზრს? როგორი კმაყოფილი სახე გაუხდება მამაჩემს... იქნებ განზრახ არ გაშალა თეთრი აფრები? იქნებ ქვეცნობიერში ჩალექილმა ბოლმამ იფეთქა? თუკი მას დაავიწყდა, რაღა ყველას ამოუვარდა მეხსიერებიდან? გამარჯვებულებს რაღამ დაავიწყათ. ანკი რა გახსენება ამას უნდოდა: არავის არ შეეჩხირა თვალებში იმხელა შავად მოელვარე იალქნები?! ეტყობა, უწია. ზღვაშივე ჩაიხრჩო თვითონაც! იქნებ მართლაც დაავიწყდა დაკარგულ თუ მიტოვებულ სულისსწორზე მონანიეს. მაგრამ განა ისიც თვითონვე არ გასწირა ლაჩრულად? თუნდაც ღმერთს რაღაისათვის უთმობდა?! ხოლო შემდგომი მწუხარება — საკუთარი უსუსურობისა და უნიათობის ტრიუმფი მხოლოდ... და თუნდაც არ გაეცნობიერებინა, თუნდაც მართლაც დავიწყნოდა: შედეგით მაინც მკვლელი არ გახლდათ? მის სიკვდილში წილდებული მაინც?! მეშვიდე სართულზე ამოვსულვარ უკვე. დერეფანი განათებულია: მეზობლები გამოფენილან და სანთლები უკავიათ. შინაურები იქნებიან ალბათ ოთახში.

* * *

როგორც კი ოთახში შევედი, მაშინვე ვიგრძენი შინაურთა და მეზობლების რაღაცნაირი, იმედით აღსავსე მზერა, მაგრამ წამისად ნათიას თვალები შემხვდა და უმალვე დამეუფლა უმწეობის ერთგვარი გრძნობა. "მხოლოდ მას ვერ შეაცდენ და ვერ მოატყუებ, ეგრევე დაგანახებს საკუთარ თავს და იყბედე მერე რამდენიც გინდა, თუნდაც ერთი თვალის შევლებით!"

მეზობლებს მივესალმე და შაშხანა კუთხეში მივაყუდე, ტახტის გვერდით, სადაც მოვკალათდი. მზიამ გამიღიმა და მითხრა, რა ისმის, შვილოო?

— რა ვიცი, მზია ბებია, ახალი ამბავი თქვენ უნდა მითხრათ, — გავუღიმე მეც და ტელევიზორისაკენ მივუთითე, — მე ვერაფერს ვხედავ სანგრიდან.

ახლა ეთერი მომიბრუნდა. ჩვენს უკან ცხოვრობდა. ორმოცდაათს იყო მიღწეული. ერთი ბიჭილა ჰყავდათ. ვიგრძენი, რაც უნდა მეკითხა და დავასწარი:

— ბადრი და ავთო საგუშაგოზე დავტოვე, ხვალ დილით მოვლენ.

— არ დამთავრდება, ოდი? — გამიღიმა ეთერიმ და მეც ყალბად, ისე როგორც ტყუილის, ხუმრობაში გატარებული ტყუილის, თქმისას გავიცინე და ვუთხარი:

— სულ ცოტა, პანაწკინტელაც მოითმინე ეთერი და ფსოუზე ვიბანავებთ.

ეთერიმ ისევ გაიცინა: ერთი წელი იყო, რაც ასე ვეუბნებოდი და, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა ცრუ პათოსს, ვხედავდი, მაინც იმედით განეწყობოდა ხოლმე.

— შენ რა უნდა იბრძოლო, ბიჭო?! — შემომხედა ნათიამ განაწყენებული თვალებით. გული გადამეწურა, ჯუჯად ვიქეცი თითქოს.

— ბრძოლა რად უნდა, ნათი, მთავარია სათვალავში ვყავდეთ საგუშაგოზე, — ვცდილობდი ხუმრობით მაინც მომეხსნა ჩემი უმწეობა.

მამაჩემმა შემომხედა და ფრთხილად დაიწყო:

— ნათია და მართა უნდა გავხიზნოთ ქუთაისს: ითხოვე ერთი კვირა და გააცილე! — იცოდა, მომთხოვნი კილო რომ არ ჰქონოდა, უფრო გამალიზიანებდა.

— მე ახლა არსად არ გამიშვებენ, სჯობს შენ წაიყვანო.

— ერთი კვირით როგორ არ გაგიშვებენ?! წაყევი და მოდი, ხომ არ გაიქცევი?! — ხმას აუწია, — შენ თუ გერიდება, მე ვეტყვი...

— არ გამიშვებენ! — ლამისაა ვიყვირე. უფრო მისმა ნათქვამმა, ხომ არ გაიქცევიო, გამაბრაზა — გაქცევა, იარალის მიტოვება და გაუჩინარება ახალი ხილი არ იყო: ზოგი მიზეზით ტოვებდა ომს, ზოგიც უმიზეზოდ, ერთი სიტყვით, ტოვებდა. ვიცოდი, ნათია არ მიდიოდა უჩემოდ. ჩემი გარიდება უნდოდა იქედან. რომ გავყოლოდი ქუთაისში, იქ ათას მიზეზს მოიგონებდა და, თუ ვერ დამტოვებდნენ, დამაყოვნებდნენ მაინც, თანაც, ყოველ წუთს ველოდით გზის გადაკეტვას ტამიშთან, შეიძლებოდა საერთოდ ვერ შემომელწია უკან. მაგრამ ისიც იყო: ბავშვები და ქალები ერთიანად გაკრეფილნი იყვნენ სოფლიდან, მხოლოდ ნათია არ მიდიოდა, ამიტომ მართაც უარობდა.

— რა იყო, ოდი, გაგვაცილე და წამოდი ისევ! — საოცარი წყენით თქვა ნათიამ.

— ნათია, არ გამიშვებენ! აგერ, — მამაჩემზე მივუთითე, — გაგაცილებენ, მე რად გინდივართ?! — ნათიამ მწარე ღიმილით შემომხედა, ჟრუანტელმა დამიარა და ხმას ავუწიე, — რისი გეშინიათ, ისინი აქ ასი წელი ვერ შემოვლენ ! მტკიცედ ვთქვი, არა, ეჭვიც არ მეპარებოდა მაშინ...

— რომ შემოვიდნენ?! — იკითხა მზიამ მკაცრად.

— თუ შემოვიდნენ, რა აზრი აქვს: რა ესენი მოუკლიათ და რა ჩვენ! — ცრემლი გადმოუგორდა ნუნუს.

— არავინაც არ შემოვა და არ მოგკლავთ! — წარმოვთქვი და დაღლილად გავიზმორე.

— არა, ნათიას სიკვდილის არ ეშინია, — თქვა მერიმ და გაიცინა, დედაჩემსაც გაეცინა, ნათიას გაეღიმა. მე რაღაც შიშნარევად შევკრთი. რაღაც მწარე უხერხულობის გრძნობა დამეუფლა და გავღიზიანდი.

უცებ ამაზრზენად გაიშხუილა და მოშორებით გამაყრუებლად გასკდა ჭურვი. ყველა იატაკზე ჩაიკეცა, მზია კარს მიაწვა. პირველს მეორე მოჰყვა. ვიკადრე ტახტის დატოვება. "ეშმაკმა დასწყევლოს, ორას ნაბიჯზეც არ იქნება..."

— გარეთ ნუ გახვალთ, უარესია! — წამოვიძახე და კუთხეში ჩავცუცქდი. "სახლს თუ მოხვდა — მშვიდობით! ეს კედელი ფანერივით დაიფშვნება..."

ისევ გაიწუილა და ჭახანით გასკდა. უკვე ხმებითაც ვასხვავებდით — მოხვდა რაღაცას და ჭახანის ხმა ამიტომ ჰქონდა. მზიამ შეჰკივლა. "ახლა განგაშს ატეხენ..." განგაშს სკოლის ზარით ვატყობინებდით ხოლმე. შტაბის წინ იყო ჩამოკიდებული უზარმაზარ ჭადარზე მანქანის ბორბლის ვებერთელა დისკო და მასზე რკინის ნაჭერს ურაკუნებდნენ, მთელ სოფელში ისმოდა. როგორც კი დაბომბვა დამთავრდებოდა, ვიცოდით, დარეკავდნენ: ყოველთვის დაბომბვის შემდეგ იყო მოსალოდნელი თავდასხმა. ისევ იწივლა და გრუხუნს ახლა საოცარი მსხვრევის ხმას მოჰყვა. მალე საშინელი კაკანი ატყდა, ავტომატური ჯერის მსგავსი.

— ვაიმე შემოვიდნენ, სროლებია! — აკივლდა მზია. ძლივს დავაწყნარე: შიფერი იწვის და იმისი ტკაცუნია-მეთქი. საოცრად ჰგავდა ხმით. დამშვიდდნენ, თუმცა რა ნუგეში იყო: სულ ახლოს იწვოდა ვიღაცის სახლი, იქნება ვინმე ყოფილიყო შიგნით ჩარჩენილი. ისევ იწივლა და სულ ლიწინ-ლიწინით ჩამოიფშვნა სარკმლის მინები. ამაზრზენად იკივლეს ქალებმა. შაშხანა მოვძებნე ხელებით და მაგრად ჩავბღუჯე, მიშველიდა თითქოს რამეს. შემდეგ ნათია მოვნახე თვალებით: ერთიანად ცახცახებდა. უკვე ვიცოდი — ის აუცილებლად წავიდოდა, და ისიც ცხადი იყო: მას აქედან უჩემოდ წასვლა უფრო მეტ ნერვიულობასა და ტანჯვას მოუტანდა, ვიდრე აქ დარჩენა. მას ხომ არაფრით არ შეეძლო მიტოვება.

* * *

დერეფანში მივაბიჯებ და ძაფს ნელა ვშლი კოჭიდან. გუდუნა მთელი მონდომებით უკრავს ჩონგურზე, ეტყობა, ექსტაზშია. ღია კარში შევდივარ. ნაზია მაჩერებს.

— ჯერ მამალი უნდა შევიდეს, ნანა. — მამალს მთელი რუდუნებით უშვებენ ოთახში.

— მოდი, ნათია, მოდი, შვილო... შენს ოთახში შემოდი, შენს საწოლზე დაიძინე, შვილო, — მესმის დედაჩემის მავედრებელი ხმა... რაღაც ყალბად მეჩვენება, არ მჯერა, მას სწამდეს ყოველივე ამისა, — შემოდი, შენი ჭირიმე, ნუ გაგვინაწყენდები, ნათია, მშვიდად მოთავსდი შენს ადგილზე, შემოგევლე, მოდი, ნათია, გენაცვალე...

ძაფის კოჭს ნათიას ლოგინზე ვდებ და უკან ვიხევ. ნაზია სანთელს ანთებს. მამიდა და კიდევ რამდენიმე მეზობელი ოთახში არიან, სხვები ღია კარიდან იხედებიან, ყველანი მამალს მისჩერებიან, თითქოსდა სასწაულს ელიან რასმე. გათავისუფლდა სული... წარმოდგენა დაიმშვიდეს იმისი აღქმით, რომ ნიშანთან ეყოლებათ საავადმყოფოს ბნელი ტალანებიდან გამოხსნილი. მთავარია, სხვისი გავლენებიდან გამოვიხსნათ და, ჩვენ თუ დავამწყვდევთ, ამას გათავისუფლებას ვეძახით... მაინც რა საოცრად იჭიმებოდა გზაზე?! თითქოს ცეკვავდა. წარმომიდგენია, მასზე სული რომ ყოფილიყო მოსიარულე, გამალებით... მაინც როგორ დაუთმო?! ნუთუ ერთხელაც არ შეეწინააღმდეგა? იქნებ მართლაც ღმერთმა მოუკლა?! მერე რას არ დათმობდა... თუ მოწყინდა და ულმობლად მიაგდო ნაპირს? შემდეგ კი ღმერთის ნებით სცადეს გმირის გამართლება. ხალხს ხომ უყვარს ყველაფრის ახსნა ღმერთის ნებით, ღმერთის სურვილით... გმირს ხომ მარტოდმარტო არ შეატოვებდნენ ლაჩრულ ქცევას? შემდეგ რაღად სწუხდა? თუ ეს წუხილი იყო საჭირო, უაღრესი ცოდვა რომ შეემსუბუქებინათ გმირისთვის? რომ არა ეს "წუხილი", ხომ არ დაავიწყდებოდა, მაშინ ხომ არ მოკვდებოდა ის?! ნუთუ მხოლოდ მიზანსცენა იყო ის "წუხილი?!" რა გაფართოებული თვალებით მისჩერებიან. გამოთაყვანებუ-

ლი ხალხი. ელოდებიან, ხომ არ ალაპარაკდება მამალიო! თუმცა რას ვერჩი, ეტყობა, ის მალიზიანებს — ცოტათი მეც რომ გამხვია თავის მისტიკურობაში. გამოვდივარ ოთახიდან და ბორანას ვეძებ, მეზობლები გზას მითმობენ.

* * *

მეზობლებმა აღტაცებით ამოუშვეს მოწონების შეძახილები; ნათიამ დიდ ლანგარზე მოთავსებული, ვებერთელა ტორტი შემოიტანა. იმხელა იყო, ძლივს მოჰქონდა. თეთრი, მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა ოდნავ, ჩინური ზიქურატივით აზიდულიყო მრგვალად, თანდათობით ვიწროვდებოდა, გარედან ღრუბლის ქულებივით რბილად ჰქონდა მოფრქვეული მოყვითალო ფიფქები. ტორტის თავზე ლამაზად, შოკოლადის კრემით იყო გამოყვანილი 30, საიუბილეო თარიღი. სახე ნათიას სიხარულისაგან ვარდისფრად გაბადროდა. წინა დღით რომ დაიწყო, შუადღით, ღამის თორმეტ საათზე ძლივს დაამთავრა, მაცივარში არ შეეტია და იძულებული გავხდით შიგთავსის თაროები გამოგვეტანა, მაინც გაჭირვებით ჩავაკვეხეთ.

როგორც კი ინათა, მაშინვე შეუდგა ნათია კერძების მომზადებას. დედა ნაკლებად ერეოდა, — ნათიას თვითონ სურდა გაეკეთებინა ყველაფერი, თუმცა საცივი მაინც დედამ მოამზადა. მე იმ წელს სკოლას ვამთავრებდი უკვე და ასეთი რამეები სენტიმენტალობად მიმაჩნდა, მხოლოდ ნათიას ხათრით ვცდილობდი არ შემემჩნია.

პირველად მერი მოვიდა, ასთმა სჭირდა და ძლივს ამოათავა კიბის საფეხურები, ერთი ხელი გულზე ჰქონდა მიდებული, თითქოს ჰაერის უკმარისობას ივსებდა ამით. უხაროდა, ხუმრობა ხომ არ იყო: მთელი ერთი წელი იქნებოდა, რაც ჩვენთან არ მოსულიყო, არადა, გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით, ერთი ღობე გვყოფდა. ასთმასთან ერთად ნიკრისის ქარიც ანამებდა მერის, ძლივს დაათრევდა ფეხებს, საკუთარ ეზოში თუ გამოვიდოდა.

ნათია ღიმილით მიეგება.

— გილოცავ, ნათია! — გადაკოცნა მერიმ. ნათიამ სკამი გამოუტანა: მერი სამზარეულოში მოკალათდა ბუხართან. მას მალე დაიცა მოჰყვა; დაიცა მოშორებით ცხოვრობდა, როგორც იტყვიან: კარის მეზობელი არ იყო, მაგრამ ნათიას ნემსებს უკეთებდა ხოლმე და ამიტომაც მოხვდა დღეობაზე. საერთოდ, ალბათ დიდი ვერაფერი სიყვარული გაუჩნდება ადამიანს იმის მიმართ, ვინც ნემსს უკეთებს, მაგრამ დაიცამ ისეთი მოფერება, მისიყვარულება იცოდა: ვხედავდი, ნათია როგორი პატივისცემით განწყობილიყო. ჯერ სასტიკი წინააღმდეგი იყო საერთოდ ნემსის კეთების: არაფერში არ მჭირდება, უკვე კარგად ვარო. ნემსი თვეში ერთხელ იყო გასაკეთებელი, მაგრამ მაინც უარს ამბობდა. შემდეგ იყო, დაიცამ ისე დაუყვავა და მოთაფლა, რომ უკვე არ უჭირდა და დიდი ემოციით ელოდებოდა იმ დღეს, როდესაც დაიცა უნდა მოსულიყო.

— ო, ჩემი ნათულა, არ დაივიწყე ხომ ბებერი დაიცა?! — ხელი ჩამოართვა და გულში ჩაიკრა, — რა ლამაზი ხარ, ნათია?! — გულწრფელად შეხედა დაიცამ, ყოველშემთხვევაში რომც არ ყოფილიყო გულწრფელი, მაინც ისე გამოსდიოდა, ეჭვს ვერ შეიტანდი; მომატებულხარ კიდევაც ნათულა! — შემდეგ მე და დედას მოგვესალმა.

— ნემსი როდის უნდა გავიკეთოთ, ნათულა? — ჰკითხა ნათიას. მეგონა, ეს კითხვა უტაქტო იყო, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ნათია სულაც არ გაღიზიანებულა.

— ათ იანვარს, დაიცა ბიცოლა.

— ათი რა დღეა, შვილო?! — მომაჩერდა უცებ.

— დღეს კვირაა, — უცებ ვერ მოვიაზრე მე, — ოთხშაბათი, დაიცა ბიცოლა.

ამ დროს მარიცა მოვიდა, ნათიას სკოლის მეგობარი. მისთვის არავის უთქვამს, სოფლის მეორე ბოლოში ცხოვრობდა, მაგრამ, ეტყობა, ახსოვდა ნათიას დაბადების დღე. მეც კი ვგრძნობდი, რომ არ იყვნენ დიდი მეგობრები, თუმცა ამ სოფელში მასზე ახლო მეგობარი არავინ ჰყავდა ნათიას.

ნათიამ მარიცა ზალაში შეიყვანა.

— მზექალა, როგორაა ახლა, ხომ არ ღიზიანდება? — ჰკითხა დაიცამ დედაჩემს დაბალი ხმით. დედამ ერთი ამოიოხრა, ხელოვნური მხიარულება ჩამოიშორა სახიდან და თქვა;

— რა ვიცი, დაიცა?! ახლა უფრო კარგად სძინავს, არც აგრესიულია, შედარებაც კი არ შეიძლება. მაგრამ მეშინია! ისევ რომ გახდეს ცუდად?! თითქმის ყოველთვის გაზაფხულზე ხდებოდა ავად. მხოლოდ შარშან არ მობრუნებია... ამიტომ მინდა როგორმე არ შევუწყვიტო ნემსები. ექვსი თვის მერე წელიწადში ოთხჯერ ექნება გასაკეთებელი, შემდეგ კი ორჯერ...

— სხვა წამლებსაც ღებულობს?!

— მარტო ერთს, სხვა ყველაფერი მივუტოვეთ, იმისი მიტოვება კი მეშინია: ისევ უძილო ღამეები რომ დაეწყოს, უცებ გახდება ცუდად. — ყველანი ჩაფიქრდნენ. მე მაღიზიანებდა ეს საუბარი, მაგრამ არაფერი მითქვამს; დაიცასი მერიდებოდა. უცებ დაიცამ იკითხა:

— მაინც რა არის ასეთი, მზექალა? ნერვიულობა... მესმის, კი, ბევრი ჰქონდა, მაგრამ ამდენი მკურნალობის შემდეგ?! თქვენ ხომ არაფერი დაგიკლიათ... რა იყო ასეთი, რომ ვერ მორჩა, რატომ უახლდება ტკივილები?! — დედაჩემს ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან, უხმოდ მოიწმინდა და თქვა:

— რა ვიცი, დაიცა, ექიმმა მითხრა, ზოგჯერ მემკვიდრეობითია; მოვჩხრიკეთ ყველანი, მაგრამ არავინ გვყავდა ავადმყოფი. მან მითხრა, მაგას რა მნიშვნელობა აქვსო, შეიძლება სულაც მეექვსე თაობის წინაპარში იყო ავადმყოფიო.

სწორიც იქნება. გადარეული გვარია, შთამომავლობაც გადარეულნი შევერიიენით წუთისოფელს. ამათ ჰგონიათ, გიჟი მაინცდამაინც ქვებს უნდა ისროდეს შარაზე, ანდა შიშველი დადიოდეს ულრანებში...

თუმცა მაშინ, ადრე რომ არაფერი ემჩნეოდაო? ბავშვობაში არაფერი ეტყობოდა თურმე... სისულელეა... ასე ხომ ყველასა აქვს ჩალექილი რაღაც სულისსკნელში, განა არ შეიძლება, სწორედ მაშინ ამოხეთქოს, როცა არავინ არ ელის?

მალე ნაზია და ნუნუ შემოგვიერთდნენ. კიდევ ათამდე მეზობელმა მოიყარა თავი: ქალებმა და ბავშვებმა. ნათიამ, არ ვიცი რატომ, მამაკაცთაგან არავინ არ დაჰპატიჟა.

მე მეორე სართულზე ვიყავი წამოწოლილი ლოგინზე და მუსიკას ვუსმენდი. მხოლოდ ქეიფის თითქმის დასასრულს შევუერთდი მეზობლებს, როცა ნათიამ დამიძახა. სწორედ მაშინ იყო, ვებერთელა ტორტი რომ მოჰქონდა და მეზობლებმა აღტაცების გამომხატველი შეძახილები ამოუშვეს.

* * *

რაღაც მეტამორფოზას განიცდის სული თითქოს, საოცარი სისწრაფით მეცვლება განწყობა, ვერაფრით ვერ გავრკვეულვარ საკუთარ განცდებში, სამშვინველში ოთხმხრივი ქარი მიბერავს რეცა და გრძნობებიც წამდაუწუმ მი-დამო იხრებიან: ხან გალიზიანებული უმწეობის ქარაფში ვიჩეხები, ხანაც მშვიდი წონასწორობის მწვერვალზე ვარ. ო, რად, რაღაისათვის გავეხვიე დაუსაბამო წარსულში ჩაბლანდულ ბურუსში თუკი ველარაფერს გავაწყობდი აგერ სულ ახლოს, საკუთარ მრწამსში მორონინე გულისთმებშიც კი?! იქნებ ამაოდაც მეგონა, მითაჟამინდელი მისტერია მიხსნიდა ჩემი ფიქრების, ზრახვებისა და გრძნობების ამჟამინდელი ორჭოფობიდან, იქნებ სწორედ ეს იმედი იყო ამაო? იქნებ მხოლოდ ჩემი უნიათობა იყო მიზეზი, თორემ კაცმა პრეისტორიულ წარსულში კი არა, შენს მეობაში უნდა იპოვო საყრდენი სვეტი. საუკუნეთა მიძირებაში შეიძლება მართლაცდა დაფუთფუთებდეს რაიმე, გრძნობათა ამშლელი, მაგრამ სულის სიმშვიდეს მასში რას იპოვი, მითუმეტეს, ამ ტიალ, უთავბოლო და საშინლად ვებერთელა სამყაროში წონასწორობის სამარადისოდ შესანარჩუნებლად?! დერეფანში ნელა მივაბიჯებ. დაგვიანებული მეზობლები ახლაღა მოიჩქარიან ნიშანგაფენილ ოთახისაკენ. ჩემს დანახვაზე ცდილობენ აფორიაქება დაფარონ, მშვიდად მივლიან გვერდს და შემდეგ ისევე აჩქარებული ნაბიჯებით აგრძელებენ გზას.

— მართა და თამარი ხომ არ მოსულან? — ვეკითხები მაყვალას, თამარის დას.

— კი, მოვიდნენ, კიბეზე ამოდიან, — მპასუხობს, ცოტახანს მელოდება და მერე ისიც ნათიას ოთახისაკენ მიდის.

ნეტა ამათ ეჭვმიუტანლად სჯერათ და სწამთ, თუ მხოლოდ ცნობისწადილი აფორიაქებთ ასე? ნუთუ მხოლოდ წარმავალობის შიშმა შექმნა ეს მითოსი? დავიჯერო, უმწეობამ ამოახეთქინა ადამიანის გონს ასეთი იდუმალი ჩვევა, რელიგიურ წესად რომ დამკვიდრდა და ველურ ბუნებას შერწმული მისტიკურობის სულისშემძვრელ ნაშიერად შემოგვრჩა ჟამთა საწყისიდან?!

* * *

...1982 წელი. ღმერთო, არასოდეს ვყოფილვარ ასეთი უმწეო! არ მეგონა, ვერ წარმომედგინა, თუ სიყვარული ასეთ უმწეოს გამხდიდა! არადა, ხომ ვიცი — მიყვარს, სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ ვგრძნობ, რაღაც უხილავი ძაფებით ვგრძნობ, რომ არ შემიძლია! არ შეიძლება! არ შეიძლება მთელი სოფელი ავალაპარაკო, ვაჭორაო, ეს როგორ შევეჩეხე სოფელს! რა დაუნდობელი ყოფილა ქვეყანა, დაუნდობელი და მწარე, თუკი მართლა გიყვარს! ამათ ხომ სიყვარული არ შეუძლიათ! ესენი ხომ მხოლოდ მოგონილი წესების მონანი არიან! ლამისაა შევიძულო ყველა! მეშინია, არ შემზიზღდნენ! ვერ ვიტან ამ ენაგესლიანთა ბრბოს! ლამისაა ყველა მძულს, ვინც დაცქვეტილი ყურებით მომჩერებია! ყურებით და არა თვალებით! თვალებით როგორ გაბედავენ, მაშინ გულწრფელობის რაღაც ნასახი მაინც ხომ უნდა გამოურიონ, ამას კი ერთი წამითაც ველარ გაუძლებენ, მაშინ ხომ ისინი ბრბო აღარ იქნებიან! ღმერთო, რა მწარე ყოფილა, როცა გიყვარს, ტკივილამდე გიყვარს, გიყვარს სასოწარკვეთამდე და ასეთივე ძალით გძულს, გეზიზლება ყველა ის, ვინც ამ სიყვარულს გიშლის, გიკრძალავს არა პირდაპირ (ამის ძალა და გამბედაობა ვინ მისცა მაგათ!), არამედ საზიზღრად ლიზღურად, ბინძური გამოხედვით, გესლმწთოლვარე სიტყვით! არადა, როგორ გინდა მოერიო? ღმერთო, რამდენნი არიან?! ღმერთო, ყველანი ისინი არიან?! ყველგან ისინი დაბობლავენ! ღმერთო, ის როგორ უძლებს?! მეც ხომ იმითღა ვარსებობ, რომ მასზე ვფიქრობ, რომ სწორედ ისა მყავს მფარველად! საკმარისია ერთი სიტყვა მითხრას, ერთი გამოხედვით მაგრძნობინოს... რაღაც სასწაულის ძალით ვივსები. მაშინ არავისი არ მეშინია, არაფერი არ მაშინებს. მაშინ... იჭორაონ რამდენიც უნდათ...

ნუნუც ხომ თითქმის ყველაფერს მიგებს, მაგრამ მაინც, როცა გადაწყვეტით ვკითხავ რამეს, მეუბნება, რომ მე მეოცნებე ვარ, რომ არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქრო ისეთი კაცის სიყვარულზე, რომელსაც ცოლი ჰყავს, ცოლი და ბავშვიც! მერე რა, რომ ახლა პატარა წაკინკლავებულნი არიან და დროებით დაშორებულნი?! როგორ მოძღვარის ტონით მელაპარაკებოდა; ქართულ ოჯახებში ეს ჩვეულებრივი რამეაო — ათასჯერ წაჩხუბდებიან და შერიგდებიანო. პირიქით, რომ არ იჩხუბონ და ცოლი რომ მშობლებთან არ გაიქცეს, ოჯახი ვერც გამტკიცდებაო. შვილი არ ჰყავდეთ, კიდევ სხვააო; ანი უკვე მშობლები და ნათესავები არ დაანებებენ ოჯახის დანგრევასო. ისე მიხსნიდა, თითქოს მე არ მცოდნოდეს ეს ყველაფერი, თითქოს ამაზე ფიქრით არ მეთენებინოს ღამეები. დედა ვერაფერს ხვდება, საოცარია... როგორ არ უთხრა ვინმემ? ასე მგონია, ყველა ჩემზე უთითებს სოფელში, როგორც დამნაშავეზე, ყოველგვარ უსიამოვნების მიზეზზე. ხანდახან მართლაც მურმანის ეკალი მგონია საკუთარი თავი! მაგრამ რა ვუყო მას? მის წყლიან თვალებს? გაფართოებული მზერით რომ მომაჩერდება! რა ვუყო მის სიტყვებს?! როგორ მითხრა? "ბოროტების ყვავილებს" ვკითხულობო, რაღაც მოწყენილი ვიყავი, მერე რომელი დაგამახსოვრდა-მეთქი? ერთი ფრაზა მახსოვსო, და მითხრა: "შენ თოვლზე, მინას მიუკარებელ თოვლზე უსპეტაკესი ხარ, ნათიაო." ავკისკისდი.

ღმერთო, როგორ გრძნობს, საკუთარივით გრძნობს ჩემს განწყობას. იცის, რა მითხრას და როგორ დამამშვიდოს... როგორ გავიმეტო?! ხანდახან ბნედამორეულივით, მთვარეულივით მინდა აქედან გაქცევა, აქედან გაქრობა, მინდა გავფრინდე სადმე. თუნდაც დასაკარგავში, ოღონდაც აქ აღარ ვიყო, მაგრამ წამით წარმოვიდგენ უიმისობას, მხოლოდ წამით და ვნადგურდები, ვნაცარტუტდები, არარაობა ვხდები, და ვგრძნობ — არ შემიძლია, ერთი წუთითაც არ შემიძლია მარტო, ერთადერთს ყოფნა. ის ხომ ჩემი სულის თანაზიარი გახდა, როგორ ვიარო ნახევარი სულით?!

* * *

რაღაცნაირი გაოგნებით ვუყურებ მეზობლებს; ისე მიცქერიან, როგორც მრავალ ჭირგამოვლილ გმირს, მაგათ თვალში ავმაღლდი თითქოს. ჩემდაუნებურად სინანული მივლის სულისსკნელში იდუმალი, ამოუხსნელი. როგორც ვერმიღწევის მკაცრი თვითსაყვედური, გაშიშვლებულ, ძირისძირობამდე გაშიშვლებულ და ეულ, უკაცრიელ სამყაროში უმოწყალოდ გამოჭენებულ მეობისა; უსუსურობა, წუთისოფლისეული უდღეურობა რომ აჩეხვია გამჭვირვალე, უხილავ მინად და ვერ გაუღწევია, ვერ გამოსულა ცნობისწადილის დამაკმაყოფილებელ, მიუღწეველის მისაღწევ, ამოუხსნელის ამოსაცნობ, მარადიულ, მართალია უთავბოლოსა და ფართოდგაშლილ, მაგრამ მაინც აშკარა,

მაინც გონებისათვის რაღაცის მაუწყებელ გ ზ ა ზ ე, უსასრულობისა და იდუმალების, მომაჯადოებელი მისტიკურობისა და მობორიალე გაგებით აღსავსე გზასაწყისზე.

უხმოდ გავდივარ დერეფნიდან და ჩვენს ოთახში შევდივარ. მამაჩემი, იმედო, ავთო, ტარიელი და ბორანა დგანან გაშლილი მაგიდის ირგვლივ, ეტყობა, მე მელოდებიან. კარგად მოუფიქრებიათ; ძალიან მინდოდა, რაღაცნაირად მსურდა, უფრო მეტი მადლიერების გარეშე არ გამეშვა ბორანა.

— მიირთვი რამე, ბორანა, — ეუბნება მამაჩემი.

— კი, გმადლობთ! — ხელით უკან აბრუნებს მოწოდებულ ლანგარს ბორანა.

— არ მინდა, ვივახშმე უკვე.

მე ცოტას ვილევ თეფშიდან შემწვარ თევზს. ავთო ღვინოს ასხამს.

— ჩვენ დაგვმალეს, — ამბობს იმედო, — არ შეიძლება, ნასვამები ხართ და არ უნდა შეეჩეხოთო, ყველანი გამოგვყარეს.

სჯერათ, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. ნეტა ოდნავი წინააღმდეგობის სურვილი მაინც არ უჩნდებათ? ნუთუ ეჭვი არ ეპარებათ... დავიჯერო, სწამთ?! მაშ ჩვევისადმი პატივისცემის სურვილით იქცევიან ასე? არა, მგონი, უფრო სჯერათ. ამათ ოჩოკოჩისა და როკაპების არსებობაც სწამთ. დარწმუნებულნი არიან, რომ შეიძლება ღამით, გვიან ღამით მომავალ მგზავრს ჭინკამ ქვები დაუშინოს, რომ წელიწადში ერთხელ ტაბაკონაში იკრიბებიან, რომ ამინდი ღვთაება ტაროსზეა დამოკიდებული და რომ ზღვიდან ბებრები ამოდიან; სწამთ, რომ ყოველგვარ უბედობას ფეთიანი როკაპებისა და მზაკვრების შემოხვდომა იწვევს. მაშ ძაფმა რა დააშავა, ეს ხომ მაინც უფრო ხელშესახებია, ვინემ ტაბაკონას მწვერვალზე მორონინე მითიური არსებანი? ცხოვრებაც მითია, კარგად მიხვდნენ წინაპრები: ვერ გაძლებდნენ მხოლოდ მიწაზე არსებული სინამდვილით და რაღაც სასწაული მოუნდათ. მაგრამ თითქმის ყველა ერს რომ აქვს დაახლოებით ამგვარივე რწმენა? ირეალურის რწმენა? ტიბეტელებს ხომ რაღაც განსაკუთრებული ცოდნაც კი ჰქონდათ — "სიკვდილის წიგნი" თუ "წიგნი მიცვალებულებზე"?! ისე ესაუბრებოდნენ მიცვალებულებს, უფრო სწორად, მიცვალებულთა სულს, როგორც საშინელ, სახიფათო მოგზაურობაში მყოფ ადამიანს, საზიზღარი განსაცდელის მომლოდინეს. დავიჯერო მხოლოდ გამოცდილებითა და დაკვირვებით შეიქმნა ეს რიტუალი? მეტაფიზიკოსი იტყოდა: ემპირიული ცოდნის ნაყოფია თუ უკვე აპრიორი არსებობდაო? ნუთუ მანამდე დაფუთფუთებდა ჩვენს ტვინში, ჩვენს ცნობიერებაში, სანამ რამეს მიხვდებოდა, გაიგონებდა, სანამ გამოცდილება უკარნახებდა, სანამ ცხოვრებისეულად მივიდოდა ამ დასკვნამდე? ნეტა თვითონ ხომ არ შექმნა ადამიანმა? მოიგონა? რისთვის? თავი უნდა დაეცვა? ეშინოდა ამქვეყნიური არსებობის? იქნებ ადამიანს მართლაც არ ყოფნის ვაჟკაცობა, იქნებ ადამიანი უსუსური და უმწეოა დედამიწაზე, თუკი რაღაც არ ირწმუნა, რაღაც საოცარი და მილმიური? სხვანაირად ის მარტოა, ეული, უნებისყოფო. ეტყობა, წინაპართაც საშინლად ეშინოდათ მარტო, საკუთარ თავთან ობლად დარჩენის. ი ს ი ც ხომ სწორუპოვარი გმირი იყო, არავითარ ხიფათს, საშიშროებას არ ეპუებოდა, არც ყაჩაღების ეშინოდა და არც ურჩხულისა, სიყვარულისა კი შეეშინდა, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა, ყველაზე გულწრფელად, სწორედ ის გასწირა...! და შემდეგ მისცა თავი უთავბოლოსა და გმირისათვის სწორედაც დამამცირებელსა და უაზრო სინდისის ქენჯნასა და ვაებას...!

ამ თითქოსდა არაამქვეყნიური მოგზაურობის შემდეგ მოსაწყენი და რაღაცნაირად აუტანელი ხდება ოთახში შინაურებთან ერთად ყოფნა. და ვგრძნობ, თუ რატომ გაურბოდა ნათია ყველას, გარბოდა და იკეტებოდა მარტოდმარტო თავის ოთახში. თვალს ვაშორებ მობორიალე ადამიანებს და ზემოთ ვიხედები, ჭერისა და კედლის კუთხეში ბაბაჭუებს უზარმაზარი აბლაბუდები მოუქსოვიათ. კედლის თითქმის მთელ გაყოლებაზე უცნაურად არიან გადახლართულნი დაუსრულებელი მთაგრეხილებივით.

* * *

უხმოდ მივაბიჯებდი. სამგლოვიარო პროცესია კარგა შორს იყო გაჭიმული. დროდადრო გაისმოდა მოთქმა, ხმა ჩაწყვეტოდათ უკვე. შორიდან გამოჩნდა სასაფლაო, ბორცვზე იყო გაშენებული. მაღალი ვარჯოვანი ხეები შრიალებდნენ ნაზად. დიდი ხნის წინათ იყვნენ ალბათ დარგულნი, ადამიანთა იმქვეყნიური საცხოვრისი ალაგი აქ თუ იქნებოდა, არავის აზრადაც არ მოუვიდოდა ალბათ მაშინ, ამ მშვენიერ ბაღს რომ გეგმავდნენ. პატარა იყო სასაფლაო: ბორცვის თავზე შედარებით მორზენებულ ადგილზე თორმეტიოდე სამარე თუ იქნებოდა. მეტი აღარც დაეტეოდა და მამაჩემმაც ბორცვის ფერდობზე ჩააჭრევინა და მოასწორებინა მიწა. ბიჭები ორი დღე მოუნდნენ მიწის გასწორებას, ხოლო შემდეგ სამუდამო ბინის ამოთხრას. თუმცა მამაჩემი დარწმუნებული იყო, რომ "სამუდამო" ბინა არ იქნებოდა ეს ნათიასათვის, აკი ასე თქვა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში: როგორც კი დავიბრუნებთ მშობლიურ კუთხეს, შენს ნეშტს გავიმძლვანებთ წინ და ისე წავალთო, მერედა რა, რომ მე გამაღიზიანა ასეთმა თავდაჯერებულობამ და უადგილო გულგაუტეხლობამ? მერედა რა, რომ ვილაც უცნობმა ჩემს უკან, "მკვდრებს კი არა, ცოცხლებს გელირსებოდეთ იქ დაბრუნებაო", ჩაილაპარაკა? ეს სულაც არ ცვლიდა არაფერს: ეს ბინა ნათიასათვის მაინც "დროებითად" იქნა აღიარებული ყველას მიერ. საკვირველია, ადამიანებს როგორ გვამშვიდებს სიტყვა "დროებითი", თუკი ის რამე ცუდთანაა დაკავშირებული, და საზიზღრად გვძულს სიტყვა "მარადიული" ამ დროს. ამიტომ ეს სასაფლაო "მარადიული" რომ არ იყო ნათიასათვის (მათი რწმენით), საოცრად ამშვიდებდათ. ისე თუკი არაფერი აღარაა მარადიული, იქნებ არც სიკვდილი იყოს გამონაკლისი.

გამოჩნდა ფერდობზე გამორღვეული მიწა, პირდაფჩენილი ორმო და მის გვერდით ორმოდან ამოღებული ზედახორა, რომელიც ოდნავ გაესწორებინათ და ბორცვისთვის დაემგვანებინათ. ორმოს საშინლად დაელო ხახა. თითქოსდა ერთი ციდა თხრილია, სინამდვილეში რაოდენი სიღრმე აქვს, რამხელა სამყაროსთან გვაკავშირებს... ჩვენს სინამდვილეზე რამდენჯერმე უფრო დიდთან, უზარმაზართან... ღმერთო ჩემო, ნუთუ აქ ჩაწოლაღაა საკმარისი ადამიანთაგან ჯერაც აუხსნელი და მიუღწეველი, მისტერიული სიბრძნისა და არსის საზიარებლად?!

კუბო წესისამებრ სამჯერ შემოატარეს საფლავს და ბორცვზე დაასვენეს. უკანასკნელი გამოთხოვების შემდეგ ფრთხილად დაახურეს თავსარქმელი, სამ ადგილას დააჭედეს ლურსმნით, ორი მესაფლავე სამარის ორმოში ჩავიდა, სამმა კი კუბო მიაწოდა ზემოდან.

ესეც ჩვევაა: მესაფლავენი აუცილებლად მოგვარენი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ოჯახის ძალიან ახლობელნი უნდა იყვნენ, თანაც, საკუთარი სურვილით წამოსულნი, აუცილებლად კენტნი — სამნი, ხუთნი, შვიდნი და ასე შემდეგ. შემვსებად, ეტყობა, მიცვალებული იგულისხმება. თუკი ლუწნი იქნებიან, ერთ-ერთი აუცილებლად გარდაიცვლებაო. ნეტა ვინმეს თუ დაებადა სურვილი, დაერღვია ეს ვაშინერსი შემოწმების მიზნით? თუმცა, აბა, ვინ გაბედავდა ბედისწერასთან ასეთ შეთამაშებას! გასამართლებელ საბუთად თუნდაც ის იქნებოდა, სხვები არ შესწირვოდნენ მის ურწმუნობას, თანაც, ერთს თუნდაც გაებედა — სხვები ხომ არ დათანხმდებოდნენ ასეთ მკრეხელობაზე?!. ჩემს სიყრმის მეგობარს დავუსვი ერთხელ ასეთი კითხვა. მან კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მითხრა: კი მაგრამ, ეს ხომ იგივეა, კაცმა თავი მოიკლას იმის გასაგებად, არის თუ არა მილმიური სამყარო?.. მაშინ გამეღიმა, მაგრამ შედარებამ მაინც ჩამაფიქრა.

კუბო სამარეში ჩაუშვეს, თან ფეხები და სახელურები მოაძვრეს. შემდეგ ის ორი მესაფლავეც ამოვიდა. სამარიდან ამოსვლისას მათთვის ხელი არავინ მიუშველებია — ვაშინერსო, სხვის დაუხმარებლად უნდა ამოვიდნენო.

ყველამ სათითაოდ მოაყარა სამ-სამი მუჭი მიწა. მეც ჩავყარე: ფხვიერად განიბნა ყავისფერი მიწა ყვითლად შეღებილ ფიცარზე.

მესაფლავენი გულმოდგინედ მუშაობდნენ, სამარის ორმო თანდათანობით მიიწევდა ზემოთ, ქვესკნელს შთასასვლელი კარიბჭე იგმანებოდა თითქოს. საფლავი ამოივსო მიწით, გაუთანაბრდა დედამიწის ზედაპირს და შემდეგ მოგრძო ბორცვად აღიმართა სამარის თავზე.

* * *

ოთახში მთვარისა შემორბის.

— ეგრო, დედის სულს გაფიცებ, ეგრო, წამოდი! — საოცრად აღელვებულია, — წამოდი, რა დღეშია მამალი.

ცოტა ხანს გაჩერებულია, არ უნდა შეიმჩნიოს რომ შეშფოთებულია და მთლიანადაა გახვეული ჩვეულების მომნუსხველობაში. შემდეგ დგება და ნათიას ოთახისაკენ მიდის. ჩვენც მივდივართ.

ოთახში გასუსულები სხედან ქალები. დედაჩემი ხელებში ლოყებჩასვენებული შეჰყურებს მამალს. მამალი ნათიას ნიშანგაფენილ ლოგინზეა შემოსკუპებული, ბიბილო წითლად ულაულაყებს, ბუმბული აბურძგვნია, ფრთები ოდნავ გაუშლია და აქოჩრებულა, რაღაც უსაშველო გაგულისებით შესცქერის ნათიას სურათს, თითქოს ისეთ რამეს ხედავდეს რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ, შემდეგ თავს მაღლა სწევს და ზესკნელს აჩერდება, სარკმლის ჭრილში დატყვევებულს.

— ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი! — პირჯვარს იწერს ნაზია. მამაჩემი და ოთახში მყოფნიც იწერენ პირჯვარს.

კარს ვშორდები და დერეფანში გავდივარ. ვერ მივმხვდარვარ რა გრძნობასა ვყავარ ატანილი; თითქოს მაღიზიანებს რაღაც, რაღაც კი მამშვიდებს. ჩემდაუნებურად დამივლის ნამიერი სიამოვნება ამქვეყნიური საწუთროების დავიწყებისა, მედინის უგულვებელყოფისა, მყოფობის განქარვებისა და ასევე წამისად ამიტანს ეჭვები- მარადიულობის უაზრობისა, თვალწინ მესალტება ჟამის გულისწამლები ჭრიალი თან რომ წარიტაცებს ყოველს. საკუთარ სულისკნელში მობობოქრე სულის ხვაშიადში ვერგარკვეული დაბლა ვეშვები კიბის საფეხურებით და ეზოში ჩავდივარ.

გამჭვირვალე, თითქოსდა ხელშესახები ჰაერი მელამუნება. სხეულში მატანს რეცა ღამის მომნუსხველობა. როგორ ამბობს?- მარტოდენ ღამით ღვთაებრივი გვხიბლავს სიბნელე,- იქნებ ამადაც შემძრა ამ ადათმა? მაგრამ განა მხოლოდ ღამით მოქმედებს ასერიგად? იცოდნენ ძველებმა, ეტყობა უფრო იცოდნენ წვდომა! ულრმავდებოდნენ პირველყოფილ სიველურეს და ახლოსაც მიდიოდნენ სამყაროსთან, გაგიხარიან, ხელშესახებადაც ახლოს! ჯერაც მეცხრამეტე საუკუნეში შეეძლოთ მთელის უშუალო ნაწილად ეგრძნოთ თავი! აკი თქვა ... გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს! ნუთუ მართლაცდა მხოლოდ იძურისი გვანკიდეგანებს სამყაროს?

სახეს ზესკნელისაკენ ვიშვერ: მირიადი მცებარი მაჩერდება ერთად. შეუძლებელია ამ ძალას გაუძლო და მეც ნეტარების მომგვრელი სითბო თუ სილბო მელვრება სულში, ძელსკამზე პირაღმა ვწვები და უფრო მოხერხებულად ვუმზერ ცამყარს. საოცარია: ც ა მ ყ ა რ ი! როგორ სჯეროდათ მითაჟამში რომ ცაში, შორს ზესკნელში, მყარი არსებობდა, რომ ცაში ცხოვრება შესაძლებელი იყო. უკვე ვხვდები რას გულისხმობდნენ ჩემი უჩვეულო წინაპრები "ცანი ცათანში" ... უკვე აშკარად ვიცლები ყოველგვარ უსიამოვნო, დამაეჭვებელ თუ ხელშესახებ გრძნობებისაგან, საერთოდ აღარ ვგრძნობ სხეულს, ჩემს ქვემოთ თითქოს არაა მიწა, არც მყარი, თითქოს ყველაფერი ცად იქცა, სრულიად ვერწყმი მნათობთა ციმციმს, გაწონასწორებული დავქრი გონმიუწვდომ სხეულთა შორის: მელნისფერ, მოკრიალე ზესკნელში ამაყად დარონინობენ ციურნი, რაღაც იდუმალი და ნაზი გალიმებით დაციმციმებენ ჰაიდები, თვალს მიპაჭუნებენ უთვალავ ვარკვლვთა შორის ცარგვალში მოფარფატენი. მინათდება სული თითქოს, აღარსადაა მტანჯავი სიმძიმე. ცოტაც და გვერდით მრჩება მენახირის თანავსკლავედი, დაბორიალობს მასუკან ციური ქალწული, სხივფერადობს იდუმალად, დაეძებს თითქოს ვილაცას. მეძებარ ძაღლთა ხროვაც მიქრის გააფთრებით ... მიმჩატდება სული, თითქოსდა სრულებით ვერწყმი კოსმოსს, გაუაზრებლად დავქრი მნათობთა შორის, გამმაგება მიპყრობს რაღაცნაირად გაწონასწორებულს და უცებ ცის ბინადრებში ვლანდავ მუხლმოდრეკილ გველისმყპრობლის ვარსკვლავთა კრებულს. ვგრძნობ, რომ სადღაც ახლოსაა ნანატრი ... წამისად ცის ელვარე ხვიარში იელვებს შუქმოციმციმე, ისაა ... მთელის არსებით, სულის წრთოლვამდე ვენთები მისკენ, მისი ნაკვალევის უეცარი გაელვებისაკენ ... მომნუსხველად კრთებიან აცისკროვნებული ვარსკვლავები ჩემს ირგვლივ, გვირგვინად მეხვევიან თითქოს. დავქრივარ აზვირთებულ, ანთებულ მცებართა შორის და თითქოსდა მეც სამყაროს გიჟურ ქაოსს შერწყმული, სულისშეძვრამდე მონატრებულს დავეძებ...

სუსხი მელამუნება სახეზე. ვიშმუშნები. ხელები დამბუჟებია. ვდგები სკამიდან, მნათობებით აკრიალებულ ზესკნელს ვაჩერდები მზერით და ვიზმორები; ცის ელვარება ჟრუანტლად მივლის სხეულში და უცებ ძლიერი სურვილი მებადება, საოცრად მინდება მისი სურათი ვნახო. ორიოდე ბიჯს ვდგამ და ჯერაც ვერგამორკვეული ჭუხილავი ზმანებისაგან თუ გულისთქმებისგან ნაღვლიანად გავყურებ ცის შორეთში გაუჩინარებულ დასალიერს. შემდეგ ნელი ნაბიჯებით მივდივარ შენობისაკენ. შესასვლელში შევდივარ და რაღაცნაირად შეცვლილი მივუყვები კიბის საფეხურებს.



უშუალობა, გულწრფელობა, ბუნებრიობა. მეტი რაღა უნდა პოეტს, თუ ეს თვისებები დაბადებით დაჰყოლია? გულახდილად რომ ვთქვათ, კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ თემაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან შეუძლებელია წაიკითხო ნუკრი ბერეთელის ლექსები და არ გაგაკვირვოს სამყაროს განცდის მისეულმა უნარმა. იგი მთელი არსებით იმყოფება ბუნებაში, ესმის მისი წიაღის ექო და თვითონაც აწვდის ხმას. უშუალოდ შეიგრძნობს მიწას, წყალს, ჰაერს. ორივე ფეხით დგას მიწაზე. თაყვანს სცემს წინაპართა კულტს. იცის, სად არის, სად იმყოფება, რა უნდა, რას აკეთებს. სათქმელი აქვს და ამბობს კიდეც. არც თემის არჩევა უჭირს და არც გრძნობის გამოხატვა. განცდებს არ მალავს და არც პოზიციის გამჟღავნების ეშინია. სწამს, სჯერა და ენდობა გულისთქმას.

თავისუფალია და არ თმობს თავისუფლებას იმდენად, რამდენადაც ეს არის მისი თვითგამოხატვის, თვითიგივეობის ფორმა. ამიტომ ირთულებს ცხოვრებას, საგანგებოდ არ მუშაობს ფრაზაზე, არ ხვეწს მეტაფორას, არ იგონებს იმაზე მეტს, რაც აზრის გადმოსაცემად სჭირდება, არ კეკლუცობს მკითხველის წინაშე და ალბათ ამიტომაც გამოსდის ნაივს მიახლოებული დასამახსოვრებელი ფრაზები: „მკვდარი ჩიტივით გავიტანე გული სახლიდან"; „ჩემი ბავშვობის ლანდი დამდევს თეთრი ხბოსავით".

ხანდახან გიკვირს, რაოდენ სარისკო მასშტაბებს აღწევს მისი გულუბრყვილობა. გგონია, ყველაფერი უცებ დაინგრევა და გაიფანტება, მაგრამ, რაღაც მანქანებით, ლექსის კონსტრუქცია მთელი და უვნებელი რჩება, და ხვდები, რომ არც ეს არის გამოგონილი, ესეც ხასიათია, ესეც თვისებაა, ესეც პოეტია, — უშუალო, გულწრფელი, ბუნებრივი.

**ნუკრი ბერეთელი**

## ისევ სოფელზე

ბინდდება. ფიქრით მივყვები სოფელს,
სულ ღობე-ღობე მივყვები ნიავს.
წყაროსთან გოგო შეიკრავს კოპებს
და წყაროს ბიჭს ღიმილი მიაქვს.

მაშვის ჭახჭახი დარაბებს ბზარავს,
წამიც და... თხილის ბუჩქშია ნაღმი.
ჩემს სკოლას ისევ ამძიმებს ზარი,
ეკლესიას რომ ჩამოხსნეს გალმა —

ოდესღაც, ჩემი გაჩენის დღემდე,
ოცდაჩვიდმეტში, ანუფრო გვიან...
ოციოდ წამი მაშორებს ხემდე,
რომელსაც ჩემი მარტობე ჰქვია.

სერზე მომისწრებს გვერდელა მთვარე,
მგელივით ყელში ვიგუბებ ყმუილს.
მივდივარ. ქარმა იცვალა მხარე.
ამაღამ პურის დარჩენილ ყუას

ლვინიან ჯამში ჩავიფშვნი მშვიდად,
შენდობას ვეტყვი პაპის ძველ სურათს.
ხვალ უნდა კვალში ჩავუდგე შვინდას,
ხვალ უნდა ჩემი დავთესო პური.

ჯერ კი ღამეა. მივყვები სოფელს.
სულ ღობე-ღობე, სულ ნიავ-ნიავ...
წყაროსთან ბიჭი შეიკრავს კოპებს
და წყაროს გოგოს კისკისი მიაქვს.

## ოშკი

ჩვენი კოჭლი ბერიკაცი მომენატრა, ძამულია.
ალბათ ყინვა უცახცახებს ჩამორღვეულ ბეჭებს.
ტაოს კარში, ეს ოხერი, თითქოს ჯაჭვით დაბმულია —
ქარი წივის, ქარი ყმუის, ქარი ძვალ-რბილს ღეჭავს.

ცაა უფრო ღრუბლიანი. მხოლოდ შუბლი უბრიალებს,
ისე, ცივად უპრიალებს... დეკემბრის მზე ჩადის.
ახლა რა დროს მუმლი არი? რა დროს ძმებთან შუღლი არი?!
წმინდა თვალებს (შუბლიანად!) აგვიფარეს ჩადრი.

გუმბათიდან განაპირა კრამიტს ფეხი დაცდენია,
რაც მანდ წვეთი ჩამოჟონავს, ყველა გულზე დამდის.
მიმნუხრისას ნაფრესკალი ეს კედლებიც ბაცდებიან —
აჰა, ჩემი ზაფხულიდან შენახული კადრი.

ჩამომტვრეულ ჩუქურთმასთან ბალახს ღერო მიხმობია.
ვინ ასწავლა მკურნალობა ბალახებით ტაძარს?..
აქ არც გზები მემხრობიან, აღარც მთები მემხრობიან,
ნეტავ ახლა, ნეტავ ოშკის ახლა ფერხთით დამსვა!

საკმევლისსუნმონატრებულ კედლებს ბზარი ემატება,
ეს ზამთარი ალბათ კიდევ ერთ ჩუქურთმას მოშლის.
ვის — ათონი, სხვას — პარიზი, ჩვენ კი ოშკი გვენატრება,
ჩვენი კოჭლი, ჩვენი თბილი, მოტეხილი ოშკი.

## მე ღრუბლის ნავში უნდა გელოდო

იმ გზებით, შენ რომ წასვლას აპირებ,
გუშინ მოვედი შენს ზღაპრულ ქოხთან.
გზებს ქარვისფერი ჰქონდა ნაპირი,
შენ უნაპირო სიმშვიდით გქონდა
სავსე თვალები და გარინდებით...
ოქტომბრის ქარმა ბავშვივით გვცემა
მე და პეპლები სავსე მინდვრები
და მაგ თმებივით გაშლილი რემა
გადაგვატარა გულებზე, გაშლილ.
გამომარკვია ტკივილმა მხარქვეშ:
და რა თქმა უნდა — უშენო სახლში,
და რა თქმა უნდა — მარცხენა... დავგეშ
ოცნებას ლეკვებს. შენს მწვანე ქოხთან
ატეხენ ყმუილს (გენში ყავთ მგლები).
თუ შენ არ დახვდი, თუ ასე მოხდა,
და შენ წახვედი ნანატრი გზებით;
ამ აბებს, გულის სამადლო ლუკმებს
წყალს ან გავატან გუნდებს წეროთა.
ვიცი, მოკლე გზა საითაც უხვევს!
მე ღრუბლის ნავში უნდა გელოდო...

## დეკემბრის ლექსი

მთებზე უთოვია წუხელ,
დეკემბერი გვიდგას.
შენთვის გაუმხელელს ვუმხელ
კანტიკუნტა ფოთლებს.
ქარი ეტანება მუხას,
მუხა ფესვებს იდგამს.
მე კი მივეძალო (ვწუხვარ!)
დათვისსისხლა ბოთლებს —

უნდა... გაგილოთდე, ჩემო,
ერთი ღამით მაინც,
რადგან სიმთვრალეში მჩემობს
სისუფთავის განცდა,
რადგან სიფხიზლეში ბნელა
საშუადღო ცაიც,
რადგან სიფხიზლეში ყველა
ჰორიზონტი გაცვდა.

ვჩემობ ნიზამობას კი არ,
მაწანწალა — სულით.
ოღონდ, ჩემს ჭკუაზე ყიალს
ვერ დამიშლის მეფეც.
მივალ საფლავებთან — დუმან,
სიმშვიდეა სრული,
მივალ სასახლესთან — უმალ
გოშიები ყეფენ.

ჰოდა, დავიღალე ასე.
იოლია დაღლა.
მხოლოდ მოლოდინი მავსებს
შენი თოვლის, თმების...
ჰოდა, გადმოთოვე მთანი,
გადმოთოვ(ვ)ლე ახლავ!
თორემ, მერამდენედ — მთვრალი —
თეთრ ღამესთან ვწვები.

## თბილი ზამთრის ლექსი

ჩამიქრეს შუქი. დავუბრუნდი სანთლის რუტინას.
ფანჯრის რაფაზე გადაბარგდა ღამე ტახტიდან.
შენი თვალების მონატრება მჭირდა უწინაც,
სანამ ჩაშლილი გუმბათიდან მზე ჩადრს აგხდიდა
და სანთელ-სანთელ ამინთებდი ჩამქრალ იმედებს;
სანამ სიარულს დაარქმევდნენ ჩემს ბავშვურ ტანტალს,
სასაფლაოდან მობრუნებულს გამალიმებდნენ
სანამ პირველად... ოცდაშვიდი ზამთარის გამტანს.
ჰო, ოცდაშვიდი, სიკვდილივით ცივი ზამთარის...
შენ კი უეცრად მომაჭარბე მჭახე ფერები.
მე შეიძლება შემოდგომის წვიმით გავთავდე,
მე — როგორც ბავშვი, ცხოვრებისგან მოუფერები.

გამოვცვლი სანთელს. სხვა ფერი აქვს კედლებს — ჭაობის.
ფიქრით შენთან ვარ და ვუყურებ ჩემს თავს მაქედან:
ფეხზე მკიდია ყველა ქეით, ყველა ნაომი,
ოღონდაც ახლა შენს თვალებში გადამახედა!

## წამოდი!

*ეძღვნება არდოტ-შატილის ცის უნახავ ყველა ქალას!*

გავიფინე შენი თმები და
ავუყევი ბილიკს ოცნების.
ხევსურეთის კუშტი მთებიდან —
მზის სხივიც რომ ფრთხილად ცოცდება —
მოგწვდები.

მკლავები მაქვს მზემდე აწვდილი.
ნისლგამატეული მთა მიყვარს,
ცას რომ გადუმალავს არწივებს,
წინ რომ დაგიდგება: სა მიხოლ!
წაგიყვან.

წამოდი, რად გვინდა იაბო,
მზე ხელისგულიდან ამომდის.
არღუნის მონაყოლს გიამბობ,
სანამ დაგვამუნჯებს არდოტი...
რა მოგდის?!

წავიდეთ, ოცნების ბილიკი
მთას ოქროს ნაწნავად ჰკიდია.
პირიქით წავიდეთ! პირიქით...
ღრუბლებიც სულ იქით მიდიან.
წამოდი!

## უკანასკნელი დღე

წევს — ყინულივით ცივია ბიძა...
ღვინოს ჩალიჩობს უფხო სიმონა.
მე დახუჭული თვალებით მღვიძავს
და მენატრება უფრო სიონი,
როცა ბაგრატი აგე, აქვეა
(უნდა შემინდო, ღმერთო, ეს ცოდვაც).
მივყვები ეზოს ბაღ-ვენახიანს,
ამინდსაც ვამჩნევ უარესობას.
ჩამოიქცევა ამალამ, ვიცი,
სოფლად იდარდებს ვინმე მოსავალს.
აიფუზება საფლავი ბიძის
გარეთ დარჩენილ წითელ ხბოსავით.

## შენ და... არავინ

სულელი შინდი! — გაბუსხული კვირტებით მიმზერს,
მე კი ვუღიმი, გამახსენა ტუჩები შენი.
მივდევ ლიანდაგს, შემიმოკლდა ნაბიჯის სიგრძე.
უკან ორთქლმავლის ლანდი მომდევს ოხვრით და ქშენით.

უკვე მარტია. დილით იებს ვეფერე დიდხანს.
მერე დავპირდი, რომ შენს თვალებს მოვაფერებდი.
ვუთხარი ისიც, რაც ჩურჩულით მინდა რომ გითხრა,
რაც უნდა მითხრა, რომ ცხოვრება გამიფერადო —

ისიც... და ისიც: ამ გაზაფხულს აკლიხარ როგორ,
უშენო ზეცაც უშნოა და ქარიშხლებს მიშენს;
რომ აღარავინ აღარ მირჩევს, ნერვები ვზოგო,
რომ პირში მაინც არ ვაგინო მიშას თუ მიშელს;

მარხვაში მაინც წავიკითხო ძილის წინ ლოცვა
რომ... და რომ მეტი თავმდაბლობა გვმართებს მიწისშვილთ,
სანამ იახტას გადავუწვავ ქარონის ბოცმანს,
ლექსებით მაინც დავიფარო სულის სიშიშვლე —

მირჩევს არავინ. უშენობის ფერია ლეგა.
შენზე ფიქრები მახვევია გარს და მფარავენ.
მეათე სახრეს (ელვის) ცაზე ელია ტეხავს
და სულში შენ ხარ,
შენ ხარ,
შენ ხარ,
შენ და... არავინ.

## შეგვინდე გამჩენო

ჩემს თვალწინ მწვანდება მთები და სიმწვანე
ჩემთვის უჩვეულო სიმშვიდით გადმომაქვს
ფურცელზე. დილიდან სულს ლექსი მიწვალებს,
სულს ლექსი არ აცდის (დაცემულს) აღდგომის
სიხარულს გაენდოს... ფაჩუნით ილვიძებს
ბალახი. სინედლის სუნი აქვს ზმორებას
ღეროთა. და სული ზეცისკენ მიმიწევს.
ხარაკირს არასდროს ვაპირებ! ცხოვრებას
მე უნდა ცხელ სილად გავეწნა. მე უნდა
ბრმა სიკვდილს სიცოცხლე ვაჩვენო. შიშველი
ხელებით ყველა მტერს ვამარცხებ. შეუნდე
უფალო, ვინც მიწას გამოცდა!
გვიშველე უფალო მიწაზე დარჩენილთ!
შეგვინდე, გთხოვ, ძმების ზღვა სისხლის გამოც და
შეგვინდე დედების ზღვა ცრემლის გამოც და
შეგვინდე მამათა ცოდვების გამოც და
შეგვინდე... შეგვინდე! შეგვინდე გამჩენო!

* * *

უშენობაა ახლა ჩემი პატრონ-ბატონი,
მკვდარი ჩიტივით გავიტანე გული სახლიდან.
სამ ღრუბლის ბატკანს, დათვის მთისგან დაბელ-დატორილს,
კორბოულისკენ მიდენიდა ქარი, — გაყიდდა...

ეს დილით იყო, ტყვიისფერი ახლა ბინდია.
წყვილმზეჩასული თვალებითაც ვხედავ ქიმერებს.
ზოგჯერ ბებერი ადიდებულ მტკვარშიც ჰკიდია
და ჩემი სიყრმის (ძველ) მეგობარს ჰქვია "დიმერა".

ულმერთობაა ჩემი ასე მარტო მიგდება,
ღამიდან სულებს გადმოიხმობს სუნი წანდილის.
ჩემს სამშობლოში გვირგვინები ისე რიგდება,
ეკლის გვირგვინიც ვერ ვიშოვე — მქონდა წადილი —
(ეს ადრე იყო) ამელო და მზისთვის დამედგა,
და მერე ზეცა მომეფინა მწვანე რტოებით,
ანდა — პირიქით... უშენობის ლეგა ღამე დგას
ახლა ჩემში და მკვდრისმზისფერი განმარტოება.

გადაგორდება ეს ზაფხულიც საზამთროსავით.
ლექსად გიყვები ჩემს ცხოვრებას. მთვარე დაძველდა.
ჩემი ბავშვობის ლანდი დამდევს თეთრი ხბოსავით
და გალეშილი ქარი ანჯღრევს ლობეს საბძელთან.

## ზღაპრად დაწერილი ლექსი

სადღაც უდაბნოთა ხვატი
ამირაყებს ხეოფსს,
ჩვენთან გაზაფხული გადის,
მზე ვერ გასცდა ღრუბლებს.
ჰოდა, შენც ამ ღრუბლის ჩრდილში
შემიკარი ჩეო,
სანამ სული მიდგას პირში,
სანამ დაგელუპე —
ბრძანე: შენი ბროლის კოშკში
გამაქანონ ციმციმ.
(გუშინ გაფეთქილა კომში)
ჩქარა, ბიჭებს უხმე.
მე ცხელ გონებაში ვბეჭდავ
შენი ცრემლის ციმციმს,
სანამ ჩემს ნატყვიარ ბეჭთან
აათრთოლებ მუხლებს.
მიდი ფანჯარასთან მერე,
გამოაღე ფრთხილად.
მაგ შენს ფერწართმეულ ხელებს
ჩემი კოცნის კვალი
ისე ამჩნევია, დილის
(ნაწვიმარი — დილა)
ფანჯრებამთქნარებულ თბილისს
ამღვრეული მტკვარი —
როგორც. დასასრული — ყველა —
კეთილია ზღაპრის,
და შენც ზღაპრის ისევ გჯერა,
ბავშვად დამრჩი რადგან,
ცხრა ზღვა მოიარო, ცხრა მზე,
ცხრა ნაჭერი აფრის
უნდა მომიტანო, თავზე
ანგელოზი მადგას;
ცხრა მთას ამოზრდილი დეკა,
(ჩვენს მთებში რომ ხარობს)
ცხრა ცას მოწყვეტილი — ეხლავ! —
გამისველე ტუჩი:
ნამით. ცხრა ღიმილი... კოცნა
გამიბედე, ქალო!
სიკვდილს? სიკვდილს მერე "ჰო"-ც და
არაფერიც უჭირს.

მანუელ კასტელსი

# ქსელი და მე

*"თქვენ გგონიათ, რომ სწავლული და წიგნიერი ადამიანი ვარ?"*

*"რა თქმა უნდა, – უპასუხა ცზი-გონგმა. – განა ასე არ არის?"*

*"სულაც არა, – თქვა კონფუციმ. – უბრალოდ ერთი ძაფი დავიჭირე. ეს კი ყველა დანარჩენს აერთიანებს".*

ქრისტიანული ეპოქის მეორე ათასწლეულის დასასრულს, ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე მოვლენამ ადამიანთა ცხოვრების სოციალური ლანდშაფტი შეცვალა. ტექნოლოგიური რევოლუცია, რომლის ცენტრშიც საინფორმაციო ტექნოლოგიები მოექცა, საზოგადოების ახალ მატერიალურ საფუძველს ძალიან სწრაფად აყალიბებს. მთელ მსოფლიოში ეროვნული ეკონომიკები გლობალურად ურთიერთდამოკიდებული აღმოჩნდნენ. ეს კი, ცვალებადი გეომეტრიის სისტემაში, ეკონომიკას, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის სრულიად ახალ ფორმას ქმნის. საბჭოთა ეტატიზმის კრახმა, რასაც თან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დასამარება მოჰყვა, კაპიტალიზმისთვის ისტორიული გამოწვევა ცოტა ხნით შეაფერხა, პოლიტიკური მემარცხენე ფრთა კი /მარქსისტული თეორიაც/ მარქსიზმ-ლენინიზმით ფატალური გატაცებისაგან გაათავისუფლა. გარდა ამისა, "ცივი ომიც" დაასრულა, ბირთვული კატასტროფის რისკიც დაწია, ხოლო გლობალური გეოპოლიტიკა ფუნდამენტურად შეცვალა. თვით კაპიტალიზმმა ღრმა რესტრუქტურიზაცია განიცადა და ისეთი თვისებები შეიძინა, როგორიცაა მმართველობის უფრო მოქნილი ფორმა, დეცენტრალიზაცია და ქსელური სტრუქტურების გაჩენა, როგორც შიგნით ფირმაში, ასევე სხვა ფირმებთან ურთიერთობისთვის. ძალიან გაძლიერდა კაპიტალის პოზიცია ვის-თ-ვის შრომასთან, რასაც თან მუშათა მოძრაობის დაცემა მოჰყვა. გაიზარდა შრომითი ურთიერთობების ინდივიდუალიზაცია და დივერსიფიკაცია, მასობრივად ჩაერთნენ ქალები დაქირავებულ სამუშაო ძალთა რიგებში, უმეტესად დისკრიმინაციული პრინციპით. გაიზარდა სახელმწიფოს ჩარევა /სხვადასხვა ინტენსიურობით და ორიენტაციით ყოველი საზოგადოების პოლიტიკურ ძალთა და ინსტიტუტების ბუნების მიხედვით/, რამაც გამოიწვია ბაზრების სელექციური დერეგულაცის, "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" დემონტაჟი, გლობალური ეკონომიკური კონკურენციის გაძლიერება, რაც კაპიტალის დაგროვებისა და სამენეჯერო გამოცდილების ზრდადი გეოგრაფიული და კულტურული დიფერენციაციის პირობების კონტექსტში განიხილება. კაპიტალისტური სისტემის ამ გენერალური და ჯერაც დაუსრულებელი რეკონსტრუქციის შედეგად უკვე ნათლად წარმოჩნდა ფინანსური ბაზრების გლობალური ინტეგრაცია, აზიურ-წყნარ ოკეანისეული რეგიონის მსოფლიო საწარმოო ცენტრად წამოწევა, ევროპის ერთიან ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევის ენერგიული მცდელობა, ჩრდილოეთ-ამერიკული რეგიონული ეკონომიკის აღმოცენება, ყოფილი "მესამე სამყაროს" დივერსიფიკაცია და შემდეგ დაშლა, რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ნელი ტრანსფორმაცია, საბაზრო ეკონომიკის გავლენის სფეროებთან შერწყმა და ეროვნული ეკონომიკების ყველაზე ფასეული სექტორების ურთიერთდამოკიდებულ სისტემაში ჩართვა, რაც რეალურ დროში ერთ მთლიანობად წარმოდგება. ამ ტენდენციების წყალობით უკვე შეიმჩნევა უთანაბრო განვითარებით წამოჭრილი გამწვავება და არა მხოლოდ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. იგი აღინიშნება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის დინამიურ სექტორებსა და იმ ტერიტორიებსა და სექტორებს შორის, რომელიც — სისტემური ლოგიკიდან გამომდინარე — ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ საინფორმაციო რევოლუციის თანადროულად გიგანტური სამეწარმეო ძალების გამოთავისუფლებას და გლობალურ ეკონომიკაში ადამიანთა სილატაკის "შავი ხვრელების" კონცენტრაციას.



იმავდროულად, ორგანიზებული დანაშაული და მაფიოზური ტიპის ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში ასევე გლობალურები და ინფორმაციულნი გახდნენ და გონებრივი ჰიპერაქტიურობის თუ აკრძალულ სურვილთა მასტიმულირებელი საშუალებების გასაღებას ვაჭრობის ყველა აკრძალული ფორმებით ცდილობენ – უახლესი იარაღით დაწყებული ადამიანის ორგანოებით დამთავრებული. ამას გარდა, ახალი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უფრო და უფრო საუბრობს უნივერსალურ ციფრულ ენაზე, გლობალური მასშტაბით უფრო და უფრო აერთიანებს ჩვენი კულტურის, სიტყვის, ბგერისა და გამოსახულების წარმოებას და მას ინდივიდის პერსონალურ გემოვნებასა და განწყობას არგებს. ინტერაქტიული კომპიუტერული ქსელები სწრაფად იზრდება, ახალ საკომუნიკაციო არხებს ქმნის, ახალ ცხოვრებას აყალიბებს და თვითონაც ამ ცხოვრებით ყალიბდება. სოციალური ცვლილებანი ისევე დრამატულია, როგორც ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ პროცესთა ტრანსფორმაცია. ქალთა ცხოვრების ამ ურთულესი ტრანსფორმაციის პირობებში პატრიარქალური სისტემა ძლიერი წნეხის ქვეშ მოექცა და ზოგიერთ საზოგადოებაში დაიშალა კიდეც. ამგვარად, სქესთა შორის ურთიერთობა კაცობრიობის უდიდეს ნაწილში კულტურული შექმნის სფეროდან კონფლიქტურ სფეროში გადაინაცვლა. ამის შედეგად ფუნდამენტურად გადაიხედა ურთიერთობანი ქალებს, მამაკაცებსა და ბავშვებს შორის. შესაბამისად კი ოჯახს, სექსუალურობასა და პიროვნულობას შორის. გარემოს დაცვის აუცილებლობის შეგრძნებამ

* **წიგნიდან „საინფორმაციო ეპოქა: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა“**

საზოგადოების ძირითად ინსტიტუტებში შეაღწია და იმ სიცრუისა და მანიპულაციების მიუხედავად, კორპორაციათა და ბიუროკრატიის ყოველდღიურ პრაქტიკად რომ იქცა, პოლიტიკური მხარდაჭერაც მოიპოვა. პოლიტიკური სისტემები ლეგიტიმურობის სტრუქტურულმა კრიზისმა მოიცა, დროდადრო სკანდალებით ზანზარებს, ბევრად არის დამოკიდებული მასმედიის ინფორმაციასა და ლიდერთა პიროვნულ თვისებებზე და საზოგადოებისაგან უფრო და უფრო იზოლირებული ხდება. საზოგადოებრივ მოძრაობებს ფრაგმენტულობა, ლოკალურობა, ვიწრო ორიენტაცია და ეფემერულობა ახასიათებს და შიდა სამყაროში იკეტება ან პოპულარული სიმბოლოს ირგვლივ წამიერად კაშკაშებს. მსოფლიოში, სადაც ასეთი უკონტროლო და უწესრიგო ცვლილებანი ხდება, ადამიანებს ურჩევნიათ იდენტურობის პირველადი წყაროების – რელიგიური, ეთნიკური, ტერიტორიული, ეროვნული – ირგვლივ შემოიკრიბონ. რელიგიური ფუნდამენტალიზმი – ქრისტიანული, ისლამის, იუდეური, ინდუისტური და ბუდისტურიც კი /რაც ღრმა ტერმინოლოგიურ ნონსენსად ჟღერს/ — როგორც ჩანს, პიროვნული უსაფრთხოებისა და კოლექტიური მობილიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან დამცველ ძალად გადაიქცა ამ შფოთიან წლებში. მსოფლიოში, რომელიც სიმდიდრის, ძალა-უფლებისა და ხატების გლობალური ნიაღვრებითაა დასერილი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური, მიწერილი თუ კონსტრუირებული იდენტურობის ძიება სოციალური მნიშვნელობის ფუნდამენტური წყარო ხდება. ეს ახალი ტრენდი არაა, რადგან იდენტურობა, განსაკუთრებით რელიგიური და ეთნიკური, საზოგადოების შექმნის ფესვებშივე იდო. მაგრამ ისტორიულ ხანაში, როცა ინსტიტუტთა დელეგიტიმიზაცია ხდება, მსხვილი საზოგადოებრივი მოძრაობანი ჩაქრობისკენ მიემართება, კოლექტიური გამოვლინებები კი ეფემერულობას იძენს, იდენტურობა აზრის მთავარი და ხანდახან ერთადერთი წყარო ხდება. ადამიანები უფრო და უფრო ხშირად აკავშირებენ აზრს არა იმასთან თუ რას აკეთებენ, არამედ — თუ რანი არიან ანდა რანი ჰგონიათ, რომ არიან. ამ დროს კი, მეორე მხრივ, ინსტრუმენტული გაცვლის გლობალური ქსელები ინდივიდებს, ჯგუფებს, რეგიონებს და მთელ სახელმწიფოებსაც კი სელექციურად მიაერთებენ ან გამორთავენ მიზნის მისაღწევ რომელიმე გზას მათი მნიშვნელობის მიხედვით, რაც სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა უწყვეტი ნიაღვრით ისევ ქსელშივე მუშავდება. სწორედ აქ იშვება ფუნდამენტური განხეთქილება აბსტრაქტულ, უნივერსალურ ინსტრუმენტალიზმსა და ისტორიულად ფესვებგადგმულ პარტიკულარულ იდენტურობას შორის. ჩვენი საზოგადოება სულ უფრო და უფრო სტრუქტურული ხდება ქსელსა და "მეს" შორის ბიპოლარული ოპოზიციის ირგვლივ.

ასეთ პირობებში, როცა აზრსა და ფუნქციას შორის სტრუქტურულ-შიზოფრენიული გაორება შეინიშნება, სოციალური კომუნიკაციის სტრუქტურები ძლიერი წნეხის ქვეშ ექცევა. და როდესაც კომუნიკაცია ინგრევა, როდესაც ის კონფლიქტური კომუნიკაციის სფეროშიც კი აღარ არსებობს /როგორც სოციალური ბრძოლის ან პოლიტიკური დაპირისპირების დროს ხდება/, სოციალური ჯგუფები და ინდივიდები ერთმანეთისგან გაუცხოებას იწყებენ და ერთმანეთში ჯერ უცხოს, შემდეგ კი მტერს ხედავენ. ამ პროცესში რაც უფრო სპეციფიკური ხდება სხვადასხვა იდენტურობა და რაც უფრო რთულდება მათი გამოყოფა ერთმანეთისაგან, სოციალური ფრაგმენტაციაც იზრდება. ისტორიულ ცვლილებათა მასშტაბებით დაბნეული კულტურა და აზროვნება ჩვენ დროში ხშირად ახალ მილერანიზმს ეპოტინება. ტექნოლოგიების მოძღვრები ახალ საუკუნეს ქადაგებენ, სოციალური ტენდენციები და ორგანიზაცია კი კომპიუტერებისა და მოლეკულური გენეტიკის გაუგებარ ლოგიკაზე გადააქვთ. კულტურა და პოსტმოდერნიზმის თეორია ისტორიის დასასრულს და, გარკვეული თვალსაზრისით, გონების ეპოქის დასასრულს ზეიმობს და უარყოფს ჩვენს უნარს — აზრი აბსურდშიც კი მოვიძიოთ და აღმოვაჩინოთ. ფარულად აღიარებენ საქციელის სრულ ინდივიდუალიზაციას და საზოგადოების სრულ უძლურებას საკუთარი ხვედრის წინაშე.

ჩანაფიქრი, რომელიც ამ წიგნის შთაგონების წყარო აღმოჩნდა, სწორედ დამანგრეველი ნიაღვრების, ინტელექტუალური ნიჰილიზმის სხვადასხვა ფორმების, სოციალური სკეპტიციზმისა და პოლიტიკური ცინიზმის წინააღმდეგაა მიმართული. მე მჯერა, რომ შესაძლებელია გააზრებული სოციალური მოქმედება, პოლიტიკური გარდაქმნა, რომელიც აბსოლუტური უტოპიების უფსკრულის პირას არ იქანავებს. მე მჯერა, რომ იდენტურობას განმათავისუფლებელი ძალა აქვს, თუ არ შევეგუებით მის ინდივიდუალიზაციას ან ფუნდამენტალიზმის ჭაობში ჩაშვებას. სწორედ ამიტომ გთავაზობთ ჰიპოთეზას, რომ ჩვენს დაბნეულ მსოფლიოში ცვლილებათა უმთავრესი ტენდენციები ურთიერთკავშირშია და ამ ურთიერთკავშირიდან გარკვეული აზრი შეიძლება გამოვიტანოთ. ტრაგიკული ინტელექტუალური შეცდომების ხანგრძლივი ტრადიციის მიუხედავად, მაინც მჯერა, რომ სწორედ დაკვირვება, ანალიზი და თეორია დაგვეხმარება სხვა, უკეთესი მსოფლიო ავაშენოთ, რომ პასუხები თავზე არავის მოვახვიოთ, ეს ხომ ყველა საზოგადოებისთვის სპეციფიკური იქნება და თვით სოციალურმა ძალებმა უნდა მოიძიონ. სამაგიეროდ, ზოგიერთი რელევანტური შეკითხვა ყველას უნდა დავუსვათ. ნამდვილად ვისურვებდი ამ წიგნსაც შეეტანა პატარა წვლილი იმ აუცილებელ, კოლექტიურ, ანალიტიკურ ნაშრომში, უკვე მრავალ ჰორიზონტზე რომ მოჩანს და არსებული ფაქტებითა თუ კვლევითი თეორიებით ახალი მსოფლიოს გაგებას ცდილობს. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადასადგმელად ვალდებულებიც ვართ ტექნოლოგიებს სერიოზულად შევხედოთ და ჩვენი კვლევის საწყის წერტილად მივიჩნიოთ. ტექნოლოგიური ცვლილების ეს რევოლუციური პროცესი სოციალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგანაც აქ ხდება და ამითვე ყალიბდება. უნდა გვახსოვდეს, რომ იდენტურობის ძიებას ახალი ისტორიის ჩამოყალიბების საქმეში ისეთივე ძლიერი გავლენა აქვს, როგორც ტექნოეკონომიკურ ცვლილებებს. და მხოლოდ ამის აღიარების შემდეგ გახდება შესაძლებელი ინტელექტუალურ მოგზაურობას შევუდგეთ, რომლის მარშრუტიც უამრავ განსხვავებულ სფეროს, კულტურასა და ინსტიტუციონალურ კონტექსტზე გაივლის, რადგან გლობალური ტრანსფორმაციის გაგებას, ალბათ, უფრო გლობალური პერსპექტივები სჭირდება.

თარგმნა
**მანანა მიქელაძემ**

დოდო ჭუმბურიძე

# ტვირთი, ქართველ მღვდელმთავართაგან ნატვირთი

*რამეთუ კაცად-კაცადსა თჳისი ტჳრთი უტჳრთავს...*
პავლე, გალატელთა მიმართ, 6,5

კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ძვრების ეპოქა — XIX საუკუნე – რუსეთისგან დაპყრობილი საქართველოსთვისაც ასევე დიდი ძვრების ეპოქად იქცა: ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის გაუქმებას თან მოჰყვა ანტირეჟიმული აჯანყებების არნახული ტალღა, რომელმაც საუკუნის პირველ მესამედში მთელი იმპერია ააფორიაქა. რუსეთის სამხედრო-იმპერიულმა რეჟიმმა ეს გამოსვლები, ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების ამბოხი ისეთი სიმკაცრითა და დაუნდობლობით ჩაახშო, იმგვარად გადაამტვრია ხერხემალში საბრძოლო ოპტიმიზმი, რომ ამ შეუპოვარ ბრძოლის ხანას ორი ათწლეულის დუმილი, დამპყრობლის წინაშე ქედისმოხრა, არსებულ რეჟიმთან შეგუება მოჰყვა. 60-იან წლებში კვლავ ამოხეთქა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა ენერგიამ, როდესაც ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ერს აფხიზლებდნენ, ახსენებდნენ საუკეთესი ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს, წინ წამოწევდნენ სულიერ ღირებულებებს და ამით დამპყრობლის წინაშე დაუმორჩილებლობის მძლავრ ტალღას აგორებდნენ. ამ ინტელიგენციის საუკეთესო ფრთას, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად, ქართველი სამღვდელოებაც წარმოადგენდა, ის სასულიერო პირები, რომელთაც დიდი ილიას გამათავისუფლებელი იდეოლოგია გულთან და სულთან მიეტანათ და ქვეყნის გადასარჩენად თავგანწირულად იბრძოდნენ.




ქართველი სასულიერო ინტელიგენციის ამ საუკეთესო წარმომადგენლებს ეძღვნება პროფესორ ვაჟა კიკნაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში". წიგნში გაანალიზებულია ეპისკოპოსების: გაბრიელის (ქიქოძე), კირიონის (საძაგლიშვილი), პეტრეს (კონჭოშვილი) და ღვთისმეტყველების კანდიდატის, საქართველოში დაბადებული და აღზრდილი მიხეილ საბინინის ნააზრევი, მათ შრომებში წამოჭრილი თეოლოგიური, ისტორიული, ფილოსოფიური, ფილოლოგიური და სხვა მიმართულების შეხედულებანი. ამ ადამიანებმა კარგად იცოდნენ თავიანთი ქვეყნის ისტორიაც და თანამედროვე პრობლემებიც, ერკვეოდნენ მსოფლიოს სამეცნიერო მიღწევებსა და პროგრესში, რაც მათ თეოლოგიურ აზროვნებას კი არ ასუსტებდა, კიდევ უფრო აძლიერებდა.

ვაჟა კიკნაძის სამეცნიერო შრომები ყოველთვის გამოირჩევა კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ღრმად ანალიტიკური, ფაქტების ურთიერთშეჯერებისა და შევსება-გამორიცხვის საშუალებით ახალი დასკვნების მიღების, ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციის შეუდარებელი ნიჭით. მისი მსჯელობა მაშინაც კი საინტერესოა და გასათვალისწინებელი, როდესაც, უბრალოდ, კვლევის შედეგად გაჩენილ მეცნიერულ ჰიპოთეზას აყენებს და არაფერს ამტკიცებს. ამ წიგნშიც, საკვლევი მასალის გამოყენებითა და მდიდარი წყაროთმცოდნეობითი და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით, ნაჩვენებია ის დიდი სულიერი და საგანმანათლებლო ღვაწლი, რაც ქართული ეკლესიის რჩეულმა წმინდა მამებმა გაიღეს უიმედობაში ჩავარდნილი, კოლონიური რეჟიმის პირობებში მცხოვრები თანამემამულეებისათვის, ნაჩვენებია, რომ ეს თავგანწირვა იყო იმ ურთულეს ისტორიულ ხანაში, დაახლოებით ისეთი გმირობა, რასაც წმინდა მამები ჩადიოდნენ ადრეულ საუკუნეებში, მაჰმადიანური დამპყრობლების თარეშის ჟამს. წიგნში მოტანილი მასალებით ცხადი ხდება,როგორ მოახდინა რუსეთმა საქართველოს განვითარების შეფერხება,სტაგნაცია, მისი მიჯაჭვა ცივილიზაციის ალმოსავლურ ტიპზე, რასაც მკაცრი ეროვნული ჩაგვრა დაემატა, შესუსტდა ქვეყნის დაცვის მექანიზმებზე ზრუნვა, რადგან ეს მისია ამიერიდან ქართველების კი არა, თითქოს რუსეთის იმპერიის საზრუნავი იყო, ცარიზმი კი მხოლოდ ქართველთა სრულ ასიმილაციას, ეროვნული ნიშნების წაშლას ისახავდა მიზნად. ამას იგი ეტაპობრივად ახორციელებდა ხან ხელოვნური დემოგრაფიული პროცესების წარმოქმნით, ხან სკოლის გარუსებით, არაქართული ბიუროკრატიული აპარატით, ეკლესიის რუსი ეროვნების მსახურებითა თუ რეაქციული პრესის მეშვეობით.

ინტელიგენცია ცდილობდა ანტიქართული რუსული პოლიტიკის მხილებას, საკუთარი ხალხის დაცვას, რაც უძნელესი იყო იმდენად, რამდენადაც მისი ავტოკეფალურობა გაუქმებული იყო და რუსული ეკლესია XVIII საუკუნიდან, რუსეთის იმპერიად ქცევიდან, სახელმწიფოს ნაწილი იყო, ქართულ ეკლესიას წესით აღარ შეეძლო გაეკეთებინა ეროვნული საქმე, ქართველი სამღვდელოება, საკუთარი ერის ინტერესთა დასაცავად, ხშირად უნდა დაპირისპირებოდა სახელისუფლო პოლიტიკას. ამიტომ ჭირდა მისი მოღვაწეობა და თუ მაინც შეძლეს ქართველმა სამღვდელოებმა ეროვნულ ინტერესთა დაცვა, ეს მათი დიდი ღვაწლის შედეგი, თავდადებისა და თავგანწირვის ნაყოფი იყო. მათ უდიდესი შრომა გასწიეს ერის სულიერი

ამაღლების, სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის. დაპყრობილ ქვეყანაში ეს მომენტები ხშირად სუსტდება, ამ პროცესის გაღრმავებას მარტო ეკლესია თუ შეძლებდა. ამ მხრივ წიგნში წარმოდგენილმა საეკლესიო პირებმა შეუდარებლად დიდი შრომა გასწიეს სამშობლოს, მისი სულიერი სიმტკიცის გადასარჩენად.

წიგნის პირველი თავი ეძღვნება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს, რომელმაც არნახული ღვაწლი გაიღო და სულიერი მამის გამორჩეული როლი ითამაშა XIX საუკუნის II ნახევარში თავისი ქადაგებებით, ახალი ეკლესიების მშენებლობითა და ძველი ტაძრების აღდგენით, ერის სულიერი გამხნევებით,მორალურად მისი განმტკიცებით... მან დიდი მუშაობა ჩაატარა ძველი საგალობლების აღდგენისა და ჩაწერისათვის, ამისთვის, მეუფის ინიციატივით, საეკლესიო გალობის აღმდგენელი სპეციალური კომიტეტიც შეიქმნა, ის ეხმარებოდა უმწეოებს, აარსებდა სამრევლო-საეკლესიო სკოლებსა და საქველმოქმედო დაწესებულებებს და სხვა.

წიგნის ავტორი იხილავს და შეფასებას აძლევს არა მარტო მეუფე გაბრიელის ნააზრევსა და ნაღვაწს, არამედ იმ თვალსაზრისებსაც, რაც სხვა მეცნიერ-მკვლევრებს აქვთ გამოთქმული მეუფისა და იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების მისამართით, ბევრ მათგანს აკრიტიკებს და ცდილობს არ დაარღვიოს თეოლოგიური და სამეცნიერო მსჯელობის ჩარჩოები, არ მიაწეროს მოძღვარს ის, რაც არ ყოფილა, თვალნათლივ გამოკვეთოს საუკუნის წინანდელი საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური რეალობა.

გაბრიელ ქიქოძის ღვაწლი მართლაც გამორჩეულია, რაც კარგად დაინახა და გამოკვეთა დიდმა ილიამ. მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრიობა აღარ იყო და ქვეყანა კოლონიური ბორკილების ტყვე გახდა, მისი ქადაგებების მთავარ იდეად იქცა ერის მეობის შენარჩუნება, ზნეობრივი სრულქმნა. ბიბლიიდან მომდინარე, ცხოვრების პრინციპად მიიჩნევდა მოძღვარი მშობლიურ ენას და საეკლესიო ცხოვრებაში მის პრიმატს. მეუფის აზრით, მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის და ქადაგების მოსმენის უფლება ყველა ერისთვის სახელმწიფოებრივად უნდა ყოფილიყო გარანტირებული. გამონაკლისი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუკი რომელიმე ხალხს არ ექნებოდა საკუთარი დამწერლობა, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია და საღვთისმეტყველო ტრადიცია. ისეთი ქრისტიანულ-საეკლესიო ტრადიციის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მეუფე გაუმართლებლად მიიჩნევდა სხვა ენაზე წირვა-ლოცვისა და ქადაგების შესრულებას, რასაც რუსული ხელისუფლება ცდილობდა. ქრისტიანობას მოძღვარი პროგრესის მთავარ წყაროდ მიიჩნევდა. ამ სარწმუნოების დაკარგვას მიაწერდა იგი ჩრდილო კავკასიის ხალხთა განვითარების შეფერხებას და ჩამორჩენას. საზოგადოებრივი პროგრესის მიღწევა მას წარმოედგინა არა რადიკალური ცვლილებებით, არამედ ადამიანთა საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და ზნეობრივი სრულქმნის გზით. ერის წინსვლა, გაბრიელ ქიქოძის აზრით, უნდა მომხდარიყო ტრადიციებთან შესაბამისი, წინსვლისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებით, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება აუცილებელია, მაგრამ ეროვნული გამოცდილების უარყოფა გაუმართლებელია. ერთმანეთს უნდა უპირისპირდებოდნენ იდეები, თეორიები და არა პიროვნებები — სამართლიანად ამტკიცებდა მოძღვარი.

ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და ჩამოყალიბების, ზნეობრივი სრულყოფის მთავარ ძალად, ქართული ოჯახის ქრისტიანული ტრადიციის შემანარჩუნებლად გაბრიელ ქიქოძე ქართველ ქალს აღიარებდა. ამ გამორჩეულმა მოძღვარმა მართლაც განუზომლად დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის ქართული აზროვნებისა და ეროვნული ცნობიერების წინ წაწევაში. მის მიერ „მეცნიერების გარელიგიურებასა და რელიგიის გამეცნიერებაზე" საუბრობს ვაჟა კიკნაძე და კიდევ ერთხელ ახედებს მკითხველს დიდებული წინაპრის მიერ გაწეული ღვაწლისაკენ, რათა შთამომავლობას მუდამ ახსოვდეს და ბაძავდეს მას.

წიგნის II თავი ეძღვნება კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მეცნიერს ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის ბიოგრაფიული დეტალები დიდი მონდომებით შეუსწავლია და დაუზუსტებია. ეს ეხება წმინდა მამის დაბადების ადგილს, წელს, თვესა და რიცხვს, ასევე დედის ვინაობას, რაც ნაშრომის მეცნიერულ სიახლესა და ღირსებას წარმოადგენს. უწმინდესი და უნეტარესი კირიონი უაღრესად ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო. ცხოვრების დიდი ნაწილი მან უცხო მხარეში, გადასახლებაში გაატარა, მაგრამ ყველგან ერთი აზრი ამოძრავებდა: საქართველოსა და მისი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა; ამ მიზნის მიღწევის შემდეგ გახდა ავტოკეფალური ეკლესიის პირველი მწყემსმთავარი, მაგრამ ერთი წელიც კი ვერ დაჰყო ამ მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე,— მას მუხანათურად მოუსწრაფეს სიცოცხლე, და ვინც ეს ჩაიდინა, ის უპირველესად საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო. წმინდა მამა ყოველთვის აღიზიანებდა ამგვარ ადამიანებს, საქართველოს მტრებისთვის იგი იყო ხელისშემშლელი იმ იმპერიული მიზნების განხორციელებაში, რასაც რუსეთი გეგმავდა და აღასრულებდა რუსული ინტერესების ერთგულ ადამიანთა მეშვეობით.

კირიონი სოფელ ნიქოზიდან იყო, იმ ნიქოზიდან, რომელიც დღეს რუსეთის ახალ კოლონიზატორებსა და მათგან ხელდასხმულ თვითმარქვიებს უჭირავთ. სამღვდელო პირები იყვნენ მისი წინაპრები და დიდი ღვაწლი გასწიეს შიდა ქართლის საეკლესიო ცხოვრებაში. თავად კირიონმა, ერობაში გიორგი საძაგლიშვილმა, დააარსა ნიქოზის სამრევლო სკოლა, სოფლის სკოლას კი უამრავი სახელმძღვანელო და მუსიკალური ინსტრუმენტი შესწირა. გაბრიელ ეპისკოპოსის მსგავსად, მასაც ხვდა წილად დიდი პირადი ტრაგედიის გადატანა — 1896 წელს დაეღუპა მეუღლე და მცირეწლოვანი ვაჟი, რის შემდეგაც ქვათახევის მონასტერში აღიკვეცა ბერად. პირადმა ტრაგედიამ არ დათრგუნა ამ დიდი რწმენისა და ნებისყოფის მქონე ადამიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის სურვილი. ვაჟა კიკნაძე აღწერს და ჩამოთვლის მის მიერ გაწეულ ღვაწლს, ესაა: ხელნაწერთა შესწავლა და გადარჩენა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა, ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, ქველმოქმედება, საეკლესიო თუ საერო ისტორიის კვლევა და ა. შ. ამ ჩამონათვალით კიდევ ერთხელ ცხადდება კირიონ საძაგლიშვილის უდიდესი ამაგი და წვლილი საქართველოს სულიერ ცხოვრებაში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოძღვრის ურთიერთობა რუსული ეკლესიის იმ მოღვაწეებთან, რომლებიც საქართველოში მუშაობდნენ და ცდილობდნენ ჩაეხშოთ ქართული სულიერება, დაეკნინებინათ ათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული სამოციქულო ეკლესია. ასეთ შოვინისტთა შორის იყო „უაღრესად გაქნილი, მაგრამ ჭკვიანი მტერი", დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი (1867-1918). ეს შავრაზმელი, საქართველოს საეგზარქოსოს მმართველი, საეპარქიო სასწავლო ოლქის მზრუნველი გამორჩეული მონდომებით დევნიდა კირიონ საძაგლიშვილს. წიგნში ქართველი სულიერი მამებისა და საქართველოს მდევნელი ვოსტორგოვის შესახებ ბევრი საინტერესო ფაქტია მოტანილი. რუსული კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო ის ანომალიური მდგომარეობა, როდესაც 1900 წელს სამრევლო-საეკლესიო სკოლების ქართველი ზედამხედველი — ნ. ტატიშვილი სარატოვის სემინარიაში გადაიყვანეს, მის ადგილზე კი ვოსტორგოვი დანიშნეს. აქედან დაიწყო მისი ანტიქართული საქმიანობა. მომდევნო წელს ვოსტორგოვი აირჩიეს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წევრად. რა საქმიანობასაც ეწეოდა ეს საზოგადოება, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ქრისტიანობის აღდგენის პრეტენზიის გარდა, არუსებდა საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს, აძულებდა მათ ქართულ ენასა და კულტურას, ქართველ ხალხს, საქართველოს შიგნით ქმნიდა სეპარატულ კუთხეებს, და ა. შ. უფრო მეტიც, მან დასვა საკითხი, რომ სვანებს, მეგრელებს, აფხაზებსა და ოსებს წირვა-ლოცვა, ქართულის ნაცვლად, რუსულად აღესრულებინათ. ვოსტორგოვი სიამაყით ამტკიცებდა, რომ „ზემდგომმა ორგანოებმა იგი გამოარჩიეს, როგორც რუსი პატრიოტი, რათა ებრძოლა პოლიტიკან ქართველ მღვდელმთავრებთან". ამ „პოლიტიკანთა" შორის, უეჭველია, კირიონ II-საც მოიაზრებდა, ადამიანს, რომლისთვისაც რწმენა უფლისა და თავისუფალი სამშობლოს ინტერესები უმაღლესი ფასეულობა გახლდათ. ქართული ეკლესიის ქომაგის ნიკოლოზ დურნოვოს აზრით, ვოსტორგოვს ბრალად ედებოდა უზნეო ქმედებები თბილისის ქალთა სასწავლებელში, სარედაქციო თანხების გაფლანგვა მაშინ, როდესაც იგი „საქართველოს ეგზარქატის სასულიერო უწყებათა" რედაქტორი იყო. როდესაც მისი მოღვაწეობა გააკრიტიკეს და მოწინააღმდეგეთა შორის გამოჩენილი ქართველი გენერალი ივანე ამილახვარიც აღმოჩნდა, მან უსირცხვილოდ იმართლა თავი, დაასახელა მის მიერ გახსნილი ახალი სკოლები, სადაც არცერთი არ ყოფილა ქართველების და ქართული, ყველა სკოლა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის, ამ ეროვნებათა გასარუსებლად, ქართული სამყაროს დასაშლელად იყო წინასწარგამიზნული. ამასთან, ვოსტორგოვი ჩიოდა, რომ „ნაციონალისტ ქართველებს არ ესმოდათ მისი დიდი წვლილი საქართველოს წინაშე".

მოგვიანებით ვოსტორგოვი კირიონის მისამართით ამბობდა: „მას დავახრჩობ, მთელ საქართველოს კი სისხლით მოვრწყავო". მისი ეს მუქარა გადმოცემულია 1909 წლის გაზეთ „მოამბეში" (33). ამ უზნეო ადამიანს არათუ ქართველები, არამედ რუსი მოხელეებიც აკრიტიკებდნენ და სააშკარაოზე გამოჰქონდათ მისი სააუგო საქმენი. ნიკოლოზ დურნოვოს გარდა, ვოსტორგოვის საქმიანობით აღშფოთებულთა შორის იყო რუსეთის იმპერიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი სერგეი ვიტე.

ვაჟა კიკნაძე კირიონისადმი მიძღვნილ თავში გვაწვდის ვოსტორგოვის ცხოვრების ისეთ ფრაგმენტებს, რაც სრულად შეგვაგრძნობინებს ამ ანტიქართველის მოღვაწეობის შავრაზმულ სულსა და მიზანს. მეცნიერი კირიონთან მის განსაკუთრებულ მტრობას სამართლიანად უკავშირებს ქართველ სამღვდელოთა შორის ამ წმინდა მამის გამორჩეულობასა და ერის ინტერესთა დაცვაში უკომპრომისობას. სწორედ ასეთი ადამიანი უნდა მოეშორებინა ვოსტორგოვისნაირ რეაქციონერებს და მოიშორა კიდეც, რადგანაც 1902 წელს არსებითად რუსეთში გადაასახლა. ეს მაშინ, როდესაც ნიკოლოზ დურნოვო კირიონს „ქრისტესდარს" და „მოციქულებრივ მოძღვარს" უწოდებდა.

1904 წელს ვოსტორგოვი საქართველოდან წავიდა. ის აქ უკვე იმდენ ადამიანს სძულდა, რომ შესაძლოა მოეკლათ კიდეც, თუკი დარჩებოდა და თავის ანტიქართულ ისტერიას გააგრძელებდა, მაგრამ რუსეთში წასულიც არ ეხსნებოდა კირიონის დევნას, მუდმივად აბეზღებდა და ხელისუფლებას მის საშიშროებაზე მიუთითებდა.

აქვე მეცნიერი დიდი მოწიწებით გვიხატავს დურნოვოს ჰუმანურ პორტრეტს, მის სიყვარულს ქართველი ერისადმი, სამართლიან ბუნებას, როდესაც ადამიანი დგება ეროვნულობაზე მაღლა და უპირველეს ადგილს ღირსებას, სიმართლეს, რწმენასა და სიყვარულს მიუჩენს. რომ არა დურნოვო, ალბათ კირიონს გაუჭირდებოდა ისეთ საშიშ ადამიანთან გამკლავება, როგორიც ვოსტორგოვი იყო. სამწუხაროდ, გარდა რუს შავრაზმელ მხარდამჭერთა უდიდესი არმიისა, მას თანამოაზრენი ქართველებშიც ჰყავდა, და ერთი ამათთაგანი იყო კირიონის ახალგაზრდობიდანვე დაუძინებელი მტერი დავით დავიდოვი (ბაგრატიონი).

კირიონის მკვლელობის გასაიდუმლოებულ ამბავს როდესაც ეხება, ვაჟა კიკნაძე ამ პიროვნების საეჭვო და ზიზღით სავსე დამოკიდებულებას, დავიდოვის მხრიდან უწმინდესი და უნეტარესი კირიონისადმი მოწყობილ ინსინუაციებს გამოკვეთს და ცხადს ხდის ამ ადამიანისა და სასულიერო წრეებში მის თანამოაზრეთა თუ პირდაპირს არა, მორალურ მონაწილეობას მაინც ქართული ეკლესიის მესაჭის მკვლელობაში.

მეცნიერი არც იმას ივიწყებს — რა ხდება დღეს საქართველოს ძირძველ მიწაზე — აფხაზეთში, სადაც 1906 წლიდან მსახურობდა კირიონი. სოხუმის ეპარქიის სათავეში ყოფნისას იგი ცდილობდა ქართულ ენაზე წირვალოცვის შემოღებას, რასაც ეწინააღმდეგებოდა ვოსტორგოვი და რომელიც აფხაზეთში ქართული ენის გამოყენებას ებრძოდა. ქართველების ზიზღი შთააგონებდა მას და არა აფხაზთა სიყვარული იმ აზრებს, რასაც თავის წერილებში გამოთქვამდა აფხაზეთის საეკლესიო ძეგლებსა და მათ წარსულზე. ახალ ათონზე დაწერილი მისი ტენდენციური წერილი რუსმა ბერებმა, რომლებიც პოლიტიკას უფრო ემორჩილებიან, ვიდრე უფლის ნებასა და სამართალს, 1996 წელს ხელახლა დაბეჭდეს სალონიკში. ვოსტორგოვის ანტიქართული ისტერია დღესაც გრძელდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ქართულ ტაძრებში.

ვაჟა კიკნაძის მონოგრაფიაში მოტანილია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის კათალიკოსის ტახტზე მოღვაწეობის მცირე პერიოდში მის ირგვლივ დატრიალებული ინტრიგები, აშკარა პროვოკაციები, რასაც მისი ტრაგიკული აღსასრული მოჰყვა. ამან აალელვა საქართველოს ყველა პატიოსანი მოღვაწე, მთელი ხალხი. კითხვის ნიშნები დღესაც არ შორდება ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილ სასულიერო თუ საერო პირებს. ვისაც ამ დიდი მოღვაწის სიკვდილი სურდა, ის საქართველოს ერთგული, მითუმეტეს, მორწმუნე და ქრისტეს სჯულის ერთგულიც ვერ იქნებოდა, ამიტომ არის ძნელი ამ მკვლელობის დეტალებში ჩახედვა და მასში მონაწილე ქართველთა მოქმედების დანახვა.

ვფიქრობ, ვაჟა კიკნაძემ ამ მხრივ ახალი ნიუანსები დაინახა და შესძინა დიდი მოღვაწის ცხოვრებისა და გარდაცვალების ისტორიას. და არა მარტო ამით; მან კარგად გვიჩვენა ამ გამორჩეული სასულიერო მოღვაწის ბრძოლა ქართული ეკლესია-მონასტრების დაცვისათვის სომხურ-გრიგორიანული და სხვა კონფესიების ექსპანსიისაგან; მისი სამეცნიერო, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, ნაწერების მთავარი არსი, შემეცნების ინდუქციურ-დედუქციური მეთოდი, ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის მოსაპოვებლად... წიგნში ნაჩვენებია ის ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა, რაც კირიონის ნაწერებშია ასახული და რაც ყოველთვის იქნება აქტუალური დამოუკიდებელი და მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად გახდომის პრეტენზიის მქონე საქართველოსთვის. უწმინდესი კირიონის ეს აზრები, ასე გამოკვეთილი და შესწავლილი, კიდევ უფრო საინტერესოს და ღირებულს ხდის წიგნს.

თუ წიგნში ახალი მასალებით, ცალკეული დეტალებით არის გამდიდრებული კირიონ II-ის მრავალგზის შესწავლილი ცხოვრება და შემოქმედება, ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია პირველად არის ქართულ ისტორიოგრაფიაში ვაჟა კიკნაძის მიერ სრულად წარმოდგენილი. პეტრე კონჭოშვილი XIX საუკუნის 60-იან წლებში მოღვაწეობდა საინგილოში, სოფელ კახსა და ჯავაში, სადაც ქართულ ენასა და წირვა-ლოცვას საკმაოდ დიდი პრობლემები ჰქონდა შექმნილი რუსული ხელისუფლების მიერ. როგორც ამ სასულიერო მოღვაწისადმი მიძღვნილ ნაშრომის ვრცელ თავში ვეცნობით, მოძღვარი მონაწილეობდა ქართული ბიბლიის ტექსტების დადგენასა და გასწორებაში, მოილოცა ათონის მთა და იერუსალიმის წმინდა ადგილები, მიღებული შთაბეჭდილებანი ჯერ „ივერიაში“ გამოაქვეყნა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოსცა. სხვადასხვა დროს იყო ალავერდისა და გორის ეპისკოპოსი, იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი, გაკეთებული აქვს უამრავი ეროვნული და საქველმოქმედო საქმე, თარგმნიდა წმინდა წიგნებს, იბრძოდა საზღვარგარეთის ქართული მონასტრების საქართველოსთვის გადმოსაცემად, მონაწილეობდა საეკლესიო რელიქვიების შეგროვებაში და სხვა. წიგნში გაანალიზებულია პეტრე კონჭოშვილის ცნობები იერუსალიმის წმ. აბრაამის, გოლგოთის, ქრისტეს აღდგომის, წმ. იაკობ ზებედეს, ბეთლემის, ქებრონის, ილია წინასწარმეტყველის ტაძრებზე, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერზე და ათონის მთის „ივირონის“ მონასტერზე. ამ ცნობებს მეცნიერი შედარებით ანალიზს უკეთებს სხვა წყაროებთან და ისე აწოდებს მკითხველს.

მკვლევრის აზრით, მეუფე პეტრე მტკივნეულ ეროვნულ პრობლემათა შორის გამოარჩევდა საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციისა და ქართული მიწების უცხოელთა ხელში გადასვლის საშიშ ტენდენციებს. საკაცობრიო პრობლემათაგან აღელვებდა და საშიშ მოვლენად ესახებოდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სულიერებისა და ზნეობრიობის საგრძნობი დაცემა. კონჭოშვილის ნაწერების სრული ანალიზის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ მეუფის უპირველეს საზრუნავს ქართველი ერის გამოფხიზლება და ერისა და ეკლესიის დამოუკიდებელი განვითარება შეადგენდა. მეცნიერს გახსნილი აქვს საეკლესიო მამის ფსევდონიმები, ბევრი საინტერესო ფაქტოლოგიური მასალა აქვს მოხმობილი, რაც აჩენს ეპოქის სულს, გვიჩვენებს სასულიერო ინტელიგენციის დიდ როლს ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

წიგნის ბოლო, მეოთხე თავი ეძღვნება მიხეილ (გობრონ) საბინინის ცხოვრებასა და შემოქმედებას. საბინინზე შექმნილი ვრცელი ნარკვევი ამ საინტერესო წიგნს კიდევ უფრო მატებს ღირსებას, სამეცნიერო შესწავლისა თუ ზოგად-პოპულარული თვალსაზრისით, ეს მართლაც კოლორიტული ადამიანი ეპოქის სახეს წარმოაჩენს. მამით რუსი და დედით ქართველი საბინინი საქართველოს ისეთი პატრიოტი იყო, რომ თბილისში მოღვაწე მამა რაფაელ კაველინი მას საბინაშვილად მოიხსენიებდა. აკაკიმ ლექსი მიუძღვნა და მისი მებრძოლი ხასიათი შეაქო. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად საბინინმა წარადგინა შრომა: „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნემდე“. ამის შემდეგაც, რუსეთში დაუღალავად მუშაობდა ქართულ თემებზე, ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, ეცნობოდ ძველ ხელნაწერებს, ეკლესია-მონასტრების ისტორიას. საბინინმა პეტერბურგში გამოსცა ქართველ წმინდანთა ცხოვრების სრული აღწერილობა სამ ტომად. მართალია, რუსეთში მიჰქონდა ქართული ხელნაწერების ნაწილი, რასაც არავითარი გამართლება არა აქვს დღევანდელი პოზიციიდან, მაგრამ, როგორც ვაჟა კიკნაძე აღნიშნავს, ამ დროს ეს ნაბიჯი სიძველეთა გადარჩენის კარგი შანსი იყო. საბინინის კაპიტალური ნაშრომი—„საქართველოს სამოთხე“ ფასდაუდებელია და მისი ავტორის დიდ პატრიოტიზმზე, ქართველი ერისადმი სიყვარულზე მეტყველებს. ეს 639 გვერდიანი წიგნი 1882 წელს პეტერბურგში გამოიცა ქართულ ენაზე და მასში 50 ქართველი წმინდანის ცხოვრება შევიდა. წიგნის ეს თავი დიდ სიამოვნებას მოჰგვრის ამ მოღვაწის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს.

მკვლევარი, როგორც წინა თავებში, აქაც გვაწვდის სამეცნიერო სიახლეებს, დადგენილი აქვს საბინინის ბიოგრაფიის უცნობი დეტალები, პირველად აქვს შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში საბინინის მიმოწერები, ნაშრომები, მის მიერ შექმნილი ხატები და სხვ.

ვაჟა კიკნაძის ახალი სამეცნიერო ნაშრომი დაეხმარება არა მარტო პროფესიონალებს, არამედ საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს. მასში ისინი გაეცნობიან მკვლევრის მიერ სწორად ინტერპრეტირებულ ისტორიულ მოვლენებს, საქართველოს ახალი პერიოდის ბევრ ისეთ ფაქტს წაიკითხავენ და გაიაზრებენ, რაც უეჭველად გამოადგებათ ჩვენი ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის უკეთ გააზრებაში.



ძველი ბათუმი

ვახტანგ ბესელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია კუხიანიძე

# ხრესილიდან დანახული რევოლუცია

ეს ყოველივე იმ წუთას გადაწყდა, როდესაც როსტომ ჩხეიძემ ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე საჯარო სკოლაში დაასრულა ლექცია ქაქუცა ჩოლოყაშვილზე და ახალგაზრდებს მიმართა: შეკითხვები ხომ არ გაქვთ-მეთქი, — ლილე ხვადაგიანმა ეს შეკითხვა თუ თხოვნა გაუზიარა მომხსენებელს:

— აქ კი, სკოლის კედლებში, ძალიან კარგია ლექციის მოსმენა, მაგრამ თუ შეიძლება მაშინდელი რომ გავიმეოროთ, მდინარე წყალწითელას ნაპირას და იაზონის მლვიმეში რომ გისმენდით არჩილ ჯორჯაძეზე.

— შეიძლება კი არა, აუცილებელიცაა.

და დარბაზს ისეთმა ალტაცებამ გადაუარა, ვიგრძენით, ლილე ყველას გულში იჯდა.

* * *

XVIII საუკუნე განმანათლებლობის სახელით შევიდა ისტორიაში. მისი სამშობლო ინგლისი გახლდათ. ამ ეპოქის დევიზი კი — „ყველაფერი უნდა წარსდგეს გონების სასამართლოს წინაშე". განმანათლებლებს არაჩვეულებრივი იდეები ჰქონდათ, ეგონათ, რომ კაცობრიობის უკეთესი მომავლისთვის იღვწოდნენ. მათი იდეალი გათანაბრებული და განათლებული მასები, აზროვნების, სიტყვისა და პრესის თავისუფლება იყო.

ვოლტერმა, რუსომ, დიდრომ ლომის წილი შეიტანეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეოლოგიურ მომზადებაში. ისინი განუხრელად ბატონობდნენ მთელი XVIII საუკუნის გონებაზე. განსაკუთრებით ვოლტერი, რომელიც „მთელი თავისი თავხედური გონების სიძლიერით" მოუწოდებდა თანამედროვეთ, გაებედათ და ეაზროვნათ დამოუკიდებლად, ერწმუნათ მისი ღმერთის, რომელმაც შექმნა სამყარო და შემდეგ გვერდზე გამდგარი არაფერში ჩარეულა, დაეჯერებინათ, უკვდავი სული მხოლოდ ეკლესიის მსახურთა მონაგონი იყო (თვითონ იგი სულს მოაზროვნე მატერიად აღიქვამდა), მიმხვდარიყვნენ, ქრისტიანობისა და გონების ერთად არსებობის შეუძლებლობას. კანონის უზენაესობა და მეფე-ფილოსოფოსი იყო ის მთავარი, რომელიც, მისი აზრით, დედამიწაზე საყოველთაო ბედნიერებას დაამკვიდრებდა.

ვიდრე იაკობინელები სათავისოდ გამოიყენებდნენ ვოლტერისა და მისი სულიერი ძმების შეხედულებებს, თანამემამულეთა სისხლს მდინარეებად დაღვრიდნენ, ვოლტერის ბიუსტს კი წითელ ქუდს დაახურავდნენ, ამ უკანასკნელს მართლაც მოხდენილი ჰქონდა რევოლუცია თავის თანამედროვეთა ტვინებში, მაგრამ რად დაუჯდა კაცობრიობას მათი ნააზრევი, განსაკუთრებით იმათ, ვისთვისაც სამოთხე დედამიწაზე „დიდი ოქტომბრის რევოლუციით" უნდა დაწყებულიყო, ყველასათვის ცნობილია.

დღეს ნათელია, როგორ ზღო ჩვენმა ქვეყანამ ტახტის მემკვიდრის, გიორგი XII-ის ვაჟის, დავით ბატონიშვილის ვოლტერიანელობა, რომ აღარაფერი ვთქვათ უსაშინლეს შედეგებზე, რუსეთიდან დაძრულმა, ყველაფრის წამლეკმა რევოლუციურმა ტალღამ „მარადიული გაზაფხული" საქართველოს 1921 წლის თებერვალში რომ არგუნა.

XIII საუკუნე ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქად ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ქვეყნის დაქუცმაცება, სამეფოებსა და სამთავროებს შორის დაპირისპირება. გარეშე მტრები. გამაჰმადიანების საშიშროება და ტყვეთა სყიდვა. ამ დროს იმერეთის სამეფო ტახტზე ადის ახალგაზრდა სოლომონ ბაგრატიონი, რომელიც თანდათანობით, ფრთხილად ამზადებს ნიადაგს ურჩი ფეოდალების დასამორჩილებლად. ტყვეთა სყიდვის მოსასპობად. ამის გამო მის დასასჯელად ოსმალეთის ხონთქრის გამოგზავნილ მრავალრიცხოვან ლაშქარს 1757 წლის დეკემბერში ხრესილთან ბრძოლას უმართავს და იმარჯვებს.

2010 წლის 9 ივნისს ხრესილთან, ბუეთში, ამ სოფლის ულამაზესი და იდუმალი ეკლესიის მონახულების შემდეგ, მთაზე, ტყეში რომ შეხიზვნია ულმობელი დროის სიჩუმეს, ნაირ-ნაირი რაკურსით იღებს ბაბუა ალუდაური, ქვემოთ უნდა ჩამოვიდეთ სტუმარ-მასპინძელნი (მე, ჩემი XII კლასი, ელგუჯა თავბერიძე, მერაბ კეზევაძე, როსტომ ჩხეიძე, მაკა ჯოხაძე, ლევან კიკნაძე და ბუეთის სკოლის ისტორიის მასწავლებელი, საინტერესო პიროვნება და ჩვენი გიდი ედიშერ ობოლაძე) და მდინარის ნაპირას, დიდი ხის ქვეშ მოვისმინოთ ბატონი როსტომის ლექცია, პირობითად „რევოლუცია და ქართველი მოაზროვნენი" რომ შეიძლება ვუწოდოთ, არადა, უჩვეულო სახელი კი ერქვა — „ლუარსაბ თათქარიძე და რევოლუცია". კიდევ ერთხელ შეგძრას ტრაგიკულმა ბედისწერამ საკუთარი ქვეყნისამ, ინგლისში დაბადებულმა, საფრანგეთში დაფრთიანებულმა და რუსეთში მონსტრად ქცეულმა რევოლუციურმა იდეებმა დამანგრევლად რომ შეატორტმანეს. თვალწინ წარმოგვიდგეს რევოლუციით აღფრთოვანებულ-აღტაცებული ქართველები, რომელთა ნაწილმა თავი არ დაზოგა იმპერიის უღლიდან ძლივს თავდახსნილი სამშობლოს ხელახალი ჯვარცმისათვის. ნაწილმა კი, რჩეულებმა, ზოგმა ადრე და ზოგმა მოგვიანებით, გაისიგრძეგანა რევოლუცია, როგორც გაუმართლებელი მოქმედება, რადგანაც ბოროტებას ბოროტებითვე ებრძვის.

...კიდევ ბევრი რამ ითქვა იმ დღეს ხრესილთან, ისტორიულ ადგილას, იქ სადაც თვალნათლივ ხდება შეხვედრა ძველისა და ახლისა, სადაც ასე ცხადია ლექციის დასკვნა, ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ხალხობადაბრუნებული ქართველობა თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის აუცილებლობას ჰაერივით დაისაჭიროებს.

ღმერთს დაბრუნებული, თავისუფალი ნებააღდგენილი ქართველები კი უკეთესი მომავლისათვის რევოლუციებს აღარ დაისაჭიროებს.

სულაც არ ყოფილა იმ დღეს შემთხვევითი, სწორედ

ხრესილთან გახმიანებულიყო სახელები ვოლტერისა და ილია ჭავჭავაძის, სოლომონ ბაგრატიონის, სოლომონ ლიონიძის, სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, მიხაკო წერეთლისა და კიდევ ბევრისა. წინაპართა სისხლით გაჟღენთილი მიწის გადასახედიდან ევროპა და მისგან წამოსული რევოლუციები სხვაგვარად ჩანს.

* * *

სხვათა შორის, „მდინარის გაღმა, ხეების ჩრდილში" (თავისთავად გამომეცხადა ერნესტ ჰემინგუეის ერთი მოთხრობის ეს სათაური) ორთაბრძოლაც გაიმართა ჭადრაკში. გენადი მარგველაშვილს საგანგებოდ წამოეღო ჯიბის ჭადრაკი, რათა წარმატებით მოესინჯა თავი როსტომ ჩხეიძესთან და დაემტკიცებინა, რომ მათემატიკოსებს მაინც უკეთ უჭრით გონება მეფეთა თამაშში, ვიდრე ლიტერატორებს.

თუმცა აღმოჩნდა, რომ...

პირველ პარტიაში ასე თუ ისე გაუძალიანდა მათემატიკოსი ლიტერატორს, მაგრამ მეორე ისე უბრძოლველად დათმო ფსიქოლოგიურად გატეხილმა, ამას უკვე აღარ მოველოდით.

სამაგიეროდ, მთელი გზა განუწყვეტლივ იხსენებდა ეპიზოდებს მოჭადრაკეთა ცხოვრებიდან და საკმაო განსწავლულობაც გამოამჟღავნა საჭადრაკო თეორიაში.

— როგორ კარგად გავერკვიე ჭადრაკის ამბებშიო, — უხაროდა ინფორმაციით გაბრუებულ მაკა ჯოხაძეს.

* * *

გამომშვიდობების წინ ედიშერ ობოლაძეს ვთხოვეთ, მოკლედ ჩაენიშნინებინა ჩვენთვის ის მიმზიდველი მონათხრობი, ბუეთის ეკლესიის სილამაზე და ხუროთმოძღვრული და ფრესკული თავისებურებანი ასე შთამბეჭდავად რომ წარმოგვისახა; და ამ ჩანაწერსაც აქვე დავურთავთ, როგორც ხანგრძლივი მეცნიერული დაკვირვებების შეჯამებასაც და იმ დღის წარუშლელ ფურცელსაც:

„სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ბატონმა მერაბ კეზევაძემ დამირეკა და მთხოვა მეგზურობა ბუეთში. ბუეთის მთავარანგელოზთა ეკლესიაზე უცხო სტუმრები იშვიათობაა, რაც შეეხება მეცნიერებს, თუ არ ვცდები, მხოლოდ გასული საუკუნის 20-იან წლებში მოინახულა ისტორიკოსმა გიორგი ბოჭორიძემ, რომელმაც მოკლედ აღწერა კიდეც თავის წიგნში. განსაკუთრებით გამიხარდა, როდესაც სტუმრებს შორის დავინახე ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასელები, პედაგოგებთან ერთად. სტუმრებს ცოტათი გუნება გაუფუჭდათ, როდესაც ვუთხარი, რომ გზის გაგრძელება მდინარე წყალწითელას შენაკადის ხეობაში ფეხით მოგვიხდებოდა, თუმცა ულამაზესი ხეობით მოიხიბლნენ და ნელ-ნელა გამოუკეთდათ გუნება. დამამახსოვრდა ქალბატონ ლიას შეკითხვა, ეკლესიის ეზოში შესვლისას: კიდევ ბევრი დაგვრჩა გასავლელი? ვერ წარმოედგინა, რომ ფეხით რამდენიმე კილომეტრი ამ მოკრძალებული ეკლესიის სანახავად გამოიარა, რომელსაც პერანგიც კი არ აცვია. დარწმუნებული ვარ, ტაძრის დათვალიერების შემდეგ აზრი შეიცვალა.

ბუეთის მთავარანგელოზთა ეკლესია მდებარეობს ტყიბულის რაიონში ან უკვე დაცლილ სოფელ ბუეთში. ნაგებობა დარბაზული ტიპისაა, დახურული იყო კრამიტით, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ადგილობრივმა მცხოვრებმა ალიმი ფორჩხიძემ თუნუქით შეცვალა.

საეკლესიო დოკუმენტების მიხედვით ეკლესია აშენებულია 1782 ან 1792 წელს, თუმცა ჩვენ გაგვაჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს თარიღი მისი განახლებისაა და არა აშენების. ეკლესიის ოთხივე კედელზე მრგვალოვანი ჩუქურთმებია, დეკორატიული კოპები, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავებულია, ისინი ყველა კედელზეა პროპორციულად, გარდა აღმოსავლეთის კედლისა, ყველა ის ქვა, რომლებზეც ეს ჩუქურთმებია შესრულებული, საკმაოდაა დაზიანებული; ჩნდება ეჭი, რომ დანგრეული ეკლესია თავიდან აღადგინეს.

გავიხსენოთ რუისის პრეცედენტი.

რუისის ეკლესია თემურ-ლენგის შემოსევებისას ნანგრევებად იქცა. ალექსანდრე დიდის დროს იგი ხელახლა აიგო. კედლებში აქა-იქ ჩასმულია ჩუქურთმებიან ქვათა ნამტვრევები, ეტყობა მშენებლებმა ძველი ეკლესიის ეს ნაწილები ვერ გაიმეტეს გადასაყრელად.

სოფელში ცოცხლობს ლეგენდა, რომ ეს ეკლესია უნდა აშენებულიყო სხვა ადგილას, მაგრამ ერთ ღამეს ქვებმა ფეხი აიდგეს და გადაეწყვნენ სწორედ იქ, სადაც დღეს ეკლესია დგას.

იმ ალაგს, სადაც ლეგენდის თანახმად ქვები ეყარა, ბრილისა ქვია და დღესაც წმინდა ადგილად ითვლება.

ეკლესიას აქვს სამი სარკმელი აღმოსავლეთ კედელზე და თითო-თითო სამხრეთით და ჩრდილოეთით. ყველა ეს სარკმელი შემკულია ულამაზესი, მრავალფეროვანი ჩუქურთმებით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჯვრები, რომლებიც კედლებშია ჩასმული, მაგალითად: აღმოსავლეთის კედელზე არის წრეში ჩასმული ჯვარი, რაც კოსმოსთან კავშირს ნიშნავს, ოთხკუთხედში ჩასმული ჯვარი, მარადიული ქალაქის სიმბოლოა. შუა სარკმლის თავზე მოთავსებულ ჯვარზე აშკარად ჩანს წამების იარაღები, ხოლო მის ქვემოთ, სარკმლის კუთხეებში ორი მომცრო ჯვარია; ჩვენი აზრით, გამოსახულია გოლგოთა (თუ ქალბატონი ნინო სარავა წაიკითხავს, მიხვდება, რომ პლაგიატორი ვარ, თქვენზე რომ არაფერი ვთქვა).

სამხრეთ კედელზე განთავსებულია ჯვარი, რომლის სიმბოლო ვერ გავშიფრეთ. იქვეა გამოსახული უცნაურბრჭყალებიანი ცხოველი მორკალული კუდით, მის გვერდით კი ორთავიანი გველეშაპი... ძალიან ძველია ჩვენი აზრით, დასავლეთ კარიბჭის თავზე მოთავსებული მლოცველის ფიგურა („უფალო შემიწყალე") მის გვერდით გაცოცხლებული ჯვარი.

ეკლესიაში სტუმრების ყურადღება მიიპყრო უნიკალურმა კანკელმა, რომელიც ხუთსართულიანია. მასზე გამოსახულია ბიბლიური სცენები როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმიდან. ავტორი სავარაუდოდ უნდა იყოს ვინმე ხუციბერიძე, თუმცა კანკელზე არავითარი წარწერა არ ჩანს, იქვეა საეკლესიო ბაირაღი, ხოლო ნივთების ნაწილი დაცულია ქუთაისის მუზეუმში. კერძო პირთან ინახება უნიკალური მე-12 საუკუნის ხატი, რომელიც რესტავრირებულია".

„ცხოვრება თეატრია, ჩვენ კი, — მასში მოთამაშე მსახიობები. არავინ დარჩება როლის გარეშე“, — გვეუბნება შექსპირი. მარტივი ლოგიკით, თუ ცხოვრება თეატრია, მაშინ თეატრი – ჩვენი ცხოვრება იქნება. მასში, როგორც სარკეში, ადამიანის ყოველდღიურობა, სულიერება და ყოფიერებაა ასახული. თეატრი ჩვენი ცხოვრების ანარეკლია... რაც უფრო ხანგრძლივი შემოქმედებითი ისტორია აქვს თეატრს, მით მეტად ფასეულია, მითუმეტეს, თუ ამ ისტორიას თან სდევს დევნილობა, შევიწროება, ომიანობა...

ვგულისხმობ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის 1885 წლიდან დღემდე ქართული კულტურული ცხოვრების სამსახურშია.

წელს თეატრი საიუბილეო 125 წელს აღნიშნავს.

მას ახალი მმართველი ჰყავს. მერაბ ბრეკაშვილი ამ დასში გაზრდილი მსახიობია. თუ რა გეგმები აქვს და როგორ წარმოუდგენია თეატრის მომავალი, ამაზე თვითონ მოგახსენებთ:

მერაბ ბრეკაშვილი

# „ჩვენს ქერქვეშ — სოხუმში“



**— ორიოდე სიტყვით თქვენს შესახებ გვითხარით...**

— დავამთავრე თბილისის თეატრალური ინსტიტუტი 1985 წელს. კურსდამთავრებულთა პატარა ჯგუფი მშობლიურ სოხუმში ჩავედით, სადაც სიამოვნებით მიგვიღო თეატრის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ. არეულობის შემდეგ წამოვედი თბილისში და მას უკვე აქაურ სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ვაგრძელებ მუშაობას... მყავს მეუღლე და ორი შვილი.

**— რაში მდგომარეობს თეატრის თქვენეული მართვა?**

— მე ძველი სანყისებიდან მოვდივარ და თეატრის ჩემეული მართვა ისევ იქიდან მომდინარეობს, თუმცა ყველაფერს განახლება სჭირდება. დიდი სურვილი მაქვს, ახალგაზრდა მსახიობები მოვიწვიოთ, რომ მათაც მიეცეთ შემოქმედებითი ასპარეზი (რა თქმა უნდა, ისინი დასის ძველ წევრებთან ერთად იმუშავებენ). ასევე ვაახლებთ ჩვენს ვებგვერდს. ეს გახლავთ ნნნ.ტეატრისოკჰუმი.გე, რაც არსებითად თეატრის ცხოვრების პატარა მატიანე იქნება. მოგეხსენებათ, თეატრი წელს დაარსებიდან 125 წლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. იუბილესთან დაკავშირებით ვგეგმავთ საგასტროლო ტურნეებს, გასვლით სპექტაკლებს. ჩვენ სულ ახლახან გვქონდა პრემიერა — ავქსენტი ცაგარელის პიესა „ჭკუისა მჭირს“. რეჟისორმა კოტე მირიანაშვილმა შესანიშნავი ძველთბილისური ვოდევილი შესთავაზა მაყურებელს. ამჟამად უკვე ვიწყებთ მუშაობას ოთარ პერტახიას პიესაზე — „კომანის უკანასკნელი დღე“.

**— თქვენი თეატრი მონაწილეობდა მეორე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. რა სპექტაკლით წარსდექით ამ ფესტივალზე?**

— ჩვენ საერთაშორისო ფესტივალზე წარვადგინეთ ლალი როსებას პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „პრემიერა, დიმა ხვთისიაშვილის რეჟისორობით, რომელსაც ძალიან კარგი, თბილი გამოხმაურებები მოჰყვა უცხოელი თეატრმცოდნეებისაგან.

**— რამდენად საპასუხისმგებლოა თქვენთვის ახალი ამპლუა?**

— ეს დიდი პასუხისმგებლობაა, როცა მხრებზე დაგაწვება, მაშინ გებულობ მის სიმძიმეს, მაგრამ აქ ერთი შემამსუბუქებელი გარემოებაა ჩვენი დასი. მათთან ერთად მუშაობა ძალიან გიადვილდება.

**— თქვენც თუ გააგრძელებთ მსახიობის კარიერას?**

— ცხადია. პირველ რიგში მსახიობი ვარ და არ მინდა მივატოვო ჩემი საქმე.

**— ცოტა მტკივნეულ თემას მინდა შევეხო, ესაა თეატრის ირგვლივ აგორებული დაპირისპირება თქვენსა და ყოფილ მმართველს შორის, რა კომენტარს გააკეთებდით ამის თაობაზე?**

— თეატრში ყოველთვის იყო პრობლემები, ეს ერთი ოჯახია, აქედან დიდი ტკივილი ოჯახის იქით არ უნდა გავიტანოთ.

**— რა პრობლემები აქვს თეატრს და როგორ ახერხებთ მათ გადაჭრას?**

— ყველაზე დიდი პრობლემა, ჩვენი საკუთარი ჭერის უქონლობაა, თუმცა როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობთ თავს კოტე მარჯანიშვილის თეატრში. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა მის ადმინისტრაციას. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერება გამოვხატო საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართ, მან ფაქტობრივად გადაგვიჭრა უდიდესი პრობლემა — გამოგვიყო თანხა ახალი პიესისათვის „ჭკუისა მჭირს“, ასევე დაგვეხმარა კომპიუტერული და აუდიო-ვიდეო ტექნიკით. დიდ პრობლემებს გვიგვარებს აფხაზეთის მთავრობა. ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ აფხაზეთის კულტურის სამინისტროსგან, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ დალი ხომერიკს.

**— რას უსურვებს მმართველი თეატრს?**

— პირველ რიგში — ჩვენს ჭერქვეშ, სოხუმში დაბრუნებას, ეს ალბათ ყველა ქართველის სურვილიცაა. ვისურვებდი თეატრის დონის კიდევ უფრო ამაღლებასა და ყველაფერს საუკეთესოს.

**— მეც გიერთდებით და დიდ წარმატებას ვუსურვებ თეატრს.**

ესაუბრა
თამუნა დუღაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ მაღალაშვილი

# „ჩვენ მოვიგებთ ომს“

გურამ მეგრელიშვილის ახალი რომანისათვის თავისუფლად შეგვეძლო მეორე სათაურიც “ჩვენ მოვიგებთ ომს” დაგვერქმია, რადგან ალტერნატიული სიუჟეტის სტილში დაწერილი რომანი სწორედაც იმაზეა, როგორ მოვიგეთ, თუ როგორ უნდა (ან შეიძლება) მოგვეგო 2008 წლის ომი, მაგრამ ვინაიდან უკვე ვიცით, რომ “ორი სათაური საჭირო არაა”, შეგვიძლია უარი ვთქვათ ამ ცნობილ ფრაზაზე და რომანი ნათლობის სახელით “iratta.ru” მოვიხსენიოთ.

მართალია რომანს ორი სახელი არ აქვს, მაგრამ ორი ავტორი კი ნამდვილად ჰყავს და მეორე ავტორი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი თამაზ დემეტრაშვილია. არ ვიცი, ეს გურამ მეგრელიშვილის გამოგონილი ალტერავტორია (ამ მწერალს ზოგადად ახასიათებს მკითხველთან თამაში, მისი გაბაიბურება, სხვადასხვა ფსევდონიმით წიგნებისა და მოთხრობების წერა და ა.შ.) თუ ბუნებაში ნამდვილად არსებობს ვინმე მწერალი თამაზ დემეტრაშვილი, რომელსაც ალბათ შესანიშნავი დებიუტი შეგვიძლია მივულოცოთ.

“iratta.ru” გურამ მეგრელიშვილის მეოთხე (წინა სამიდან ერთი ამავე სახელ-გვარით, ორი კი ფსევდონიმით “ზემხა” გამოსცა) წიგნია და კონცეპტუალურადაც და ენობრივადაც სრულიად განსხვავდება წინა სამისაგან. თუკი აქამდე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში ავტორი ერთგვარად მაინც წვალობს საკუთარი სტილი იპოვოს, საკუთარი ენა დაამკვიდროს (რასაც კარგად ახერხებდა იმის ხარჯზე, რომ უპრეტენზიო ენით წერდა), ახალ წიგნში მისი ლიტერატურული ენა უკვე მკვეთრად ისმის, თუმცა ლიტერატურული ენა ცოტა ნამეტანია, ახალ რომანში პერსონაჟებიც და მთხრობელიც ისევე საუბრობენ, როგორც ილაპარაკებდნენ ვთქვათ ავტობუსში, პურის რიგში ან საფეხბურთო მოედანზე. მწერალი უარს ამბობს საუბრის დახვეწილ მანერაზე და მკითხველთან ძალიან ფამილარული ხდება. ეს არ ეხება მთელ რომანს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ასეთი ენით დაწერილი ტექსტების გვერდით გვხვდება ნახევრად სამხედრო, მშრალად მკაცრი მოკლე ანონსებად გადმოცემული წინადადებები, თუ სად რა ხდება, სად როგორ უტევს ქართული ჯარი და სად იცავს თავს.

“iratta.ru” რუსულ-ქართულ კონფლიქტზე დაწერილი წიგნია, რომელსაც ჰყავს ოთხი მთავარი და ათეული მეორეხარისხოვანი პერსონაჟი. დასაწყისშივე ავტორ(ებ)ი სათითაოდ გაგვაცნობს თითოეულს და ამას კინოხერხით აკეთებს (ზოგადად მწერალ გურამ მეგრელიშვილისთვის დამახასიათებელია კინოხერხების ლიტერატურაში შემოტანა, ე.წ. კინოხედვა, რაც სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ მისი კინოსცენარისტობის შედეგია).

მიშა ბარჯაძე, გორელი კაცი, რომელიც ბიძაშვილის ქორწილზე თბილისშია ჩამოსული და თოთო ბავშვი ცხინვალში, სიდედრთან ჰყავს დატოვებული, თავისდაუნებურად მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდება, თან აღმოჩნდება ისე, რომ ცოლის ღალატთან ერთად შესაძლოა სამშობლოს ღალატიც დაბრალდეს.

“ქოთანა” — ოცდაცამეტი წლის ბერბიჭა, რომელმაც უარი თქვა გარესამყაროსთან ურთიერთობაზე და ბოლო ხუთი წელია თავისი ვაზისუბნის ბინიდან გარეთ არ გასულა. უნებურად ისიც მონაწილეა განვითარებული მოვლენების, მაგრამ მონაწილეა პასიურად, შორიდან თვალთვალით და არა ჩარევით, და ეს პასიურობა იმას იწვევს, რომ ბოლოს თავი თვითმკვლელობამდეც კი მიყავს.

ტატო — ორმოცდაათიოდე წლის სამხედრო მოსამსახურე, თავისი აკვიატებული შიშებით წარსულიდან და დანაშაულის მოუცილებელი გრძნობით ცოლ-შვილის წინაშე, რომლებიც მის გამო აფხაზეთის ომში დაიხოცნენ — მთელი ნაწარმოები სულიერ ტრანსფორმაციას ცდილობს და მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ თუ ტატოებში მოხდა გარდატეხა, გარდაქმნა, ომის ბედიც შემოტრიალდება, რადგან სწორედ ტატოსა და მისნაირებზე დგას ქართული ჯარი.

ალტონ ჰენდერსონი — ამერიკული სპეცსამსახურის თანამშრომელი, ომის დაწყებისთანავე სამხედრო მრჩევლად ჩამოდის საქართველოში და ყველაზე ნაკლებად რაც ადარდებს, სწორედ ეს ომია, რადგან გადაუწყვეტელი პრობლემები აქვს ოჯახთანაც და საკუთარ თავთანაც. თითოეული დღე, თითოეული საათი, რომელსაც საქართველოში ატარებს, საფუძველი ხდება მისი გარდაქმნისა (ზოგადად რომანი გარდაქმნებზეა, ადამიანურ გარდაქმნებზე, რომელიც ვითარებებსაც ცვლის საკუთარი თავის გარშემო).

და ბოლოს, ებრაელი გადამდგარი ჯარისკაცი შორი ცადიკი, რომელიც თითქოს ერთგვარ კოსმოპოლიტად გვევლინება და ვისაც “ადგილი არ აქვს, სადაცა თავი მიიდრიკოს”. ყველაზე დადებით პერსონაჟი მაინც სწორედ ეს ებრაელი გამომყვანი, ანუ “სტალკერაა”, როგორც მას მეტსახელად უწოდებენ. შორი ცადიკი ფულს იმით შოულობს, რომ კონფლიქტური რეგიონებიდან ძვირფასი ნივთები, გარდაცვლილის ძვლები და ა.შ. გამოაქვს. ის უპრეტენზიო, უთქმელი კაცია, რომელსაც შეუძლია თვალის დაუხამხამებლად სამი კაციც მოკლას და სხვის მაგივრად თავიც გაწიროს (არ ვიცი რამდენად დამაჯერებელი სახეა ებრაელი ჯარისკაცისთვის ასეთი თავგანწირვა). სწორედ “სტალკერას” ევალება ხუთი თვის ბავშვის გამოყვანა დასაბომბად გამზადებული ცხინვალიდან. “სტალკერა” ანაფორას გადაიცვამს და რომანიც მოგვითხრობს მის თავგადასავლებს ამ ქალაქში.

ამავდროულად წიგნში აღწერილია რიგით ჯარისკაცთა ამბები სანგარში თუ ბრძოლის ველზე, გამოგონილი ტერორისტები რუსეთიდან, რომლებიც ცენტრალური ვაგზლის აფეთქებას გეგმავენ და ა.შ. საინტერესოა ხერხი, რითაც ავტორი გაბნეულ სიუჟეტებს აერთიანებს: ყველა მოვლენას თავისი კავშირი აქვს უმთავრეს მოვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებთან ბრძოლის ველზე. თითქოს ქართული ჯარის პულსზე უდევს თითი ყველა პერსონაჟს, ვინც კი რომანში გვხვდება. ყველაზე ჩაკეტილი "ქოთანაც" კი შინაგანად გრძნობს ომის მიმართულებას და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ომის მიმდინარეობაზე მხოლოდ ინტერნეტ საიტებიდან და დედის მოთქმა-გოდებიდან იგებს, თითქოს აქტიურად ერთვება პროცესებში, მაგრამ ეს ერთადერთი აქტივობა (დროში ემთხვევა ქართული მხარის გააქტიურებას და საბოლოო შეტევას სამაჩაბლოს რეგიონზე) წარუმატებელია, რადგან ჩანასახშივე მცდარია, ავტორ(ებ)ი აშკარად ერევა საკუთარი პერსონაჟის ცხოვრებაში და ხაზგასმით ანახებს მკითხველს, სწორედაც როგორი არ უნდა იყოს ერი საკუთარ შვილებთან მიმართებით. "არ გეშინია, ვინმე რომ შემოგივარდეს, შენ ხომ ოსი ხარ?" – ეკითხება მეზობელს "ქოთანა" და გადაკვრით ახსენებს მასაც და ჩვენც პერიოდს, როცა ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციები მართლაც არსებობდა ქვეყანაში, ახსენებს და იქვე გვიხატავს სცენებს, სადაც ახლა ოსურად გვარგადაკეთებულ ქართველებს "ჩაგრავენ" სამაჩაბლოში. ქართველი ხარ? — ესე იგი მტერი ხარ, მტერი რომლის ჯიშ-ჯილაგიც უნდა ამოიძირკვოს, რათა ამ მიწაზე პრეტენზია აღარასოდეს ჰქონდეთ.




ავტორ(ებ)ი ფრთხილობს, იცის, რომ ტექსტი და თემატიკა საფრთხილოა და ფრთხილობს. ერთგან თუ ტყვე დათო მაჩაბელი ხმამაღლა ყვირის, ჩემი მიწებია ესო, და ოდნავ მოტკბილოდ სენტიმენტალური პასაჟით გულს გვიჩუყებს, იქვე არანაკლებ სენტიმენტალური პასაჟით ოსი პალა ცკაევის განცდებს გვიჩვენებს, როცა ის, შეშინებული თანასოფლელი მოხუცების დახოცვაზე ფიქრობს. მთელი ნაწარმოების მანძილზე ერთი იდეის პარალელურად ყოველთვის ჩნდება მეორეც, მისი საპირისპირო, და შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ავტორ(ებ)ი მკითხველის ყველანაირ კატეგორიას ითვალისწინებს. ყველაზე კარგად ეს ჩანს ფორუმულ "ჩატში", სადაც რიგითი მოქალაქეები ზოგადად მიმდინარე მოვლენებზე საუბრობენ. აზრი აქაც იყოფა (შინაგანი დუალიზმი აქვს რომანს, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი კარგად და ორგანულადაა გამთლიანებული). ერთი მხარე მიმტევებლობაზე საუბრობს, მეორე მოითხოვს სამაჩაბლოში მცხოვრები ყველა მეომარი ოსის ერთიანად განადგურებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ამაზე საუბარი. რომელი მხარეა მართალი? ამის გადაწყვეტას ავტორ(ებ)ი მკითხველს მიანდობს.

შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მართლაც საინტერესო სიუჟეტის, კარგად დახატული (ზოგან ძალიან კარგადაც — იგივ "ქოთანას" შემთხვევაში) ხასიათების მიღმა, ავტორი (თუ ავტორები) ცდილობს ძალიან შეფარულად მიგვანიშნოს სტრატეგიაზე, რომელიც უკეთესი იქნებოდა ამ ომის მოსაგებად. ავტორ(ებ)ი გვაიძულებს მძიმე, სამხედრო ექსპერტის სტილში დაწერილი ჩანართები წავაკითხოს, მსუბუქი, მწერლის მიერ დაწერილი პასაჟებით, სენტიმენტალური ადგილებით, ბატალური სცენების დეტალური აღწერით (ზოგან ისეც კი, რომ ეკრანზე ხედავ) და გამოგონილი ტერაქტების განეიტრალებებით ისე, რომ დაღლა არ ვიგრძნოთ და რაც თითქოს მხოლოდ პროფესიონალი სამხედროებისათვის გასაგები იქნება, რიგითმა მკითხველმაც კარგად გავიგოთ და გავიაზროთ.

მიუხედავად იმისა, რომ რომანი მთლიანად ომითაა გაჟღენთილი, ის მაინც ძალიან პაციფისტურ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ყოველ ქმედებაში, ყოველ ციტატაში კარგად ჩანს, რა საშინელებაა ომი, თუნდაც ომი ქვეყნის დასაცავად, მაგრამ ამავე დროს, იქვე მაღალმხატვრულად და ერთგვარი სიამოვნებითაც კი გვთავაზობს ასეთი ომების მოგების ხელოვნებას — რაც შეუძლებელია რეალობაში, შესაძლებელია ფურცელზე, ამბობს ავტორ(ებ)ი, და მწერალი გურამ მეგრელიშვილი ისევ გვეთამაშება, მხატვრულად შეფუთულ "iratta.ru"-თი (საკმაოდ პრეტენზიულ) სამხედრო სტრატეგიას გვახვევს თავს და თანაც ისე, რომ შესაძლოა წიგნს ისტორიულ რეალობაზე გაუჩნდეს პრეტენზია წლების მერე, რადგან მკითხველი ხომ მხოლოდ იმ "მოხდას" იჯერებს, რაც კარგად დაწერილ წიგნში წერია, და არა იმ "მოხდას", რასაც ისტორიკოსები თავიანთ უბის წიგნაკებში ჩაინიშნავენ. ავტორი ისევ გვეთამაშება (ამჯერად ალტერ-ავტორის, ან ნამდვილი მწერლის თამაზ დემეტრაშვილის დახმარებით) და ეს თამაში ძალიან სახიფათოა, აკი აწერია კიდეც წიგნს ყდაზე: "წიგნი შეიცავს უცენზურო ლექსიკას და ძალადობის სცენებს. არ არის რეკომენდებული 18 წლამდე ასაკის მკითხველისათვის".

*ედინბურგი*

ძვირფასო რედაქცია!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს. მადლობას გიხდით სოფიო მაჭავარიანის ეპისტოლეს ("ქარი — სხვა თვალით") გამოქვეყნებისათვის. მე ვგრძნობ რედაქციის თანაზიარობას ამ, სხვა თვალით დანახულ შთაბეჭდილებებთან მიმართებაში. მითუმეტეს, რომ ის ავტორის ჩანაფიქრშიც თავსდება. ქალბატონო სოფიო, თქვენისთანა კომპეტენტურ და გულისხმიერ მკითხველს ყველა კარგ პოეტს ვუსურვებდი. ამიტომ ლიტერატურულ ხერხს უფრო მიეწერება თქვენი ავტორეფლექსია: "...ჩემისთანა...". სწორედ თქვენისთანა მკითხველს გულისხმობს ის, რასაც ლიტერატურული პროცესი ჰქვია.

მადლობა კეთილგანწყობისათვის და სახელისათვის - "ძამიკო".

პატივისცემით

**შოთა ბოსტანაშვილი**

**P.S.** გთხოვთ ეს ტექსტი გადაუგზავნოთ ქალბატონ სოფიო მაჭავარიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე ამაღლობელი

# ჩვენც ვნახეთ რამალა

„ეს ლაკონიური, ლირიკული ნარატივი გაგრძელებული ემიგრაციიდან 1996 წლის ზაფხულში, რამალაში, დასავლეთ სანაპიროზე დაბრუნების შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური მონათხრობია პალესტინელთა გადასახლებაზე აქამდე დაწერილ ნაწარმოებთა შორის“, — წერს **მურიდ ალ-ბარღუთის** მემუარული ნაწარმოების **„მე ვნახე რამალა“** წინასიტყვაობაში **ედვარდ საიდი.**

ეს წიგნი მთელმა არაბულმა სამყარომ აღფრთოვანებით მიიღო გამოსვლისთანავე (1997 წელს). მალევე ნაჯიბ მაჰფუზის პრემია მიენიჭა, ახლახან კი პალესტინელი პოეტის ეს თხზულება, **ნინო დოლიძის** მიერ თარგმნილი, ქართულადაც გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის დეპარტამენტისა და **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** ძალისხმევით (რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**, დიზაინერი — **კარლო ფაჩულია;** კომპიუტერული უზრუნველყოფა — **თენგიზ რობიტაშვილი**). ედვარდ საიდის წინასიტყვაობის გარდა, **სტიუარტ რეიგელუთის** საინტერესო წინათქმაც უძღვის — საგანგებოდ ქართული გამოცემისთვის. ასევე დართული აქვს ბოლოთქმა და განმარტებანი მთარგმნელისგან.

უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში ამ ახალი წიგნის წარდგინებაც გაიმართა.

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის პროფესორი **აპოლონ სილაგაძე** შეკრებილებს მიესალმა, მადლობა გადაუხადა ჟურნალ „ჩვენს მწერლობას“ ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისთვის და აღნიშნა:

— ამ კონტაქტებმა ბევრწილად განსაზღვრა ბოლოდროინდელი წინსვლა არაბისტიკაში. ასეთი ურთიერთობანი ყოველთვის აისახება თვით საუნივერსიტეტო ცხოვრებაზეც და დღევანდელი შეხვედრაც ამის დასტურია.

შეხვედრას უძღვებოდა **მაია ჯალიაშვილი,** ვისი თქმითაც წიგნი ყურადღებას იპყრობს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გამო:

„წიგნისთვის წამძღვარებულ წინათქმაში აღნიშნულია: ბარღუთის არ ეგონა, რომ მისი წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანები აზრს შეიცვლიდნენ ამ კონფლიქტის შესახებო.

მინდა გითხრათ, რომ მე ერთ-ერთი ვარ მათ შორის — აქამდე ისრაელს უფრო თანავუგრძნობდი, ახლა კი ჩემთვის უკვე მეორე მხარეც არსებობს. წიგნი ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. იქ ისეთი ფრაზებია, რომელიც სამუდამოდ გამახსოვრდება. აი, მაგალითად: „თევზი, თუნდაც მებადურების ბადეში მოქცეული, ზღვის სურნელს ატარებს“.

სწორედ ამ სურნელით არის გაჟღენთილი ეს წიგნი, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილს ეძღვნება და რომლითაც მთარგმნელი თავის მადლიერებას გამოხატავს მასწავლებლისადმი“.

* * *

**„ყოფითობის ჯადოსნური მადლი“**, — ასე ჰქვია **როსტომ ჩხეიძის** ესეის, რომლითაც იგი „მე ვნახე რამალას“ გამოეხმაურა და რომლის ფრაგმენტიც შეხვედრაზე წაიკითხეს. ესეიში ბატონი როსტომი პალესტინელი მწერლის ტრაგიზმის ფონზე მთელ ეპოქასაც მიმოიხილავს — ყოფით რეალობას, რომელიც მწერლის პირადულსა და ზოგადადამიანურ სატკივარში იმ სიმწვავით შეჭრილა, რომ უპირველესად პალესტინელთა ტრაგიკულ ხვედრს ასიმბოლოვებს. ამიტომაც აღნიშნავს ჩვენს სივრცეში ამ წიგნის მეგზურობის მნიშვნელობას, როგორც პალესტინური გამოცდილების უნივერსალური სურათისა, უმკაფიოესი და უზუსტესი წვდომით რომ გამოირჩევა, ჩვენს ეროვნულ სატკივარსა და ბედისწერაზეც გვაფიქრებს და სხვაგვარად დაგვანახებს პალესტინელთა ტკივილსაც.

— მურიდ ალ-ბარღუთი მაინც ისეთი ეპოქის შვილი რომ არის, სადაც მხატვრულ-დოკუმენტურ ნაკადს უპირატესობა მოუპოვებია მხატვრულ ჟანრებზე. სხვაგვარად „მე ვნახე რამალა“ მისი პოეტური მოღვაწეობის ერთგვარი დამატება იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ლირიკულ კრებულთა თანაბრად შეფასდებოდა და ასერიგად ვერ გადაწონიდა პოპულარობით, რომ ამჟამად მწერალი ჯერ ამ ავტობიოგრაფიული რომანის ავტორად იხსენიება და მხოლოდ შემდეგ — პოეტად.

და ნიშანდობლივია, რომ ქართული ენობრივი სამყაროს კარიც ამ წიგნით შეაღო მას მერე, რაც „მე ვნახე რამალა“ არაერთ ენაზე ამეტყველდა და ბევრ ქვეყანაში იქცა ახალ ქოგრიტად პალესტინური ტრაგედიის შესაცნობად და გასააზრებლად — ინგლისურად თუ ფრანგულად, იტალიურად თუ ესპანურად, ნორვეგიულად თუ ჰოლანდიურად, ინდურად თუ ჩინურად, პორტუგალიურად თუ კიდევ და კიდევ...

„მე ვნახე რამალა“ კი დიდ მონატრებასაც აგრძნობინებს მკითხველს და იმედოვნებასაც აღვივებს, რომ ეს არ დარჩება ერთჯერად აქტად, წამიერ გამონათებად, და რამალაც, დირ ღასანაც და პალესტინის ყველა ტოპონიმი, იერუსალიმით დაგვირგვინებული, გადახვეწილობაში მიმოფანტული არაბებისათვის იქნება არა მარტოდენ ჯადოსნური სამყარო, ოცნების საუფლო, ნეტარი ზმანება, არამედ ებრაელებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებით მოპოვებული სავანეც, ის ყოფითი რეალობაც, რომლის მშვენიერებასაც ასე ხელშესახებად გვაზიარებს მურიდ ალ-ბარღუთის ეს ავტობიოგრაფიული რომანი, წარმოსახვისა და სინამდვილის მიჯნაზე გადახსნილი, გალაკტიონ ტაბიძის იმ სულისშემძვრელი სტრიქონებისა არ იყოს: მაგრამ სამშობლოს ნაცნობ გზებით ველარ მოვაგენ და არ მახსოვდა, მქონდა იგი თუ მომაგონდაო, — წერს როსტომ ჩხეიძე.

* * *

„ეს არ არის პასაჟები მხატვრული, გამოგონილი ტექსტისა. ეს რეალობაა, ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე ახლო აღმოსავლეთის (და არა მხოლოდ ტოპონიმები, რეალურ პერსონაჟთა სახელები რომ ქართულით ჩაანაცვლო, ეს იგივ ქართული რეალობაა, ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე, დანაკუწებული, გასხვისებული, ოკუპირებული საქართველოსი)“, — იტყვის **ნანა კუცია** მას შემდეგ, რაც საინტერესო პასაჟებს წაგვიკითხავს წიგნიდან და ისაუბრებს პალესტინელი მწერლის სულის ნაღვლიან საგაზე, ფესვებდაჭრილი

ადამიანის დიდი სასოწარკვეთითა და უცნაური სიმშვიდით დაწერილ ტკივილიან ტექსტზე, რომელიც განძარცულია მეტაფორებისგან, ეპითეტებისგან და ყოველგვარი ფრაზით კეკლუცობის გარეშე, თითქოს დღიურის სისადავითა და უბრალოებით გადმოგვცემს პალესტინელთა მარადიულ წყევლაკრულვიან საკითხავს, ასე რომ ცნაურდება ქართველობის ტკივილთანაც — „სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში".

ეს სადა და რეალისტური თხრობა, ასე ოსტატურად თარგმნილი, თითქოს ჩვენც გვამოგზაურებს რამალას ქუჩებში და ტოვებს განცდას, რომ ჩვენც ვნახეთ რამალა, მურიდ ალ-ბარღუთის რამალა — ასეთი ახლობელი რომ აღმოჩნდა ჩვენთვის.

„სევდით ნაქსოვი წიგნი მურიდ ალ-ბარღუთისა დარჩებოდა „მტილად დახშულად, წყაროდ დაბეჭდულად" არაბულის არმცოდნეთათვის, რომ არა ნინო დოლიძის ზნეობრივი არჩევანი — ეთარგმნა პალესტინური სანუხარის რეფლექსია, უზუსტესად რომ ეხმიანება ქართულს. ღირსეული მთარგმნელი, ვისი სწორი ეროვნული პოზიციაც ნათლადაა წარმოჩენილი წიგნის ბოლოსიტყვაობაში, ალ-ბარღუთის დარდიან ტონს ქართული სიტყვის ქსოვილით აღადგენს, პალესტინურ ტკივილს ქართულ სიტყვად, ქართულ სევდად ჩამოქნის. უზუსტესია კარლო ფაჩულიასეული დიზაინიც წიგნისა — თეთრი, აღმოსავლური სახლებით დაწრდილული ქუჩის პერსპექტივა, ზურმუხტოვანი ხეები (სოხუმიც ასეთი ქათქათა და ზურმუხტოვანი ქალაქი იყო)... და შორს, წიგნის ყდის კიდეზე, ოცნების დასალიერში — ცა, ყოველი მიწიერი სამშობლოს უნათლესი არქეტიპი", — თქვა ნანა კუციამ.

იერუსალიმიდან განდევნილი პალესტინელის ფიქრი, ტრაგიზმით გაჯერებული თხრობა საოცარი სიმძაფრით გვიახლებს საკუთარ ტკივილსაც, დაკარგული ტერიტორიებისა და დაშლილი სამშობლოს ჯერ კიდევ მოუშუშებელ იარებს, სწორედ რომ მოუშუშებელს, მცირეც რომ კმარა ჭრილობის პირის გასახსნელად.

ალბათ ამიტომ აღმოჩნდა ასეთი მტკივნეული ამ თემის შეხსენება, აფხაზეთის პრობლემასთან პარალელის გავლება, **აპოლონ სილაგაძისთვის**, ვისი რეპლიკაც: ეს ორი სხვადასხვა საკითხია, აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური სიბრტყეებია და მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა არ შეიძლება. ამიტომ იქნებ მოზომილნი ვიყოთ ასოციაციებშიცო — ხმაურიანად დატრიალდა შეხვედრაზე და არაერთი მოპასუხეც გამოუჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ — ლიტერატურა ხომ ის განზომილებაა, რომელიც საოცრად აახლოებს განსხვავებულ დროში, ეპოქასა და სივრცეში მცხოვრები ადამიანების ფიქრებსა და ტკივილებს და სხვისი განსაცდელი ხშირად იმაშიც გვეხმარება, სხვაგვარად გავისიგრძეგანოთ საკუთარი საფიქრალი. ამიტომაც:

— ასოციაციების გარეშე ვერც მე წავიკითხეო, — იტყვის **ნინო ვახანია** და საუბარს ხიდის სიმბოლიკით დაიწყებს:

„ხიდი — ხიდი რეალობა, ხიდი მეტაფორა, ხიდი შემაკავშირებელი, ხიდი გამყოფ-გამთიშველი. რომანის პირველი თავი ასეა დასათაურებული — „ხიდი". რამდენ ასოციაციას აღძრავს, რამდენ პირადულს, ლიტერატურულს, ცხოვრებისეულს. რისთვის აგებენ ადამიანები ხიდებს? ერთმანეთთან დასაახლოებლად, დასაკავშირებლად. ერთმანეთის გაგებისკენ, შეცნობისკენ, დამეგობრებისკენ მიმავალი გზა ხომ ყოველთვის ხიდზე გადის — რეალურსა თუ წარმოსახვითზე. კანონზომიერებამ შეუცვალა ხიდებს დანიშნულება. ხიდი იქცა საზღვრად, დაბრკოლებად, ჯებირებად ქვეყნებს, ერებს, სარწმუნოებებს შორის. ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის შესახებაც ხომ არაერთი საინტერესო ნაწარმოები შეიქმნა და გასაკვირი არაა, რომ რამდენიმე მათგანს ერთნაირი სათაური — „ხიდი" ჰქვიაო, — იტყვის და მურიდ ალ-ბარღუთის ხიდზე ისაუბრებს, ომით იავარქმნილი სამშობლოს, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების, დაქვრივებული ქალების, დაობლებული ბავშვების, შვილმკვდარი დედების ტრაგიზმზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ყოფნის ხვედრზე, დამცირებული, გათელილი ღირსებით ცხოვრებაზე და სამშობლოს დაკარგვით დაღდასმულ ყოფაზე... კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მძაფრად რომ წამოაგონებს ქართულ სატკივარს, თითქოს სხვანაირი სიცხადით დანახულს... და გამორჩეულად აღნიშნავს მთარგმნელის ძალისხმევას:



ნინო დოლიძე

— რომ არა შესანიშნავი მთარგმნელი ნინო დოლიძე, ჩვენ ვერასოდეს მივიტანდით გულთან ახლოს პალესტინელთა სატკივარს, ვერც საკუთარ სადარდელს გავისიგრძეგანებდით ასე ღრმად და საფუძვლიანად.

* * *

— გიორგი წერეთელი ამბობდა, „მეცნიერების დონეს წიგნის რეცენზირების დონე განსაზღვრავსო". როცა ახალგაზრდა ავტორთან გვაქვს საქმე, ოქროს შუალედი უნდა დავიცვათ, წიგნის ღირსებაც წარმოვაჩინოთ და ნაკლიც, ამიტომ გარკვეულ დისონანსს შევიტან და ამჯერად შენიშვნებზე შევჩერდები, — თქვა **მერაბ ტიკაძემ** და ისაუბრა საინტერესო ნიუანსებზე, რომელთა შესახებაც კომენტარების დართვა ურჩია მთარგმნელს. მაგალითად, თვითონ რამალაზე, რომელმაც სულ რაღაც 30 წელია, რაც ქალაქის კონფიგურაცია მიიღო, მანამდე ის ერთი პატარა სოფელი იყო და ქალაქად აქცია არა ბარღუთიმ, არამედ იასირ არაფატმა — სწორედ მან წამოსწია ეს დასახლება და მას შემდეგ, რაც პალესტინამ ავტონომია შეიძინა, რამალა დედაქალაქი გახდა. სწორედ იქ, საგანგებოდ აშენებულ მეჩეთში დაუკრძალავთ იასირ არაფატი.

**ნანა ფურცელაძემ** აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელთა ნაწარმოებებს კარგად ვიცნობ, ამ წიგნით თითქოს შიგნიდან დავინახე პალესტინელთა პრობლემა, ძალიან ადამიანურად გადმოცემული — ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშე.

რაც შეეხება თარგმანს, ჩემი აზრით, ჩინებულადაა შესრულებული და განწყობილებაც კარგად არის გადმოტანილი. ერთადერთი მინდა ვურჩიო ნინოსაც და, საერთოდ, ყველას: ქართული ენის ხერხემალი არის ზმნა, დღეს კი მუდმივად შემოდის და მკვიდრდება მისი პასიური ფორმები. ამას თანამედროვე მედიაც ძალიან უწყობს ხელს და იქნებ შევეცადოთ, მწერლობა მაინც დაუპირისპირდეს ამ ცუდ ტენდენციას“.

**დარეჯან გარდავაძემ** თარგმანის მნიშვნელობაზე ისაუბრა, თარგმანი რომ კულტურათა შორის ხიდია და ამას ეს ახალი წიგნიც მოწმობს — პალესტინელი ავტორის მიერ თავისი ხალხის ტრაგედიაზე დაწერილი წიგნი ასეთი ახლობელი აღმოჩნდა ჩვენთვის, ქართველებისთვის. მეც ადამიანური ტკივილის კუთხით დავინახე ეს ყველაფერი და პოლიტიკურ სიბრტყეზე განხილვა არც მიფიქრიაო.

ამ თემას გამოეხმაურა **მაკა ჯოხაძეც**:

„ნებისმიერი მწერლის ნებისმიერი წიგნი იმსახურებს იმას, რომ საგანგებოდ მოემზადო გამოსვლისათვის. მაგრამ ახლა მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა კიდევ ნანა კუციას მოხსენების გამოც. ის იმდენად ლამაზი, მდიდარი ქართულით წერს, რომ ლირიკული განწყობა შექმნა წიგნში აღწერილი ტრაგიზმისა. ჩემთვის ვფიქრობდი: აგერ, რამალა, ერთი მშობლიური სოფელი დაგვანახა პალესტინელმა მწერალმა, ჩვენ კი... ზოგიერთებს კვლავ ჯორჯიის შტატი ვგონივართ. მურიდ ალ-ბარღუთი დღევანდელ შეხვედრას რომ დასწრებოდა, გაუკვირდებოდა, ბედნიერიც იქნებოდა და დაენანებოდა კიდეც ჩვენი ემოციური განწყობა და სიღრმისეული განცდა ამ ყველაფრისა. მიხვდებოდა, რომ ტრაგიკული ისტორიისა და დიდი კულტურის მქონე ქვეყანა ვართ. მწერლობა და, საერთოდ, ზოგადად ხელოვნება კი ის სფეროა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, ხალხები ვესაუბრებით ერთმანეთს და შეგვიძლია არა მხოლოდ ვაჟაზე, ილიასა ან აკაკიზე, არამედ ზოგადად, მსოფლიო მასშტაბით გლობალურად აღვიქვათ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა, გავითავისოთ მისი შემოქმედება, მისი მწერლობა.

სულ არ გამკვირვებია ასეთი ასოციაციებიც. მაგრამ როდესაც ბატონმა აპოლონმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე განიხილო ეს ორი პრობლემა, ვიფიქრე — ალბათ ეს ის ულრმესი ტკივილია, რომელიც მამაკაცებში კიდევ უფრო სხვაგვარი სიმძაფრით განიცდება... აქ ერთ-ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ისრაელ-პალესტინის პრობლემა პროვოცირებული იყო ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. და მე არ მჯერა, რომ ქართველთა თავს დატრიალებული ტრაგედია მოყოლებული 90-იანი წლებიდან მხოლოდ ერთი ქვეყნის მიერ იყო პროვოცირებული და არა ე.წ. საერთაშორისო უჩინარი ძალებისა, რომლებიც ფაქტობრივად წარმართავენ დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკას. ამიტომაც გაიარა „მე ვნახე რამალას“ მხატვრულ-დოკუმენტურმა სამყარომ ასე მტკივნეულად და მძაფრად ამ ორი ადამიანის — ნანა კუციასა და ნინო ვახანიას — სულსა და გონებაში. მათ ხომ საკუთარ თავზე განიცადეს ომიც, იძულებითი გადაადგილების სიმწარეც. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მთარგმნელს ამ წიგნის შერჩევისათვის, რადგან ყოველი არჩევანი საიდუმლოა, ავტოპორტრეტია. ეს არჩევანი კი ჩემთვის საიდუმლო აღარ არის, გაცხადებული ავტოპორტრეტია მთარგმნელისა“.

* * *

„მე ვნახე რამალას“ შთაბეჭდილებებზე უნივერსიტეტის მაგისტრანტებმაც ისაუბრეს.

— ეს არის წიგნი, რომელიც გვიამბობს ადამიანის ტკივილზე, დანაკარგზე, მაგრამ ჯერ კიდევ იმედზე. მისი აქცენტი მიმართულია კონფლიქტის ადამიანური ასპექტებისკენ და არა პოლიტიკურ ვითარებაზე. თუმცა ავტორი თავის მოსაზრებებსაც გამოხატავს ისრაელის ოკუპაციასთან და უსამართლო ფაქტებთან დაკავშირებით, — თქვა **ეკა ჩადუნელმა**, ვინც შეეცადა პალესტინისა და მურიდ ალ-ბარღუთის ბედისწერას ჩაღრმავებოდა და აღნიშნა:

„მე ვნახე რამალა“ ბარღუთის პასუხია იცხაკ რაბინის მიერ თეთრ სახლში გაკეთებულ განცხადებაზე. მურიდი ადანაშაულებს ისრაელს, რომ მსოფლიოს წინაშე მკვლელებად წარადგინა პალესტინელები:

„ვიგრძენი ცახცახი, რომელსაც მაშინ განვიცდი, როცა წარუმატებელი ვარ და არაფრის გაკეთება არ შემიძლია. რაბინმა ყველაფერი წაგვართვა, ჩვენი სიკვდილის ისტორიაც კი“, — წერს ბარღუთი. ის პალესტინის ეროვნული საბჭოს სხდომაზე თვითკრიტიკითაც გამოვიდა და განაცხადა, რომ საკუთარი თავისთვის ტაშის დაკვრა არ არის ჯანსაღი გამოხმაურება იმაზე, რაც დაემართათ და ვერ დაეხმარება მათ ამ ყველაფრის გააზრებაში.

ჩემი აზრით, ცოტა პალესტინელი აზროვნებს მის მსგავსად. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ არაბულ ტოტალიტარულ რეჟიმში გაზრდილი პიროვნებისათვის ლიბერალური რეჟიმი მიუღებელია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ლიბერალიზმმა დიდად დააზარალა მურიდ ალ-ბარღუთი“.

**ირინე გიორგაძემ** ის ეპიზოდები წაგვიკითხა წიგნიდან, განსაკუთრებით შთამბეჭდავი რომ აღმოჩნდა მისთვის. **ბექა ბალაშვილი** შეხვედრაზე წამოჭრილ პოლემიკას გამოეხმაურა:

— ჩვენი ასოციაციები ისტორიასა და პოლიტიკურ ვითარებას არ უკავშირდება. პირადად მე წიგნის პირველივე თავის — „ხიდს“ — წაკითხვისას გამიჩნდა ასოციაცია ენგურის ხიდისა. ეს ლიტერატურული ასოციაციებია და არა ერთ სიბრტყეზე განხილვა ორი პრობლემისა. საერთოდაც, წიგნი ლიტერატურულ ჭრილში უნდა განვიხილოთ, რადგან „მე ვნახე რამალა“ ისტორიული ნარკვევი არ არის, და არც ის მგონია, რომ აქ აღნიშნული კომენტარების დამატება ასე აუცილებელი იყოს. ვისაც დამატებითი ცნობები დააინტერესებს, შესაძლებელია სხვაგანაც მოიძიოსო.

შეხვედრის ბოლოს, **ნინო დოლიძემ** მთარგმნელის შრომასა და მის სირთულეებზე ისაუბრა, შეკრებილებს მურიდ ალ-ბარღუთის ლექსის („ცეკვა“) თარგმანი წაუკითხა და თქვა:

„ალ-ბარღუთი პირველ რიგში რომ პოეტია, ეს ამ პროზიდანაც ჩანს. მისთვის, როგორც პოეტისთვის, მთავარია ორი რამ: არ იყვიროს და არ გაამარტივოს რეალობა, რადგანაც, მისი აზრით, ნამდვილი პოეზია ჩურჩულებს და

შთააგონებს, ხოლო ცუდი ლექსი, ანტიიმპერიალისტურიც კი, არაფრის მაქნისია. საკუთარ პოეტურ კრედოსთან დაკავშირებით ალ-ბარღუთი ამბობს:

„ცხოვრება არასოდეს იქნება იოლი. გამარტივება და გაუბრალოება არის ჩემი, როგორც პოეტის, მტერი. უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩემს სამყაროში ერთმანეთს გადაეჯაჭვა ნორმალური და ანომალიური მოვლენები. ხალხს უწევს თავისი ყოველდღიური ცხოვრება ისტორიული ექსტრემიზმის, ომების, ემიგრაციის, ზემოქმედებისა და უსამართლობის პირობებში გაატაროს. ჩემს ნამუშევრებში ვცდილობ შევიმუშავო პირობითი ენა, რომლითაც ეს უჩვეულო სამყარო უნდა აღვწერო. ვცდილობ ჩვეულებრივ რამეში საოცარი დავინახო, ხოლო ექსტრემალურში — ჩვეულებრივი. პალესტინური ყოფის მთავარი პარადოქსი ისაა, რომ, მაგალითად, დაბომბვა ოჯახის გამთლიანებასა და გაერთიანებასთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან სიახლედ აღიქმება. ვცდილობ გამოვიყენო ახალი ენა, რომელიც არად ჩააგდებს მთავრობის ყალბ, მყვირალა ბრწყინვალებას. მე არცერთი თეორია არ მაშინებს. ცხოვრება გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ის გზები, რომლითაც მას აღვწერთ. ლამაზმა ლექსმა შეიძლება ყველა ლიტერატურული თეორია უკუღმა ამოატრიალოს".

ალ-ბარღუთის ხშირად ეკითხებიან იმის თაობაზე, თუ როგორ შემოვიდა და შენარჩუნდა სილამაზე და სიყვარული მის შემოქმედებაში ამდენი გაჭირვების გამოვლის მიუხედავად, რაზეც პოეტი პასუხობს: „ჩემი უბედურება არაფერია სხვა პალესტინელთა უბედურებასთან შედარებით. თუმც ცოტა ხანს დაპატიმრებულიც ვიყავი, დავკარგე სახლი, სამშობლო, მე პირადად არასოდეს ვყოფილვარ სუსტი, არ მიგრძვნია თავი სუსტად ან მსხვერპლად. რადგან თავს ვერ იგრძნობ მსხვერპლად, როდესაც გჯერა შენი პოზიციის სისწორისა, იმისა, რომ მართალი ხარ შინაგანად; თუ გაქვს სიყვარული, თუ შეგიძლია გვერდზე მდგომი ადამიანის თვალებში სიტყვის უთქმელად აზრის ამოკითხვა, როდესაც ყურადღებიანი ხარ სხვების მიმართ, გიყვარს და უყვარხარ. სიყვარული დანახვისა და შეგრძნების უნარია. ჩვენ ამის უნარი არ დაგვშრეტია სამშობლოს დაკარგვისა და სამოცწლიანი დევნილობის შემდეგაც. ჩვენ გარშემო გამეფებული ყოველგვარი უსამართლობის მიუხედავად, შეგვიძლია დავინახოთ, დავაკვირდეთ, გვიყვარდეს და საკუთარ ტყავში კომფორტულად ვიგრძნოთ თავი."

ამასთან დაკავშირებით ტონინო გუერას ერთი ფრაზა მახსენდება: „ცხოვრების ურთულეს წუთებშიც კი, როცა არავითარი შანსი აღარ არსებობს, შენ გრჩება შანსი ადამიანად დარჩენისა."

მეც ვიცნობ აფხაზეთიდან თუ სამაჩაბლოდან წამოსულ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი – ახლობელი ადამიანები, სახლი, კარი, ქონება, მაგრამ არ დაუკარგავთ მთავარი – ადამიანური ღირსება, სილამაზისა და მშვენიერების აღქმისა თუ სიყვარულის უნარი. არ გაბოროტებულან.

მინდა გავიხსენო ვახუშტი კოტეტიშვილი, რომლის ხსოვნასაც ვუძღვენი ეს თარგმანი. მოგეხსენებათ, ბატონი ვახუშტის ცხოვრების ბოლო წლებში ჩვენ დავდიოდით მის მხატვრული თარგმნის შემოქმედებით სახელოსნოში, სადაც თარგმნასთან დაკავშირებით თავის პირად გამოცდილებას გვიზიარებდა. ამიტომ ბუნებრივად ისე მოხდა, რომ ამ წიგნის თარგმნისას სულ ვფიქრობდი, ის რას იტყოდა ან როგორ შეაფასებდა ამა თუ იმ პასაჟს. როდესაც პირველად ამოვბეჭდე ნათარგმნი ტექსტი, ბატონ ვახუშტის წავუღე და ვაჩვენე. უკვე ცუდად იყო. მხოლოდ ბოლო თავს გადახედა და თქვა: კარგი საქმეა ესო. თან ხელი დაარტყა საქაღალდეს — თითქოს ამ ჟესტით მსვლელობა მისცა მისი გამოქვეყნების საქმეს. თუმცა რამდენიმე გამომცემლობა უშედეგოდ მოვიარე, ვიდრე ბატონ როსტომთან მოვიდოდი. ბატონმა როსტომმა შესაძლებელი გახადა, რომ თქვენთვის გამეზიარებინა ეს წიგნი, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა მოვახსენო მას".

## ჩვენი ფოსტა

ბოლო წლებში წაკითხული წიგნებიდან თუ რაიმე მომეწონა, უპირველესად **ერიკ-ემანუელ შმიტის** მოთხრობები. ეს ბელგიელი მწერალი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენაა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ვრცელმა მოთხრობამ **„ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი"**, რომელიც ჩემს უსაყვარლეს წიგნად გადაიქცა და დროდადრო ვუბრუნდები. ასეთი ანდამატური ძალა მხოლოდ ნამდვილ ლიტერატურულ ღირებულებებს აქვთ.

**„ჩვენს მწერლობას"** ძალიან ვემადლიერები, რომ ერიკ-ემანუელ შმიტის ვრცელ მოთხრობებსაც გამოეხმაურა რეცენზიებით და მისი რამდენიმე მოთხრობა თვითონაც გამოაქვეყნა. აგერ ახლახან, ჟურნალის წლევანდელ მე-2 ნომერში **„მილარეპა"** დაიბეჭდა, კიდევ ერთი გულისშემძვრელი თხზულება, რომელიც ერთი წაკითხვით არც ამოიცნობა და გულდასმით ჩაკვირვებას, პროფესიონალ მკითხველს საჭიროებს.

გარეგნულად ეს მოთხრობაც და შმიტის სხვა თხზულებანიც ძალიან იოლი აღსაქმელია. ეს მისი მწერლური ოსტატობაა, რომლის წყალობითაც ურთულესი ფილოსოფიური თუ რელიგიური თემები ადვილი საკითხავი ხდება.

სიბრძნე იოლ ენობრივ და სტილურ სამოსელშია გახვეული, ძალზე დახვეწილი, ფაქიზი იუმორიც რომ ამშვენებს. თითქოს ახალი დროის ზღაპრებს ეცნობოდე. გარკვეული აზრით მისი თხზულებანი **ფრანც კაფკას** მხატვრულ სამყაროს მაგონებს. განსხვავებასაც ადვილად ვამჩნევ მათ შორის, ეს გაცილებით უფრო ხელშესახებია, მაგრამ ის მიხარია, რომ საერთოც ვიპოვნე, საერთო კი ლიტერატურული ზღაპრის ფორმაა. ეს გარეგნულად. შინაგანად კი ორივესთან ასე მკვეთრად გამოხატული ღვთისმაძიებლობა.

მოუთმენლად ველოდები შმიტის რელიგიურ მოთხრობათა ციკლის მეოთხე ნიმუშის გამოცემას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბუდიზმის თემაზე რომ არის გაშლილი.

მოუთმენლად ველოდები მის შედარებით მცირე მოთხრობებსაც თქვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ვიმედოვნებ, ფრანგული მწერლობისა და კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე **მერაბ ფიფია** კვლავაც ისეთივე წარმატებით გააგრძელებს შმიტის მხატვრული სამყაროს ქართულად ამეტყველებას, როგორც დაიწყო, და მართლაც შესაფერისი სტილი მოუნახა დასავლელ მწერალს ჩვენს ენობრივ სივრცეში. დახვეწილი სტილური ქსოვილი და მოხდენილი იუმორისტული გაელვებანი ისეთ შთამბეჭდაობას აღწევს, რომ ეს თარგმანები ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მონაპოვრად გვევლინება.

ერიკ-ემანუელ შმიტი უკვე ქართველი მწერალიცაა, ყველა თაობის მეგობარი და გონიერი მრჩეველი.

**ზაზა ტატიშვილი**
გორი

გამომცემლობა ხომლი ენ-მა ახლახან გამოსცა რეზო ჭეიშვილის თხზულებათა შვიდტომეულის პირველი ტომი, რომელშიც მწერლის მიერ ხელახლა გადამუშავებული რომანები: — „მუსიკა ქარში“ და „ქარების დაბრუნება“ — შევიდა.

ცირა ყურაშვილი

# მხოლოდ ემოციები

დღეს ნაშუადღევს ბატონმა რეზომ დამირეკა: დარბაზში რომ წაიკითხე ჩემს თხზულებებზე, იმ ტექსტთან დაკავშირებით გირეკავო. დამცეცხლა, ვიფიქრე, რამე უხეირო ხომ არ დავწერე, აბა ის ერთგვერდიანი ტექსტი რა სალაპარაკო თემაა-მეთქი. დარბაზში გისმენდი (სანახევროდ მისმენდა, სალამოს წამყვანი ებაასებოდა, გვერდიდან ვხედავდი და გაფანტულად ვკითხულობდი დარბაზისთვის), მაგრამ აგერ, ახლა წავიკითხე, რალა დროს ჩემი ტირილია, მაგრამ ცრემლები ვერ შევიკავეო. ამოვისუნთქე თავისუფლად. ჰოდა, გადავიფიქრე და იმ მცირეოდენ შტრიხებს, რაც მისი სალამოსთვის მქონდა მონიშნული და რაც წავუკითხე კიდეც ამ ორიოდე კვირის წინათ ქუთაისში, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზში გამართულ სალამოზე, აღარაფერი შევამატე. რად უნდა გადაპრანჭვა, იყოს ასე, როგორც მოვნიშნე. ასე სჯობს.


რეზო ჭეიშვილი

ვკითხულობ მერამდენედ. ახლა უკვე გადამუშავებულ გამოცემას. ერთხანს ვადარე ძველი გამოცემის ყავისფერყდიანი წიგნიდან, თან ვნატრობ, ნეტა არაფერი იქნებოდეს შეცვლილი, და მილტონის კრიტიკოსი მახსენდება, თავზარი ეცემოდა თურმე იმის გაფიქრებაზე, რომ მწერალი რალაცას შეცვლიდა ნაწარმოებში, თუნდაც ერთ სიტყვას. „პისტიდან“ დაიწყეო, ბატონმა რეზომ, მაგრამ პირველი ფურცლებიდანვე დავიწყე, ის მუსიკა ხომ იქიდან იწყება და ქარების დაბრუნებით, ქარის მუსიკით მთავრდება. ხომ საშინელ გასაჭირზეა, ხომ ომზეცაა და შიმშილზეც, რა მსუბუქი და რა ნათელი საკითხავია მაინც. ამ ეზოს, ამ სახლის ბინადარ ბიჭს თუ პროფესორობა არ სურს და მაინცდამაინც მწერლობას უნდა მოკიდოს ხელი, ასეც უნდა წეროს ალბათ – სულიწმიდით. კედელზე მიხატული კნუტების ნატვრით, საწოლზე მოხტუნავე თიკნით. და პარადოქსებით: ომის დროს შეიძლება ქუდიც მოგპარონ და 15 წუთში დაგიბრუნონ, ტომარა წაგართვან და მერე, რომ არ ელი, შიგ კარტოფილი ჩაგიყარონ, შინ მოკითხვაც დაგაბარონ, მშვიდობის დროს კი ქვანახშირის ნატეხები დაგიშინონ ხელებზე მანქანის ძარაზე ჩამოკიდებულს და ქვითაც დაგისისხლაინონ თავი. ხომ საშინელი გასაჭირია, ხომ ლუკმას უყოფენ ან ვერ უყოფენ ერთმანეთს, ხომ კვდებიან კიდეც უჭმელობით, მაინც რამდენი სინათლე მოდის ამ პერიოდის აღწერიდან, რა სიმსუბუქე. სადიდოც არის „მუსიკა ქარში“ და საყმაწვილო ნაწარმოებიც. ამიტომ უთხრა ერთ-ერთმა ჩემმა მოსწავლემ ბატონ რეზოს, „მუსიკა ქარში“ წავიკითხე და ძალიან მომეწონა, ძალიან კარგი ნაწარმოებიაო. ანდა მეტი ახალი და განსაკუთრებული რა უნდა ეთქვა. ყველაფერს კარგს უფრო ძვირფასს ვადარებთ. სახარებას აქვს ასეთი მადლი, დიდსაც და პატარასაც ის და იმდენი გამოაქვს, რისი დამტევიც არის თვითონ. მოვყვები თავიდან, ვკითხულობ, ვივსები ნათელი სევდით, იმ სევდაზე ერთ-ერთ ჟურნალში ისე მცირედი რამ დავწერე, ხელის მოწერა მომერიდა. არადა უმთავრესია. იმ სევდით მარადიულს ეხები, მარადიულის ნაწილი ხდები და მაინც რა მაცინებს ნეტა ამდენს ისე, რომ „წითურ ალქაჯზე“ უკვე დაოსებული ვარ, აქ ბატონ რეზოს ვურეკავ, ახალს არაფერს არ ვეუბნები, ეს ჩემმა მოსწავლემაც კი უთხრა, მაგრამ მთავარი სიტყვები არცაა. თანაც მახსენდება, რომ წლების წინათაც სწორედ ამ ნოველის მიჯნაზე დავურეკე იმავე სიტყვებით.

თუ არის ნეტა ქართულ ან მსოფლიო კლასიკაში სახლი და ეზო ასეთი საკუთარი ბიოგრაფიით, ავტორის პარალელური ბიოგრაფიით. ამდენი განცდებით, ამოხორავებული მიწით, ხელოსნებით, მომკითხველებით, მდგმურებით, გასხვისების, გასაბჭოების შიშებით. ქარებით, კაჟი ქვებით. რეალურიც და ირეალურიც ერთდროულად.

„წითური ალქაჯის“ მერე ნელ-ნელა მძიმდება ნაწარმოები ქვაკაჟივით, აღარც გეცინება, გლოლნის წუხილის ქარი, „ქარების დაბრუნება“ აღარაა ყმაწვილების საკითხავი ნაწარმოები.

იმ სახლს და ეზოს, რომელსაც მხოლოდ მხატვრული ბიოგრაფია არ აქვს, მართლა გააჩნია საოცარი მიზიდულობის ძალა, კაჟი ქვების ენერგეტიკაც თავისას უმატებს ალბათ.

— ვუყურებ ამ მაზუთიან შპალებს რკინიგზის სადგურიდან, გადავივლი-გადმოვივლი ზედ თქვენს ნაწარმოებებზე რალაცის დაწერის ფიქრით და ვერ ვწერ, ყველაფერი ხელიდან მისხლტება-მეთქი, ბატონ რეზოს ვუთხარი ერთხელ. ემოცია გამოხატეო, ბატონმა რეზომ. ერთ მშვენიერ დღეს გამოვხატავ ალბათ.

სერგი ლომაძე კახა ბაციკაძე

# გადამკვეთი ხაზები

ბოლო დროს ერთი უცნაური ფაქტის წინაშე დავდექით: თითქოს ძალიან ჩვეულებრივ კითხვაზე, — რა არის პოეზია და როდის შეიქმნა იგი, აღმოჩნდა, რომ ზუსტი პასუხი არავის აქვს. ეტყობა, ზუსტი არაფერია ამქვეყნად, ხოლო როცა პოეზიას ეხება საქმე, მსჯელობა კიდევ უფრო რთული ხდება.

თუ რა არის ნამდვილი პოეზია, ალბათ, ამას გრძნობა უფრო მიახვედრებს კაცს, ვიდრე ცივი განსჯა საკითხისა. ხოლო როდის შეიქმნა იგი, ეს უპასუხო კითხვაა, რადგანაც, თუ აქ პოეტურობასაც ვიგულისხმებთ (როგორც პოეზიის გულს), მაშინ პოეტურია ყველაფერი, რაც კარგია, მშვენიერია, ხოლო კარგი ბევრი რამ არის. ასე რომ, იქნება სჯობდეს, არ ვეძიოთ აბსოლუტური სათავეები — პოეტურობა, ალბათ, ყოველთვის არსებობდა.

ცნობილი კი ის არის, რომ პოეზიის მამას ხშირად უწოდებენ ძველბერძენ ჰომეროსს, ადრეული ანტიკის ამ ბრმა ჯადოქარს. თუმცა, რაღა თქმა უნდა, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორამდეც არსებობდნენ პოეტები, რომელთაგან ზოგიერთის სახელი შემდეგ ისე შეერია მითოსს, რომ დღეს ველარ გაგვირკვევია ამ ადამიანთა რეალურობა-არარეალურობის საკითხი, თუნდაც, აგერა, ორფევსი, იგივე ორფეოსი, ასე კანთიელად რომ მოჩანს უძველესი, ჰომეროსამდელი ეპოქიდან...

და აქ იხსნება ძველქართული-პოეტური რკალი, რომელიც გვიჩვენებს ერთ მნიშვნელოვან შტრიხს იმ ნარმოსახვითი სქემისა, რომლის წყალობითაც ჩვენ შევქმენით პოეტური სახელმწიფო, თავისი მონარქით: მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებიდან მოყოლებული, აქ, ხელოვნების მონარქი, მეუფე, ხომ სწორედ პოეტი შოთა რუსთაველი გახლავთ, ხოლო მისი სულიერების შემდგომდროინდელი გამგრძელებლებიც საოცარ სიმაღლეებს ეზიარნენ.

მაშ ასე: ქრისტემდელი მითოლოგიური ამბები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ პოეზიისა და მუსიკის ლეგენდამ — ორფევსმა საქართველოში იმოგზაურა არგონავტებთან ერთად. ვიცით, რომ არგონავტთა შესახებ ცნობები სხვადასხვაგვარია. თუმცა ძველი დროის მაესტროს აქ მყოფადობა მაინც რეალური ჩანს, ისევე, როგორც ბევრი რამ რეალური აღმოჩნდა ძველბერძნული მითოსიდან. მეტიც, — ასეთი მსჯელობა, რომ არგონავტების ამბავი პირველმა სწორედ ორფევსმა აღწერა, ეპიკური პოემის სახით, და ეს ნანარმოები წინმსწრები იყოს დიდი ჰომერული ეპოსებისა, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ორფევსისეულ არგონავტიკას ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო მეცნიერებაში, სამწუხაროდ, ფაქტების გარეშე იშვიათად იზიარებენ ჭეშმარიტებას.

ცნობილია, რომ არგონავტების ამბავს კარგა ხნით უსწრებდა წინ „გილგამეში“, იგივე „გილგამეშიანი“, რომელიც ზოგადად კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი პოეტური ეპოსია. ზუსტად არავინ იცის, თუ ვინ არის მისი ავტორი, თუმცა არსებობდა და არსებობს სხვადასხვა ვარაუდები. გილგამეშიანი ვრცელი ზღაპრული სამყაროა, უფრო თუ დავაკონკრეტებთ, მირაჟიზმულ-სიმბოლური, ფილოსოფიური ფერადი ტილო. ამ სიმბოლურ მირაჟებში, უძველეს ჩვენებებში დაცურავს სული განაწამები ადამიანისა, გმირისა, რომელიც დაეძებს უკვდავებას, — რა მარადიული, რა ზოგადსაკაცობრიოა ეს დიადი პოემა, და რა ტრაგიკული! მოკლედ, პოეზიას ადრიდანვე დაებედა ტრაგიკულობა.

ხოლო რატომ გავიხსენეთ აქ გილგამეშის ამბავი? — იმიტომ, რომ იგი პირველად შუმერებში აღმოცენდა, ხოლო მერეღა იპოვა მეტი განვრცობითი სივრცე, განფენილობა სხვადასხვა ხალხებში. და ვინ იყვნენ შუმერები? — დღეს უკვე უამრავი მოსაზრებაა იმის შესახებ, რომ ესენი იყვნენ მონათესავენი ქართული გენისა, ქართული ჯიშ-ჯილაგის.

მაშასადამე, უძველესი ეპოქის ორ უდიდეს პოეტს — გილგამეშიანის ავტორს და ორფეოსს, ორივეს (!) ჰქონია კავშირი ჩვენი ერის ისტორიასთან, შორეულ წარსულთან, ხოლო მესამე თვითონ ჰომეროსია, რომელიც თავის გრანდიოზულ პოემებში არაერთხელ ახსენებს ძველქართული წარმოშობის გმირებს. ადრეული, პირვანდელი კოლხა, დედაქალაქით — აია (ალბათ აქედან წარმოსდგება სახელი აიეტი), ასევე დიაოხი, უძველეს ხალხთათვის კარგად ნაცნობი ადრეულ-ქართული სახელმწიფოები იყო. შემდეგში ცნებები „კოლხა“ და „კოლხეთი“ მკვეთრად დამკვიდრდა ჩვენში...

მოკლედ, ის, რომ საქართველო პოეზიის, საერთოდ, ლიტერატურის, უფრო ზოგადად კი — ხელოვნების ქვეყნად იქცა, შემთხვევითი ამბავი არა ყოფილა. ეს ყოველივე თავიდანვე იყო ჩადებული ჩვენს უძველეს წარსულში, იქ, ფესვებში, საიდანაც ყველანი მოვდივართ. შუმერი, ძველი ეგვიპტე, ანტიკა — იგი სამყაროებია, რომელნიც მკვეთრ კავშირში იყვნენ ადრექართველურ ტომებთან თუ ხალხებთან, იმ კავკასიელებთან, რომელნიც ოდითგანვე ცდილობდნენ აფრიკულ-აზიური ხაზის შეკავშირებას ევროპასთან. ევროპა-აზიის გასაყარზე კი დიდი პოეტური კულტურა სრულიად ბუნებრივად, ლოგიკურად იშვა, აუცილებელი თანმიმდევრობით, და გულდასაწყვეტია, რომ ამ დიდ კულტურას ნაკლებად იცნობს მსოფლიო. ვფიქრობთ, რომ დღევანდელ ევროპაში ანტიკურ ცნობიერებასთან ყველაზე ახლო სწორედ ქართული ინტელექტი დგას, მაგრამ სანამ იქ, უცხოეთში არ დაფინანსდება რამდენიმე სერიოზული ცენტრი ქართული კულტურისა, მანამდე ისინი ბევრს ვერაფერს გაიგებენ ჩვენს შესახებ და ვიცხოვრებთ ასე გარიყულნი, მსოფლიო წრიდან თუ წრებრუნვიდან ამოვარდნილნი, — აი, ესაა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა.

დავუბრუნდეთ წარსულს და დავაკვირდეთ, თავიდანვე როგორი განწყობა იყო პოეტთათვის, ყველაზე მახლობელი: „გილგამეშიანი“ ღრმადტრაგიკული ქმნილებაა, არც არგონავტთა უმთავრეს გმირებს ელირსათ ბედნიერება (თუმცა მედეასაგან ბავშვების დახოცვის სცენა ჩვენც არაჭეშმარიტი გვგონია, ეს მართლაც პოეტი-დრამატურგის ევრიპიდეს ერთ-ერთი ქმნილებიდანაა, თორემ, როგორც

მკვლევარმა ამირან ლომაძემ არაერთხელ აღნიშნა, თუ ბავშვები დაიღუპნენ, მაშინ იასონისა და მედეას შვილს როგორ დარჩა შთამომავალი ილოსი? აქ სხვაც არაერთი შეუსაბამობაა), განწირულნი არიან „ილიადასა“ და „ოდისეას“ უმეტესნი გმირნი... ტრაგედია გულია პოეზიის. ეს განწყობა ყველაზე ძალუმად სწორედ ქართულმა პოეზიამ აიტაცა, როგორც ეპიკაში, ასევე ლირიკაში. რუსთაველმა, რენესანსის წინმსწრებმა პოეტმა, მაინც შეძლო მისი ტრაგიკული, გენიალური ტილოსათვის ბოლოს სიხარულის მანათობელი ფერები შეემატებინა, ფერები „კარგი ფინალისა“, თანაც დიდოსტატმა ეს ბუნებრივად გააკეთა, არაძალდატანებით, დიდოსტატურად, თუმცაღა „ვეფხისტყაოსანი“ ხშირად აღიქმება, როგორც ცრემლის პოემა!.. რაც შეეხება ილიას და ვაჟას, ისევე, როგორც გალაკტიონსა და გრანელს, მთლიანობაში მათ, შეიძლება, ქართული ლიტერატურის ღია ჭრილობები ვუწოდოთ. ჩვენი პოეზია დიდი დროის განმავლობაში ისევე იცლებოდა სისხლისაგან, როგორც ჩვენივე ერი. ესაა საოცარი მსგავსება ლექსსა და სახელმწიფოს შორის, ოღონდაც — პოეზია განუწყვეტელმა სისხლდენამაც ვერ შეასუსტა...

ხშირად გვეკითხებიან დღევანდელი ახალგაზრდები: თქვენ, ოთხმოცდაათიანელთა თაობას, მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის პოეტებს (ანუ ახალი დროის პოეტებს), შეგწევთ თუ არა ძალა იმისა, რომ გაიმეოროთ ძველ ქართველ ოსტატთა საოცარი მიღწევებიო. ესაა სწორედ ის კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად გვძულს, რამეთუ ჯერჯერობით ჩვენი თაობის თუ უკვე წამოსული უფრო ახალი თაობისათვის არამომგებიანია მასზე პასუხი. ძველ შვიდეულს (შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, პლუს ბარათაშვილი, გრანელი) ძნელად, ძალზე ძნელად თუ დაემატება ახალი შვიდეული, — ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი ამ ათასწლეულის. თანაც, იმ შვიდის გარდა ხომ ადრე, სხვაც ბევრი ლეგენდა გვყავდა, დამუხტულნი დიდი სულიერ-პოეტური ტრაგედიით, აღსავსენი მარადი სულიერი ენერგიით, პოეტური ენერგიით... დღეს ბევრი წერს. წერენ სხვადასხვაგვარად, საინტერესოდ. ჩვენ, მაგალითად, როდესაც ვქმნიდით ისეთ ლექსებს, როგორებიცაა, ვთქვათ, „პირამიდები“, „ქარიშხლიანი ულელტეხილი“, „ნიღაბი“, „მანიაკი“, რომელსაც აქვს მეორე, მეტად სიმბოლური სათაურიც — „ზღვარის წამშლელი“ (არადა, უკვე კარგა ხანია სწორედ შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის“ წევრები ვართ), ვცდილობდით დაგვემუხტა ეს ლირიკული ნაშრომები დიდი პოეტურ-ტრაგიკული განცდებით, რთული აზრთადინებით, ასე ვთქვათ, სტრიქონებს მიღმა, და ეს ყველაფერი არ ყოფილიყო ხელოვნური. პოეტური სახეებით აზროვნება ანუ სახისმეტყველება, და, რაც მთავარია, პოეტური გრძნობა, ეს იყო, ეს არის ჩვენეულ მუშაობის პრინციპთაგან ერთ-ერთნი, თუმცა... თუმცა ჯერაც უკმაყოფილონი ვართ შედეგით. ვაკვირდებით სხვათა მუშაობასაც ექსპერიმენტულ თუ ტრადიციულ კულტურულ მონახაზებში. მათაც აქვთ მეტ-ნაკლებად წარმატებული შედეგები, თუმცა საკამათოა — რამდენად აქვთ კმაყოფილების, თვითდაჯერებულობის საფუძველი...

პოეზია, როგორც სამყაროსეული ფუძე-იდეა, არის რთული, და ამიტომაც, წერდე მის შესახებ, ეს ნიშნავს, — წერდე არაფერსა და ყველაფერზე.

ეკა ბუჯიაშვილი

# როცა ეპოქის თანაზიარი ხარ

**მის ოჯახში მხატვართა სამი თაობა ცხოვრობს, სამივე თვითმყოფადი და საკუთარი ხელწერით გამორჩეული, ამიტომ წლების წინათ პატარა დეამ და მისმა დამ პალიტრა რომ მოიმარჯვეს და ხატვა დაიწყეს, არავის გაჰკვირვებია. ერთხანს მშობლები უმალავდნენ კიდეც ფურცლებს, ფუნჯებსა თუ საღებავებს, მაგრამ ხელოვნების წერას ატანილი ბავშვები კედლების ხატვაზე რომ გადავიდნენ, მშობლებმა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ფურცლებიც დაუბრუნეს, ფუნჯებიც, საღებავებიც... მერე კი, როცა წამოიზარდნენ, კითხვაც აღარ დასჭირვებიათ, ისე ჩააბარეს სამხატვრო აკადემიაში, ხელოვნების გზას დაადგნენ და წარმატებებსაც არ დაუხანებია. ჩვენი საუბარი დეა სოსელიასთან სწორედ თაობათა თემით იწყება:**

**— მხატვრების ოჯახში აღიზარდეთ, ამიტომ არ მიკვირს, ცხოვრების გზად მხატვრობა რომ აირჩიეთ და ასე საოცრად აამეტყველეთ ფერები. მე უფრო ის მაკვირვებს, თვითმყოფადობას როგორ მიაღწიეთ, ოჯახის წევრების გავლენა არასოდეს გიგრძვნიათ?**

— არასოდეს მიცდია მათთვის მიმებაძა, ყოველთვის ჩემი ემოციით ვხატავ. ბევრს ვმუშაობ და თავისთავად მოხდა ასე. თავიდან, რა თქმა უნდა, ვხელმძღვანელობდი იმპრესიონისტებით, კლასიკოსი მხატვრებით, მაგრამ ვხედავდი, რომ ხელი თანდათანობით მეცვლებოდა. ახლაც არ მაქვს ჩამოყალიბებული. უბრალოდ, ეს ის არის, რაც ამ ეტაპზე შემიძლია.

**— ძალიან საინტერესოა ფერები, შთამბეჭდავია ხასიათები... და კიდევ: ამ ნახატებიდან თითქოს მართლაც ისმის მელოდია. ჩანს, მუსიკასთან საკუთარი დამოკიდებულება გაქვთ...**

— ეს ჩემთვის ხშირად უთქვამთ. ისიც აღუნიშნავთ, ყველა ფიგურა ისეთი დინამიკურია, თითქოს მართლაც უკრავენო. როცა ვხატავ, ხშირად ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. ბავშვობიდან მამა გვასმენინებდა და, როგორც ჩანს, ამან თავისი კვალი დატოვა. ხშირად დავდივარ ოპერაში და ვაკვირდები ორკესტრს, მის მოძრაობებს. საერთოდ ასეა — როცა ვხატავ, შინაგანად ვგრძნობ მუსიკასაც, რომელსაც მოძრაობაში ვსვამ და მანამდე ვმუშაობ, სანამ არ მომეწონება. ძალიან მხიბლავს ინსტრუმენტები...

**— ვიოლინო მაინც განსაკუთრებით...**

— ვიოლინოც და ჩელოც... ყველაზე მეტი სიახლოვე ამ ინსტრუმენტებთან მაქვს. ძალიან მინდოდა მათზე დაკვრა მესწავლა, მაგრამ დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხე. კონტრაბასსაც ხშირად ვხატავ...

**— მგონი მუსიკის სფეროშიც უნდა გეცადათ ბედი...**

— სამწუხაროდ, სიმღერის ნიჭი არ გამაჩნია, მაგრამ თავის დროზე მასწავლებელთან რომ მიმიყვანეს, თქვა, კარგი სმენა აქვსო. საერთოდ, ხელოვნების დარგები ჩემს ბუნებასთან ყველაზე ახლოსაა. მაგრამ როცა მიფიქრია, მხატვრობა რომ არა, რომელ გზას ავირჩევდი-მეთქი? იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ რეჟისურაში ძალიან კარგად ვიგრძნობდი თავს. განსაკუთრებით დოკუმენტური კინო მაინტერესებს. ისე ხდება, ქუჩაში რომ მივდივარ, ცხოვრებისეულ მომენტებს კინოკადრებად აღვიქვამ...

**— და კიდეც აღნუსხავთ ამ კადრებს ფოტოზე. როგორც ჩანს, რეჟისურისადმი ინტერესი ამ ეტაპზე ფოტოხელოვნებით გატაცებაში გამოიხატა. მგონი მთლად გატაცებაც აღარ უნდა იყოს...**

— არა მხოლოდ ფოტოებს, ვიდეოსაც ვიღებ, ოღონდ, ცხადია, სამოყვარულო დონეზე. ბევრს ვმოგზაურობ, დაინტერესებული ვარ საქართველოს სხვადასხვა კუთხით, ფოლკლორით, ზეპირსიტყვიერებით... და რაც დრო გადის, სულ უფრო ვაფასებ ამ ყველაფერს. იცით, გარკვეული პერიოდი უცხოეთში მომიწია ყოფნა და სამშობლოდან შორს კიდევ უფრო კარგად დავინახე და დავაფასე ის, რაც ასეთი ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის.



*მედეა კასრაძე, დეა, თამთა და ირაკლი სოსელიები*

**— შემოქმედებითი ბუნების ადამიანისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივი ინტერესები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, თუმცა... ყველაზე წარმატებული მაინც ალბათ მხატვრობაში ხართ...**

— დიახ, ასე მოხდა. 2008 წელს მე და ჩემი მშობლები ვმონაწილეობდით „გრანდ მარშეს" გამოფენაში, რომელიც პარიზში, ბასტილიის მოედანზე გაიმართა. იქ დაინტერესდნენ ჩვენი ნახატებით და მიგვიწვიეს „არტენ კაპიტალის" გამოფენაზე, რომელიც 2009-ში გაიმართა. წარმოდგენილი იყო ძველი და ახალი თაობის მხატვრობის ნიმუშები, საერთოდ, მიღწევები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ძალიან მეამაყებოდა, რადგან „გრანდ პალასის" იმ დარბაზში ვიყავი, სადაც პიკასო და მოდილიანი გამოფენდნენ ხოლმე თავიანთ შედევრებს.

„არტენ კაპიტალის" გამოფენაზე წელსაც ვმონაწილეობდი. საერთოდ ამ ექსპოზიციაზე ხუთი სალონია. მათ შორის ერთ-ერთია დამოუკიდებელთა სალონი, სადაც ჩვენი ნამუშევრებიც იყო გამოფენილი. თითოეული მხატვარი თითო ნახატით უნდა წარმდგარიყო. ამ გამოფენაზე მხატვარი არ აქტიურობს, დაინტერესებულ მნახველსა და მხატვარს შორის შუამავალი გამოფენის ორგანიზატორია. ექსპოზიციაში 2000 მხატვარი მონაწილეობდა და 40 000 მნახველი მოვიდა. სამწუხაროდ, „არტენ კაპიტალის" კატალოგში გერმანიის სახელით შევედით, რადგან გამოფენის ორგანიზატორები ფოსტის საშუალებით უკავშირდებიან მხატვრებს და რაკი საქართველოში ფოსტა ცუდად მუშაობს, გერმანიის მისამართი მივუთითეთ, მერე კი აღმოჩნდა, რომ კატალოგში დროშა მისამართის მიხედვით ეკვრებოდა.

**— ვინმე შეგეხმიანათ?**

— კი... და სამომავლო გეგმებიც გამოიკვეთა, ოღონდ ჯერ არ გადამიწყვეტია, რას ვიზამ. გამომეხმაურნენ პარიზის ერთ-ერთი გალერეიდანაც. უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი და გაზაფხულზე ჩემი ნახატებით პარიზში მივდივარ.

**— 2000 მხატვარი, სხვადასხვა ქვეყნის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები... ამ ექსპოზიციაზე ალბათ კარგად გამოჩნდა თანამედროვე მხატვრობის ტენდენციები...**

— ყველანაირი მიმდინარეობა და მიმართულება შეგხვდებათ: თანამედროვე, იმპრესიონისტური, ექსპრესიული... ოღონდ ნებისმიერ მათგანში მნახველი აფასებს ინდივიდუალობას, თვითმყოფადობას, გამორჩეულ ხელწერას. „გრანდ პალასი" ისტორიულ ძეგლად ითვლება, 1897 წელს აიგო და გამიზნული იყო 1900 წლის მსოფლიო გამოფენისთვის. ექსპოზიციაზე უამრავი მხატვარი ტრიალებს — სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანები — და როცა შედიხარ, ეს ყველაფერი ისეთი შთამბეჭდავია, საოცარი გრძნობა გიპყრობს — განცდა იმისა, რომ შენ უბრალოდ გამოფენის მონაწილე კი არა, ეპოქის თანაზიარი ხარ და შენი წვლილი შეგაქვს ხელოვნებაში.

**— ეს ყველაფერი უთუოდ პროფესიული თვალსაზრისითაც საინტერესოა...**

— რა თქმა უნდა...

**— თანამედროვე მხატვრობის ამდენი ნიმუშის ერთად ნახვა ალბათ ახალ იმპულსებს აღძრავს...**

— დიახ... და რაც მთავარია, ამ ყველაფერმა სტიმული მომცა, რომ უფრო მეტი ვიმუშაო, უფრო მეტად დავიხარჯო. დღეს ვერ გეტყვით, რომ, ვთქვათ, ხვალ დავჯდები და რომელიმე კონკრეტულ სტილში დავხატავ. ეს ყველაფერი მუშაობის შედეგად მოვა. მთავარია, ბუნებრივად მოხდეს და ხელოვნური არ იყოს. მხატვრისთვის ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ მნახველმა განწყობილება იგრძნოს. ამას კი მხოლოდ გულწრფელობით თუ შეძლებ.

**— სწორედ გულწრფელობით გამოირჩევა თქვენი ნახატები — ფერები, ხასიათები ისეთი შთამბეჭდავია, ასე მგონია, ისინი რეალურად არსებობენ.**

— ზოგიერთი მართლაც რეალური პერსონაჟია. მაქვს ნახატების ციკლი „ჩემი ბავშვობა“, რომელიც იმ კადრების მიხედვით შეიქმნა, ბავშვობიდან რომ მახსოვს.

**— პარიზული ცხოვრება როგორ მოგეწონათ?**

— ცოტა ხანს ვიყავი, მხოლოდ რამდენიმე დღე და ბოლომდე ვერ შევიგრძენი პარიზული ყოფის ხიბლი.

პირველ რიგში თვალში მომხვდა გალიმებული სახეები. შეიძლება ქუჩაში ხელგაწვდილი ადამიანი იდგეს, მაგრამ ისიც გალიმებული გთხოვდეს ფულს. დადიხარ და გრძნობ, რომ მათსავით შენც ბედნიერი ხარ, მაგრამ არ იცი რატომ. პარიზში მეორე ცხოვრება მეტროშია. შესაძლოა ქუჩაში იმდენი ხალხი ვერ ნახოთ, რამდენსაც მეტროში შეხვდებით.

განსაკუთრებულად დამამახსოვრდა მატარებელი რეზინის ბორბლებით — ძველი მატარებელია შემორჩენილი და ჩვეულებრივ მოქმედია. მეტროში ყოველთვის უკრავს მუსიკა და ხშირად ცოცხალი შესრულებით. ეს მუსიკოსები უმეტესად უცხოელები არიან, პარიზში „პური არსობისას“ მოსაპოვებლად ჩასულნი. მგზავრობისას იქ შესაძლოა ასეთ სურათსაც წააწყდეთ: შემოდიან ვაგონში მსახიობები (ან იქნებ მოყვარულებიც) და თეატრალურ წარმოდგენას მართავენ. ასე რომ, ვიდრე დანიშნულების ადგილამდე მიხვალთ, პატარა შოუს უყურებთ.

მონმარტრზეც ვიყავი... და თითქოს თვალწინ მედგა საუკუნის წინანდელი მონმარტრი თავისი ბოჰემური ცხოვრებით, თითქოს ვხედავდი, როგორ დადიოდნენ პიკასო და მოდილიანი. ერთი მოხუცი მხატვარი დამამახსოვრდა განსაკუთრებით — ფიროსმანს ჰგავდა ძალიან.

**— იქ ალბათ ქუჩაც სამხატვრო აკადემიაა...**

— ეს განცდა უფრო იტალიაში მქონდა, რომში, სადაც ერთი სემესტრი ვსწავლობდი. იტალიის საელჩო საქართველოში ყოველწლიურად ატარებს კონკურსს, რომელშიც მეც ვცადე ბედი და მოხდა ისე, რომ გავიმარჯვე და მოვიპოვე გრანტი რომში ერთი სემესტრის გავლის დასაფინანსებლად 2007-2008 წლებში.

იქ იმდენი რამ ვისწავლე, იმდენი საინტერესო მასალა... ქუჩაშიც კი ყოველ ნაბიჯზე გხვდება შედევრები, რომელთა შესახებაც აქამდე მხოლოდ თეორიულად თუ იცოდი. რომი ქალაქი-მუზეუმია და ძალიან დატვირთული ჩამოვედი შთაბეჭდილებებით. შანსს არ ვუშვებდი ხელიდან — იქვე ვაკეთებდი ჩანახატებს, ესკიზებს. მერე კიდეც დავხატე რომის სერია, რომელიც ჯერ არ გამომიფენია. თვითონ აკადემიაში კი იმდენი რამ ვისწავლე... მარტო ის რად ღირს, რომ შიშველი ნატურები ყოველ 15 წუთში ერთხელ ცვლიდნენ მოძრაობებს და ეს კარგი შანსი იყო ანატომიის შესასწავლად, ხელის გასავარჯიშებლად. ჩამოსვლის შემდეგ რომაულ შთაბეჭდილებებზე დიპლომი დავიცავი.

**— ამ ეტაპზე რაზე მუშაობთ?**

— ჯერჯერობით ახალი ჩამოსული ვარ გერმანიიდან და ემოციების დაცხრომას ველოდები, მერე კი... ჩვეულებრივ, მუშაობას განვაგრძობ, უფრო მეტი სიმხნევითა და შემართებით.

**ნინო ჩხიკვიშვილი**

# ჩინებული მემკვიდრე

*

## ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“

*ჩემო კარგო ბიჭო, რაკი იმას ველირსე, შენს ქალიშვილს უკვე თვითონ შეუძლია წიგნების წაკითხვა, მაშინ აუცილებელია თანამედროვე ქართველ საყმაწვილო მწერალთაგან წიგნები შევურჩიოთ. ამიტომაც თანდათან მოგაწვდი ჩემს მიერ ამორჩეული მწერლის წიგნებს და იმასაც აგიხსნი, თუ რატომ უნდა იკითხოს ჩემმა შვილიშვილმა სწორედ ამ ავტორის წიგნი და არა სხვისი!*

*ამჯერად მარიამ წიკლაური ამოვირჩიე.*

**მარიამ წიკლაურს** — როგორც საბავშვო მწერალს, განსაკუთრებული წარდგინება არ სჭირდება; ათზე მეტი საბავშვო წიგნის ავტორია (გამომცემლობებმა: „პეგასმა“, „გორგამ“, „შემეცნებამ“ მისი საყმაწვილო წიგნები გამოსცეს).

სულ ახლახან „შემეცნებამ“ კვლავ დასტამბა მისი „გასაფერადებელი ლექსები“ (სადაც 64 ლექსია ცხოველთა სამყაროსა და ბუნებაზე. მხატვარი დალი მუხაძე). „გორგამ“ კი — სამი საბავშვო პროექტი სერიიდან „ჭკვიანი წიგნები“ („ჰიგიენა – ვიმეგობროთ საპნის ბუშტთან“, „მხიარული ციფრები“ და „ქუჩა და შუქნიშანი“). სამივე წიგნში შეტანილია თემატურად დალაგებული საბავშვო ლექსები.

სულ მალე „ანბანიც“ გამოსცემს მოზრდილ კრებულს მისი საბავშვო ლექსებისა „ჭიჭიტა“.

წელსვე მწერალთა კავშირისა და მერიის მიერ ახლად დაარსებული **„მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიის“** მფლობელიც გახდა.

ხოლო ფონდი **„ლიბო“**, რომელიც საქართველოში საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებას ემსახურება და რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც გახლავს მარიამ წიკლაური, საქართველოდან პირველი ნომინანტი აღმოჩნდა „ალმას“ (ასტრიდ ლინდგრენის სახელობის) პრემიისა.

მისი ბევრი საბავშვო ლექსი შესულია სხვადასხვა სასკოლო სახელმძღვანელოში. და როცა სპეციალისტები ამ ტექსტებს განიხილავენ, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზედ, რომ გამოირჩევა მდიდარი ლექსიკითა და მსუბუქი ფრაზით, რომ მასში კარგად ერწყმის ერთმანეთს ფოლკლორი და თანამედროვეობა.

აი, ასეთია ის „ოფიციალური მონაცემი“, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც მარიამ წიკლაურის საბავშვო კრებულების გაცნობას გადაწყვეტს, მათ შორის უდავოდ მეც ვიგულისხმები; ამ ყველაფერს კი დიდი ხნის წინათ უნდა გავცნობოდი, მაგრამ... რას იზამ, ცხოვრება სხვანაირადაა აწყობილი: ყოველთვის სადღაც გეჩქარება.

გეჩქარება და, სამწუხაროდ, ხშირად აგვიანებ კიდეც. აკი მეც დავიგვიანე... თუ იკითხავ, სად გეჩქარებაო და მოგიგებ — სიტყვებთან, წიგნებთან!.. ხან კლასიკოსთა წიგნებთან მიმეჩქარება, ხანაც მეგობრების კრებულები მელოდებიან. დავაგვიანე, ამ წიგნებს ამდენ ხანსაც უნდა ჩავჯდომოდი, მაგრამ, ხომ გაგიგონია, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო! — ზუსტად ასე დამემართა. მარიამის საბავშვო კრებულები სულ ბოლოსკენ გადავდე და ამდენი ხნის დაგვიანებით გადმოვიღე თაროდან... არადა, რომ იცოდე, ეს რა კარგი შემოქმედი გვყოლია, როგორი ფაქიზი და დაკვირვებული. მისი სტრიქონები უცნაურად ჰგავს პატრონს. ისეთ სულიერ სიმხნევეს განიჭებს. სხვა რომ არა, მხოლოდ ამისთვის ღირს მათი წაკითხვა. მშობლიურ ფესვებს გაგრძნობინებს, კიდევ ერთხელ შეგახსენებს, რომ მართლმადიდებელი ხარ და არა რაიმე სხვა რჯულის მიმდევარი.

ტიციან ტაბიძე მაგონდება: ქართველები ქრისტიანები ვიყავით ქრისტიანობამდე, სული უსხეულოდ ვერ წარმოგვედგინა და სხეული კიდევ უსულოდო! — რომ წერს. ეს მოსაზრება, მართლმადიდებლური დოგმატიდან გამომდინარე, იქნებ საკამათოცაა, მაგრამ არსებობს ამ ჰიპოთეზის სულ სხვა, „პოეტური მტკიცება", რომელიც სტრიქონთა, მეტაფორათა, მხოლოდ ლექსის მეშვეობით უნდა ახსნა და გააცნობიერო, მით უფრო, როცა საბავშვო ლიტერატურასთან გაქვს საქმე...

სხვათა შორის, ერთ-ერთ ინტერვიუში მარიამ წიკლაური საინტერესო მიგნებას გვთავაზობს: „საბავშვო ლიტერატურა საერო ლიტერატურის ყველაზე სარწმუნოებრივი დარგია, რადგან იგი დაუეჭვებელი რწმენის მატარებელია სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში, სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა".

არ ვიცი, ვინ შემომედავება, ვინ მხარს დამიჭერს, მაგრამ მარიამ წიკლაურის ერთი საშური დაკვირვება — „სანამ მარჯვენაში კალამს დავიჭერთ, ხელის მტევანი და თითები ერთ საოცარ მოძრაობას იმეორებენ. ეს პირჯვრის წერისათვის მზადებაა. პირველი თითი (ცერი) — რწმენა, მეორე თითი (საჩვენებელი) — იმედი და მესამე (შუათითი) — სიყვარული კალამს ჩაეჭიდებიან და ერთმანეთს ეკვრიან. ხოლო მეოთხე (არათითი) – შრომას და მეხუთე (ნეკი) — სწავლას რომ აღნიშნავს, მორჩილად მოიხრებიან და ხელის გულს ებჯინებიან. გამოდის, რომ თითები პირჯვრის წერის მოძრაობას იმეორებენ და ასე გამოჰყავთ სიტყვები კალმით ფურცელზე. ხომ არის სასწაული და დასტური იმისა, რომ უფალი მართლა სიტყვაა და შემოქმედება — სულის საქმეა." — პატარებისთვის წერა-კითხვასთან ერთად რომ გვესწავლებინა, ალბათ, დიდ იაკობ გოგებაშვილსაც გაახარებდა.

თავისი სადიდო პოეტური ტექსტებისგან განსხვავებით (ის ძალზედ სანტერესო სადიდო მწერალია, თუმცა, შენ კარგად იცი, არ მიყვარს სადიდო და საბავშვო მწერლობის ასეთი დაპირისპირება) სრულიად დამოუკიდებლად აცოცხლებს საინტერესოსა და ფერადოვან სამყაროს — საბავშვო პოეზიას. აშკარა მემკვიდრე და ჩინებული გამგრძელებელია იმ ტრადიციებისა, რასაც შიო მღვიმელის, მაყვალა მრევლიშვილისა და შემდეგ უკვე გივი ჭიჭინაძის სკოლა ჰქვია. ხოლო სკოლის ტრადიციების გათავისება და ამავე დროს დამოუკიდებელი, გამორჩეული ინტონაციის შექმნა, ნიჭიერებასთან ერთად, უცილობლად გულისხმობს იმის კარგად შესწავლას, რაზედაც მისი წინამორბედი გაჩერდა. ამითაცაა მარიამ წიკლაურის საყმაწვილო ტექსტები საბავშვო ლიტერატურის მკვლევართათვის გასათვალისწინებელი და საგულისხმო. სამსჯელოდ კი მისი პოეზია უხვ მასალას იძლევა. ჯერ მხოლოდ მისი „ნანინებისა" და „საალილოს" ციკლი რად ღირს, საალილოსი, ციკლი, რომელიც ბავშვსაც და უფროსსაც ერთნაირად აალელვებს და ჩააფიქრებს შობის უდიდეს საიდუმლოზე. ძალიან ფაქიზად შეგვახსენებს ქრისტესშობის მადლს დაცილებულ უფროსებს, რა არის ამქვეყნად მთავარი. ამავე დროს, ყმაწვილის ჯერაც გაურყვნელ გულსა და სულს თითქოს ავსებს კიდეც უფლის წყალობითა და მადლით. ეს ყველაფერი რალაცით ლოცვას ჰგავს, რადგან ეს სტრიქონები მკითხველში ბადებს სულიერი სიმშვიდისა და უფალთან სიახლოვის განცდას, რაც ასე დამახასიათებელია სასულიერო პოეზიისთვის.



*მარიამ წიკლაური*

ხოლო რაც შეეხება ნანებს, დედის ლოცვას მოგაგონებს. ის არის თავშესაფარი, სადაც პატარა გულარხეინად მოიკალათებს. ამ ციკლში გაერთიანებული ლექსები ხალხური და უკვე კლასიკად ქცეული აკაკი წერეთლის „ნანას" ერთგვარი ალუზიაცაა.

საკმარისია გავიხსენოთ ზოგიერთი ხალხური „ნანინა", რომ ამ ტექსტისა და მარიამ წიკლაურის „ნანინას" შეპირისპირების მაგალითზე დავინახავთ, თუ როგორ ახერხებს ავტორი წარსულის გამოცდილებისა და თანამედროვეობის ჰარმონიულ შერწყმას.

არსებობს ასეთი ხალხური ნანინა — „მანანოები მოდიან":

**იავ ნანა, ვარდო ნანა,**
**იავნანინაო,**
**დაიძინე, გენაცვალე,**
**იავნანინაო,**
**მთვარე შეშინებულაო,**
**იავნანინაო,**
**მანანოები მოდიან,**
**იავნანინაო**
**ძილი მოაქვთ გუდითაო,**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იავნანინაო,**
**ამ ჩემს ყმაწვილს მივუტან**
**იავნანინაო,**
**თვალებს გაუვსებ ძილითა,**
**იავნანინაო.**

ახლა მარიამ წიკლაურის ნანინას ციკლიდან გავეცნოთ ერთ-ერთს, ვთქვათ, აი, ამას:

**მოსულან მანანოები**
**ია-ვარდების შლითაო,**
**სასთუმლის თავთან დამდგარან,**
**გიმღერენ ტკბილი ხმითაო.**
**დამძიმებიათ ხელები**
**ცხრაპირი ძილის ძღვნითაო,**
**დილაადრიან წავლიან**
**თავისი სახლის გზითაო.**
**ბაგეზე გცხებენ მზისცვარსაო,**
**თვალებზე — ფერად სიზმარსო.**
**— მანანოებო, მითხარით,**
**რასა ღუღუნებს ამდენსო?**
**— დედიკოს სიყვარულისთვის**
**— მადლობას სწირავს გამჩენსო.**

ამ ორი ნანინას შედარებისას, მაინცდამაინც, დიდი ფიქრი არა გვჭირდება იმის სათქმელად, რომ ეს ლექსები ერთმანეთს ძალიან ენათესავებიან სტილური სისადავით, განსხვავდებიან — ლექსიკითა და, აგრეთვე, ხალხურთან შედარებით, უფრო მრავალფეროვანი ტროპული აზროვნებით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მარიამ წიკლაურის ნანების ციკლიდან მსგავსი მაგალითების მოხმობა კიდევაა შესაძლებელი. თუმცა ამ შემთხვევაში ამ მაგალითს დავჯერდები.

რაკი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ვახსენე, მინდა არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენაზე გავამახვილო ყურადღება: ახლა ძალიან მოდური გახდა იმაზე საუბარი, რომ საბავშვო ლიტერატურაში ამა თუ იმ ავტორს პირველად შემოჰყავს თავის მხატვრულ ტექსტებში ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და მითოლოგიაში არსებული პერსონაჟები, იქნებიან ესენი დევები, მათთან მებრძოლი ღვთისშვილები. ქაჯები თუ ჭინკები. ამ მხრივ, მარიამ წიკლაური თანამედროვე საბავშვო ლიტერატურაში მართლაც მისაბაძია.

ამ რამდენიმე წლის წინათ, „მწერლის გაზეთში" (2006, №5) დაიბეჭდა მარიამ წიკლაურის საბავშვო კრებულის — „ბრანდი-ბრუნდისადმი" მიძღვნილი სტატია, სადაც რეცენზენტი, ასევე საბავშვო მწერალი, გივი ჩილვინაძე, ამასვე ადასტურებდა: „ავტორი თითქოს ფშავ-ხევსურეთის ანდრეზებიდან გვესაუბრება, მის მთებსა და ხევებს ზღაპრულ სამოსელში ახვევს და ისევ ასახლებს დევებითა და მათთან მებრძოლი კოპალათი და იახსარით."

სულ ახლახან კი ჟურნალმა „ქართული მწერლობა" (2010, №9) სოფიო ჯაფარიძის საინტერესო წერილი გამოაქვეყნა, სადაც მკვლევარი აღნიშნავს, რომ მარიამ წიკლაური „თანამედროვე პოეზიაში ნამდვილ ავტორ-მთქმელად გვევლინება. ის დემიურგია — თავად ქმნის ახალ, 21-საუკუნის მითოსს ისე, რომ წამითაც არ წყდება ფესვებს."

დიახ, ამ საბავშვო ლექსების პერსონაჟები მართლაც არიან გამორჩეულნი, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან ნამოსულნი და პატარებთან მათი „დაახლოება" მწერალს საინტერესოდ მოუფიქრებია: ისინი თანამედროვე საბურველში გაუხვევია, რათა გათანამედროვებულნი, თამაშ-თამაშით იოლად დაამახსოვრონ თავი ქართველ ყმაწვილთ. მაგალითად, წარმართული სამყაროს ნადირთღვთაებანი — ოჩოპინტრე და ოჩი დალი (და-ძმა).

როგორც გადმოცემით ვიცით, მათ რიგრიგობით ევალებოდათ ნადირთა მოვლა-პატრონობა, მონადირეთაგან დაცვა. და როცა ოჩი დალი მწყემსავდა, თურმე უფრო ფხიზლად დარაჯობდა ნადირთ და მონადირეთათვის ის წელი უიღბლო იყო. ხოლო მისი ძმა ოჩოპინტრე ზარმაცი გახლდათ და ამ მხრივ მონადირეთაც ხელ-ფეხი ეხსნებოდათ. ეს ყოველივე მარიამ წიკლაურს მარტივად და გასაგებად აქვს ახსნილი ლექსის „ოჩოპინტრე და ოჩოდალის" მეშვეობით. ეს ღვთაებანი არა შორეულ ლეგენდებსა და ზღაპრულ ტყეებსა თუ გამოქვაბულებში, არამედ თითქოს აქვე, სულ ახლოს, სოფლის განაპირა ტყეებში ჩამოსულან და პატარების გვერდით ცხოვრობენ და ყოველდღიურ ყოფაშიც იჭრებიან:

**ოჩოპინტრეს და ოჩოდალს,**
**ნადირთ ჯოგების მწყემსებს,**
**არც გრიპი ემართებოდათ,**
**არც უკეთებდნენ ნემსებს.**
**— არც ზღაპრებს არ უყვებოდნენ?**
**— არ დადიოდნენ ცირკში?**
**— გეყოთ, დახუჭეთ თვალი და**
**თავადვე ჰკითხეთ ძილში.**

მართლაც კარგად მოფიქრებული ფინალია.

ოჩოპინტრესა და ოჩოდალის გვერდით, პატარების თვალწინ ცოცხლდებიან ზღაპრული დევები, მათთან მებრძოლი იახსარიც და კოპალაც და ეს სამყაროც ერთდროულად ზღაპრულიც არის, ირეალური და ამავე დროს ხელშესახებიც. სწორედაც ისეთი, როგორადაც პატარების გულსა და გონებაში გარდაიქმნება საყმაწვილო წიგნებში ამოკითხული ამბები და პერსონაჟები.

სანიმუშოდ რამდენიმე ლექსის ჩამოთვლაც იკმარებდა: „მზევ-მზისა" „ოქრო გვრიტას კვერცხი", „ბაჭიჭაური", „ცელქი დევები", „დევის ბიჭი მაწონსა ჭამს", „მითხარი, დევო თადია" და კიდევ ბევრი სხვა... მთელი ციკლია ამ თემაზე შექმნილი. ეს პატარა დევუკები მაწონს და ფაფას მიირთმევენ, სკოლაში დადიან, ლექსებს წერენ, ვიოლინოზე უკრავენ, როკ-ენ-როლსა და რეპს ცეკვავენ. კომპიუტერისა და ინგლისურის სწავლასაც კი აპირებენ. აი ასეა გათანამედროვებული ეს ზღაპრული სამყარო მარიამ წიკლაურის საყმაწვილო ლექსებში. ასეთი ორიგინალური გადაწყვეტა ამ ტექსტების ავტორის კიდევ ერთი საინტერესო მიგნებაა.

რაკი გათანამედროვებული და გაშინაურებული ზღაპრული სამყარო ვახსენე, აქვე უნდა ისიც უნდა დავძინო, რომ ეს ტენდენცია ახალ ლექსებშიც იგრძნობა, განსაკუთრებით ყოფით, დიდაქტიკურ სტრიქონებში. თითქოს სიტყვამ მოიტანაო, სილაღითა და უშუალობით „არიგებს" ავტორი პატარებს. ცდილობს მათი თანატოლი გახდეს, მათთან ერთად დაძლიოს შიში და განცდა, შეიმეცნოს სამყარო და ის მოვლენები, რაც მათ თვალწინ ხდება. ასეთია მისი ლექსი „ყველა შიშის ჯინაზე", „დარისა და ავდრისა", „შუქნიშანი", „ქარწვიმაში", „თვითონ მიხვდი", „სუპერმარკეტი" და კიდევ სხვა.

ai, ამდენადაა მისი ლექსები პატარა მკითხველებისთვის საინტერესო და სახალისო. ამ პოეტურ სამყაროში შეხვდებით ცოცხს — მტვერსასრუტის პაპასა და ბაბო ფოცხის შვილიშვილს. დიასახლის ჩხიკვს, რომელსაც ლობიოზე მიუწვევია მეგობრები და შემდეგ, სალამოს, მარტო დარჩენილს, მესიჯიც გაუგზავნია მონატრებული დაქალისთვის. ამ მეოჯახე ჩხიკვის სიახლოვეს სახლობს მოლაღური თალიკოცა და ავად გამხდარი ბაბუ ბუ, კალია კოლიაც და მრეცხავი კუც. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ბევრი ახალი და სახასიათო პერსონაჟი შემატა მარიამ წიკლაურმა ქართულ საბავშვო პოეზიას;

კიდევ ერთ ტენდენციაზე მინდა გესაუბრო: მარიამ წიკლაურის ლექსებში ცალკე, საგანგებოდ გამორჩეულად შექმნილ პატრიოტულ ლექსებს ვერსად ნახავ. სამშობლოს განცდა სტრიქონთა შორისაა გაბნეული და უფლის დიდება და სიყვარულიც ისე ძალდაუტანებლად იკითხება, რომ პატარა ამას მარტივად, თავისთავად, ყოველგვარი დაძალების გარეშე, ლექსების კითხვისას გრძნობს და იმახსოვრებს. მაგალითად, ლექსი „გათენება“, ან „დედული და მამული“:

მარიამ წიკლაურის საბავშვო კრებულებში („დედის ნამღერი ლექსი“ — 1997წ., „ნიკო-მიკო“ — 2000წ., „ბრანდი-ბრუნდი“ — 2005 წ., „საალილო“ — 2006წ) გვხვდება წყება იმ ლექსებისა, სადაც ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ესა თუ ის ტექსტი დაწერილია, ვთქვათ, იულონ ტუვიმის, სპაიკ მილიგანის, ვლადიმერ პრიხოტკოსა და სხვა საბავშვო ავტორთა მიხედვით. ამ ტექსტებში მართალია შენარჩუნებულია ავტორისეული იდეა, მაგრამ ყველაფერი ისეა გაქართულებული, რომ იქნებ გაერისკა კიდეც ავტორს და არ მიენიშნებინა წყარო, თუ საიდან მოდის ეს ლექსი, მაგრამ პოეტი ასე არ იქცევა. შემოქმედისთვის დამახასათიათებელი ეს დეტალიც მწერალი ქალის პიროვნულ კეთილშობილებაზე მიგვითითებს. ამავე დროს, ყმაწვილებსაც სიმართლის თქმის ერთგვარ მისაბაძ მაგალითს აძლევს.

ამ ეგრეთწოდებულ გაქართულებულ ლექსებს შორის მინდა განსაკუთრებით გამოვყო ორი: „შეცდომა“ და „ნიკო-მიკო“.

ლექსისთვის „შეცდომა“ ავტორს ასე მიუწერია: შემეცოდა ფოსტალიონი, რომელიც სპაიკ მილიგანის ამავე სახელწოდების ლექსში უმადურმა ლომმა ჩაყლაპაო. როგორც ირკვევა, სპაიკ მილიგანს, ინგლისელ მწერალს, რომლის ლექსები პირველად სწორედ მარიამ წიკლაურმა უთარგმნა ქართველ ბავშვებს, ლექსის სიუჟეტი ფოსტალიონის გადაყლაპვით დაუსრულებია, მაგრამ ქართველ ავტორს გადაუწყვეტია, რომ პატარები განბილებული არ დატოვოს, ამ ამბავს საინტერესო და იმედიანი დასასრულიც მოუძებნოს. მარიამ წიკლაურის ვერსიით, ლომი, ნადირთა მეფე, თავის შეცდომას მიხვდება, მეფურ გადაწყვეტილებას მიიღებს — და ჩაყლაპულ ფოსტალიონს უკანვე ამოასლოკინებს:

**შეიძრა მიწა, ზეცას მისწვდა ქვა-ღორღის მტვერი,**
**თავი რომ აღარ შეგაწყინოთ და არ ვთქვა ბევრი,**
**ამოაყოლა სლოკინს კაცი ლომმა მუცლიდან,**
**იონასავით რომ იჯდა და ბედს რომ უცდიდა.**

ასეთი იმედიანი ფინალი დამახასიათებელია ქართული მენტალიტეტისთვის, ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურისთვის, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მარიამ წიკლაურიც გახლავს. მარიამ წიკლაური, რომლის საყმაწვილო ტექსტები თითქოს დროს აერთიანებს — წარსულს და აწმყოს, რათა მომავალმა ქართველმა ყმაწვილებმა შეძლონ და კარგად გააცნობიერონ თუ ვინ იყვნენ, რანი არიან და მომავალში საით, ვისგან გაკვალულ გზაზე უნდა იარონ.

მით უფრო საჭირო და აუცილებელია ამ წიგნების წაკითხვა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც, ჩემი შვილიშვილივით, ემიგრაციაში იზრდებიან და ყალიბდებიან მომავალ ქართველებად.

**P.S.**

*მოკლედ, ჯერჯერობით იკმარე ეს წიგნები და ეს წერილი, რომელიც ამ წიგნებს თან ახლავს. მომავალ თვეში კიდევ სხვა საყმაწვილო მწერლის წიგნებს მოგაწვდი და მათ შემოქმედებაზეც გესაუბრები...*

*შენი მოსიყვარულე დედა*

## ტარიელ ხარხელაური

* * *

*თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნას*



მუცოს გალობით მიუხველ —
სდუმდა, შენ დუმილს არ გთხოვდა,
მზაკვრობას რად ვერ მიუხვდი —
სიმშვიდეს რომ არ დასთმობდა.
შენი სიმღერა ჭიუხებს
აასხი ვერცხლის მძივებად,
არღუნი — რად ვერ მიუხვდი —
ამას არ გაპატიებდა.
მზიდველნი ბევრი ჭირ-ვარმის
მთები — თალხ ნისლებს იცმევენ,
მოდგნენ კლდეები მტირალნი
და მკერდი ჩამომიცრემლეს.
არწივნი მოთქმით მოდიან,
სისხლს მიმღვრევს გულის ლაჩრობა,
ზოგჯერ ტკივილსაც სცოდნია
თურმე ცრემლების დაშრობა.
ვდუმდი — რო უნდა მებლავლა,
მიმუხთლა ქარმა, არ მემხრო —
შემეძრა ცა და ქვეყანა
უნდა ერთბაშად დამემხო.
ვერ დაგიტირეთ, გავქვავდი,
ჯავრი ჰყეფს ფიქრთა სამრეკლოს,
მოვწყდი, ზვავივით დავქანდი,
მზად ვარ სამყარო წავლეკო.
ცრემლებად უნდა დავშალო,
მთელს პლანეტაზე მოვფინო,
რომ მოჰყვე ციხის ნაშალო —
რაც სჭირს ამ შეშლილ მსოფლიოს,
რომ დაჭკნა და გაიცრიცა,
ტკივილს ველარც ეს მიამებს,
ნაბორგვი დედამიწისა —
მაღლა ვერააქვთ მყინვარებს.
მთათა სულს მიფრთხობს ქვითინი,
ცაო, შენც მხრები დაუშვი...
სიკვდილი ზეობს ფითრივით —
ჩემს დაობლებულ მამულში.



თანმიმდევრულობა — აი, რა არის ნანა აბლოთიას ლექსების მთავარი ნიშანი. ლაპარაკი არ არის იმაზე, თუ რამდენად მომგებიანია დღეს სიურრეალისტური ტექნიკის გამოყენება პოეტურ შემოქმედებაში. მითუმეტეს, ზედმეტია საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად პოპულარულია ეს მიმდინარეობა მკითხველ საზოგადოებაში. სიურრეალიზმი აზროვნების წესია და არა როლი, რომელსაც როგორც გინდა, ისე მოირგებ. ალოგიზმი, პარადოქსი, სიზმარი, ჰალუცინაცია, ილუზია, მისტიკური ხილვები და ერთმანეთისგან პოლარულად დაშორებული რეალობების შერწყმა — კლასიკური სიურრეალიზმის ეს ნიშნები გასაოცარი თანმიმდევრულობით არის გამოვლენილი ნანა აბლოთიას ლექსებში და ალბათ მკითხველიც სწორედ ამას მიაქცევს ყურადღებას.

პოეტი ძველი გზით მიდის ახლისკენ, რომელიც შესაძლოა ახალი არა, მაგრამ რაღაცნაირად თავისი, პრივატული აღმოჩნდეს. კაცმა რომ თქვას, შემოქმედისთვის მთავარი ჯერ საკუთარი გზის პოვნაა და შემდეგ არის დანარჩენი. ქართული გავლენების კვალიც რომ თვალნათლივ ეტყობა, არც ეს არის საგანგაშო, რადგან გავლენა ის ტრამპლინია, რომელმაც სასურველ სიმაღლეს უნდა მიაღწევინოს. საიმედო ნიშანია, რომ პოეტი გაურბის ერთფეროვნებას. ყველა ლექსი გაჯერებულია დუალისტური წარმოდგენებით, სადაც თანაარსებობს ნათელი და ბნელი, სიზმარი და ცხადი, სიცოცხლე და სიკვდილი, ყინული და მზე. რა მოჰყვება ამ უკომპრომისო შინაგან ჭიდილს? რამდენადაც ვხვდებით, გასვლა „ილუზიების ქვიშისფერი ტბებიდან“ და ათვისება ახალი ნაპირებისა.

## ნანა აბლოთია

* * *

მზეგაკიდებულ ბაღებში  
ბროლი და ჭაღები  
ცას რომ შესვამენ ველოსიპედზე  
და ჰორიზონტის საძინებელში  
ჩაორთქლილი ზღვა ფეხებს მოიბამს,  
ამ დროს სარკიდან გამოვცურდები.  
ყველა გუშინდელი სურვილი  
დავლიე ვიტრინებიდან  
და ლურჯი, სულ ლურჯი  
შემოვიბლანტე ღამე მშიერი  
და მათხოვარი სხვისი ხელების  
და პირიდან ვანთხიე შავი და ბლანტი  
ძალმომრეობის შვიდი ტრაქტატი...  
და მასკარადი,  
იწყება სახის მოგლეჯა სახეებიდან,  
უსახონი,  
უფილტვონი,  
თვალებში ორმო ამოვსებულნი,  
გულის გამოლნით ვეცემით ჰაერს  
და ლურჯი, სულ ლურჯი  
მოიწევს ღამე.

* * *

ჩემი სახლი არის ჩემი თვალები,  
ნაქცეული ხე,  
რომელიც ასვენია მზის აივანზე  
და ბელურები შემოდიან ჩემს სახლში,  
რათა იპოვონ საფლავი  
მე რომ გავთხარე.  
ჩემი ეზო არის ჩემი ხელები,  
ზედ ნაქარგი რევოლვერებით  
გაჭიმული ვენები როგორც ბაღები  
სავსე სიცოცხლით და სიკვდილით.  
ჩემი ფანჯარა არის მთვარე  
და როცა ვაღებ,  
სულში შემოდიან  
იასამნის დაწნული კიბით მალარიები.  
ჩემი გული არის ვარვარა დისკო  
მზის სახლში  
და მძიმე სნეული გავდივარ ღრუბლებზე  
და მინდა მოვისვენო  
ჩემსავე სახლში,  
ჩემივე ხელებით გათხრილ საფლავში.

* * *

მთვარეგამოსხეულებულ სულში  
შავი ემბრიონის ზეცა ლაპლაპებს,  
მზე ადგამს ყვითელ უნაგირს  
შიშველ ფორმებში მცურავ ვეშაპებს  
და წამლეკავი სისხლი  
აჭრილ აზრებს ხარბად აჭენებს.  
ჩვენი სიზმრების სახლში  
არის სარდაფი,  
სადაც იფუთებიან მოგონებები  
ზღვისფერ კანაფში  
და საკუთარი ფანტაზიით გალურჯებულნი  
ვცურავთ ილუზიების ქვიშისფერ ტბებში  
და გვემუქრება გადაშენება,  
მიწისხელა და თმების ოდენა...  
თვალებში დაგებული ბუდეები,  
სადაც აზრები ჩეკენ მაისის ხეებს  
და ამ ხეებზე შემოფრენილ წითურ ალქაჯებს  
დააქვთ გაშლილი თეძოებით სალებავები  
და დედამიწა ფერადდება  
მზემოკიდებულ თმების სურნელით.  
ბაღებში ვიწრო დერეფნებსა  
და გაუვალი ტყის სიღრმეებში  
ვეფინები რძის ხალიჩებად,  
მხრებზე სოკოები ამომდიან  
და ყელის გარშემო იდებენ ბინას,  
სულს მიხუთავს ერთფეროვნება.

* * *

დაიხედე,  
ჩვენს ფეხებქვეშ  
დაუმთავრებელი აზრები მიბობლავენ,  
ოთხად ჩაკეცილი ფიცარი  
მიწის მუხლებზე,  
ნაწვალები.

ჩაიხედე,
შიგნით მაქმანები,
ხავერდის უხეში, ჭრელი ცხვირსახოცი
და რბილ ბალიშებზე
ლურჯი და მრგვალი,
იასამნის დაწნული თავი.
გრძელი თითების მარგალიტებზე
სასახლის ეზოდან მატლების მარში,
დროა აიხედო,
მზე გლუვი ეკრანია,
ცა კი მუჭაში შემძვრალი ვეშაპი...
ჩვენი სიზმრიდან ნავი
გამოაცურებს შიშველ ბარძაყებს,
რომლებიც დალევენ ბადაგს
წითური თმების შლეგი ანცობით
და მთებს შუა ჩამოიბანენ
რძის მდინარეებს ველური როკვით
შიშველ ქარების.
შეხედე,
ყვითელი სუფრა გაიშალა სახურავებზე,
ჭიქაში შენი სისხლის თითო წვეთია
და თეფშებზე თითო ნაგლეჯი
შენი ხორციდან,
ილუკმებიან კბილების ღრჭენით...
საცაა წამოვა ნიაღვარი ლურჯი
და განიბანები...

## ვალპურგის ღამის დედოფლები

ვალპურგის ღამეს
პარციდან ვარდნა
და ისტერია,
სულზე სხეული ეშვება ფარდად
თვალებში ცრემლი რომ ამარხია
და მიხარია.
შენ მომპარავი ღიმილით
შორს გადაგტყორცნი,
იქ, იასამანს მოგიკრეფს ქარი,
მკერდზე თავთავებს გადაგიკოცნის.
ცეცხლოვანი ლავა
მოდებული შენს მზისფერ თმებზე,
რკინისფერ ტანზე დაცვენილი ხალების წვიმა,
მზეგარინდებულ ძუძუებს შუა
იების სუნით ორმაგი ცურვა,
მშვენიერი ხარ
და მიხარია.
თეძოებზე ტალღების რხევა,
ორპირი ქარის ორმაგი კოცნა,
შენს წითურ მხრებზე მილიონის
ვნება გადაესვენა,
შენი თმების სურნელს რომ ევნა.
მაისის ხეზე ჩამომხრჩვალი სურვილთა ბადე
და გრძელ ტანებზე კოცნებად თოვა,
ცაშერხეულ იასამანში წითურმა ხელმა
მარტო დამტოვა.

* * *

მე ვიცი,
ჩემთან ქარებია,
იისფერი,ლურჯი...
მწვანე სარკმელში გამომწყვდეული
დაბნეული სულები,
მზერები — ხარბი.
ჩემთან ყინვებია,
ვარდისფერი ორთქლი ნისლავს
გუშინდელ ბავსვურ სიმართლეს
და კაკაოს სუნმა,
საიდანღაც მოსული ასე ახლობელი,
ააბნია მოგონებები ტალახში,
მზის ფანტელებასა
და ნაყინის თეთრ ბალახებში.
გამბზარა ყინულმა თვალებიდან,
თოვლიც იგუდება
და ნატერფალებს აჭრის
სისხლის ქაფები.
მე ვიცი,
ჩემთან ქარებია,
იისფერი,ლურჯი,
ჩემთან ხარ შენ
ჯერ კიდევ გუშინდელი ბავშვი
და მზისფერად ურჩი.

* * *

მთელ სამყაროში
მხოლოდ ჩვენ ორნი
მივცურავთ გაღმა ნაპირებისკენ,
მჟავე საუბრები ჩვენს ავადმყოფობაზე
მაისის ხეზე ჩამოვკიდეთ
და მერე რა,
თუ ნოემბერი სუიციდის ბაღში იღვიძებს.
ჩვენი სულები,
ერთჯერადი მოხმარების აზრთა ბმულები
ირეცხებიან ბაბუას შაქარყინულის ოკეანეში
და თევზები დადიან დაუბანელი ორგანოებით,
სიგარის კვამლში გვფილტრავენ
უსაზღვრო ლურჯით.
შენი სხეულიდან მწვანე კვამლი
უერთდება ჩემი ქარების ორმაგ ხვევნას,
ანგელოზების მათრახს გადამიჭერ
და დემონურად მშვენიერი ხარ!
მთელ სამყაროში
მხოლოდ ჩვენ ორნი ვცხოვრობთ
მზის სახლში
და გვაცვია ყინულის ლოლოები,
ვეხებით მიწას სხეულებით
და ჩვენი შეერთებული ხიდებიდან,
გადმოვა სისხლის ნიაღვარი
და აჰა, ის შვება,
რომელსაც ველოდით.

თეიმურაზ ნადარეიშვილი

# სულის ფოტოგრაფიები

## აი ია

ბევრს გვინახავს ია, ბევრჯერ გვითქვამს ყმაწვილისთვის აი („აი" განსაკუთრებით გასაგებია ბავშვისათვის – იგი ამგვარად გულუბრყვილოდ, „მარტივად" აღნიშნავს ამა თუ იმ საგანს, მოზრდილები კი „აი"-ს იშვიათად თუ ვხმარობთ, უმეტესად ვსარგებლობთ ჩვენებითი ნაცვალსახელებით).

მაგრამ მხოლოდ ორი ხმოვნის მარტივი გადაადგილებით დიდი აზრის მიღება, ამ ორი მარცვლის ასეთი გასაოცარი შეხამება, ვერავინ შეძლო, გარდა იაკობ გოგებაშვილისა!

* * *

ისტორიკოსებს შეუძლიათ ომის დაწყებაც და დამთავრებაც! მთავარია მათ არ უღალატონ ისტორიულ სიმართლეს და მოვლენები ობიექტურად, ქრონოლოგიურად სწორად ასახონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შესაძლოა „კარის" ისტორიკოსებად იქცნენ. სწორედ ამის იმედი ჰქონდა ჰიტლერს, როდესაც თავის გენერლებს შემდეგ ბრძანებას აძლევდა: „აიღეთ ეს ქვეყანა და ყოველთვის ვიპოვით ერთ-ორ ისტორიკოსს, რომელიც დაამტკიცებს, რომ ამ ქვეყნის ტერიტორია ჩვენ გვეკუთვნოდა!"

* * *

მედიცინის ისტორიაში არსებობს შემდეგი გამონათქვამი: „ის რაც არ იკურნება წამლით, დანით იკურნება; ის რაც დანით არ იკურნება, ცეცხლით იკურნება!" ჩვენც შეგვიძლია, თანამედროვე დაძაბული პოლიტიკური ცხოვრების გაანალიზების საფუძველზე შემდეგი რამ ვთქვათ: ის საკითხები რაც პარლამენტში და მთავრობაში ვერ წყდება, მიტინგებზე წყდება; ის რაც მიტინგებზე ვერ წყდება, რევოლუციით წყდება!

მთავარია საქმე ცეცხლამდე და რევოლუციამდე არ მივიდეს!

* * *

მეხსიერებაში ჩამრჩა სადღაც ამოკითხული წინადადება: „ულამაზეს ინდოელ გოგონას საკმარისი განათლება ჰქონდა მიღებული და ამიტომ არ ჭირდებოდა საკუთარი სხეული გაეყიდა!" მართლაც მრავალ გოგონას მატერიალურად უჭირს და თან სათანადო განათლება არ აქვს, იმისათვის რომ რაიმე „სერიოზული" სამსახური იშოვოს, რის გამოც იძულებულია ყველაზე „იოლ" საქმიანობას მიჰყოს ხელი – საკუთარი სხეულით ივაჭროს!

ასე, რომ ზოგჯერ განათლება (გარდა ზოგადი თეორიული სარგებლობისა!) თითქოს „მატერიალიზირდება", დიდ პრაქტიკულ ძალას იძენს და როგორც შედეგი, შეუძლია ახალგაზრდა ადამიანი დაღუპვას გადაარჩინოს!

---

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა" №2

* * *

ომარ ხაიამისა და გალაკტიონის ბახუსისადმი სიყვარული, ალბათ უფრო იძულებითი ნაბიჯი, ნამდვილი მისწრაფებების შესანიღბად მორგებული ნიღაბი იყო!

* * *

შედარებით ადვილია ხელისუფლებაში მოსვლა. გაცილებით უფრო რთულია იცოდე, მოსვლის შემდეგ რა აკეთო!

* * *

ძალიან მომეწონა ფრანგული ფილმი პაბლო პიკასოს ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ეპიზოდი, სადაც პიკასოს მეუღლე საყვედურობს, იმის გამო, რომ მთელი ცხრა საათი სახელოსნოდან არ გამოსულა და საჭმელს მიუტანს მხატვარს. ამ საყვედურს პიკასო მოსწრებულად პასუხობს: „როცა სახელოსნოში შემოვდივარ, სხეულს გარეთ ვტოვებ, ისევე როგორც მუსულმანი ტოვებს ფეხსაცმელს მეჩეთს გარეთ!"

მართლაც ნამდვილი შემოქმედისათვის მისი საქმეა მთავარი. მუშაობისას მხოლოდ თავის შემოქმედებას ეკუთვნის და ამიტომ მას ნაკლებად აწუხებს მიწიერი მოთხოვნილებანი (დაღლა, შიმშილი, წყურვილი და ა.შ). ალბათ, წმინდა სამედიცინო თვალსაზრისითაც, ამ დროს ადამიანის მთელი შინაგანი რეზერვები მხოლოდ გონებრივი საქმიანობისკენაა მიმართული და სხვა ფიზიოლოგიური პროცესები (ისევე როგორც ძილისას!) შენელებულია!

* * *

ჭირის „მოშინაურება" — ეს დიდი ხელოვნებაა!

* * *

კრიტიკულ სიტუაციებში მხოლოდ შენს თავს უნდა ენდო!

* * *

იტალიაში ძეგლი დაუდგეს ძაღლს, რომელიც მთელი 16 წელი ელოდებოდა პატრონს! აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია – თავად ფაქტი „ლაპარაკობს" ყველაფერს!

* * *

ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო წესდებაში არსებობს წესი, რომლის თანახმადაც პოსტზე მყოფი ჯარისკაცი ჯერ გამაფრთხილებელ გასროლას ახდენს ჰაერში და მხოლოდ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ესვრის დამნაშავეს. ასევე, უმეტესწილად, ცხოვრება ჯერ გაფრთხილებს (შანსს გიტოვებს!) და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ ამ გაფრთხილებას უგულებელყოფ, გამარცხებს! (შამათის წინ ხომ ქიში ცხადდება!)

* * *

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი რეზონანსი გამოიწვია საბჭოთა პატ-

რიოტულმა ფილმმა „ცისარტყელა", სადაც ნაჩვენებია თუ როგორ მიდიან ომში მოხალისეებად საბჭოთა ახალგაზრდები. მოხერხებულმა ამერიკელმა „ვერბოვშჩიკებმა" პირდაპირ კინოთეატრებთან მოაწყვეს გასაწვევი პუნქტები, რომლებშიც საკმაო რაოდენობით ეწერებოდნენ ფილმიდან გამოსული მოხალისე ამერიკელი „კარგი ბიჭები". ეს სწორი გათვლა იყო – არ უნდა „გაციებულიყო" ფილმის მიერ „პროვოცირებული" ანტიფაშისტური განწყობა! აი რას ნიშნავს კომერციული ალღო!

* * *

საერთო ეროვნულ გამოცდებზე რამდენიმეჯერ ვიყავი კურატორი. შთაბეჭდილებათაგან, მინდა გამოვყო რამდენიმე.

ა) კარგად მახსოვს, რომ პოლიტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსში, თითქმის მთელი გამოცდების პერიოდში, იდეალურ საგამოცდო სიჩუმეს მხოლოდ მერცხლების ჟრიამული არღვევდა. ისინი ლაღად, დიდი სისწრაფით ჩამოუფრენდნენ ხოლმე საგამოცდო აუდიტორიებს – თითქოს აკვირდებოდნენ, თუ როგორ ართმევდნენ თავს აბიტურიენტები საგამოცდო ტესტებს. ამიტომ მათ დამსახურებულად შევარქვით „შტატგარეშე დამკვირვებლები"

ბ) შევამჩნიეთ, რომ როდესაც ესა თუ ის აბიტურიენტი დააცემინებდა, სხვა აბიტურიენტები მას ერთხმად „ჩაბარებას" ეუბნებოდნენ „იცოცხლეს" ნაცვლად. ასე, რომ ამ დაძაბულ პერიოდში, აბიტურიენტებისათვის ჩაბარება სიცოცხლესთან იყო გაიგივებული და კონკურენციის მიუხედავად ისინი ერთმანეთს სწორედ სტუდენტობას უსურვებდნენ!

გ) როგორც გამოცდებზე გავრცელდა ინფორმაცია, ერთ-ერთმა აბიტურიენტმა გალის რაიონიდან გადმოცურა ენგური (ეს იყო ერთადერთი საშუალება აფხაზეთიდან გამოსვლისა!), რის გამოც მთლიანად წყლით გალუმპული, დაგვიანებით გამოცხადდა ზუგდიდის საგამოცდო ცენტრში, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სპეციალური ნებართვით, მოგვიანებით მას მაინც მისცეს საშუალება გასულიყო გამოცდებზე. ასე ძლიერია ცოდნისადმი ლტოლვა (ძალაუნებურად ადამიანს გახსენდება ნიკო ლომოურის ლექსი „ყინვა და პატარა მონაფე") და მისი ჩაკვლა კბილებამდე შეიარაღებულ ჯარსაც კი არ ხელეწიფება!

* * *

ჩემი აზრით, რადიოდადგმის მოსმენას გარკვეული უპირატესობა აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციასთან შედარებით. მართლაც მოსმენისას ადამიანს ფანტაზიის უნარი (კომპიუტერულ ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით), „გააქტიურებული" აქვს, რადგანაც მას ლიტერატურული გმირის მხოლოდ ხმა ესმის, ხოლო მთლიანი პორტრეტი ამ ადამიანისა, ფანტაზიამ უნდა შექმნას! (ეკრანიზაციისას კი ფილმის რეჟისორის გადაწყვეტილებას ვერსად „გაექცევი", რადგან იგი ირჩევს ამა თუ იმ მსახიობს და შენ მას ხედავ!). თუ მსჯელობას ამ მიმართულებით გავაგრძელებთ, ‚ლოგიკურად მივალთ დასკვნამდე, რომ ყველაფერს ჯობია წიგნის კითხვა, რადგანაც ადამიანს გმირის არც ხმა ესმის და ვერც ხედავს მას, რის გამოც მისი ფანტაზიის უნარი მაქსიმალურადაა „გააქტიურებული"! (რაც ოდნავ შეიძლება „შეასუსტოს" მწერლის მიერ ლიტერატურული გმირის აღწერამ).

### მწვანე უდაბნო

წელს ჩემს 5 წლის ქალიშვილ ანკასთან და მეუღლესთან ერთად ბორჯომიდან ბაკურიანამდე ვიმგზავრე ბავშვობიდან ყველასათვის საყვარელი ვიწროლიანდაგიანი მატარებლით ე.წ. „კუკუშკათი". „ჯუჯა" მატარებელი უმეტესწილად შუაგულ ტყეში მოძრაობდა, თანაც ძალიან ნელა და „შინაურ" ვითარებაში (მემანქანემ რამდენიმეჯერ გააჩერა მატარებელი სრულიად „გაუგებარ" ადგილებში, შუა ტყეში, წყლის ასაღებად თუ ნაცნობ მეტყევეებთან გამოსალაპარაკებლად!). ამიტომ უნებურად გამიჩნდა გრძნობა, რომ მწვანე „უდაბნოში" ვიმყოფებოდი, რადგანაც მთელი ორი საათის განმავლობაში ერთიდაიმავე სურათს — მხოლოდ მწვანე ხეებს ვუყურებდი! მაშინვე გამახსენდა, რომ არსებობს ე.წ. თეთრი უდაბნოს ცნებაც, რითაც აღინიშნება ანტარქტიდისა თუ არქტიკის ყინულოვანი სივრცეები და არსებობს, რა თქმა უნდა, ნამდვილი უდაბნოც. ჩემი აზრით, ამ უდაბნოთაგან ყველაზე კარგი სანახავი მაინც მწვანე უდაბნოა! (თანაც იგი ხომ გაცილებით მეტ ცოცხალ არსებას „პატრონობს", ვიდრე თეთრი თუ ნამდვილი უდაბნოები!).

P.S. მწვანე უდაბნოში განსაკუთრებით დამამახსოვრდა „დედა" ნაძვების თუ ფიჭვების ირგვლივ სრულიად უსისტემოდ, სპონტანურად ამოსული პატარა „შვილი" ხეები, რომლებმაც განსაკუთრებით გაახალისეს ანკა! (პატარამ პატარას „გაუგო"!). ამ სურათის შემყურემ, აშკარად ვიგრძენი, რომ მიუხედავად ბუნების სიდიადისა და მშვენიერებისა, მასში ქაოსის მოსაწესრიგებლად, მაინც აუცილებელია გარედან ჩარევა. კერძოდ, საჭიროა ამ პატარა ხეების გამოხშირვა. იმისათვის, რომ მათ ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს ზრდაში. სწორედ ამას აკეთებენ მეტყევეები და უმრავლესობა ამ პატარა ხეებიდან, ახალ წელს ჩვენს პატარებს ახარებენ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ საქმიანობით სხვა „შემთხვევითი" ადამიანებიც არიან დაკავებული და როგორც შედეგი „ნაბან წყალს ბავშვსაც აყოლებენ" – გამდიდრების მიზნით უკანონოდ ჭრიან მოზრდილ ხეებსაც, რისი კვალიც „შავ ოაზისებად", უხვად იყო მწვანე უდაბნოში!

* * *

მიქელანჯელო 1564 წლის 18 თებერვალს უნდა გარდაცვლილიყო, რომ იმავე წლის 23 აპრილს შექსპირი დაბადებულიყო. რას იზამ, სამყარო ორ ტიტანს ერთდროულად ვერ იტევს, სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეებსაც კი!

* * *

1922 წელს მომაკვდავმა დიდმა რუსმა რეჟისორმა ევგენი ვახტანგოვმა (მას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს) დადგა საბჭოთა კლასიკად აღიარებული საკარნავალო, საზეიმო სპექტაკლი „პრინცესა ტურანდოტი" (ახლაც კი ამ სპექტაკლით იხსნება მისი სახელობის თეატრის თეატრა-

ლური სეზონები!). თავად ვახტანგოვი ვერ მოესწრო სპექტაკლის პრემიერას – იგი გენერალური რეპეტიციის შემდეგ გარდაიცვალა. ეს დადგმა ერთგვარი გამოწვევა იყო სიკვდილისადმი – დიდი მაესტრო გოეთეს ეგმონტივით „პირმომცინარი შეხვდა" სიკვდილს (უფრო ზუსტად „იცინოდა" მისი უკანასკნელი სპექტაკლი!)

* * *

ზოგჯერ „ზედმეტი" ცოდნა, მოვლენების ღრმა ანალიზი აფერხებს ადამიანს. ამიტომ უფრო ლაღად გრძნობ თავს და შესაძლოა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, თუ გაგაჩნია (როგორც ლევ ტოლსტოი შენიშნავდა) „უცოდინარობის ენერგია"! („Энергия незнания"!)

## ბავშვის სიბრძნე

ხშირად ჩემს პატარა ქალიშვილთან ერთად თეთრ „ლექსებს" ვწერ –ანკა მკარნახობს ხოლმე ამა თუ იმ თავის „ლექსს" (მე ბეჯითად ვასრულებ სტენოგრაფისტის როლს, რადგანაც ანკამ ჯერ არ იცის ყველა ასოს წერა!) და შემდგომ მას საკუთარ ნააზრევს ხმამაღლა ვუკითხავ. უმეტესწილად, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ გარე სამყაროს შემეცნებისას მიღებული ბავშვური, მიამიტური შთაბეჭდილებების უსისტემო კრებულია, მაგრამ ახლახან პირდაპირ განმაცვიფრა ანკას შემდეგმა გამონათქვამმა:"იგი ისეთი კეთილი იყო, რომ ვერავინ ამჩნევდა!" მართლაც სიკეთეს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც იგი შეუმჩნეველია და რაღაც ცუდი, ბოროტი უნდა მოხდეს, რომ შეამჩნიო და დააფასო! (სიკეთე ჰაერივითაა – მასაც ხომ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ საკმარისია, ამა თუ იმ „ბოროტი" მიზეზის გამო, გაგვიჭირდეს სუნთქვა და უმალ გვახსენდება და გვჭირდება ჰაერი!). მე ახლაც არ მესმის თუ რატომ თქვა ეს ღრმააზროვანი ფრაზა 5 წლის ბავშვმა? რას ნიშნავს ეს?! შემთხვევით, გაუაზრებელ ნამოსროლილ ფრაზასთან თუ სხვა უფრო სერიოზულ, სამყაროს თავისებურ, „შეურყვნელ" აღქმასთან გვაქვს საქმე?! (მახსენდება, რომ ალბერტ აინშტაინმა, თავის დროზე, შემდეგი მოულოდნელი რამ განაცხადა: "მე იმიტომ შევქმენი ფარდობითობის თეორია, რომ სამყაროს ბავშვის თვალით ვუყურებდი!")

ასევე ჩემი ყურადღება მიიპყრო მეორე უცნაურმა მოვლენამაც. კერძოდ, შევამჩნიე, რომ ანკა თამაშისას თავის თოჯინებს შემდეგ გამოგონილ გვარებს ანიჭებს: სიყვარულიძე, სიკეთიშვილი, მეგობრობაძე და ა.შ., თუმცა გვარების შერქმევის პროცესში ერთი ნამდვილი გვარიც გამოუვიდა — სიხარულიძე. ჩემდა სასიხარულოდ აღმოვაჩინე, რომ არცერთი გვარი არ შეიცავს უარყოფით კატეგორიებს. ასე მაგალითად, არ გვხვდება შემდეგი გვარები: ბოროტაძე, სიხარბიშვილი და ა.შ. ძალიან მიხარია, რომ პატარა ანკა უპირატესობას მხოლოდ სიყვარულს და სიკეთეს ანიჭებს. ნეტავ დიდებსაც შეგვეძლოს ასე კარგად „თამაში"!

* * *

ზოგიერთი კომედიური ჟანრის მსახიობის მარტო შეხედვაც კი საკმარისია, ადამიანს რომ გაეცინოს. გავიხსენოთ თუნდაც ფრანგი კომიკოსი ლუი დე ფიუნესი, რუსი საველი კრამაროვი ან ჩვენი შესანიშნავი მსახიობები სანდრო ჟორჟოლიანი და იპოლიტე ხვიჩია, რომელიც იძულებული იყო პანაშვიდებზე სიარულისგან თავი შეეკავებინა, რადგან მისი გამოჩენა სიცილს იწვევდა. სწორედ გარეგნობამ „დაღუპა" აკაკი კვანტალიანიც. კერძოდ, მას ვახტანგ ტაბლიაშვილმა შესთავაზა იმ დროისათვის ალბათ, ყველაზე უფრო პრესტიჟული, „დიდი" როლი — ლენინის სახის განსახიერება. ერთი კვირის ინტენსიური რეპეტიციების შემდეგ ბატონმა აკაკიმ ზუსტად გაიმეორა ბელადის მანერები და ხმა. ყველაფერი მზად იყო ამ როლზე მის დასამტკიცებლად, მაგრამ ცეკას კომისიამ დაიწუნა მსახიობი ამ „საპატიო" როლზე, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ხალხი კვანტალიანის დანახვაზე სიცილს დაიწყებდა, რაც ჩრდილს მიაყენებდა ილიჩის „დიად" სახეს! ნამდვილად სწორი იყო ცეკას იდეოლოგიური მუშაკების გათვლა!

* * *

ძალზე დამაფიქრებელია შემდეგი ფრაზა ანდრეი ტარკოვსკის ყველაზე ცნობილი ფილმიდან „ანდრეი რუბლიოვი", როდესაც ერთ-ერთი რუსი მეომარი შემდეგნაირად მიმართავს მეორეს: „Татарин говорил, что вы без нас перегрызёте друг-друга!"(აქ ლაპარაკია მონღოლი მეომრის გამონათქვამზე). ჩემი აზრით, სწორედ აქ იმალება რუსეთისათვის დამახასიათებელი აგრესიულობის ფსიქოლოგიური „ძირები"! მართლაც, გავიხსენოთ, რომ მონღოლები მთელი ორი საუკუნე იყვნენ გაბატონებული რუსეთზე (მათ შექმნეს ცნობილი „ოქროს ურდოს" სახელმწიფო) და როგორც შედეგი, სხვისი „მომრიგებლის" და აგრესიულობის „ბაცილა" რუსებზე ალბათ მონღოლებისგან გადავიდა!

* * *

კლასიკოსების კითხვისას „გულ-ღვიძლით" შეიგრძნობ სამყაროს, უფრო ღრმად სწვდები მის ნამდვილ არსს და შედეგიც არ აგვიანებს – ადამიანი უფრო სერიოზული და დინჯი ხდება, რაც, თავის მხრივ, გარკვეული სირცხვილის გრძნობასაც კი იწვევს მასში, რადგანაც თვლის, რომ მანამდე „ამჩატებულად" და არასერიოზულად ცხოვრობდა!. მე მგონი, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სირცხვილის გრძნობა „ბუნებას იცვლის" (პოზიტიური ხდება!), რადგანაც ამ „სირცხვილის დერეფანში" გავლის შემდეგ ადამიანი ბრძენდება და ალბათ ესაა კლასიკური ლიტერატურის უმთავრესი დანიშნულება!

* * *

ლაო ძის „დაო დე ძინი-დან" ცნობილი მსჯელობა იმის შესახებ რომ გამარჯვებულს მჭმუნვარება მართებს და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი", მიუხედავად „უზარმაზარი" განსხვავებისა ეპოქებსა თუ გეოგრაფიულ არეალებს შორის, ჩემი აზრით, ასახავს ადამიანის ერთიდაიმავე ფსიქოლოგიურ განწყობას. კერძოდ, უმეტესწილად გამარჯვება გულისხმობს სხვა ადამიანზე თუ ხალხზე გამარჯვებას ანუ მათ მორალურ, მატერიალურ თუ ფიზიკურ დაჯაბნას და მოსპობასაც კი, მაგრამ გამარჯვებით გამოწვეული ეიფორიის გავლის შემდეგ, არ შეიძლება პატიოსანი ადამიანი არ ჩააფიქროს „თამაშის იმ წეს-

მა", რომ ხშირად დამკვიდრებისთვის, აუცილებელი ხდება სხვისი დამარცხება და სწორედ ამ უსამართლობის განცდა სინანულს აღძრავს მასში! ეს სინანული კი გამარჯვებულის გამარჯვებაა საკუთარ თავზე, რადგანაც იგი უფრო მაღალ მორალურ „საფეხურზე" ადის!

* * *

ზოგჯერ დუმილით უფრო მეტის „თქმა" შეიძლება, ვიდრე სიტყვით, რადგანაც დუმილი ბევრი პოტენციური სათქმელის „მფლობელია", გაცხადებული სიტყვა კი მხოლოდ ერთი სათქმელის „მეპატრონეა"!

* * *

უამრავი დაპყრობების შედეგად, იმდენად არანორმალურად გაიზარდა რუსეთის ტერიტორია, რომ ეს ფაქტი შემაწუხებელი აღმოჩნდა თავად დიდი რუსი ფილოსოფოსისა ნიკოლაი ბერდიაევისათვის, რომელიც ერთგან გარკვეული სირცხვილის შეგრძნებითაც კი წერდა: „Страна ущемлённая пространством"! ნეტავ ეს სირცხვილის გრძნობა კრემლის მესვეურთ, ოდესმე თუ დაეუფლებათ, რომ ყველამ (თვით რუსმა ხალხმაც კი!) „დაისვენოს" მათი ამბიციებისგან!

* * *

ახლახან წიგნების დალაგებისას განჯინაში ვიპოვე ლენინის გახუნებული (ჩემ მიერ მრავალ ადგილას პასტით თუ ფანქრით ხაზგასმული!), ერთ-ერთი ტომი. ჯერ გამახსენდა, რომ „განვითარებული" სოციალიზმის ეპოქაში, ამ წიგნზე ღამეებს ვათენებდი, კარგად რომ ჩამებარებინა იმ დროისათვის აუცილებელი სახელმწიფო გამოცდა მეცნიერულ კომუნიზმში (სხვაგვარად ვერ მიიღებდი ე.წ. „წითელ" დიპლომს, ბრწყინვალედაც რომ გცოდნოდა შენი სპეციალობა!). ამ მოგონებამ გუნება გამიფუჭა, რადგანაც დამენანა ძვირფასი დრო, რაც ამ წიგნზე მუშაობას მოვანდომე, მაგრამ უცბად მეხსიერების ლაბირინთებიდან ამოტივტივდა სიტყვები, ოდნავ რომ გამახალისა:

**ეს ერთი შერჩა ჩემს შავ განჯინას**
**ვით მტვერწაყრილი უიმედობა!**

ასე ახასიათებს ლადო ასათიანი „დიდი ბელადის" ტომს! ნამდვილად არ ვიცი, თავის დროზე, დიდი პოეტიც აბარებდა თუ არა სახელმწიფო გამოცდას მეცნიერულ კომუნიზმში!

* * *

ვისაც ოდნავი შეხება მაინც აქვს შემოქმედებით პროცესთან, დამეთანხმება, რომ ადამიანს ფიქრისას ხშირად ეხმარება ინტენსიური სიარული და ბოლთისცემაც კი ოთახში. ამ დროს ქაოტურად მიმოფანტული აზრები, მწყობრ სისტემაში ლაგდება და დგება, ყოველი შემოქმედისათვის კარგად ნაცნობი უეცარი აზრობრივი „განათების", „გაელვების" მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდგომ „იბადება" ის „ახალი", რასაც მოგვიანებით შემოქმედებას ვუწოდებთ! ამასთან დაკავშირებით მახსენდება, რომ ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი ანრი პუანკარე ამა თუ იმ რთულ მათემატიკურ პრობლემასთან „ჭიდილისას", დღეში რამდენიმე კილომეტრს გადიოდა და სწორედ მას ეკუთვნის შემდეგი გამონათქვამი: „ფეხები აზროვნების ბორბლებია!"

* * *

არსებობს ცრუ რწმენა, რომ თუ ბაყაყს მოკლავ, განვიმდება. სინამდვილეში წვიმის წინ ბაყაყი გუბედან ამოდის და შედარებით ადვილი ხდება მისი მოკვლა. ამ „უბრალო" მაგალითიდან ჩანს, რომ ხშირად მოვლენის ახსნა არასწორად ხდება, მაგრამ მაინც მართებულ შედეგს ვღებულობთ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ლევ ლანდაუს ირონიული შენიშვნა: „მცდარ თეორიათა შორის მოიძებნება ისეთი, რომელიც ცდას სწორად აღწერს!" ეს, რა თქმა უნდა, საინტერესო ფენომენია, მაგრამ არ უნდა გაგვიტაცოს ამ მოჩვენებითმა „წარმატებამ", რადგანაც ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი ნამდვილი მიზეზების გარკვევის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტ წარმატებაზე ლაპარაკი!

* * *

მუსიკის მოსმენისას რაღაც „სხვანაირად" ხდება დროის „ტევადობის" შევსება — ადამიანს უფრო მეტი ფიქრის დრო აქვს, ვიდრე მაგალითად, სპექტაკლის ყურებისას და თან იგი მუსიკასაც „ადევნებს" თვალს!

* * *

რომელიმე ადამიანის მიერ ზნეობრივი ნორმების მეტნაკლებად ზუსტი დაცვა, (ის რაც სინამდვილეში ცხოვრების ჩვეულებრივი ნორმა უნდა იყოს!) საზოგადოებაში აღიქმება, როგორც მისი განსაკუთრებულობა და გარკვეული გმირობაც კი! მაშინ რა არის ჭეშმარიტი გმირობა?!

* * *

თბილისში, სინაგოგასთან ახლოს, მდებარეობს კომუნისტურ პერიოდში ყველასათვის კარგად ცნობილი დეფიციტური წამლების გადამყიდველის, „ჩაშკას" სახელობის აფთიაქი. ნეტავ ვინ იქნებოდა ახლა „ჩაშკა" – ნამდვილი ბიზნესმენი ("ავერსის", „პსპ"-ეს თუ სხვა რომელიმე სააფთიაქო „მონსტრის" პრეზიდენტი) თუ კანონთან დაპირისპირებული ადამიანი?!

* * *

ძალიან მიყვარდა და მომენატრა რადიოთი თუ ტელევიზიით რომელიმე ცნობილი მსახიობის მიერ (ეროსი მანჯგალაძე, გოგი ხარაბაძე და ა.შ.) ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული კითხვა, როდესაც აშკარად ვგრძნობდი თუ რა ძალა გააჩნდა ცოცხალ სიტყვას! ამ დროს თავს წარმოვიდგენდი ხოლმე ძველი საბერძნეთის არისტოკრატად, რომელსაც განათლებული მონები წიგნებს უკითხავდნენ (ამ ტრადიციის „დანგრევა" მხოლოდ არისტოტელემ „გაბედა", რომელმაც თავად დაიწყო კითხვა, ოღონდ მაინც ხმამაღლა კითხულობდა ტექსტს!). ნეტავ კიდევ როდის ვიგრძნობ თავს ძველ ბერძენ არისტოკრატად?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ნიბლიაშვილი

# ცოცხლად დამარხული ზოოპარკი

ბოდიშს ვუხდი ჩვენს ქვეყანას და ზოოპარკში ჯერ კიდევ შემორჩენილ ბინადართ ასეთი სათაურისთვის. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — თბილისის ზოოპარკი ცოცხლად დავმარხეთ.

ერთ დროს პოპულარული ღირსშესანიშნაობის — თბილისის ზოოლოგიური პარკის ნაგლეჯი დღეს ქვა-ღორღის გროვაშია მოყოლილი; მაშინ, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ყველა ზოოპარკი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. მათ შორის, უკრაინის შვიდი ზოოპარკი, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის ქვეყნების ზოოპარკებზე. რატომ მოხდა ეს? ქვეყანაში, სადაც უძველესი დროიდან პატივს სცემდნენ ცხოველს, სადაც ვეფხვისაგან მოკლული მოყმის დედა შვილთან ერთად ორთაბრძოლაში დალუპულ ვეფხვის დედის ჭირსაც იზიარებს და მკვდარ შვილს დასტირის: ეგება ვეფხვის დედაი ჩემზედ მწარედ სტირისა. ნავიდე, მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა შვილისა.





განა შეიძლებოდა, ქვეყანაში ერთადერთი ზოოპარკისთვის საავტომობილო ტრასა გადაგვეტარებინა და ცხოველები მიწის გროვაში მოგვეყოლებინა?! აღარაფერს ვამბობ მდინარე ვერეს ხეობის ამოქოლვაზე და უამრავი მრავალწლიანი ხის განადგურებაზე, მის მნიშვნელობასა და შედეგებზე. ჩემი აზრით, თბილისმა თვითონ მოჭრა ის ტოტი, რომელზეც იჯდა. ამას სულ მალე მივხვდებით. ისე, საინტერესოა, ამ გზებზეც რომ აღარ დაეტევა მანქანები, შემდეგ რას უპირებენ თბილისის მოსახლეობას, გასახლებას თუ მანქანების ბოლში და მჭვარტლში ამოხრჩობას?

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ჩვენი ზოოპარკის საერთო ფართი 70 ჰექტარს ანუ 70 000 კვ. მეტრს მოიცავდა. ამ ფართში შედიოდა ხილიანის ქუჩა, ტელევიზიის შენობა, გმირთა მოედნის დიდი ნაწილი, „მზიურის" ტერიტორია, საიდანაც ახალ-ახალი ხილით და ბოსტნეულით მარაგდებოდნენ ზოოპარკის ბინადარნი.

ცნობილია, რომ ზოოპარკს რამდენიმე ძირითადი ფუნქცია აქვს, მათ შორის — იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველების მოშენება და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მათი ბუნებაში, ველურ გარემოში გადაყვანა; სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა; არანაკლებ მნიშვნელოვანია დასვენების ფუნქციაც, რასაც ჩვენი ზოოპარკი ძალიან დაშორებულია და ამის მიზეზი, როგორც ითქვა, მისი ტერიტორიების დატაცებამ გამოიწვია და ის დღეს 6-7 ჰექტარსღა შეადგენს, რომლის ნახევარი ატრაქციონებსა და გაურკვეველი შინაარსის ობიექტებს უკავია. ცხოველები 24 საათის განმავლობაში სამშენებლო ტექნიკის გრუხუნსა და ატრაქციონების თავბრუდამხვევ ტრიალში ბინადრობენ.

კოშმარივით მახსენდება 1993-94 წლები, როდესაც ჩვენი ზოოპარკი საკონცენტრაციო ბანაკს დაემსგავსა. ჩემი თვალით ვუყურებდი, როგორი წამებით იხოცებოდნენ დამშეული ცხოველები. რაღა დასამალია, ზოგჯერ ერთი მკვდარი ცხოველით მეორეს ვკვებავდით და ასე ვუნარჩუნებდით სიცოცხლეს, მაგრამ ვინ გაიგონა ცხოველების ამ გზით გადარჩენა. ერთმანეთის მიყოლებით დაგვეხოცა წითელ წიგნში შეტანილი ამურის წყვილი ვეფხვი, თეთრი დათვი, აზიური ჯიქის მთელი ოჯახი, ბენგალიის ვეფხვის წყვილი, ზებრას მთელი ოჯახი პატარა კვიცით, აფრიკული კამეჩის წყვილი, ახალგაზრდა ოცელოტის წყვილი, რომელიც იშვიათობაა ზოოპარკში და კიდევ სხვა უამრავი ცხოველი. ამ ტრაგედიამ დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ზოოპარკს, მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მოგვაყენა ზოოპარკის თანამშრომლებს. ეს არ უნდა მომხდარიყო. ცხოველების გადარჩენა შეიძლებოდა, ქალაქის მაშინდელ მესვეურებს ოდნავი პასუხისმგებლობა და ადამიანობა რომ გამოეჩინათ. მათ ის მაინც შეეძლოთ, რომ ვოლიერების ბინადრები სხვა ქვეყნის ზოოპარკებში გადაეგზავნათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს.

1990 წელს ზოოპარკის ადმინისტრაციამ ქალაქის მთავრობასთან და ზოოლოგებთან შეხვედრისას მიიღო დადგე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჩვენი ყოფა, წუთისოფელი

ნილება და საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისში ზოოპარკი დარჩებოდა იქ, სადაც ის დღეს არის და სხვაგან აღარ გადავიდოდა. თუმცა მანამდე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, დიდი ხნის განმავლობაში იყო საუბარი მისი ქალაქგარეთ გადატანის შესახებ, რითაც ბევრმა ისარგებლა და ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაჭრა ზოოპარკს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. აღნიშნულ შეხვედრაზე იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ზოოპარკი ტერიტორიის გაფართოების მიზნით გადაინაცვლებდა ვერის ხეობის სიღრმეში და ეს საკმაო ფართი იქნებოდა. ითქვა და მორჩა. მას შემდეგ აღარავის გახსენებია ჩვენი მრავალტანჯული ზოოპარკი, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ომში, შიმშილსა და სიცივეში გამოწრთობილი ცხოველები.



ზოოპარკის აღორძინება-გაფართოების ილუზორული იმედი საბოლოოდ დაასამარა ქალაქის ხელმძღვანელობამ, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ქალაქში მანქანები აღარ ეტევა და სასწრაფოდ, ყოველგვარი ფიქრის და გააზრების გარეშე, გმირთა მოედანზე უნდა აშენებულიყო ის, რაც აშენდა. კარგის მოლოდინში გატანჯული ცხოველების საბინადროს სამანქანო ტრასა გადაატარეს იმ პირობით, რომ ზოოპარკი სხვაგან გადავა. როდის, სად, რა დაფინანსებით, ჯერ არავინ იცის. ის კი კარგად ვიცით, რომ გარეული ცხოველები ცხვრის ფარა არ არის, რომ სადაც გინდა და რაშიც გინდა, იქ შერეკო. ისიც ცნობილია, რომ ზოოპარკის თავიდან აშენება არ არის ერთი ან ორი მილიონი ლარის საქმე.

დაბოლოს, ზოოპარკის ბინადართ, რამდენადაც შესაძლებელია, მშვიდ ცხოვრებას ვუსურვებ, ქვეყნისა და ქალაქის მმართველებს კი გულისხმიერებას და იმდენ ყურადღებას ზოოპარკისადმი, რამდენსაც ის იმსახურებს.

## პოეზიის მერიდიანები

# ნაწერი ფიქრები

ხუან ლაბროლე

*

ვიცი, რომ მომავალი
ახლოა,
ისე ახლოს, რომ აღარ ერქმევა
მომავალი.

*

სიყვარული არაა მხოლოდ
სიტყვა გრძნობის,
არამედ იგი გრძნობაა
სიტყვის.

*

რა მივიღე შენგან?
არ ვიცი!
მხოლოდ ის ვიცი,
რა მივიღე შენგან!

*

ზოგჯერ ჩვენი ხსნა
ჩვენივე ცხოვრების
მიღებაშია.

*

შენგან მივიღე მზერა,
ისეთი მზერა მივიღე
შენგან,
რომ სული გამინათა
და ვერც მე მოგწყვიტე
სიყვარულით აღვსილი მზერა.

*

მადლობა! ეს გრძნობაა,
რომელიც მარადიულობას
იტევს.

*

არ არსებობს უფრო დიდი
სიამაყე,
ვიდრე იმაყო
შენი თავმდაბლობით.

*

ფიქრების გარდა
გულს მოუსმინე,
შენს გულს უსმინე.

*

მე ვისურვებდი
დავმტკბარიყავ წამის
ბედნიერებით
და წამი — ჩემი ბედნიერებით.

*

იმედის გზა გზა არის
რწმენის,
და თუკი გვინდა
რწმენა რეალობად გადავაქციოთ,
უნდა გავუხსნათ გული
იმედებს.

*

თაყვანს გცემ,
რადგან მიყვარხარ
და სიყვარულით
გეთაყვანები.

*

ვისაც ჭირდება
ჩემი სიყვარული —
მიპოვნის,
რადგან ასე ვიპოვნი
მეც ჩემს სიყვარულს.

*

მინდოდა ცხოვრება და
არ ვცხოვრობდი.
მინდოდა სიყვარული და
არ მიყვარდა.
რაც შენ გაგიცანი,
მიყვარხარ შეუძლებელი სიყვარულით
და ვცხოვრობ
შეუძლებელი ცხოვრებით.

*

ვიცი, რომ შენში ვარ,
თუმცა არ გინდა, რომ
შემიგრძნო.
იცი, რომ მე გყავარ.
თუმცა არ გინდა რომ
გყავდე.
ერთ დღეს მიხვდები, რომ
თუ შენში ვარ და
თუ მე გყავარ,
ასეა, რადგან ეს ყოველთვის
გინდოდა შენ.

*

ნება მიბოძე, დაგიძახო,
თავისუფლებავ!
მიმიღე შენში და მომეცი ძალა
მივილო და გავცე.
და ასე სულ ჩემთან იქნები,
და ასე სულ შენთან ვიქნები.

*

მადლობელი ვარ ცხოვრებავ
შენი,
რადგან მასწავლე,
გავცე, რაც გამაჩნია,
და მივილო რასაც მაძლევენ.

*

ეგოიზმის გზას მივყავართ
სიცარიელემდე,
გაზიარების გზას კი—
ევოლუციამდე.

*

მადლობელი ვარ ადამიანების,
ვისაც ვუყვარვარ,
რადგან მათი სიყვარული
მაძლევს ცხოვრებას,
და მაქვს რა ცხოვრება,
ვაგრძელებ მას სიყვარულით.

*

ვეძებ შუქს და
და ვერ ვხედავთ,
გვჭირდება ჰაერი
და არ ვსუნთქავთ.
ზოგჯერ გარეთ ვეძებთ,
რაც ჩვენშია,
და ჩვენშია,
რაც უნდა იყოს გარეთ.

*

სიყვარული ზოგჯერ ნაყოფია.
ზოგჯერ კი—თესლი.
რომლის გარეშეც გაგვიჭირდება
მოვიმკათ კარგი მოსავალი.

*

რწმენა გვეხმარება აღქმაში,
აღქმა ცოდნას გვძენს,
ცოდნა კი ისევ გვშველის.
რწმენაში.
მიიღე ჩემი არსება
შენს მკლავებში.
რადგან შენი უკვე ჩემშია.
შემიშვი შენს გულში,
რადგან შენ უკვე ჩემში ხარ.

*

ვინც სიყვარულს თესს,
შინაგან ბენიერებას
მკის.

*

ღმერთი სამართლიანია და
ბრძენი,
და თუკი ვაცლით მას წაგვიძღვეს,
ჩვენ ვიცხოვრებდით სამართლიანად
და კეთილგონივრულად.

*

ერთ დღეს
ჩემი ნაწერი
იქცევა სიტყვებად,
და ჩემი სიტყვები
—ნაწერ ფიქრებად.

ესპანურიდან თარგმნა
**მარინა ბაბუნაშვილმა**

ალბერტო მორავია

# როდესაც აზრები ჰაერში იყინებოდა

უნდა გითხრათ, რომ მილიონი წლის წინათ პოლუსზე უფრო მეტად ციოდა, ვიდრე ახლა. ტემპერატურა იქ სულ იოლად ეცემოდა მილიარდ გრადუსამდე. ასეთ სიცივეში იყინებოდა ყველაფერი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — აზრებიც კი, საკმარისი იყო ვინმეს ეფიქრა, მაგალითად: რა ძაღლური ამინდია! — და მის თავზე მაშინვე გამოჩნდებოდა პაწია ორთქლის ღრუბელი, რომლის შიგნით ყინულის ლოლუებად ქცეული ასოები შემდეგნაირად ლაგდებოდნენ: „რა ძაღლური ამინდია"!

ყოველივე ამის გამო პოლუსზე ვერავინ ბედავდა ფიქრს. ყველას ეშინოდა, სხვას არ წაეკითხა მათი აზრები.

და აი, გამოდიოდა, რომ დათვები, პინგვინები, სელაპები, ძაღლები, ესკიმოსები — მოკლედ ყველანი — საერთოდ არ ფიქრობდნენ. და იყო პოლუსი ქვეყანა ბრიყვთა. ბრიყვთა არა იმიტომ, რომ საერთოდ არ შეეძლოთ ფიქრი, არამედ თავაზიანობისა და გულისხმიერების გამო.

ერთ მშვენიერ საუკუნეს (იმ დროში ერთი საუკუნე ჩვენს ერთ დღეს უდრიდა) ვინმე ლომვეშაპი ინვა თავისთვის ყინულის ნაჭერზე და სიცივით ტკბებოდა. გაუნძრევლად ინვა სიამოვნებისაგან თვალებს ჭუტავდა და გონებაში არ უჭაჭანებდა არანაირი ფიქრი, გარდა მოკლე სიტყვისა „მ-და". ყინულის ასოებისგან შემდგარი ეს „მ-და" ყველას შეეძლო წაეკითხა მის ზემოთ.

უცებ წყლიდან თავი ამოყო გველთევზამ და დაიყვირა:

— მომისმინე, ლომვეშაპო!

მორჟმა წაიბურტყუნა:

— რა გინდა, გველთევზავ?

ხოლო მან უპასუხა:

—იცი, რა გადამხდა ბოლო მოგზაურობისას? ვიყავი მხარეში, რომელსაც ტროპიკები ეწოდება. იქ ძალიან ცხელა!.. და იცოდე, ტროპიკებში აზრები არ იყინება.

—შეუძლებელია!

—სრული ჭეშმარიტებაა. აი, მაგალითად, ვინმე შემოგხედავს და გაიფიქრებს: რა სქელი უკანალი აქვს მორჟს. შენ კი ამას ვერ გაიგებ, რადგან დიდი სიცხის გამო იქ აზრები არ იყინება.

—და ვინ ფიქრობს, რომ მე სქელი უკანალი მაქვს? — განაწყენდა მორჟი.

—არა, ეს ისე, მაგალითისთვის. მისმინე, რატომ არ გსურს აქედან მოვუსვათ? პოლუსზე ხომ ისე ვერაფერს გაიფიქრებ, თუ ყველამ არ გაიგო, რომ იცოდე, რა სასიამოვნოა — იფიქრო თავისუფლად და არაფრისა გეშინოდეს. მე პირდაპირ გავძეხი ფიქრით ტროპიკებში.

— მაინც რაზე ფიქრობდი?

— როგორ გითხრა...ძალიან, ძალიან ბევრ რამეზე.



— მაგალითად?

— რაზეც გინდა: მზე მწვანეა, ან თუნდაც — ორჯერ ორი ხუთია.

— კი მაგრამ, ეს ყველაფერი ხომ სიმართლეს არ შეეფერება

— რა თქმა უნდა, და მთელი ხიბლიც სწორედ ესაა: შეგიძლია იფიქრო, რაც გსურს, და ვერავინ ამას ვერ გაიგებს.

მოკლედ, გველთევზა იმდენი ელაპარაკა მორჟს, საბოლოოდ მაინც დაითანხმა ტროპიკებში გამგზავრებაზე. იქნებ არც დათანხმებოდა ასე ადვილად, რომ არა მოულოდნელად გამოჩენილი ადამიანები. პოლუსზე ყველა მიჩვეული იყო ზემოთ ყურებას და ლომვეშაპმაც აიხედა თუ არა ადამიანების ზემოთ, შეძრწუნებულმა წაიკითხა: „ახლა ჩვენ დავხოცავთ ასიოდეს ამ ბრიყვ ცხოველთაგან და უამრავ ჩანთასა და ფეხსაცმელს დავამზადებთ"... ამ სიტყვების წაკითხვისთანავე მორჟი ყინულიდან ჩამოცურდა და წინ გაქრილ გველთევზას სასწრაფოდ მიჰყვა.

დიდი ხნის ცურვის შემდეგ ტემპერატურა მკვეთრად შეიცვალა. ლომვეშაპი კვლავ არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ცურვისას ხანდახან თუ შეეკითხებოდა რამეს გველთევზას:

— ჩემო ძვირფასო გველთევზავ! მითხარი, შენ უკვე ფიქრობ?

— აბა როგორ! — უპასუხა მან.

— და რას ფიქრობ?

— ბევრ რამეს და სულ ჩემ თავზე

— შეიძლება, რომ მეც მითხრა?

— ვერ გეტყვი, კიდევ არაფერი გეწყინოს.

მორჟს გუნება წაუხდა. პოლუსზე, როგორც უკვე ვთქვით, არავინ არავიზე არაფერს ფიქრობდა. ახლა კი, ვინ იცის, რას ფიქრობს მასზე ვიღაც გველთევზა. ჭორიკანა! შტერი! თვალთმაქცი! აქ ლომვეშაპმა უეცრად შეამჩნია, რომ თვითონ ფიქრობს გველთევზაზე და თან ძალიან ცუდად. ნათელია, რომ თავის მხრივ გველთევზაც ცუდ რაღაცებს ფიქრობს მასზე, თუმცა იგივე ხდებოდა ყველასთან, ვინც კი ტროპიკებში გაიცნო. თავაზიანობას არავინ იშურებდა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება; რა ლამაზი და გონიერი გამომეტყველება გაქვთ: რა თვალები, რა ულვაშები და ა.შ. მაგრამ მორჟი ღრმად იყო დარწმუნებული, ეს ყველაფერი პოლუსზე რომ მომხდარიყო, ჰაერში ის შემდეგ ყინულოვან სიტყვებს წაიკითხავდა: ეს მახინჯილა გვაკლდა; ჯერ მარტო რა სიფათი აქვს, ბურვაკის თვალები. ჩამოშვებული ულვაშები.

ერთხელაც ამ აუტანელ სიცხეში ნავი გამოჩნდა. ნავში აფრიკელი კაცი იჯდა თავისი ცოლ-შვილით. კაცი ხმამაღლა მღეროდა:

**გველთევზა გველთევზა საყვარელო.**
**ო, რა ცხიმიანი ხარ!**
**ცხიმიანი და ანცი**
**გველთევზა, გველთევზა, მშვენიერო...**

მოხიბლულ გველთევზას დაავიწყდა, რომ ტროპიკებში ერთს ამბობენ, მეორეს კი ფიქრობენ, და ნავს მიუახლოვდა. თვალის დახამხამებაში დაიჭირეს, გამოშიგნეს, ორცხობილებთან ერთად შეწვეს და შეახრამუნეს. ეს ყველაფერი გაოგნებული ლომვეშაპის თვალწინ ხდებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა (ან იქნებ სიზარმაცის გამო) ლომვეშაპი დაბრუნებას არ ჩქარობდა. მას უკვე მიმზიდველიც კი ეჩვენებოდა შესაძლებლობა — ეფიქრა ისე, რომ არავის შეძლებოდა მისი აზრების წაკითხვა და, რაც მთავარია, ეფიქრა სრულად საპირისპირო იმისა, რასაც ამბობდა და აკეთებდა. ლომვეშაპი დარჩა ტროპიკებში და იქაური ჩვევებიც შეითვისა. მართალია, ეს არ იყო პოლუსის წრფელი და ღია სამყარო, სამაგიეროდ, სულ მეტსა და მეტს აღწევდა ზოგადი განვითარების მხრივ. იფიქრა, იფიქრა ლომვეშაპმა და ბოლოს მივიდა ძალზე ამაღლებულ, პირდაპირ ფილოსოფიურ კითხვებამდე: ვინ ვართ ჩვენ? საიდან მოვედით? როგორია ჩვენი დანიშნულება? რატომ ვცხოვრობთ? სადამდე მივალთ? მოკლედ, მორჟი ყველა იმ კითხვას უსვამდა თავს, რომელსაც მაშინ უფიქრდებიან, როცა ცხოვრობენ არა იმისთვის, რომ ჭამონ, არამედ როცა ჭამენ იმისთვის, რომ იცხოვრონ.



*მხატვარი მალხაზ იაშვილი*

ერთ მშვენიერ დღეს ლომვეშაპს მოსწყინდა ეს ყველაფერი და კვლავ პოლუსისკენ გაცურა. „რა ნეტარებაა, რომ მალე აღარაფერზე ვიფიქრებ" — ფიქრობდა ის.

ლომვეშაპი ძლიერ ცდებოდა. პოლუსს რომ მიაღწია და თავის ყინულზე მოკალათდა, შეამჩნია, რომ ცუდი ჩვევა ძალზე აბეზარი გამოდგა და რაც უნდა ეცადა, არ შეეძლო არ ეფიქრა. აზრები რა თქმა უნდა იმწამსვე იყინებოდნენ მის ზემოთ. დათვები, პინგვინები, სელაპები და თევზები წამსვე პირს იბრუნებდნენ ლომვეშაპის დანახვაზე. ფიქრი ხომ იმ დროში სამარცხვინოდ ითვლებოდა პოლუსზე — ეს იგივე იყო, რაც ახლა ქუჩაში დედიშობილა გამოსვლა.

საწყალ ლომვეშაპს კი (ხედავდა რა, რომ მეგობრები გაურბოდნენ) არ შეეძლო სულ უფრო ცუდად არ ეფიქრა. მათ შორის უფსკრული თანდათან ღრმავდებოდა. მალე მორჟი დარჩა თავის ყინულზე მარტო, სულ მარტო, სამუდამოდ.

მას შემდეგ პოლუსზე ტემპერატურამ იმდენად აიწია, რომ აზრები აღარ იყინება ჰაერში და მათ ველარავინ კითხულობს. მიუხედავად ამისა, მორჟი კვლავ მარტო ცხოვრობს. წევს თავის ყინულზე და ფიქრობს. რას ფიქრობს? ნაღვლიანად იხსენებს იმ დროს, როცა არავინ ფიქრობდა, რადგან ყველას შეეძლო ერთმანეთის აზრების წაკითხვა.

საამური, დიდებული დრო იყო, ოღონდ ცივი.

თარგმნა
**დავით შერგელაშვილმა**

**„The Dirty Goat"** („ჭუჭყიანი თხა") 23-ე ნომერი პირველ ნაბიჯებს დგამს საქართველოს რესპუბლიკაში, ოცდაორგვერდიანი ორენოვანი პოეზიით, საქართველოს სამი ყველაზე გამორჩეული პოეტისა — **ზვიად რატიანი, ბესიკ ხარანაული და გივი ალხაზიშვილი** (თარგმნა **ტიმოთი კერჩერმა**. ბზკარედი მოამზადეს **ლელა სამნიაშვილმა, ნონა გიორგაძემ და ანი კოპალიანმა**). ევროპაში კვლავ ბრწყინავს პოლონელი ხელოვანის **სტაჟეკ კობას** გამაოგნებელი ფოტოგრაფია, ორენოვანი ჰოლანდიური პოეზია **მენო ვიგმანისა** და ნოველა ყველაზე დინამიური გერმანელი მწერლის, **ბრიფიტ კრონაუერისა.** თანამედროვე ებრაული პოეზია პირველად გამოჩნდება ათ გვერდზე, **რონი სომეკის** ორენოვანი ინგლისურ-ებრაული ლექსებით. ჟურნალი აგრძელებს დიდებულად წარმოჩენას ლათინური და სამხრეთამერიკული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციისა, სხვადასხვა ერების მრავალფეროვანი ნიმუშების ჩვენებით. მექსიკა სოლიდურად შემოდის **ალბერტო ბლანკოსა** და **მიგელ გონზალეს-გერტის** ორენოვანი პოეზიით და უნიკალური სამენოვანი — მაია, ესპანური, ინგლისური — ნაკრებით **ბრისეიდა კუევას კობისა. "სიკვდილი და ქალწული"**, ბრწყინვალე და შთამბეჭდავი მოთხრობა ურუგვაელი **ხუან კარლოს ონეტისა** და მოგონებათა აღმძვრელი პოეზია ეკვადორელი **სანტიაგო ვოზკაინოსი** ასრულებენ მოგზაურობას ლათინურ ამერიკაში. დიდი ნაკრები ახალი ამერიკული პოეზიისა საკმაზივითაა მოყრილი მთელ ნომერს, ისევე როგორც **კასანდრა ლუისის "ორი ქალი სანაპიროზე"**, ახალი დრამა, შთაგონებული **ედუარდ მუნკის** გრავიურებით. მსოფლიოს თხუთმეტი ქვეყნის მრავალფეროვანი ლიტერატურით შედგენილი „ჭუჭყიანი თხის" 23-ე ნომერი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.



* * *

ტექნიკის განვითარებას ათასგვარი სიახლე თუ თავისებურება მოაქვს და კვლავაც რამდენს მოიტანს და ეგებ არც ეს იყოს შემთხვევითი, რომ პოეტურ რუკაზე გაჩნდეს ლექსის ახალი ნაირსახეობა. სახელწოდება გნებავთ? ყველაზე უკეთ ალბათ... მესიჯ-პოეზია შეეფერება. ყურსა გჭრით? აბა, ჩაუკვირდით, ჩაუფიქრდით, ჩაუღრმავდით... მგონი, ჩემი არ იყოს, თქვენც თანდათან ეჩვევით.

დაე მობილურმა ტელეფონმა ეს მოვალეობაც იტვირთოს — პოეზიასთან გამოთამაშება.




*მეგობრული შარჟი ზაალ სულაკაურისა*

მესიჯ-პოეტურ გაბაასებაში მოხსენიებულ პიროვნებათაგან მკითხველი ზოგს იოლად ამოიცნობს, როგორც ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში საკმაოდ ცნობილთ, ზოგსაც გუმანით მიხვდება, ამიტომაც ზედმეტ განმარტებათა ნაცვლად ამ პოეტურ გაპაექრებას მოგანვდით, როგორც პირველ, თანაც ეფექტურ მოსინჯვას ამ მიმართულებით კალაპოტის გასაჭრელად. მისი კრიტიკულ-ესთეტიკური შეფასება კი ივანე ამირხანაშვილს მივანდოთ. ნეტა ამ ციკლში ჩაღრმავების შემდეგ კიდევ იტყვის: პოეზიას ძინავსო?..

ის, რასაც აქამდე მხოლოდ კაფია თუ ექსპრომტი ერქვა, მობილურის სივრცეში მოქცეული სწორედაც მესიჯ-პოეზიადაც გარდაისახოს.

ყოველგვარი სიახლე აკი იმ შემთხვევითობისაგან იბადება, შინაგანი კანონზომიერება რომ განსაზღვრავს.

ეს მესიჯ-პოეტური გაბაასებაც, რომელიც შესაძლოა ნაკადსაც კი მოექცეს სათავეში, ამგვარმა შემთხვევითობამ განაპირობა.

ახალწლის დღეა და ნოდარ გრიგალაშვილი გადანყვეტს ძველ მეგობართან სახალისო შეხმიანებას, ოღონდ ვერ წარმოუდგენია, რომ უჩა შერაზადიშვილმაც შესაძლოა არანაკლებ პოეტურ-იუმორისტული პასუხი გასცეს.

არადა, თითქოს ასე მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც უჩას ეს უნარი ხშირად თუ არა, არაერთხელ გამოუმჟღავნებია და არცთუ ურიგოდ.

ისე მისი ექსპრომტის ოსტატობა საკმაოდ ჩამოუვარდება მისსავე პაროდიულ ნიჭს, ერთი მსახიობის თეატრად რომ გადაუქცევია მეგობრული პურობა, და გვიკვირდა, სცენაზე რატომ არასოდეს მოუნდომებია ამ იშვიათი ხელოვნების გადმოფრქვევა სტუდენტობის წლებში, თორემ მერე პაროდისტობას რატომღა შეითავსებდა.

დიახ, მის ამ უნარს ჩამოუვარდება პოეტური აღმაფრენა, მაგრამ საიმისოდ კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ნოდარ გრიგალაშვილისათვის თავი ვაგლახად არ დაეჩაგვრინებინა და ეგრძნობინებინა, სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო.

ამის აღიარება ნოდარს ნამდვილად მოუხდა პოეტური მიმოწერის ჟამს. ცხადია, გახარებულს და არა გულნაკლულს: ეს ვინ გამოდგა, სიტყვა არ არ შემარჩინაო.

სხვათა შორის, უჩა (ჩემთან ერთად!) ნოდარ გრიგალაშვილის ერთი ლექსის პერსონაჟია, პავლე ინგოროყვას დაკრძალვის სურათებს რომ წარმოსახავს ამ დიდებული პიროვნების სახების გასიმბოლოების ფონზე. ნოემბრის იმ დღეს უჩამაც რომ ჩამორეკა ქაშუეთის ზარები, ეს რეალია დოკუმენტური სიზუსტით აღიბეჭდა იმ პოეტურ ნიმუშში, პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი ლექსების კოლექციას რომ ამშვენებს.

**ნოდარი — უჩას**

მოგილოცავ, უჩარდიონ,
ურათი და ვაშებითა
შენი კაი ოჯახობით,
შენი უსტაბაშებითა,
ანდრუათი, ვანუათი
თუ შემოგრჩათ — ნაშებითა,
ორმხრივია მეგობრობა
მთლად ნუ გაპირშავდებითა.

**უჩა — ნოდარს**

გილოცავ, ნოდარ,
პოეტო ადრე,
და ახლა დარდო ჩვენი დროების,
უსტაბაშებით სავსეა ყოფა
და უფრო მეტად — მეღროვეებით.
ჩვენი ძმობა კი მუდამ წრფელია,
მერე რაა, რომ წლები მიქრიან,
მრავალ ახალ წელს, პატარა თამთა,
მრავალ ახალ წელს, დაო ფიქრია!

**ნოდარი — უჩას**

თურმე პოეტი ყოფილხარ, უჩა,
რად არ ამბობდი, და რად მალავდი,
ბავშვი, რომელიც დროს გადაურჩა
ბავშვად დარჩება კუბოს კარამდი.

**უჩა — ნოდარს**

ბაჯაღლო ლექსებს გვიწერდი,
არ გაურევდი რიოშებს,
ამ საახალწლოდ, ნოდარო,
პირი რად მოიღნიოშე?!

**ნოდარი — უჩას**

რიოშობას და ლაღობას
შუა საზღვარი დიდია,
მე გული ენას კი არა
ენა გულზედა მკიდია.
შენ რითმას აზრს ნუ შეწირავ,
ყურს ნუ დაუგდებ ოღრაშებს,
კუნელი ჩირად არ ვარგა,
ჩირი ვერ მოიღოლნაშებს.

**უჩა — ნოდარს**

რითმა რითმაზე დახვავდა,
რა დრო გასულა ფიქრებში,
რაც ადრე იყავ, ისა ხარ
ამ ვირტუალურ სივრცეში.
ენა თუ გულზე გკიდია,
გონება რას გეუბნება,
ავტორი სტილით იცნობა,
სტილია თვითონ ბუნება.
მე პოეტობას რა მრჯიდა,
ჭიქა მეცლება ხელადა,
ან გადავხტები ფანჯრიდან
ანდა ამივსეთ ხელადა.
მადლობელი ვარ, ოთარიჩ,
რო გამახსენე ბალღობა,
ღმერთმა ორივეს შეგვარგოს
ეს საახალწლო ლაღობა.

**ნოდარი — უჩას**

როგორც მინდიას ხელახლა
ჩაუდგა გული, გონება
შენაც ეს წელი გეახლა —
ეშვი ჭეშმარიტ პოეტად.
ეს რა შაირი მოენთო,
რა დაქტილით და იამბით,
სადაც თქვენი თქვათ, პოეტნო,
იქ უჩასიცა იამბეთ.
ალარ გასცვალო დუქანზე
ლექსი ამ თახსირ ხანაში,
მოძებნე ან ბედუკაძე
ან ასვი ამირხანაშვილს.
მაგათ აიკლონ ქუჩაო,
მაგათ ალეწონ ჭიქები,
მე შევითვატყვე, უჩაო,
შენ პოეზიას სჭირდები.

**უჩა — ნოდარს**

პოეტობაც დამითმია,
მრჩევლობაც და პარლამენტიც,
ერთი გრძნობა მენატრება
ერთი სიტყვა — განა მეტი,
მეგობრებში, ყონაღებში
მოვილხინოთ გამეტებით,
ამას შეგთხოვს ნოდარ, უჩა —
ერთ დროს თქვენგან განამეტი.

**ნოდარი — უჩას**

ეგ შაირი ესე არი:
თაფლი ცოტა, კუპრი — მეტი,
მე ნაზუქი გამოვგზავნე,
გამოიცხვე შენ კი ფეტვი.
შემიტყვია, რად ახსენე
მრჩევლობა და პარლამენტი,
ახლა ჩემი ორლესულიც
მოვიმარჯვო, ვითა კეტი.
მემოწმება, რასაც ვიტყვი,
კორდელია ანთუ კენტი,
თუ ორმოში არ ჩანს ლოდი
ორმოს თავზე თუ ჩანს ბელტი,
ლოდმა ბელტი მოაყივნოს,
სიავეა მეტისმეტი,
არასოდეს არ ყოფილხარ,
კაცო, ჩემგან განამეტი.
ახლა თაფლის გემოც ვსინჯოთ,
მომაპყარი სასმენელი,
ან როდემდე ვიმესიჯოთ,
მართალი ხარ, რომ თქვას კაცმა
პოეზია არის ჯვარცმა
თანაც დაუფასებელი.
ამიტომაც მოვილხინოთ,
ცას ვურქინოთ ყანწებითა,
გავიხსენოთ ძველი დრონი
მარწყვებივით წანლებითა.

ისეთი შემოვძახოთ,
მოვეშვათ ამ აბრუნდებს,
რომ სპინოზა საფლავში
უკუღმა გადაბრუნდეს.

**უჩა — ნოდარს**

კაფიის ჟანრს არ უხდება
დიდაქტიკა, შეგონება
ამიტომაც გვმართებს, ნოდარ,
შესვენება, შეყოვნება.

ისეთი დღეები მოდის
სიზმარ-ცხადი გეგონება,
ამ ახალ წელს ღმერთმა მოგვცეს
შენ — ჯანი და მე — ქონება.

**ნოდარი — უჩას**

ეგრე იყოს, ეს უსტარნი
დარჩეს ჩვენს ტკბილ მოგონებად,
ამის მეტი აღარ მინდა,
უჩა, შენი შეღონება!

## ასული კეისრისა

„ტანმაღალი იყო და კვიპაროსის დარად წერწეტა. თოვლივით თეთრი ფერის კანი ჰქონდა, არცთუ იდეალურად მრგვალი ფორმის პირისახეს გაზაფხულის ყვავილისა თუ ვარდის ელფერი დაჰკრავდა. ვის ხელეწიფებოდა აეწერა მისი თვალების ელვარება? მაღლა აწკიპული, მოოქროსფრო წარბები და ცისფერი თვალები ამშვენებდა. მხატვრის ხელი იშვიათად როდი გამოსახავს იმ ფერებს, რომლებიც წელიწადის ოთხ დროს მოაქვს, მაგრამ მარიამ დედოფლის მომჯადოებლობა, მისი მშვენების ნათება, მისი ბუნების გულითადობა და მომხიბვლელობა მიუწვდომელი რჩებოდა როგორც აღწერისათვის, ასევე გამოსახვისათვის. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც სხვა რომელიმე მოქანდაკეს არასოდეს შეუქმნია მსგავსი ქანდაკება. როგორც ამბობენ, გორგონას თავი ქვად აქცევდა ყველას, ვინც კი თვალს გაუსწორებდა. ხოლო ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შემთხვევით შეხედავდა ანდა მოულოდნელად შეხვდებოდა მარიამ დედოფალს, განცვიფრებისგან პირს დააღებდა, ენაჩავარდნილი ერთ ადგილზე შეშდებოდა, აზროვნებისა და გრძნობის უნარს კარგავდა... ეს გახლდათ სულჩადგმული ქანდაკება, მშვენიერების ტრფიალთა თვალს რომ ატკბობდა, ანდა — თავად სიყვარული, რომელსაც ხორცი შესხმოდა და დედამიწაზე ჩამოსულიყო“.

დამოწმებული ტექსტი ეკუთვნის XII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის ანა კომნენეს კალამს. იგი გულწრფელი აღფრთოვანებითა და თაყვანისცემით გვიხატავს პირმშვენიერი ქართველი ქალის — ბიზანტიაში გადედოფლებული მარიამ ბაგრატიონის (დავით აღმაშენებლის მამიდის) ეშხიან პორტრეტს.

ანალოგიური მხატვრული პასაჟები საკმაოდ ხშირად გვხვდება ანა კომნენეს თხზულებაში, რომელსაც „ალექსიადა“ ჰქვია და მოგვითხრობს ავტორის მამის, ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის (1081-1118) ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ალექსიადა“ პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროა, სადაც სისტემატურად და სრულყოფილად არის გადმოცემული ბიზანტიის ისტორია ალექსი კომნენოსის ზეობის ხანაში.

ანა კომნენე თავისი თხზულების წინათქმაში აცხადებს: როდესაც ალტაცებას გამოვთქვამ მამაჩემის დიდებულ საქმეთა გამო, სიცრუედ და ყალბ ქებად ნურავინ ჩამითვლისო. ავტორის აზრით, ჭეშმარიტმა ისტორიკოსმა მეგობრობაც უნდა დაივიწყოს და მტრობაც; შეაქოს მტრები, თუკი ისინი ამას იმსახურებენ და ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი დაძრახოს, თუკი მათი საქციელი საძრახისია.

ანა კომნენე ფიცივით წარმოთქვამს: არ დავინდობ თვით კეისარს, თუმცა მამაა ჩემი, და მის მარცხსაც მოგითხრობთო, მაგრამ არც მაშინ დავდუმდები, მის წარმატებებზე რომ მომიწევს სიტყვის ჩამოგდება; არ დავდუმდები იმის შიშით, ვაითუ ვინმემ ბრძანოს — შვილი მამაზე აბა სხვაგვარად როგორ დაწერდაო?

მთხრობელის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული ასული ბიზანტიის კეისრისა დარწმუნებით გვაუწყებს: „განა ჭეშმარიტების ინტერესები ხელს მიშლის, რომ თანაბრად მიყვარდეს მამაც და ჭეშმარიტებაც?“

ანა კომნენე თავის მამას ადარებს ჰერკულესს, ალექსანდრე მაკედონელსა თუ სხვა ანტიკურ გმირებს. ვარაუდობს, რომ მიკერძოებას დასწამებენ და ხაზგასმით აცხადებს, შვილის გრძნობები სიმართლის დამახინჯებას ვერ მაიძულებენო. ბეჯითად ჰპირდება მკითხველს, რომ კეისრის არა მარტო წარმატებებს, არამედ შეცდომებსაც გააცნობს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი თავის დაპირებას ყოველთვის ვერ ასრულებს და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ახლობელი ადამიანის სიყვარული სძლევს ჭეშმარიტების სიყვარულს. ეს არაფერი, რომ ალექსი კომნენოსი წარმოსახულია დიდ მხედართმთავრად, სწორუპოვარ სახელმწიფო მოღვაწედ, შეუდარებელ სწავლულად, ყოველგვარი სიკეთისა და სათნოების მატარებლად, ქრისტიანული სარწმუნოების თავდადებულ მოციქულად, მოსიყვარულე მეუღლედ და ასე შემდეგ... უეჭველია, მეტწილად, ასეც იქნებოდა, მაგრამ ბიზანტიის კეისრის ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი, თუნდაც მარცხით დამთავრებული, ანას კალამქვეშ გადაქცეულა სიბრძნის, წინდახედულობისა და სიმამაცის ნიმუშად. არაერთი სასტიკი და უმსგავსო საქციელი ალექსი კომნენოსისა საქებარი გამხდარა „ალექსიადაში“.

თურმე რაოდენ ძნელი ყოფილა ერთგულება ჭეშმარიტებისა, რომელმაც უნდა სძლიოს სუბიექტურ განცდებსა და აზრებს.

როგორც აღნიშნავენ, „ალექსიადას“ ავტორის პანეგირიკული პოზიციის მართებულად გაგებისათვის მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება: ანა კომნენე თავის თხზულებას წერს არა მამის სიცოცხლეში, არამედ მისი სიკვდილის შემდეგ. და ქება-დიდება ალექსი კომნენოსისა იმხანად უკვე ახალ დატვირთვას იძენს. იდეალური იერი წინანდელი კეისრისა მკაცრ მუნათად ჟღერს მისი ულირსი მემკვიდრეების მისამართით. ავტორი თავის გრძნობებს არც ჩქმალავს; ამბობს, რომ ალექსიმ კეთილდღეობა მოუხვეჭა იმპერიას და თუკი ბიზანტიის ბედის ჩარხი შემდგომში უკულმა დატრიალდა, ეს იმათი გონებაჩლუნგობის ბრალია, ვინც კეისრის ტახტს დაეუფლა და დიდებული მბრძანებლის გარჯით მოპოვებული დიდება ქარს გაატანაო.

ანა კომნენე წერს: „მისი გმირული იერი იწვევდა მნახველთა აღტაცებას და გაოცებას. ერთმანეთს შერწყმოდა თვალისმომჭრელი სილამაზე, სინატიფე, ღირსება და სწორუპოვარი სიდიადე. და თუკი საუბარში ჩაებმებოდა, იფიქრებდი, მის ბაგეთაგან თავად მგზნებარე ორატორი დემოსთენე მეტყველებსო. დასაბუთებათა ნაკადი იტაცებდა სმენას და სულს. ბრწყინვალე და უძლეველი იყო ლაპარაკისას, ისევე როგორც ბრძოლისას. ერთნაირად ემარჯვებოდა ტყორცნა შუბისა და მსმენელთა მოჯადოება სიტყვით“.

კითხულობ „ალექსიადას“ და თვალწინ ცოცხლად წარმოგიდგება იმდროინდელი ბიზანტიის მრავალფეროვანი და მღელვარე ცხოვრება. ნეტავი ჩვენშიც დაეწერათ ასეთი წიგნი! მაგრამ ვინ იცის, ეგებ დავით აღმაშენებლის რომელიმე ასულს შეუქმნია კიდეც „დავითიადა“? ვაგლახ, მონღოლებს რას გადაურჩებოდა! უსათუოდ დახევდნენ, დაწვავდნენ, და ფერფლს წყალში გადაყრიდნენ...

ხ6/5



## იოსებ ნონეშვილის ხელით

1960 წლის მაისში რუსული გაზეთი „ლიტერატურნაია გაზეტა“ სიტყვაძუნწი განცხადებით იუწყებოდა, რომ სამოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა საკავშირო ლიტფონდის წევრი ბორის ლეონიდოვიჩ პასტერნაკი.

ეს საკმაოდ კურიოზული ტექსტი, ალბათ, პოლიტბიუროს საგანგებო სხდომის ხანგრძლივი შემოქმედებითი ბჭობის ნაყოფს წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საგაზეთო განცხადებაში ყოველი სიტყვა სიმართლეს შეესაბამებოდა. მართლაც 1960 წლის მაისი იდგა, მართლაც სამოცდაათი წლისა გარდაიცვალა პასტერნაკი და მართლაც ლიტფონდის წევრიღა გახლდათ (როგორც ცნობილია, მწერალთა კავშირიდან გარიცხეს).

ითქვა უტყუარი სიმართლე, მაგრამ მთელი სიმართლე არ თქმულა. და ყველაზე დიდი სიმართლე უთქმელი დარჩა. გაზეთის პირით მეტყველებდა ფერხორცდაკარგული, გაძვალტყავებული სიმართლე და სინამდვილეში უდრიდა სიცრუეს, რომელსაც ძლივძლივობით მოერგო პაწია ნიღაბი სიმართლისა.

ჭეშმარიტი და სრული სიმართლე კი ასეთი იყო:

1960 წლის მაისში გარდაიცვალა XX საუკუნის უდიდესი პოეტი ბორის პასტერნაკი, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, დრო-ჟამის ტყვეობაში მყოფი მძევალი მარადისობისა და პერედელკინოს მიწას რომ მიაბარეს ცხედარი, მარადისობამ დაიბრუნა თავისი გამორჩეული მკვიდრი.

ანა ახმატოვამ, პასტერნაკის ღირსეულმა თანამოკალმემ და მეგობარმა, მისი სიკვდილით აღძრული განცდა ასე გამოხატა: „მყისვე სიჩუმე გაბატონდა მთელს პლანეტაზე, დედამიწა რომ ჰქვია სახელად“.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ხელისუფლებასთან ერთად, ზოგიერთი ახლო მეგობარიც განუდგა პოეტს და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. როდესაც პერედელკინოში სეირნობისას ნაცნობი მილიციელი ჩვეულებრივ, თითქოს არაფერი მომხდარაო, მიესალმა საქვეყნოდ შერისხულ პასტერნაკს, ამ ორდინარულმა ფაქტმა ისე შეძრა თითქმის ყველასგან მიტოვებული და უსაზღვროდ განქიქებული პოეტის სული, რომ შინ დაბრუნებული ცრემლიანი ხმით ჰყვებოდა რიგითი საბჭოთა მილიციელის მიერ უჩვეულო კეთილშობილების გამომჟღავნებას.

პასტერნაკის დაკრძალვაზე მწერალთა კავშირის წევრთა ხალვათობა შეინიშნებოდა. ერთი ცნობილი თანამოკალმე სამი დღე გადაბმულად სვამდა და ამფსონებს უმტკიცებდა, ყველანი არამზადები ვართო. მეორე ცნობილმა მწერალმა, პასტერნაკის მეზობლად რომ ცხოვრობდა პერედელკინოში, თავი მოიავადმყოფა და თავის სახლში სქელი ფარდების ჩამოშვება ბრძანა, რათა პანაშვიდიდან წამოსულ ხმაურს მისთვის მოსვენება არ დაეფრთხო. მესამე „მოულოდნელად“ გამოიძახეს მოსკოვში. მეოთხე კი თავისი აგარაკის ღობის მიღმა აიტუზა და პასტერნაკის ცხედართან გამოსათხოვრად ცოლი გაუშვა... სამაგიეროდ, პასტერნაკის რიგითი თაყვანისმცემლები ახლად გათხრილ სამარესთან შუაღამემდე კითხულობდნენ პოეტის ლექსებს.

როგორც ანდრეი ვოზნესენსკი იგონებს, საქართველომ თავის ერთგულ მეგობარსა და ქართული პოეზიის ამაგდარს, ჭეშმარიტად სახალხო პოეტის იოსებ ნონეშვილის ხელით, ქართული ყვავილები დაუწყო კუბოზე.

აბა თავად განსაჯეთ, ათას ჭირვარამგამოვლილ საქართველოს, ათასი ჯურის თემურ-ლენგებს რომ გამკლავებია, ხრუშჩოვი და სუსლოვი როგორ შეაშინებდნენ!

ანკი ქართველი პოეტი, თავის სანაცვლოდ, ბრძოლის ველზე ცოლს გაგზავნიდა და თვითონ კი სქელი ფარდის მიღმა მიიჭუჭკნებოდა?! წარმოუდგენელია!

გამოხდა ხანი.

1989 წელს ბორის პასტერნაკს (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა რუსთაველის პრემია. ღირსეული პატივი მიეგო დიდ რუს პოეტს, რომელიც საქართველოს თავის „მეორე სამშობლოდ“ თვლიდა.

ჩვენგან უდროოდ წასული გია მარგველაშვილი, რომელმაც ძალზე საინტერესო ნარკვევი მიუძღვნა პასტერნაკისა და საქართველოს თემას, წერდა: „მას ჰქონდა ჩაფიქრებული ისტორიული მოთხრობა საქართველოს ადრექრისტიანული წარსულიდან, სადაც აპირებდა ქართული ხასიათისა და ბუნების იმ „მოუხელთავი ნიშნების“ დაჭერასა და ამოხსნას, რაც მას ათეული წლების მანძილზე არ აძლევდა მოსვენებას... ეს თავისი ჩანაფიქრი და გეგმები ბორის ლეონიდეს ძემ გამანდო საქართველოდან დაბრუნების შემდეგ (1959 წ.), ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს პერედელკინოში“.

პასტერნაკს მოუთხოვია მიხეილ საბინინის „ქართული ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა“; წიგნი არქეოლოგიურ გათხრებზე საქართველოში; ქართული ენის კარგი თვითმასწავლებელი ანდა ქართული ენის სახელმძღვანელო.

ანდრეი ვოზნესენსკიც აღნიშნავს, რომ პასტერნაკი აგროვებდა მასალებს რომანის დასაწერად, რომლის მთავარი გმირი იქნებოდა წმ. ნინო.

ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა, ვაგლახ, აღარ დასცალდა.

## ქრონიკა

ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „ალექსანდრე ყაზბეგის კავკასიური საგა მხატვართა თვალით“. გამოიფინა სხვადასხვა თაობის ხელოვანთა — **თამარ აბაკელია, ეკატერინე აქიაშვილი, დავით გაბაშვილი, ბადრი გაგნიძე, გივი გულისაშვილი, მზია დედანაშვილი, ნინო ზაალიშვილი, მალხაზ იაშვილი, თამარ მინაშვილი, ზურაბ ნიჟარაძე, ქეთევან პატარაია, ავთანდილ პოპიაშვილი, მაია სიამაშვილი, ალექსანდრე სლოვინსკი, თამთა სოსელია, დეა სოსელია, ვლადიმერ ტოროტაძე, ლერი ფავლენიშვილი, კარლო ფაჩულია, მარიამ ქურდაძე, გიორგი ჩაჩანიძე, ირაკლი ჩიქოვანი, ლიზი ჩქარეული, ნათელა ცაციაშვილი** — 63 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. ესაა ილუსტრაციები არა მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგის ყველაზე ცნობილი მოთხრობებისა და რომანების, არამედ ნაკლებად პოპულარული თხზულებებისაც. გამოფენის მიზანი ესეც იყო, რომ ეს „დაჩაგრული“ თხზულებანი მოხვედრილიყო მკითხველის მზერის არეალში.

აღსანიშნავია, რომ ნახევარზე მეტი ნახატი საგანგებოდ შესრულდა ამ დღისათვის. რომ არა ეს გამოფენა, ჩვენი კულტურული ყოფა ამდენი ჩინებული ნახატით ვერ გამდიდრდებოდა.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა **ლაშა ბაქრაძემ**, ალექსანდრე ყაზბეგზე ვრცლად ისაუბრა გამოფენის ერთ-ერთმა თაოსანმა **როსტომ ჩხეიძემ**, ვინც აღნიშნა, რომ მისი გამართვის ინიციატორები არიან სტეფანწმინდელი ახალგაზრდები — **ანა გელაშვილი, შალვა ელოშვილი და ლიზი ჩქარეული**, რომელთა მონდომებასაც მხარი აუბა **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ**. განსაკუთრებით გამოჰყო **კარლო ფაჩულია**, გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე და მისთვის საბოლოო სახის მიმნიჭებელიც.

სიტყვით გამოვიდნენ: მხატვრები — **ნინო ზაალიშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი და ლიზი ჩქარეული**, პროფესორი **ლადო მინაშვილი**, პოეტი და არქიტექტორი **შოთა ბოსტანაშვილი**. ანსამბლმა **„ჯვარულმა“** შეასრულა ხალხური სიმღერები.

# ჟანრი და ტექსტი

## ლუკა ბაქანიძის ერთი ლექსი



მხატვარი ნინო ზაალიშვილი

სად გადის სადემარკაციო ხაზი პროზასა და პოეზიას შორის? როგორ ვიპოვოთ პირობითი სასაზღვრო ზოლი, რომელიც ლექსსა და მოთხრობას ერთმანეთისგან ყოფს? რა არის ის ელემენტი, რაც პროზას პოეზიად აქცევს და პირიქით, პოეზიას – პროზად? რთული შეკითხვებია. რთულია, როცა ფაქტის წინაშე დგახარ, თორემ ისე, სხვა შემთხვევაში, კითხვებიც არ გაჩნდებოდა.
ერთი სიტყვით, ფაქტის წინაშე ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს. საუბარია ლუკა ბაქანიძის ნაწარმოებზე „მარი", რომელიც მოთხრობასავით იკითხება და ლექსად აღიქმება
(„ჩვენი მწერლობა", №2, 2011).
ამბავს მენავე ჰყვება. მოქმედება მიმდინარეობს თბილისის ზღვაზე. მოკლე შინაარსი ასეთია: ქარიშხალი ამოვარდება, ზღვის ნაპირას ქალი გამოჩნდება. მენავეები, რომლებსაც უცებ რაღაც ძალა შეიპყრობთ, აბობოქრებულ ზღვაში შეცურავენ. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ გავა პირველი გაღმა ნაპირზე. იმარჯვებს მთხრობელი, 20 წლის ბიჭი, რომელიც წლების შემდეგ გაიგებს, რომ ის ქალი, რომლის გულისთვისაც „თავებს იხოცავდნენ", ყოფილა მეთევზის ცოლი, შერეკილი და, რაც მთავარია, რქმევია მარი ანუ ის სახელი, რაც აწერია გამარჯვებულის თეთრ ნავს.
პროზად წაიკითხავ – მარტივი შინაარსია;
ლექსად წაიკითხავ – ყველაფერი რთულდება.
რთულდება და უფრო საინტერესო ხდება. გინდა-არ გინდა, ზღაპრის სტრუქტურას უკავშირებ.

„თავფარავნელი ჭაბუკიც" გაგახსენდება, ოღონდ აქ სქემა თითქოს შებრუნებულია. სხვა ნაწარმოებთა გახსენებაც შეიძლება. ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, სახარების ანალოგები გაფიქრებს. რატომ მაინცდამაინც მენავე და თანაც ოთხი; რატომ მარი, მარიამი და ისიც იდუმალი ძალის მქონე; რატომ მეთევზე და ასე შემდეგ. თუ ასე გავყვებით, პოეტური დეტალებიც სიმბოლოებად გადაიქცევა. ლექსი თუ პოემა ხელში შემოგვადნება და ცარიელი სქემაღა დაგვრჩება. ამიტომ, ვფიქრობ, „მარი" ორმაგი ჰერმენევტიკული ხერხით უნდა წავიკითხოთ, ორმაგი ჟანრული თვალსაზრისით უნდა გავიაზროთ, კერძოდ, პოეტური ინტერპრეტაცია იმაზე შორს არ უნდა წავიყვანოთ, სადამდეც პროზაული საფანელი არ გამოგვყვება. ანდა გავითვალისწინოთ, რომ მოქმედება სავსებით რეალურ გარემოში მიმდინარეობს, რეალური პერსონაჟებისა და რეალისტური ხასიათების მონაწილეობით. ეს არის ნიშანი იმისა, რომ ნაწარმოების იდეას მარტო განყენებულ, ზოგად სივრცეში ვერ მოვკრებთ.
მოგვიწევს იმის გათვალისწინებაც, რომ „მარი" არის თეთრი ნავი და თანაც ერთადერთი, რომელსაც ნომერი კი არა, სახელი აწერია. მისი ყოფნის, არსებობის, სიცოცხლის ფორმა სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგივეობა, დადგენილია. ეს ის ნავია, რომელსაც ყველაზე ხშირად ქირაობენ დამსვენებლები.
მყიფე ლექსია (გნებავთ, პოემაა). თუმცა შესაძლოა „მყიფე" არ იყოს ის სიტყვა, რასაც ვგულისხმობ ამ სათუთ და ამავდროულად მოუხელთებელ ტექსტში. ყველაფერი ადგილზეა, ყველაფერი გაგირბის, ყველაფერი დგას, ყველაფერი მიმდინარეობს. ხელისგულზე გიდევს, მაგრამ არ გექვემდებარება, არ გემორჩილება, არცერთი მიმართულებით არ მოგყვება.
რასაკვირველია, შეიძლება მისი მოქცევა ანალიზის ჩარჩოებში, აიღებ სქემას მისწევ-მოსწევ ტექსტის დეტალებს და ჩატევ ლოგიკურ სტრუქტურაში, მაგრამ მთავარი დაიკარგება – წინააღმდეგობის სული, რაც, როგორც ითქვა, ჟანრულ ხასიათშიც დევს და მხატვრული გადმოცემის სპეციფიკაშიც. იძულებული ვართ გარშემო ვუტრიალოთ ტექსტს და ვათვალიეროთ, როგორც ქარვაში ჩასმული მწერი.
ეს ალბათ გარკვეულ დრომდე, სანამ კარგად გავიცნობთ ლუკა ბაქანიძის შემოქმედებას, მხატვრული აზროვნების წესს, სტილს, გემოვნებას. ნიჭიერი მწერალია და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს მისი ყოველი ნაწარმოები, ყოველი სტრიქონი, ფრაზა თუ სიტყვა. პასუხისმგებლობა მწერლისთვის აუცილებლობაა, მკითხველისთვის – ვალდებულება.
სხვათა შორის, ვალდებულებათა სფეროდან არის ის იმპულსიც, რამაც წერილის დაწერა გადამაწყვეტინა. უთუოდ იძლევა თუნდაც ეს ლექსი მიზეზს იმისათვის, რომ მოლოდინით განვეწყოთ და დაველოდოთ პერსპექტივის ღირსეულ გახსნას.

**ივანე ამირხანაშვილი**



კოცნა

მაკა ბატიაშვილი

ISSN 1987-7730